

გვარების ცაფყების

ქმედების დანაშაულად  
კვალიფიკაციის  
წოგადი თეორია

(დამხმარე სახელმძღვანელო)

თბილისი  
2010

## **გურამ ნაჟყვებია:**

**ქადაგის დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია.**  
**გვ. 290. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010.**

ნაშრომში მოკლედაა გადმოცემული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ამ კვალიფიკაციის ეტაპების, სუბიექტებისა და ობიექტების მიხედვით. ამასთან, ნაჩვენებია ამ თეორიის მნიშვნელობა და მეთოდოლოგიური საფუძველი.

ნაშრომი დამხმარე სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი (მიუხედავად მისი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისა), თუმცა, მას შეუძლია არსებითი დახმარება გაუწიოს ამ საქმიანობით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

## **რეცენზენტები:**

**ქეთევან ჭედლიშვილი-ჭედრიხი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუნის ფრიდრიხ შვილერის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის თანამშრომელი.**

**ირინე ბოხაშვილი, თსუ სისხლის სამართლის პროცესის საპროცესოროს ასოცირებული პროფესორი.**

## **რედაქტორი:**

**მზია ლევანიშვილი, იუ. ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ქურძო ნაწილის სრული პროფესორი, უნივერსიტეტის ქრისტიანულისტი და კრიმინოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.**

## **გამოგვითველი რედაქტორი:**

**ზაურ ნაჯუებია, ქურნალისტი, ქურნალ „პიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი**

ვუძღვნი ჩემი თანაკურსელის –  
ცნობილი იურისტის იური გაბისონიას  
ნათელ ხსოვნას.

## პრირისბან

იუნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტში დიდი ხანია ვაკითხულობ თავდაპირვე-  
ლად როგორც საკუთალურ კურსს, ხოლო, შემდეგ არჩევით  
საგნად „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი  
თეორია.“ 2000 წელს გამოქვეყნდა ჩემი ნაშრომი „ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი.“  
(ნაწილი პირველი). ნაშრომის მეორე ნაწილის დასრულე-  
ბამდე საქართველოში ბეჭრი რამ შეიცვალა, რამაც თავის  
მხრივ არსებითად შეცვალა როგორც სოციალურ-პოლიტი-  
კური გითარება, ისე, საქანონდებლო სისტემა. ეს ცვლილე-  
ბა შეეხო როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე, სხვა  
ნორმატიულ აქტებსაც – სხვაორაშორის, იგი შეეხო სისხ-  
ლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასაც ისეთი  
ხშირი ტემპით, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის  
თეორიის აგება ამ მხრივ სარისკოდ იქცა (ეს თეორია ნორ-  
მატიული თვალსაზრისით მაკულატურად გადაიქცევიდა).  
ცვლილებები და დამატებები შევიდა სისხლის სამართლის  
კანონმდებლობაშიც. ამდენად, აღნიშნული ნაშრომის მეორე  
ნაწილის დასრულება გათვლისწინებული გეგმის მიხედ-  
ვით უერ განხორციელდა. ამასობაში აღნიშნული ნაშრო-  
მის პირველი ნაწილი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად  
იქცა. ამიტომ გადავწერი, აღნიშნული ნაშრომის არსე-  
ბითი გადამუშავებისა და მასში ახალი საკითხების შეტა-  
ნის გზით შემუქნა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის

ზოგადი ოეორია (ესე იგი ერთნაწილიანი ნაშრომი), რომელიც იურიდიული ფაქტლების სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებდა. თუმცა, დასახელებული ნაშრომით სხვა დაინტერესებული პირებისაც შეუძლიათ ისარგებლონ. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ნაშრომი პირითადად შეთოდოლოვიურია და ამ მხრივაც არ ეძოხევა იგი დღემდე გამოქვეყნებულ ტრადიციულ ნაშრომებს. რასაკვირველია, ვსარგებლობო სისხლის სამართლის როგორც ზოგადი, ისე, კერძო ნაწილის სფეროში გამოქვეყნებული ლიტერატურითაც, მაგრამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი ოეორია შედარებით დამოუკიდებელია და ამდენად სხვაგვარ მიღვომას მოითხოვს. ეს ბუნებრივია, რადგან, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებაც. მაშახადამე, ხაჭე ეხება დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკისა და თეორიის განსაზღვრულ ერთიანობას. გასაგებია, რომ მომავალი იურისტი ამ ერთიანობას სტუდენტები მერხიდან უნდა ეზიაროს.

ნაშრომში დასმული პრობლემატიკა როგორიც და მრავალმხრივია, რის გამოც მისი ამომწურავი ანალიზის პრეტენზია არა მაქვს. მაგრამ რამდენადაც დასახელებული სასწავლო საგნის პრობლემატიკის შერჩევაში პროფესორი შეფარდებით დამრუკიდებულია, იმდენად, იგი პასუხისმგებელია ამ მხრივ თვითნებობა არ გამოიჩინოს. გარდა ამისა, არჩევითი საგნის ხწავლების მეთოდოლოგია და მეთოდიკა საშუალებას იძლევა, პროფესორის მხრივ მონოლოგიდან სტუდენტთან აქტიურ დიალოგზეც გადავიდეთ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დასახელებული არჩევითი საგნის პრობლემატიკაში გავითვალისწინოთ ის პრობლემატიკაც. რომელიც სტუდენტს, ლექციებზე, ამ სპეციელიარებზე მისი შეკითხებიდან გამომდინარე, დაინტერესებს. აღნიშნული ნაშ-

რომი, თავისი მეთოდოლოგიური სისტემით და ზოგადი თეორიის სტატუსით, ქართულ ენაზე პირველია, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგად თეორიას უძღვნება. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართულ ენაზე ერთ-ერთი პირველი გახლდათ აღ. კვაშილვას ნაშრომი „დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები,“ (თბილისი, 1997). მაგრამ ეს ნაშრომი აგებულია ქველი კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის ახალი (1999 წლის 22 ივლისი) კოდექსით ბეჭრი რამ შეიცვალა, რაც ახლებურ ანალიზს მოითხოვს. ამ მხრივ საურალდებოა აგრეთვე სამართლის ლოქტორების 6. ბვენეტამისა და მ. ტერაპიას ერთობლივი ნაშრომი „სისხლის სამართლის საქმებზე გადაწყვეტილუბათა მიღების მეთოდი“ (თბილისი, 2005), თუმცა, ფაქტია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ქართულ ენაზე ჯერ კიდევ შემცირდებული არაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „დანაშაულის კვალიფიკაციის“ პრობლემებზე ნაშრომები რუსულ ენაზეც კი მწირია. რაც შეეხება, მაგალითად, გერმანულ ლიტერატურას, აქ, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, უფრო გავრცელებულია ტერმინი ე.წ. „სუბსუმცია“, ანუ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებისა და რეალურად ჩადენილი ქმედების ნიშნების შედარება მათი გაიგივების მიზნით (იხ. მ. გვადლიშვილი, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბილისი, 2010), ვიდრე „კვალიფიკაცია,“ თუმცა ეს ტერმინიც მნიშვნელოვანია იმ-სადაც, რამდენადაც ამ მიმართებით საქმე ეხება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის წინაპირობას, ხოლო, ეს, თავის მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგანის საფუძველია. სისხლის სამრთლის საქმეზე ჰეშმარიტებისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თანაფარდობის პრობლემა წინამდებარე ნაშრომში საგანგებოდ იქნება განხილული (სუბსუმციის შესახებ უფრო დაწერილებით

იხ. აგრეთვე მ. ტერაპა, სისხლის საჭართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 311-314).

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს „უზენაესი ხასამართლოს მიერ გამოცემული „სახელმძღვანელო წინადადგები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის ხასამართლო პრაქტიკის პროტოემატურ საკითხებზე“ (თბილისი, 25 ივლისი, 2007), იმის მიერ ხელავად, რომ მასში ძირითად გაღიაწვეტილია სასჯელის დანიშვნის ხაკითხები, ზოგჯერ ქმედების დანაშაულად კულიურიკიის ხაკითხებზეცაა ხაუბარი.

ნაშრომი აგებულია ამჟამად მოქმედი (1998 წლის 20 თებერვლის) სისხლის სამართლის ხაპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ხოლო, სისხლის სამართლის ახალი ხაპროცესო კოდექსი, რომელიც, ზოგიერთი მუხლის გამოკლებით, ძალაში შევა 2010 წლის ოქტომბრიდან, მოკლედ (და ზოგიერთი ასპექტით) აქაც იქნება განხილული.

ცხადია, ნაშრომი უჩაკლო ვერ იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდა თაობა ამ მეოთხოდობიურ წამოწევებას განებით შეხვდება და შემოქმედებით განავთარებს კიდევ.

## საპს კურიული

**„დანაშაულის კვალიფიკაციის“  
ტრადიციული ცნობა და ქმედების დანაშაულად  
კვალიფიკაციის მნიშვნელობა**

### **დ1. ტრადიციული „დანაშაულის კვალიფიკაცია“ და მისი საზოგადო**

ტერმინი „კვალიფიკაცია“ ლათინური წარმოშობისაა (Qualis - თვისება), (fakio - ვაქეობა) და ნიშნავს საგნის, ან მოვლენის განსაზღვრას მისი თვისების, თავისებურების მიხედვით; იგი ნიშნავს აგრეთვე „შეფასებას.“ რა არის შეფასება? ამ ცნების დალგენა გულისხმობს იმასაც, რომ საქმე შეეხება შეფასების სუბიექტს – ესე იგი, იმას, თუ კინაა შემფასებელი; შეფასების ობიექტს – ესე იგი იმას, თუ რა (კოქვათ, ქმედება) ან, ვინ (ესე იგი პიროვნება) ფასდება; შეფასების საფუძველს, ესე იგი იმას, თუ რის საფუძველზე, რის მიხედვით, ხდება შეფასება; შეფასების შედეგად ობიექტის რა თვისება დადგინდა? რა გადაწყვეტილებას იწვევს შეფასების ობიექტის ეს თვისება? აქ მოკლედ კიტყვით, რომ ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება, ჯერ ერთი, განსაზღვრული ქმედების დანაშაულიად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაცია (კრიმინალური) სისხლის სამართლის კანონში; მეორეც, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შეფასება, ანუ, კვალიფიკაცია დანაშაულად, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონის ნორმათა გამოყენებით; მეორეჯერ, სისხლის სამართლის საპროცესო დოკუმენტების ფორმაში თითოეულის სპეციფიკის შესაბამისად.

· სამწუხაროდ, როგორც რუსულ, ისე, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე სრულიად უმართებულოდ იყ-

ენებერ ტერმინს „დანაშაულის კვალიფიკაცია.“ მართლაც, „დანაშაული“ მიჩნეული იქნა შეიქასებით კნებად. ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. აქედან გამომდინარე, თუ ქმედება „დანაშაულია,“ მაშინ, იგი კვალიფიცირებულია ასეთას, ანუ დანაშაულად და ამიტომ მისი, როგორც დანაშაულის, ხელახალი კვალიფიკაცია, თანაც დანაშაულად, სრული უაზრობაა.

გასაგებია, რომ დანაშაულად უნდა დაეკალიფიცირდეს არა თუითონ დანაშაული, არამედ, ქმედება, რომელიც შეიძლება დანაშაულის ელემენტებს (ქმედების შემადგენლობას, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობასა და სუბიექტის ბრალს) შეიცავდეს და ამიტომ იმსახურებდეს „დანაშაულად“ შეფასებას.

ტრადიციული ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“ წარმოდგება „დანაშაულის“ და „შემადგენლობის“ გაიგივების საბჭოური ტრადიციიდან. კერძოდ, მიჩნეული გახლდათ, რომ დანაშაულის შემადგენლობა ოთხი ელემენტისგან: დანაშაულის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისგან შედგება. დანაშაულის ობიექტი ნიშნავდა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას (ესე იგი სამართლებრივ სიკეთეს), რომელსაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედება; დანაშაულის ობიექტური მხარეში იგულისხმებოდა დანაშაულის სამდებნი პირის ნების გარეგანი აქტი, რომელიც ქმედების, შედეგის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების სადენის ადგილის, დროის და სხვა ამგვარი ობიექტური ნიშნებისგან შედგება; დანაშაულის სუბიექტად მიჩნეული გახლდათ ყიზიკური პირი, რომელიც საოანადო ხელიერი ჯანმრთელობითა და ასაკით ხახიაოდება და ამდენად, ნებატიური წესით პასუხს აგებს მის შიერ საღენილი დანაშაულისთვის; დანაშაულის სუბიექტურ მხარეში კი გულისხმობრივი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ყვსიქიკურ

დამოკიდებულებას, რომელიც მოტივის, მიზნისა და ბრალის ერთიანობით ვლინდება.

დანაშაულის შემადგენლობის ამგვარი გაგება გაძატონებულია თანამედროვე რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლიში ნათქეამია, რომ „დანაშაულად ჩაითვლება ბრალეულად ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც ამ კოდექსით სასჯელის გამოყენების მუქარითაა აკრძალული.“ დანაშაულის შემადგენლობა კი თანამედროვე რუსეთში გაგებულია, როგორც „ობიექტური და სუბიექტური ელემენტების ერთობლობა, რომელიც საშეკალებას გვაძლევს, განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში მისი აღწერილობის შესატევისად მიეთხოვთ“ (Уголовное право, Общая часть, М. 2000, стр. 14).

ფაქტობრივად, ეს არის დანაშაულის ცნებისა და ქმედების შემადგენლობის ცნების სრული გაიგივების ტენდენცია. მართალია, დანაშაულის ცნება, ერთი შეხედვით, კალკეა გამოყოფილი, როგორც ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობა. თუმცა, საჭმე სწორედ ისაა, რომ საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი ამავე დროს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებადაც მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღიუსაც, რის გამოც დანაშაული და შემადგენლობა არსებითად ერთი და იგივეა. ასეთ პირობებში ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“, ერთის მხრივ, გარდუგალია, რაღგან, მიჩნეულია, რომ, თუ დანაშაულის შემადგენლობა განხორციელდა, მაშინ, დანაშაული უეჭველად ჩადენილია. მეორეს მხრივ კი საკითხავია: თუ ჩადენილი ქმედება, ზემოთდასახელებული ნიშნების მიხედვით, უკვე დანაშაულია, მაშინ, რა საჭიროა მისი კვალიფიკაცია? მართლაც, თუ „შემადგენლობა“ უდრის „დანაშაულს“, მაშინ, შემადგენლობის განხორციელების ყოველი შემთხვევა

**უკვე დანაშაულია და, მაშასადამე, მისი დანაშაულად კვალიფიკაცია ზედმეტია.**

მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი, ამ მხრივ დამაუჭვებელი, იყო სისრ კაჯშირისა და მოკავშირე რესპუბლიკურის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საყუდვლების (1958 წ.) მე-7, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წ.) მე-8 მუხლის მეორე ნაწილში მითითებული დებულება ქმედების მკირემნიშვნელობის შესახებ. იგულისხმებოდა, რომ, თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება მცირემნიშვნელოვანია, ესე იგი, არ არის საზოგადოებრივად საშიში, მაშინ, დანაშაულის შემადგენლობის ზემოთ დასახელებული ნიშნები ფურრმაღურ ხასიათს იძენდა. ეს გარემოება, თავის მხრივ, იმასე მიუთითებდა, რომ დანაშაული, როგორც შეფასებითი ცნება, მის შემადგენლობაზე, როგორც არაშეფასებით, აღწერილობით, მსჯელობაზე, არ დაიყვანება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ წმინდა იურიდიული ოვალსაზრისით, ქმედება დანაშაულია მხრილოდ მაშინ, თუ იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტკუნებელი განაჩენით. მაშასადამე, ერთია დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივად ჩადენა და მეორეა დანაშაულად მისი იურიდიული კვალიფიკაცია. ამისი გაცნობიერება კი სისხლის სამართლისადმი აქსიოლოგიური მიდგომის პირობებშია შესაძლებელი. სამწუხაროდ, აქსიოლოგის ძირითადი ცნების ღირებულების – არასწორი გავების, ან ნივთის. (საგნის)სასარგებლო თვისებასთან ღირებულების ცნების გაიგივების გამო სისხლის სამართლის საბჭოურ და ოაზამედროვე რუსეთის მეცნიერებაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის საბუთად მოკლეს განხვისილოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ტრადიციული ცნებაც.

## § 2. „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ცნობა

როგორც აღინიშნა, ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“ უასროა, რადგან, ოუ ქმედება დანაშაულია, მაშინ, მას ხელახლი კვალიფიკაცია არ სჭირდება. გასაგებია, რომ ამ ტრადიციული ტერმინიდან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნების გამოყენა შეუძლებელია. კერძოდ, გამოვა, რომ „დანაშაულის კვალიფიკაცია“ არის დანაშაულის, ესე იგი, დანაშაულად კვალიფიცირებული ქმედების, კვალიფიკაცია დანაშაულად.“ როგორც ჩანს, მივიღეთ „დანაშაულის დანაშაული“, „კვალიფიკაციის კვალიფიკაცია.“ (კხალია, აქ. საქმის ნამდვილი კითარების ნაცვლად, ლოგიკურ წრეში ვტრიალებთ. ეს იმითაც აიხსნება, რომ როგორც საბჭოურ, ისე, თანამედროვე რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაული ქმედების შემადგენლობაზეა დაკვანილი. ამ დაჯვანის ლოგიკაზეა აგებული „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციული (ცნებაც. კერძოდ, აკად. ვ. ბუღობავევი „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის „ჩადენილი ქმედების ნიშნებისა და სისხლის სამართლის ნორმით გათვალიწინებული დანაშაულის შემსადგენლობის ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა და მისი იურიდიული დამაგრება“ (В.Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М. 1972, стр. 7-8). (ხაზგასია აკტორისაა - გ. ნ.). ამასვე იმეორებს ავტორი ამ ნაშრომის შედეარებით ახალ გამოცემაშიც (1999, გვ. 5).

როგორც კხედავთ, „დანაშაულის კვალიფიკაცია“ არსებითად უწყილა ჩადენილი ქმედების ნიშნებისა და სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა და მისი იურიდიული დამაგრება, ანუ, პროცესუალურ დოკუმენტში, კერძოდ, განსაკუთრებით საბრალდებო დასკვინაში, ხოლო შემდეგ - გამამტყვინებელ განაჩენში, გაფორ-

მებით. წმინდა პროცესუალურად ეს სწორია. ოუმცა, ამ მიმართებით ისმის რაშეცხიმე არსებითი კიოხვა: ჯერ ერთი, რატომაა, რომ „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციულ თეორიებში სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი და როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის უპირველესი სუბიექტი, მოხსენიებულიც არ არის და ამიტომ მოვლი ეს დიდი და საკმარის როგორც საქმე წინასწარი გამოიყენებისა და სასამართლო ორგანიზაცია გადაკისრებული? მეორეც, ამ ტრადიციულ თეორიებში ბრალისა და მისი ფორმების გაიგივების გამო თითქმის შეუძლებელია ამ მხრივ წინასწარი გამოიყენა და სასამართლოს საქმიანობის გამიჯვნა. კერძოდ, ბრალის ფორმების დადგენის გარეშე „ბრალდებული“ შეუძლებელია, მაგრამ ბრალის ფორმია ბრალი ჯერ კიდევ არაა და ამიტომ ბრალდებული ჯერ კიდევ ბრალეულად უერ ჩაითვლება. პირიქით, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგრმარეობის თანახმად, არაბრალეულია. მესამე, ქმედების შემადგენლობაზე, როგორც უაქტის, ანუ აღწერილობით მსჯელობაზე, დანაშაულის დაუკანა ლოგიკურად გამორიცხავს ამ მიმართებით „კვალიფიკაციის“, ანუ „შეფასების“ ცნების გამოყენებას, რადგან, ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითია, ფაქტის მსაჯელობაა, იმის მიუხედავად, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშნებში შეფასებითი ნიშნებიც გვხვდება (მაგალითად, „მნიშვნელოვანი“ ან „არსებითი“ ზიანი). ამიტომ, ქმედების შემადგენლობის დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა როდია. მით უმეტეს, რომ იგი სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენის საფუძველია, ხოლო, სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას სრულიადაც არ ამოწურავს. პირიქით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არსებითად იწყება მას შემდეგ, როდესაც დადგინდება სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტება, ანუ, სადენილ ქმედებაში

დადგინდა ქმედების ის შემადგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული.

გასაგებია, რომ „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციული ტერმინი შემადგენლობაზე დანაშაულის დაყვანის შედეგია. რაჯი ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითია, ესე იჯი არაშეფასებითია, ამ მიმართებით „შეფასების“, ანუ „კვალიფიკაციის“ ადგილი აღარ არის. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობაზე დანაშაულის დაკვანის ლოგიკით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნებისა და თეორიის აგება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მხრივ არსებითად შეიცვალოს ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“ სხვა ტერმინით. კერძოდ, ელემენტარული ლოგიკა მოითხოვს იმის თქმას, რომ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს არა „დანაშაული“, არამედ, ქმედება, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის ამ კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

როგორც ჩანს, დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, რომელიც, ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული. ბუნებრივია, თუ ჩადენილი ქმედების ნიშნები სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის ნიშნების შესაბამისი (იგივეობრივი) უნდა იყოს. მეორეც, ამის შემდეგ უნდა დადგინდეს ქმედების მართლწინააღმდეგობა, ხოლო, ეს უკანასკნელი შეფასებითი ცნებაა და მისი დადგენა მთელ რიგ როგორ თეორიულ, აქსიოლოგიურ, ლოგიკურ პროცედურებს მოითხოვს. მესამე, კიდევ უფრო როგორი და თავსატეხია ბრალის პრობლემა, რომელიც ამ ქმედების ჩამდები სუბიექტის უარყოფით შეფასებას გამოხატავს და რომლის გარეშე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია შეუძლებელია.

### § 3. ძმედების ღანაშაულად კვალიფიკაციის საუბიექტების

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საუბიექტების პრობლემას უფრო დაწერილებით მოგვიანებით განვიხილავ. ამჯერად მოკლედ აღნიშნავ, რომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სამი სახე: საკანონდებლო, საგამოძიებო-სასამართლო და დოქტრინალური. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირები სახეა საკანონდებლო კვალიფიკაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველსავე ნაწილში გაცხადებულია, რომ ეს კოდექსი აღგენს რა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, „განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ დონისძიებას.“ საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონშემოქმედებას, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწევა. იგულისხმება, რომ კანონშდებელი ამათუ მეთოდის თუ ხერხის, ფაქტობრივი, თუ ნორმატიული მასალის გამოყენებით განსაზღვრულ ქმედებას, მიხი ხელისად, აკვალიფიცირებს დანაშაულად სისხლის სამართლის კანონის ფორმაში. მხედველობაშია როგორც სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემუშავება და მიღება (მაგალითად, უკანასკნელი 1999 წლის 22 ივლისის კოდექსი), ისე, მიმნდინარე საკანონშდებლო კელილებები და დამატებანი. კხადია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ხდება განსაზღვრული პოლიტიკური მოტივაციის ზეგავლენითაც. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტუთ, რომ ქმედების დანაშაულად საკანონშდებლო კვალიფიკაცია გამოიხატება, უპირველეს ურვლისა, ქმედების შემადგენლობის ნიშნების აღწერით, თუმცა, თავდაპირველად კანონშდებელი წყვეტის იმ საკითხს, თუ რომელი ქმედება (და რატომ) ჩაითვალოს დანაშაულად, ესე იგი, მართლისაწინააღმდეგოდ და ბრალეულად (ბრალის

ფორმების საკანონმდებლო გადაწყვეტით). მხოლოდ ამის შემდეგ აღწერს იგი ქმედების ამა ოუ იმ შემადგენლობას. როგორც წესი, ეს ეხება სისხლის სამართლის კერძო ნაწილს, რომელშიც გათვალისწინებულია დამთავრებული დანაშაულის მოდელი. თუმცა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებში, ჯერ ერთი, დადგენილია დაუმთავრებელი დანაშაულებრივი ქმედების ფორმები, აგრეთვე, დანაშაულში თანამონაწილეობის თავისებურებანი; მეორეც, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკიის ზოგადი პრინციპებია გამოხატული.

ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია ამ მხრივ თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის სინთეზია, რადგან, ჯერ ერთი, კანონმდებელი შემოქმედებითად იურებს თეორიული (ფილოსოფიური, თუ მეცნიერული) საქმიანობის შედეგებს, ხოლო, თვითონ იგი, როგორც ასეთი, სასოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია (სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ბ. ნაჟაშვილი, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998).

ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია საგამოძიებო-სასამართლო კვალიფიკაციის საფუძველია, რადგან, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის საკანონმდებლო კვალიფიკაციის შესაბამისად ხორციელდება. ესაა ე. წ. ლეგალური, ანუ, ოფიციალური კვალიფიკაცია, რომელსაც იურიდიული ძალა და შედეგები აქვს (თუმცა, ამ მხრივ ოფიციალურია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია). იგულისხმება, რომ ქმედების დანაშაულად საგამოძიებო-სასამართლო კვალიფიკაცია- ესაა ისეთი შეფასება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისა და იმ პირისათვის, რომლის გარშემოც ეს სისხლის სამართლის საქმე შედგა. ამჯერად

გენელის ხმობთ იმ გარემოებას, რომ ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია სასამართლებრიუგად სწორი, კანონიერი, სამართლიანი, დასაბუთებული განაჩენის გამოტანის საფუძველია. მართალია, ქმედების დანაშაულად საგამოიყებო კვალიფიკაცია ჯერ კიდევ პირობითია და სავარაუდო, კიდრე, ეს სასამართლო კვალიფიკაციის ეტაპზე ხდება, მაგრამ ამ საკითხს შემდგომ უფრო დროად და ფართოდ განვითხდობა. ამჯერად კი შევეხები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე სახეს - დოქტრინალურს, რომელიც, რასაკვირველია, არაა სავალდებული, პრაქტიკულად გადამზადები. როგორც წესი, მისი სუბიექტია თეორიული ფრონტის იურისტი. იგი ლისხმება თეორიული კვლევა-მიების შედეგად შემუშავებული საკანონმდებლო წინაღადებანი, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასაც მოიკავშირდა. არაა გამორიცხული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გამოთქმული მოსაზრებანი, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ არა იურიდიული ძალა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია ტერმინი „სასამართლოს მუგობარი.“ ამ მუხლში ნათქვამია, რომ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის ბრალდების, ან დაცუის მხარე, უძლება აქვს მიმართოს სასამართლოს საქმის არსებით განხილვამდე ხუთი დღით ადრე და წარუდგინოს მას საკუთარი წერილობითი მოსაზრება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ დაეხმაროს სასამართლოს, რათა მან სათანადოდ შეაფეხოს ეს საკითხი. თუ ეს წერილობითი განმარტება არ აქმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო მას არც განიხილავს. ამასთან, სასამართლო არაა ვალდებული, ეს წერილობითი მოსაზრება გაიზიაროს. ბოლოს, სასამართლო უძლებამოსილია თავისი ას მხარეთა ინიციატივით, აგრეთვე წერილობითი აზრის ავტორის თანხმობით, გამოიძახოს იგი სეპირი განმარტების მისაკემად.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არაოფიციალური წესით შეიძლება მოახდინოს ადგომაც, როდესაც იგი ან საერთოდ ასაბუთებს წარდგენილ ბრალდებაში ბრალდებულის (განსასჯელის) არაბრალეულობას, ან ითხოვს სისხლის სამართლის უფრო მსუბუქი მუხლით ქმედების გადაკვალიფიცირებას. ბოლოს, ქმედების დანაშაულად ამგვარი არაოფიციალური (დოქტრინალური) კვალიფიკაცია შეიძლება მოახდინოს სხვა ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც, მაგრამ ამგვარ კვალიფიაციას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

#### **§ 4. მიერების დანაშაულად გვალიზიპაციის გიგანტურობა**

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, უპირვეველეს უოფლისა, პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ტრადიციულად იგულისხმება, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არის პრაქტიკული პროცესი, ესე იგი ჩადენილი ქმედების მიმართ სისხლის სამართლის კანონის ნორმების შეფარდება (ცხადია, სასჯელის, ან ზემოქმედების სხვა ზომების დანიშვნის გამოყენებით), რომელსაც ახორციელებენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანიზების თანამშრომლები (ფურმა, კალეე განხილვის ღირსია საკითხი – უფარდებს თუ არა ნორმას წინასწარი გამოძიება, თუ ეს უკანასკნელი მხრილოდ სასამართლოს ფუნქციაა?). მართალია, ამ მხრივ სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობასაც განკითხილავ, რადგან, საკანონმდებლო ორგანოს (ესე იგი, საქართველოს პარლამენტის) მიერ ადამიანთა განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაცია - სხვა არაფერია, თუ არა ამ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია. მით უმეტეს, რომ საგამოძიებო-სასამართლო ორგანოს თანამშრომლებია

ქმედების კვალიფიკაცია ან ქმედების საკანონმდებლო კვალიფიკაციას უნდა შეუსაბამონ. მაგრამ ამჯერად ქმედების საგამოჟიებო-სასამართლო კვალიფიკაციის პრაქტიკული მნიშვნელობით ვიფარგლებით.

ცხადია, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში უგელაზე უფრო ეფექტური მათი თავიდან აკილება იქნებოდა, მაგრამ, რაკი ეს უკანასკნელი ყოველთვის კერძება, ჩვენ იძულებული ვართ, ჩადუნილი ქმედება სამართლებრივად შევაფასოთ, რათა შემდგომ მიუიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება ამ ქმედების ჩამდენი პირის მისართ პასუხისმგებლობის სახისა და ზომის თაობაზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეცდომები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში, სამწუხაროდ, იშვიათი არ არის. ამგვარი შეცდობა იმას ნიშნავს, რომ ჩადენილ ქმედებას არასწორი სამართლებრივი შეფასება შეიცა, რის გამოც ამ ქმედების მიმართ სწორი, ობიექტური, ყოველმხრივ დასაბუთებული, გამამტკუნებელი განასიენის გამოტანა შეუძლებელია. როგორც ამ მხრივ დაშვებული შეცდომების თუნდაც მოკლე ანალიზიც გვიჩვენებს, ხშირია შეცდობა როგორც ქმედების ფაქტობრივი მხარის დადგენასა და შეფასებაში, ისე, ამ ქმედების იურიდიული მხარეების გამოვლენასა და მისი შესატევისის სისხლის სამართლის ჩორმის შერჩევასა და შეფარდებაში. ამგვარ შეცდომებს უშვებენ როგორც წინასწარი გამოძიების, ისე, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ხტადიაზე (ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების საქმეში დაშვებული დამახასიათებელი შეცდომების შესახებ იხ. В. В. Колсовский, Квалификационные ошибки, Санкт-Петербург, 2006).

ცხადია, ჩადენილი ქმედების არასწორი კვალიფიკირების გამო ზიანდება არა მარტო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ინტერესები, არამედ, მოქალაქეთა ინტერესებიც. მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევაში კანონი შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემული პირის

,

საწინააღმდეგოდ გამრუდდეს. ეს კი მოქალაქეთა უფლა ბებისა და თვისუფლების უხეში ხელყოფა იქნებოდა. ასეთ პირობებში ზიანი ადგება სახელმწიფოსაც, რომელმაც, როგორც პრელიტიკურმა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, მოქალაქეთა უფლებები და თვისუფლება აქტიურად უნდა დაიკვას. მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკიას უაღრესად დიდი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

დავას არ უნდა იწვევდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკიას უაღრესად დიდი თეორიული მნიშვნელობაც. კერძოდ, ამ მხრივ საგამოიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დიდი გამოცდილების, ან ამ სუკეროში ტიპიური შეცდომებისა და მათი მიზეზების განზოგადება უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკიას უფერტური, მეცნიერულად დასაბუთებული, თეორია აიგოს. ამგვარი თეორია კი ხელს უწყობს არა მარტო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრაქტიკის გაუმჯობესებას, არამედ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახურავას.

ურიად საუკრალდებოა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის უაღრესად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც. უკვე ითქვა, რომ ტერმინი „კვალიფიკია“ ნიშნავს „შეფასებას,“ ხოლო, შეფასების ცნების, შეფასების სუბიექტის, ობიექტის, საფუძვლის და ა. შ. საკითხები აქსიოლოგიური მიდგომით გადაწყვდება. ამისი დირებულების ფილოსოფია, რომელსაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგებაში უაღრესად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. საქმე უხება ნორმის, როგორც ქცევის წესის, ღირებულებით შინაარსის, კსე იგი, ნორმის აღრესატისადმი მიმართულ მოთხოვნას, მის ხასიათს, რომელიც ნორმის აღრესატის საქციელის შეფასების საფუძველია. გარდა ამისა, ურველგვარი ობიექტური შე-

ფასება შეფასების ობიექტის თუ საგნის თვისების შემცნების გარეშე შეუძლებელია. შემცნება კი გნოსეოლოგიის, როგორც ფილოსოფიური სისტემის შემადგენელი ნაწილის, საგანია. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია გნოსეოლოგიურ შიდგომასაც მოითხოვს. კერძოდ, უკავი ითქვა, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედების ნიშნების სრული შესაბამისობის (იგივეობის) დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამ პოსიციიდან იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენა, რამდენადაც ქმედების შემადგენლობა, ესე იგი, სტრუქტურა, აღწერილობითია, ფაქტის მსჯელობაა. ქმედების მართლწინააღმდეგობა კი, პირიქით, პრის შეფასებითი, ღირებულებითი, მსჯელობა. აქედან გამომდინარე, ქმედების შემადგენლობის ყაქტიიდან მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ-ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია. იგულისხმება, როგორც სილოგისტური, ისე, დეონტური (ჩორმიათა) ლოგიკა. ბოლოს, ქმედების მართლწინააღმდეგობიდან სუბიექტის ბრალსე გადასვლა ხომ მით უმეტეს ამ სუბიექტის შეფასებას მოითხოვს! გასაგებია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სასამართლო ეტაპზე უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ჰეშმარიტებისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სინთეზი, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სასწავლო-მეთოდური მნიშვნელობაც. უკავი ითქვა, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ათვისება სტუდენტს აძლევს ისეთ ცოდნას, რომელსაც იგი სისხლის სამართლის ტრადიციული თეორიის ფარგლებში კერ იღებს. იგულისხმება მოედი რიგი შეთოლოლოგიური ხასიათის ცოდნა (მაგალითად, შემცნება, შეფასება, ღირებულება, ჰეშმარიტება, არსი, ჯერარსი და

ა. შ. ფილოსოფიური ტერმინებისა და ცნებების გაკნობა), რომლის გარეშე ქმედების დანაშაულად ზოგადი თეორია ვერ აიგება. მით უმეტეს, რომ სადღეისრიც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამწუხაროდ, სავალდებულო აღარაა ფილოსოფიისა და ფილოსოფიის სწავლება, მაშინ, როდესაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ამ თეორიულ სისტემებს, მათ შორის, მოტივისა და მიზნის ფილოსოფიურ ცნებებსაც გვერდს ვერ აუკლის.

ჩემის აზრით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ათვისება ხელს შეუწყობს იმას, რომ სტუდენტმა დოგმატურად აუკიდებელ კოდნას თან დაურთოს კრიტიკული ხედვისა და ახალი ცოდნის მიღების განწყობა. კოველივე ეს კი ფართო თვალსაწიერის მქონე იურისტის მომსახუბის ერთ-ერთი ხელშემწყობ ფაქტორია.

## § 5. მგებების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აღგილი ცოდნის სისტემაზი

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია არსებითი ხასიათის სასწავლო დისკიპლინაა, რომელიც დამოუკიდებელ მეცნიერულ სისტემას არ წარმოადგენს. ამდენად იგი მხოლოდ პირობითი აზრით შეიძლება იწოდებოდეს ზოგად თეორიად. მით უმეტეს, რომ იგი სრულიად არაურთვაროვან და სხვადასხვა დონის საკითხებს აერთიანებს. ამის გამო თეორიული კოდნის სისტემაში მისი აღგილის ლადგენა აღვიდი საქმე არ არის. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი სისხლის სამართლის თეორიის ნაწილია, რადგან საქმე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ეხება, ხოლო, დანაშაულის ცნება სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთ უკემდამენტურ ცნებას წარმოადგენს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ჩადენილი

ქმედებისადმი სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრაქტიკული პროცესის ნაწილია. ამ თვალსასრისით ბუნებრივად იკვეთება სამართლის ზოგადი თვლის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც სამართლის ნორმის შეფარდებისა და მისი მეთოდების ერთიანობას ეხება. მაშასადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია სამართლის თეორიის ნაწილადაც გამოიყერება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრაქტიკული პროცესი სისხლის სამართლის პროცესუალური ფორმის გამოყენებას მოითხოვს, ამ მხრივ საქმე კიდევ უფრო რთულდება.

თეორიული ცოდნის სისტემაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აღგილის შესახებ თავის დროზე მსჯელობდა ვ. ბუდრიავცევი. მისი აზრით, საბჭოურ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში უურალდება გამახვილდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ცალკეულ ქმედებათა კვალიფიკაციაზე, მაშინ, როდესაც უფრო აქტუალურია ამ მხრივ ზოგადი თეორიული პრობლემების დამუშავება (იხ. ვ. ბუდრიავცევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 36).

აკტორის ეს დებულება სწორია, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ქმედებათა დანაშაულად კვალიფიკაციაც ფრიად აქტუალური საქმეა. მართლაც, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შექმნა უფრო ლოგიკური და აქტუალურია. ამ მხრივ ვ. ბუდრიავცევი მართლაც გამორჩეულია, რაღაც, ყოფილ საბჭოთა კავშირში მან პირველმა შექმნა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია. ამ ნაშრომმა დიდი გამოიხმაურება გამოიწვია და სპეციურსის სახით მისი პირველი წამკითხველი პროფესორ-მასწავლებლებისთვის სამაგიდო წიგნიც კი გახდა. იგი ამ სტატუსს დღესაც ინარჩუნებს, რაღაც, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგად თეორიაში ნაშრომების რიცხვი გახაოცრად მცირება. მსგავსი ზოგადი თეორია შექმნა ბ. ბურინოვა და

ისიც მოგვიანებით (Б.А. Куринов, Научные основы квалификации преступлений, М. 1984). უახლოეს ხანებში გამოქვეყნდა ზოგიერთი ნაშრომი (მაგალითად, Н. Г. Кандинов, Квалификация преступлений. Теория и практика. М. 1999). მართალია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირის ზოგადი საკითხები ხშირადაა გადმოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახლმდღვანელოებში, მაგრამ, იმდენად მოკლედ და სქემატურად, რომ იქიდან რაიმე სერიოზული თეორიული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოებში ამ საკითხის განხილვის ტრადიცია, აღიძათ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკირის ზოგადი თეორია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სტრუქტურადაა მინიჭული. ვ. ბუდრიავცვი სწორედ ამ დასკვნას აკეთებს (ვ. ბუდრიავცვის დასახლებული ნაშრომი, გვ. 38). ცხალია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თეორიულად წამყვანია, კერძო ნაწილის ფუნდამენტია. მითუმეტეს, რომ მოძღვრება დანაშაულისა და ქმედების შემაღენლობაზე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემაში მუშავდება. თუმცა, განა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის გარეშეა შესაძლებელი ქმედების დანაშაულად კვალიფიკირის თუნდაც ზოგადი თეორიის აგება? მაგალითად, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და სახეები (საქ. სსკ მე-18 და მე-19 მუხლები), აგრეთვე დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება (საქ. სსკ 23-ე მუხლი) უშუალოდ სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია განხილული, მაგრამ პრაქტიკაში მომსაღებად, ან მცდელობად ქმედების კვალიფიკირია მოითხოვს მითითებას კერძო ნაწილის იმ მუხლზე, რომელიც დამთავრებული დანაშაულის შემაღენლობას ითვალისწინებს. იგივე ითქმის დანაშაულში თანამონაწილეობად ქმედების კვალიფიკირის შესახებაც, რადგან, კალეკულ ქმედებათა შემაღენლობანი, რომელთა პრაქტიკული განხორციელება თანამონაწილე-

ობის ფურმითაც შეიძლება, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში. აქ ამჯერად არაფერს ვამბობთ ე. წ. აუცილებელ თანამონაწილეობაზე, რადგან, სისხლის სამართლის კანონის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ისეთი ქმედებაც, რომელიც მხოლოდ თანამონაწილეობის ფურმით ხორციელდება (მაგალითად, ბანდიტიზმი – საქ. სსკ 224-ე მუხლი), თუმცა, იგი დანაშაულში თანამონაწილეობის წესით არ კვალიფიცირდება.

საძიებელი საქითხის ასპექტით უურადღებას იქცევს პროფ. ზ. ფულაიას მცდელობა, მოკლედ, მაგრამ არსებოთად, განიხილოს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება, მნიშვნელობა, ზოგიერთი წესი (მაგალითად, ნორმა-თა კონკურენციისას), არასწორი კვალიფიკაციის შედეგები და ზოგიერთი სხვა სწორედ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში (იხ. ზ. ფულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 15-18), თუმცა, აკტორს სპეციალურად არ გამოიუთვამს ასრი ცოდნის სისტემაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აღვილის შესახებ.

არსებობს, ასე ვთქვათ, ზეპირი და მოარული აზრი, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკირდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილს განეკუთვნება და ამიტომ იგი ამ ეგილით უნდა დამუშავდეს და წაეკითხოს სტუდენტ ახალგაზრდობას. ეფიქრობ, ეს მოარული აზრი უსაყუებელოო. ამ მხრივ ვერც პ. ბედრიავთვის მოსაზრებას დაკუთანისმები, რადგან, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირდა ზოგადი თეორია სისხლის სამართლისგან მოწყვეტით შეუძლებელია, მაგრამ იგი სისხლის სამართლის თეორიის ფარგლებში ვერ მტკა და ამ-დენად, ვერც ზოგად ნაწილს განეკუთვნება და ვერც კერძო ნაწილს. პრო მროვ, უკვე ითქვა, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკირდა სამართლის ნორმათა შეფარდების ზოგადი თეორიისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებას მოითხოვს. მპრომ, აღნიშნული თეორია სისხლის სამართლის საპრი-

ცესო სამართლის გარეშე უერ აიგება. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის გამოყენების გარეშე შეუძლებელია გაიმიჯნოს ამ შერივ წინასწარი გამომიებისა და სასამართლოს საქმიანობისა. მესამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია სრულად და სწორად უერ აიგება, გიდრე, თავდაპირუელად არ იქნება საგანგუბრელ განხილული ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია, რომელიც სისხლის სამართლის კანონშია გამოხატული, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის ერთ-ერთ აუცილებელ კრიტიკოულს წარმოადგენს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება სახელმწიფო ხელისუფლებისათვის განაწილების ზოგადი თეორიას მოითხოვს, ხოლო, ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოს ფილოსოფიური თვალსაზრისით განხილვას აპირობებს. მართხვი, უკვითესება, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების (შემეჯნება, ჭეშარიტება, ღირებულება, შეფასება და სხვა) გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ეს გამოყენება იმას ნიშნავს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია არსებითად მეთოდოლოგიურ თეორიას წარმოადგენს და, ცხადია, სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც კურძო მეცნიერები ცოდნის სისტემას, სცილდება. მითუმეტეს, სცილდება სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ლოგიკური ასპექტი, რაღაც, ამ ასპექტით იგულისხმება როგორც ფორმალური, ანუ, სილოგისტური, ისე, დეონტური, ანუ, ნორმების ლოგიკა.

კოცელიუე ეს გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია არის სისხლის სამართლის თეორიისგან შეფარდებით დამოუკიდებელი მეთოდოლოგიური თეორია, რომელიც დან-

აშაულობათა წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლის პრაქტიკის მოთხოვნებითაა განპირობებული.

ეს დასკვნა სრულიადაც არ კრძალავს იმას, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ცალკეულ ქმედებათა დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხი დაისვას და სტუდენტ ახალგაზრდობას კერძო ნაწილის ეგიდით წაეკითხოს კიდეც (მაგალითად, მკულეობის, სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ჩაღენილი ქმედების, ტერორიზმის და სხვა სისხლის სამართლის საქმეთა დანაშაულად კვალიფიკაციის წესით გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები). მაგრამ, როგორც კი ამ და სხვა მსგავს სისხლის სამართლის საქმეთა კვალიფიკაციაში ზოგად ოცორიული და მეთოდოლოგიური საკითხი დადგება, პრობლემა კვლავ სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლების გარეთ აღმოჩნდება.

## § 6. მგებების დანაშაულად გვალიზიპაციის ზოგადი თეორიის სისტემა

უკეთ ითქვა, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია დამოუკიდებელი მეცნიერული დისცილინა კი არაა, არამედ, ერთსემესტრიანი, არჩევითი ხასიათის, სასწავლო დისციპლინა, რომელიც თავისებური სისტემით ხასიათდება. ეს სისტემა გულისხმობს პროფესიონის (ლექტორის) მიერ სტუდენტთა აუდიტორიებში წასაკითხი საკითხების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებას ამ საგნის წინასწარ შემუშავებული ხილაბუსის მიხედვით. ბუნებრივია, ამ მიმართებით ბევრი რამ პროფესიონის (ლექტორის) შემოქმედებით უნარზეც არის დამოკიდებული. იგულისხმება მის მიერ ამა თუ იმ პრობლემატიკის შერჩევა და მისი პრიორიტეტულობის დასაბუთება, თუმცა ეს მის თვითნებობაში არ უნდა გადაისარდოს. აქევე უნდა აღინიშნოს,

რომ არანაკლებ ორჯერ მაინც უნდა ჩატარდეს ამ თემაზე სპეცსემინარი. პირველი სპეცსემინარით ნაწილობრივ მაინც შორის განვლილი მასალის ათვისების დონე (სასწავლო მასალის ნახევრის გავლის შემდეგ) და ამ მხრივ წარმოქმნილი პრობლემების ხასიათი. მეორე სპეცსემინარი კი ურო აკადემიური ხასიათის უნდა იყოს და მეტად გამორჩეული სტუდენტის წახალისებას უნდა ემსახურებოდეს. (მაგალითად, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისთვის მომზადებას). თუ ეს არჩევითი საგანი მაგისტრატურის მსმენელებს წაეკითხათ, მაშინ, მიზანშეწონილია ამ არჩევით საგანში სამაგისტრო ნაშრომებისთვის სათანადო თემატიკის შერჩევა და მისი რეკომენდაცია სტუდენტის სამეცნიერო ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

სემის აზრით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია შემდეგი სისტემით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. შესავალი ნაწილი („დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციული ტერმინისა და ცნებად წარმოდგენილი ფორმის კრიტიკა, მისი თეორიული საფუძვლის – დანაშაულის ცნებისა და მისი შემადგენლობის გაიგივების - დადგენა და მისი კრიტიკა; ტერმინი „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“ და მისი საფუძველი; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის მნიშვნელობა და აღგილი ცოდნის სისტემაში);

2. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება და სუბიექტები (ტერმინი „კვალიფიკაციის“ აქსიოლოგიური საფუძველი; სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების თეორია და ქმედების დანაშაულდ კვალიფიკაციის ზოგადი თეორია);

3. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა და როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ერთ-ერთი ნორმატიული საფუძველი;

4. დანაშაულის ცნება და ელემენტები ქმედების დანა-

შაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის მიხედვით; დანაშაულის ცნების ელემენტები და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპები; ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობის საკითხისათვის;

5. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების (მოქმედების, უმოქმედობის, შედეგის, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, ვითარების) მიხედვით;

6. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე ხელყოფის მიხედვით; ხელყოფის სუბიექტების, სუბიექტური მხარის, ანუ, მოტივისა და მიზნის მიხედვით; ბრალის ფორმები და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია; საბრალდებო დასკვნა და მისი სტრუქტურა; ბრალის ცნება და ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია; დაუმთავრებელი დანაშაულისა და დანაშაულში თანამონაწილეობის კვალიფიკაციის თავისებურებანი;

7. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციის მიხედვით;

8. ქმედების შემადგენლობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლის ლოგიკა (დეონტური ლოგიკის, აგრეთვე ინდუქციური და დედუქციური დასკვნის მიხედვით). სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნება და მნიშვნელობა;

9. სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დაზენისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სინთეზური ერთიანობა, როგორც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლი; გამამტყუნებელი განაჩენის სტრუქტურა.

10. შემაჯამებელი დასკვნები.

**შენიშვნა:** არჩევითი საკნის სისტემა შეიძლება შეიცვალოს შემდგომი კულტურისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

## თავი მეორე

### ემედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპები

#### § 1. ემედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპები რესულტატური ტრადიციის მიხედვით

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების საკითხი გულისხმობის იმის დადგენიას, თუ რა ძირითად პროცესუალურ ფორმებში ხორციელდება ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის რთული და მრავალმხრივი პროცესი. გასაგებია, რომ საქმე ეხება წინასწარი გამოსიებისა და სასამართლო საქმიანობის ძირითად ეტაპების. წინასწარი გამოძიება საქართველოშიც არც თუ ისე შორეულ წარსულში იწყებოდა სისხლის სამართლის საქმის აღმვრის მომენტიდან, ხოლო, სისხლის სამართლის საქმის აღმვრის საბაზი და საფუძველი გულისხმობდა ქმედების შემაღებულობის ობიექტური მხარის ნიშნების დადგენას. ქმედების შემაღენლობის სუბიექტური მხარის ნიშნებზე კი სისხლის სამართლებრივი დეკნა აღიძერებოდა. ამის შესაბამისად ხდებოდა სათანადო ლიტერატურაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების დადგენა. მაგალითად, ვ. გუდრიავცვი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების განხილვას იწყებს სისხლის სამართლის საქმის აღმვრის პროცესუალური წესიდან, რადგან, თანამედროვე რესეტში ამ ეტაპზე ტრადიციულად იგულისხმება არა მარტო რაიმე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, არამედ, მითითება სისხლის სამართლის იმ ნორმაზეც, რომელიც ამ ქმედებას სავარაუდოდ ითვალისწინებს. მართალია, წინასწარი გამოსიების გაღრმავების კუალობაზე ეს სავარაუდო და წი-

ნასწარი კვალიფიკაცია, ანუ, ვერსია შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მთავარი ამ მხრივ მაინც ისაა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღმურა უფლის საბჭოთა\_კავშირში\_ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირველ ატაკს გამოხატავდა და გამოხატავს თანამედროვე რუსეთშიც (3. ძაღლიავცვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 291).

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეორე ეტაპად 3. ძაღლიავცვი ასახელებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის თაობაზე დადგენილების გამოტანას. ეს დადგენილება ეფუძნება სათანადო მტკიცებულებებს იმის თაობაზე, თუ ვის ედება ძრალი სისხლის სამართლის ამათუ იმ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. ამასთან, ამ ეტაპზე, როგორც ეს რუსული სისხლის სამართლებრივი ტრადიციიდან გამოიღინარეობს, დგება დანაშაულის შემაღლებლობის ოთხივე ელემენტის (ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის) დადგენის პრობლემა. 3. ძაღლიავცვი ხასის უსეამს იმ გარემოებასაც, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ამ მეორე ეტაპზე, ზოგად ხაზებში მაინც, მოწმდება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თაობაზე პირველი ვერსიის სისწორე, ან ეს ვერსია იცვლება ახალი, უფრო სრული და სწორი, კვალიფიკაციით (დასახელებული ნაშრომი, გვ. 203).

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე ეტაპი, 3. კულტურული განმარტებით, მთავრდება საბრალდებო დასკნის შედეგით. ავტორი იმოწმებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, რომლის თანახმად, საბრალდებო დასკვნაში გადმოიცემა სისხლის სამართლის საქმის არსი; დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო, ხერხი, მოტივები, შედეგები და სხვა არსებითი გარემოებანი, აგრეთვე, პირისთვის წარდგენილი ბრალდების უორმულირება და მითითება სისხლის სამართლის იმ ნორმაზე. რომელიც ამ დანაშაულებრივ ქმედებას ითვალისწინებს. აუტორი აღნიშ-

ნავს, რომ საბრალდებო დასკვნაში გამოიხატება ჩადენილი ქმედების ხოციალური და იურიდიული შეფასება, როგორც წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობის შედეგი. სახამართლოსთვის კი იგი, აკტორის აზრით, გამოკელების მხოლოდ ამოხავალი პუნქტია. აკტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის საწყის ეტაპზე ახალი ფაქტების დადგენა არ ხდება, მაგრამ, არაა გამორიცხული გამწესრიგებელ სხდომაზე კვალიფიკაციის შეცვლა, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ამ მხრივ დაშვებული შეცდომების გასწორება (დასახელებული ნაშრომი, გვ. 207).

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეხუთე ეტაპი, 3. გუდრიავცვის მიხედვით, არის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, თუ ეს საქმე გამამტკუნებელი განაჩენის გამოტანით მთავრდება. ამ ეტაპზე უფრო დროდ და სრულად ხდება ფაქტების დადგენა და ახალიზი, ამ ფაქტებს ეძღვევა საბოლოო სოციალური და იურიდიული შფასება. გამამტკუნებელი განაჩენით გამოხატული კვალიფიკაცია ქმედებისა დანაშაულად – ესაა გამოძიების ორგანოების, პროკურორისა და სასამართლო საქმიანობის შედეგი. მაგრამ, როგორც 3. გუდრიავცვი აღნიშნავს, არაა გამორიცხული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის შემდგომი დაზუსტება, ან შეცვლა საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებში. ყოველივე ეს, აკტორის დასკვნით, ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის დრმა და ყოველმხრივ განხილვას, სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ყოველ ეტაპზე ახალი ფაქტებისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჰემარიტების დადგენას, რაც ჩადენილი ქმედების სწორი სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შეფასების საფუძველია.

როგორც უხედავთ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების საკითხში 3. გუდრიავცვის მოსაზრებაზი

თავისებურად საინტერესოა, მაგრამ საქმე ის გახლავთ. რომ ამ სქემიდან არ ჩანს, თუ რა არსებითი სხვაობაა ამ მხრივ წინასწარი გამოიძიების საქმიანობასა და სასამართლო საქმიანობას შორის? მართალია, ავტორი ამბობს, რომ წინასწარი გამომიების სტალიაზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სასამართლოსთვის მხოლოდ ამოსავალი პუნქტია, მაგრამ ეს სიტყვიერი განცხადება ავტორის ნააზრები სათანადოდ დასაბუთებული არ არის. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების შესახებ თავისებური მოსაზრება გამოთქვა ბ. ძურინოვმაც. მისი აზრით, თავდაპირველად უნდა დადგინდეს სამართლებრივი ურთიერთობის ტიპი – ესე იგი, უნდა გაირკვეს, ჩადენილი ქმედება დანაშაულია, თუ გადაკდომა. თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იქნა დადგენილი, ესე იგი, ჩადენილ ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არსებობს, ამ შემთხვევაში, ავტორის მტკიცებით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მეორე ეტაპზე ინაცვლებს. ამ ეტაპზე ხდება ქმედების გეარეობითი ნიშნების დაღვენა, ესე იგი იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ სისხლის სამართლის ერთეულების რომელ თავშია გათვალისწინებული ჩადენილი ქმედება. ამ მიმართებით იგულისხმება დანაშაულის გეარეობითი ობიექტის, აგრეთვე, დანაშაულის საეციალური სუბიექტის დაღვენა (Б. А. Куринов, научные основы квалификации преступлений, М., 1984, стр. 56). ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე ეტაპზე კი, ავტორის დასკვნით, ხდება ქმედების სახეობითი ნიშნების დაღვენა. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეს სამი ეტაპი მჯიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ამის დასამტკიცებლად ავტორი ასე მსჯელობს: „ასე, მაგალითად, გამომძიებულს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ზოგადი დასკვნით, რომ ჩადენილი ქმედება დანაშაულებრივი ქმედების კატეგორიას განეკუთვნება. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში პირის მისაცემად უნდა დასრულდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკიროს მთელი პროცესი. აუცილებელი აქტუალურობის საფუძვლი არ გვაძლევთ“.

ლია დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის დადგენა” (იხ. ბ. ძვრინოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 57).

ქმედების დანაშაულად კალიფიკაციის ერაპების შესახებ ბ. ძვრინოვის ეს მოსაზრებანი ფრიად საეჭვოა. ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის გამო წარმოიშობა, მაშინ, როდესაც, პირიქით, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იქმნება, რადგან სწორედ ამ მომენტიდან ხდებიან ვალდებული ფიზიკური და განსაზღვრული კატეგორიის იურიდიული პირები, მოქმედებდნენ მართლზომიერად. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა კი არ წარმოიშობა, არამედ, სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა, რომლის ფორმაში ხდება კიდევ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და ქმედების ჩამდენი პირის პროცესუალური მდგრმარეობის დადგენა. მეორეც, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებულისთვის სრულიადაც არაა საკმარისი იმისი დადგენა, გათვალიწინებულია თუ არა ეს ქმედება სისხლის სამართლის კანონის რომელიმე თუნდაც კონკრეტული ნორმით, რადგან, ამ ასპექტით იგულისხმება ქმედების შემადგენლობის, როგორც, დანაშაულის პირველი ელემენტის, დადგენა, მაშინ როდესაც ამის შემდეგ საჭიროა დანაშაულებრივი ქმედების კიდევ თრი ელემენტის- ქმედების მართლწინაღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის - უზრუნველყოფისა და დადასტურება. მესამე, რაც მთავარია, ამ ავტორის კონცეფციაშიც არაა გათვალისწინებული ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის არსებითი თავისებულება. კერძოდ, ავტორი ამბობს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში პირის მისაკემად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მთვლი პროცესი უნდა დასრულდეს. ამ ასპექტით ავტორი სუბიექტის ბრალის დადგენაზეც საუბრობს. სუბიექტის ბრალს კი ადგენს

სასამართლო, ხოლო, სისხლისსამართლებრივ პასისისგებაში მიცემა ხდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ცხადია, რომ ამ სტადიაზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ შეიძლება დასრულდეს, რადგან, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის გარეშე ქმედება დანაშაულად კერ ჩითვლება. მართალია, ბრალთან რაიმენაირი შეხების გარეშე პირი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასისისგებაში მიეცეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის ეტაპზე პირი, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, მაინც არაბრალეულია.

გასაგებია, რომ ამ მიმართებით დგას არაერთი როგორი პრობლემა, რომელიც განადაგზა უფრო დაკონკრეტდება. ამჯერად კი ამ საკითხე კიდევ ერთი რუსი ავტორის მისასრუბას გაუეცნოთ. კერძოდ, ნ. ძაღლიძოვთა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრიბლებებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. იგი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების საკითხსაც შეეხო. ავტორი უპირატესობას ანიჭებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესი ჟეს სტადიას გაივლის. პირველ ეტაპზე ხდება ჩადენილი ქმედების ზოგადი ანალიზი, დანაშაულის შემადგენლობის პირველადი ნიშნების (როგორც წესი, ობიექტისა და ობიექტური მხარის) დადგენა. ავტორი ამ ეტაპზე გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის აღმდევრის, ან აღმდერაზე უარის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღმდერის ეტაპზე ხდება მითითება იმ ნორმაზე, რომელიც მოკემულ ქმედებას ითვალისწინებს (Н. Г. Кандинов, Квалификация преступлений. Теория и практика, М. 1999, стр. 13).

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეორე ატაკად ავტორი მიიჩნევს ჩადენილი ქმედების ნიშნების ანალიზსა და სინთეზს იმის დასასუსტებლად, უუ, კონკრეტულად, რომელი დანაშაულებრივი ქმედებაა ჩადენილი. ამ

ეტაპზე სათანადო მჩეკიცებულებებზე დაურღნობით ხდება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლებრივ პასუხის-გებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა (იქვე, გვ.15). აღნიშნული საქმიანობის მუსამა ეფაკად აკტორს მიაჩინა ბრალდების წარდგენიდან დაწყებული საბრალდებო დასკვნით დამთავრებული საქმიანობა. ძაღლიძოვი სწო-რად აღნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნა – ეს წინას-წარი გამომიების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენ-ტია. მაგრამ მისი მჩეკიცება, რომ „საბრალდებო დასკვნაში უთითებენ ქმედების დანაშაულად საბოლოო კვალიფიკა-ციაზე“ (გვ. 15) – უბრალოდ არასწორია, რადგან, ქმედების დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაცია გამამტკიცებული განაჩენის ფორმაში ხდება და არა საბრალდებო დასკვნის ფორმაში. მით უმეტეს, რომ აკტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციას გამამტკიცებულ განაჩენში, რომელიც თურმე ქმედების საბოლოო იურიდიულ შეფასებას გამოხატავს. საკითხავია: რომელ პროცესუალურ დოკუმენტში ხდება ქმედების დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაცია - საბრალდებო დასკვნაში, თუ გამამტკიცებულ განაჩენში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი დღემდე არაა გაცემული იმის მიუხედავად, რომ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის ფაქტი სადაც არაა. გაუგებარი კი ისაა, თუ რა ბუნებისაა ქმედების და-ნაშაულად კვალიფიკაცია საბრალდებო დასკვნის ფორმაში და რით განსხვავდება ეს უკანასკნელი ქმედების დანაშაუ-ლად სასამართლო კვალიფიკაციისგან გამამტკიცებული გა-ნაჩენის ფორმით? კხადია, იგულისხმება არა საბრალდებო დასკვნისა და გამამტკიცებული განაჩენის განმასხვავებე-ლი ნიშნები, რაც ისედაც ცნობილია, არამედ, ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ბუნება, როგორც წინასწარი გამოიყების, ისე, ქმედების დანაშაულად სა-სამართლო კვალიფიკაციის ეტაპზე.

მართალია, აკტორი მოკლედ აღნიშნავს ქმედების და-

ნაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებში, მაგრამ ჩვენთვის ეს ამჯერად არაა მთავარი. მთავარია დანაშაულის ცნებისა და ღანაშაულის შემადგენლობის ცნების მიმართების შესახებ საბჭოური და პოსტსაბჭოური ტრადიცია არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ძირითადი ეტაპების პრობლემა სწორად გადაწყვდეს.

## § 2. ძმენების დანაშაულად პოლიციაციის ეტაპი სამართველოს სისხლის სამართლის საპოლიციო კანონმდებლობის მიხედვით

როგორც აღნიშნუთ, ქმედების ღანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპების პრობლემა ამ ნაშრომში უფრო დაზუსტებით, განადაგზა იქნება განხილული. ამჯერად კი მოკლედ შევეხები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპებს საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი საპერცესო კანონმდებლობის მიხედვით. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სისხლის სამართლის საქმის აღმერას, როგორც პროცესის დამოუკიდებელ სტადიას, უკვე არ ითვალისწინებს. ეს, ერთის მხრივ, გასაგებია, რადგან, ამ სტადიას არ იცნობენ ინგლისურ-ამერიკული და რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემები (იხ. ბ. მაცარიშვილი, ცხოვრება და კანონი, თბილისი, 2007, გვ. 48). მაგრამ, მეორეს მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის საქმის აღმერის საბაბისა და საფუძვლის დაღვენის მოთხოვნა ამ საქმეში გარკვეულწილად კანონიერების გარანტიასაც ქმნიდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის აღმერამდე პირველადი

მასალების შემოწმების ათდღიანი ვადა წინასწარ გამოძიებას სერიოზულ პრობლემებს უქნიდა (იქვე, გვ. 49).

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის წარმოება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, იწყება წინასწარი გამოძიებით. კერძოდ, პირუელი პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც ჩადგნილი ქმედების დანაშაულად სავარაუდო შეფასებას გამოხატავს, არის დადგენილება ეჭვმიტანილად პირის ცნობის შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წარსალგენად, გამომძიებელი პროცესორის თანხმობით, ან პროცესორი სცნობს მას ეჭვმიტანილად, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება. ცხადია, იგულისხმება, რომ, ჯერ ერთი, უნდა დალგინდეს ქმედების ნიშნები და მისი ჩადენის გარემობანი, რაც ქმედების შემაღენლობაზე მიანიშნებდა. მეორეც, სავარაუდო მიეთითება სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც ამ ქმედებას ითვალისწინებს. გესამე, იგულისხმება, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი არსებობს და ეს ეჭვი გარევაულწილად გამჟარებულია ფაქტებითა და სათანადო მტკიცებულებებით. (თუ იგი დაკავებული არ არის, თუ დაკავებულია – მაშინ დაკავების ოქმით) (იხ. საქ. სსსკ 114-ე მუხლი). აღსაჩიშნავია ისიც, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილად პირის ცნობა აბსტრაქტულ და ზოგად ვარაუდებზე კი არ აიგება, არამედ, უფრო კონკრეტულ გარემოებებზე. ეს დასტურდება ეჭვმიტანილი პირის დაკავების იმ საფუძვლებით, რაც საქ. სსსკ 142-ე მუხლშია ჩამოთვლილი (მაგალითად, თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, თვიმხილველები მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე, მიუთითებენ და სხვა). მაგრამ საქმე ისაა, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილად პირის ცნობას შეიძლება წინ უსწრებდეს ჩადენილი

ქმედების წინასწარი გამოიძიება. მისი დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ (საქ. სსსკ 263-ე მუხლი), ხოლო, ეს ცნობები შეიძლება შემოვიდეს წერილობით, ან ზეპირად და ამ უკანასკნელის გამო დგება სათანადო ოქმი. ასე, რომ, დანაშაულის ჩადენის შესახებ წერილობითი განცხადება, ან ზეპირი განცხადებისას ოქმი, საქ. სსსკ 265-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტია. არაა გამორიცხული, რომ ამ პირველად დოკუმენტი სავარაუდოდ იყოს მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმაზე, რომელიც ამ ქმედებას (ესე იგი, განცხადებაში აღნიშნულს) ითვალისწინებს. მაგრამ რამდენადაც ქმედების დანაშაულად ოფიციალურ კვალიფიკაციას ეწევა არა კერძო პირი, რომელსაც დანაშაულის შესახებ განცხადება შემოაქვს, არამედ, გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე. ამდენად, დანაშაულის ჩადენის შესახებ წერილობითი განცხადება, ან ზეპირი განცხადებისას ოქმი, როგორც სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტები, ამავე დროს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირველად დოკუმენტებადაც ვერ ჩაითვლება. (ამგვარი პირველადი დოკუმენტი შეიძლება იყოს ე.წ. ფორმა №1).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირველი პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირველ ეტაპს გამოჩატავს, არის დადგენილება დანაშაულის ჩადენაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეორე ეტაპი გამოიხატება დალგენილებით სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში პირის მიკვემის შესახებ. ეს ეტაპი უკავიად სერიოზულია და სათანადოდაა კიდევ გადაწყვეტილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლში. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის, ან პროკურორის დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. აქეუ მითითებულია, რომ აღნიშნული დადგენილება უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენა ბრალდებულია პირს და მის სისხლის სამართლებრივ კვალიფიკაციას. ამ მუხლის შემთხვევაში კი ნათქვამია, რომ ბრალდებულად პასუხისმგებაში ბრალდებულის სახით პირის მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა აღბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ პირია დანაშაული ჩაიდინა. ეს საკითხი უფრო კონკრეტულადაა მოწესრიგებული საქ. სსსკ ა. 281-ე მუხლში ნათქვამია, რომ ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ამავე კოდექსის 282-ე მუხლში კი აღნიშნულია, თუ რა უნდა ჩაიწეროს დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში პირის მიცემის შესახებ. აქ ყორადღებას იქცევს დებულება, რომ ამ დადგენილებაში, სხვა კომპონენტებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ბრალდების ფორმულირება, მაგრამ, სამწუხაროდ, ტერმინში „ბრალდების ფორმულირება“ ბრალი, ან მისი ფორმები კი არაა გამოხატული, არამედ, ქმედების შემაღენლობის ობიექტური მხარის ნიშნები. კერძოდ, აქ ნათქვამია: „ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით.“ კადია, ბრალდების ფორმულირებისთვის ქმედების შემაღენლობის ობიექტური მხარის ეს ნიშნები აუკილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის, რადგან, საჭიროა იმ კნების, თუ ტერმინის დადგენია, თუ რას ნიშნავს „ბრალდება“ და შესაძამისად

- „ბრალდების ფორმულირება“. ეს საკითხი ბრალისა და მისი ფორმების საკითხთან კაუშირში იქნება განხილული. ამჯერად კი იმას აღვნიშნავ, რაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას უშეალოდ შეეხება. კერძოდ, ხსენებული მუხლის „გ“ პუნქტში მითითებულია, რომ დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემაზე უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. ამავე მუხლის „დ“ პუნქტში კი ნათქვამია, რომ დალგენილებაში ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემაზე უნდა შეიცავდეს მითითებას სისხლის სამრთლის კოდექსის იმ მუხლზე, მუხლის ნაწილზე, ან ქვეპუნქტზე, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული. ასევე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით, მუხლის ნაწილით, ქვეპუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (კალ-კალე) უნდა იქნეს მითითებული თითეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია.

ამ მხრივ საკურადღებოა პროეურორის შუამდგრმლობა საპროცესო შეთანხმების შესახებ (საქ. სსსკ 679-ე მუხლი). წიჩასწარი გამოიყების სტადიაზე ბრალდება, საქ. სსსკ 285-ე მუხლის თანახმად, შეიძლება შეიცვალოს, ან პირს ახალი ბრალდება წარედგინოს, ანდა სისხლის სამართლებრივი დეპნა საერთოდ შეწყდეს კიდევ, ხოლო, ყიუელივე ეს ქმედების სათანადო კვალიფიკაციის გარეშე შეუძლებელია.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე ეტაპად უნდა ჩაითვალოს საბრალდებო დასკვნის შედგენა. რასაკვირველია, ბრალდების წარდგენიდან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე მთელი რიგი საგამოძებო მოქმედება (დაკითხვა, ჩხრექა, ამოღება, დათვალიურებანი, ექსპერტისები და სხვა) უნდა ჩატარდეს (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხილეთ სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2008). ჩაგრამ რამდენადაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია

ჩვენ სისხლის სამართლის საპროცესო დოკუმენტების მიხედვით გვაინტერესების, ამდენად, ამ ასპექტით საბრალდებო დასკვნის ღიორია-შინაარსის საკითხებს შევეხები. კურპოლ, საქ. სსს 409-ე მუხლის თანახმად, საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა. საბრალდებო დასკვნაში მითითებული უნდა იქნეს მონაცემები ბრალდებულისა და ქმედების ამა თუ იმ მუხლით (მუხლების, ან მუხლის ნაწილებით) კვალიფიკაციის შესახებ; დანაშაულის გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი (საბრალდებო დასკვნისა და სხვა პროცესუალური დოკუმენტის შესახებ იხილეთ ი. ბაბისონია, ა. ვალიაშვილი, მოკვლევისა და გამოძიების საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები, ობილისი, 2001).

საბრალდებო დასკვნას აღვენის და ხელს აწერს პროკურორი, რომელმაც საბრალდებო დასკვნის შედგენამდე, საქ. სსს 412-ე მუხლის თანახმად, უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, სწორია თუ არა ქმედების ის კვალიფიკაცია, რაც გამომძიებელმა მისცა ბრალდებულის მიერ ჩადენილ ქმედებას. გარდა ამისა, პროკურორს უფლება აქვს, დააბრუნოს სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისთვის სათანადო წერილობითი მითითებებით, ან საკრთოდ შეწყვიტოს კიდევ სისხლის სამართლებრივი დევნა (საქ. სსს 413-ე მუხლი). კხადია, პროკურორს შეუძლია შეცვალოს, ან შეავსოს ბრალდება უშუალოდ საბრალდებო დასკვნაში, ესე იგი, სისხლის სამართლებრივ პასუხისმისი პირის მიკემაზე ახალი დადგენილების გამოტანის გარეშე (საქ. სსს 415-ე მუხლი). ყოველივე ეს კი ქმედების დანაშაულად სათანადო კვალიფიკაციის გარეშე შეუძლებელია.

თუ კარგად დაგეუკურდებით, მაშინ აშკარა ხდება, რომ ბრალდებულად პირის კნობის პროცესუალურ აქტში (დადგენილებაში) ქმედების დანაშაულად კვალიფიკირება – ჯერ

კიდევ სავარაულოა, თუმცა, ხაქ. სსსკ 75-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული დადგენილების გამოტანა შეიძლება მხრილდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს. რომ პირმა ჩაიღინა დანაშაული. ამრიგად, ლაპარაკია ალბათობის, ანუ, ვარაუდის იმ მაღალ ხარისხზე, რომ ჩადენილი ქმედება დანაშაულია და რომ იგი სწორედ ბრალდებულმა ჩაიღინა. საბრალდებო დასკანაში კი ამგვარ ვარაუდს უნდა აღიაროს. ალბათობაშე ლაპარაკი არ არის. აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ საბრალდებო დასკანაში წინასწარი გამოძიების სტადიაზე ქმედებას დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაცია ეძღვავა. ამასე მეტყველებს მტკიცების საგნის ცნება და ელემენტები. კერძოდ, ხაქ. სსსკ 112-ე მუხლში მტკიცების საგნად, სხვა გარემოებათა შორის, დასახელებულია ქმედება, მისი მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი, ესე იგი დანაშაულის ის ელემენტები, რაც გათვალისწინებულია ხაქ. სსკ მე-7 მუხლის პირველ ნაწილში. საკითხავია: თუ საბრალდებო დასკანაში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ასპექტით უკვე არაფერია სავარაუდო და მტკიცების საგნის აღნიშნული სტრუქტურა წინასწარ გამოძიებაზეც კრკელდება, მაშინ, რა განსხვავებაა ქმედების დანაშაულად საგამოძიებო და სასამართლო კვალიფიკაციას შორის? იმის შეუხედავად, რომ პროექტორი დარწმუნებულია სისხლის სამართლის ხაქმის სწორად წარმართვაში, ის მანიკ მოქმედებს ქმედების შემაღენლობის ფარგლებში, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხი მაინც სხვაა.

ამ საკითხის ჩათვლულფის მინნით მოკლედ გავეცნით ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციას ხაქ-როგორს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. კერძოდ, პროექტორის მიერ საბრალდებო დასკანის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა საქმე განსჯადო-

ბის მიხედვით „უნდა გადაეცეს შესაძამის სასამართლოს (საქ. სსსკ 416-ე მუხლის მესამე ნაწილი). სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისათვის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში იქმნება სასამართლო კოლეგია, (ხოლო რაიონულის დონეზე სისხლის სამართლის საქმეს იხილიავს მოსამართლე ერთპიროვნულად) ხოლო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში – პალატა (საქ. სსსკ 437-ე მუხლი). სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხდება ბრალდებისა და დაცვის პოლემიკის სახით ანუ, შეჯიბრობითობის პრინციპის თანახმად. სასამართლო კი მიუკერძოებელია და არაა უფლებამისიღი შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გამოთქას აზრი განსასჯელის ბრალეულობის, ან არაბრალეულობის შესახებ (საქ. სსსკ 439-ე მუხლის მე-5 ნაწილში კანონმდებელი იუენებს არაიურილიულ ტერმინს „დამნაშავე“ ან „უდანაშაულო,“ რაც არასწორია. (მაგრამ ამ ასაკითხს უფრო ღრმად მოგვიანებით განვიხილავ). ამჯერად მოკლედ შევეხები საკითხს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ფარგლების შესახებ. ეერძოდ, საქ. სსსკ 450-ე მუხლის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხრიდან იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს (უფრო ზუსტად, სასამართლოში წარდგენილი საბრალდებო დასკენის ფარგლებში), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეკვალა განსასჯელის სასარგებლოდ, ანდა მოხსნა ბრალდების ნაწილი ან ეპიზოდი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება ბრალდების შეცვლა შემამსუბუქებელ გარემოებებზე ქმედების გადაკვალიურირებით, ან ბრალდების მოხსნა ზემდგომ პროკურორთან შეთანხმებით (საქ. სსსკ 446-ე მუხლის მე-5 ნაწილი). სხვა ტიპიურ შემთხვევებში სასამართლოში განსასჯელს წარედგინება ის ბრალდება, რაც საბრალდებო დასკენის მტკიცების საგნის მიხედვით იყო ჩამოჟალიბებული.

სასამართლო გამოძიების მიზანი კი ისაა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტება დადგინდეს და ქმედებას მიეცეს ზუსტი სამართლებრივი კვალიფიკაცია. სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ იმართება მხარეთა კამათი, როგორც მხარეებს უფლება აქვთ, კიდევ ერთხელ გამოთქვან აზრი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და განაჩენში გაღასაწყვეტ სხვა საკითხებზე (საქ. სსსკ 490-ე მუხლის მესამე ნაწილი). განაჩენში კი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ასპექტით უნდა გაღასაწყვეტი შემდეგი სამი საკითხი: 1. ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. 2. არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო. 3. შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად მის მიერ ჩადენილი ქმედება. ამ კითხებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გამამტკუნებელი განაჩენი. ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი, რომლის ორი საფუძველი არსებობს: ა)განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ბ)განსასჯელის ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო (საქ. სსსკ 504- ე მუხლი).

ამრიგად, ირკვევა, რომ მტკიცების საგნის (საქ. სსსკ 112-ე მუხლი) პირები სამი საკითხი (ქმედება, მისი მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი) განაჩენშიც უნდა გაღაწყდეს. როგორც საქ. სსსკ 503-ე მუხლის მეორე ნაწილშია აღნიშნული, გამამტკუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხრივდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებებზე დაურღიობით (განაჩენისადმი წარდგენილი მოთხოვნების შესახებ იხილეთ ი. ბაბისრინა, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბილისი, 2002, გვ. 236-238). ეს დებულება, განსახლეული სპეციფიკით, კრიკელდება იურიდიულ პირების მიერ ჩაღუნილი ქმედების

სასამართლო კვალიფიკაციაზე(საქ. სსსკ 679<sup>9</sup> -ე მუხლი).

როგორც უხედავთ, მტკიცების საგნის პირველ სამ კითხვაზე (ჩადენილია თუ არა ქმედება, არის თუ არა იგი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული?) პასუხი ბრალდების წარდგენის ეტაპზე სავარაუდოა. მართალია, ამ მიმართებით აღბათობის მაღალ ხარისხზე(კაა ლაპარაკი). მაგრამ ბრალდების უტყუარობა ამ ეტაპზე, ცხადია, ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის. საბრალდებო დასკვნაში კი ხსენებული სამი საკითხის მიმართ ვარაუდზე, ან თუნდაც აღბათობის მაღალ ხარისხზე ლაპარაკი არ არის. მართალია, საბრალდებო დასკვნაში (საქ. სსსკ 409-ე მუხლი) ქმედების მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ არაა ხაუბარი, მაგრამ რამდენადაც ამ მუხლში ლაპარაკია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე და ბრალდებულის ბრალეულობის დამამტკიცებელ მტკიცებულებეზე, ქმედების მართლწინააღმდეგობა დაღვენილად იგულისხმება. თუმცა, ამ მიმართებით კელა დგება სემოთ უკვე არაერთგზის დასმული საკითხი: კატეგორიულად წყდება თუ არა საბრალდებო დასკვნაში ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალდებულის ბრალის საკითხი? თუ ამ კითხეაზე დადებითი პასუხი გავეცით, მაშინ არანაირი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია საგამოძიებო კვალიფიკაციისგან განვასხვავოთ და სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების თავისებურებაზე ვისაუბროთ. უფრო მეტიც, საქმის ვითარება ისე გამოიყერება, რომ სასამართლო ქმედების დანაშაულად საგამოძიებო კვალიფიკაციას იმეორებს, ოლონდ, უფრო დამტკიცებულად და დასაბუთებულად. სინამდვილეში კი, უფიქრობთ, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ჯერ ერთი, ქმედების მართლწინააღმდეგობა მხოლოდ საავარაუდოდ თუ იქნება დადგენილი. ამის მეორდობიურ საფუძველს წარმოადგენს დებულება, რომ ქმედების შემადგენლობიდან, როგორც ფაქტის მსჯელობიდან. ქმედების მართლწინააღ-

მდევობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა (გადასცლა) შეუძლებელია და ამიტომ ეს დასკვნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე მხოლოდ სავარუდოა. მეორეც, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში პირის მისაცემად, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების დადგენის გარდა, დასადგენია ბრალის ფირმებიც, ხოლო, ბრალის ფორმა ჯერ კიდევ ბრალი არაა და ამიტომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებული. ჯერ კიდევ არაბრალეულია. ეს პრობლემები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საგანგებოდოდ შემდგომ იქნება განხილული. ამჯერად კი მოკლედ შევეხები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას შემდგომ სასამართლო იჩსტანციებში.

ამ მხრივ მოკლედ შევეხები აპელაციის წესით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენებისა და სხვა გადაწყვეტილებათა გასაჩიურებას, თუ, აპელანტის აზრით, განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება დაუსაბუთებულია, ანუ, საქმის ფაქტობრივი გარემოებანი არაა დამტკიცებული. ან საღაურა განაჩენის კანონიერება (საქ. სსსკ 509-ე მუხლი). გასაგებია, რომ სააპელაციო საჩიურის ერთ-ერთი საგანი შეიძლება იქოს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაც, ესე იგი ის ხაკითხი, სწორად არის თუ არა გამოყენებული მატერიალური სისხლის სამართლის, ან სხვა რომელიმე კანონი (ი. ბაბისონია, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, გვ. 285). აპელაციის წესით ხდება საქმის ხელახლი და არსებითი განხილვა, მტკიცებულებათა ამა თუ იმ სისრულით ხელახლი განხილვა და შეფასება უშუალობისა და ზეპირობის პრინციპების შესაბამისად. გასაგებია, რომ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს ახალი განაჩენი, რომელიც, საქ. სსსკ 535-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ცვლის პირები იჩსტანციის მიერ გამოტანილ განაჩენს. მაშასადამე, გამორიცხული არ არის, რომ სააპელაციო სასამართლოს (სააპელაციო წესით ხილების სამართლის საქმეთა განხილვის თავისებურებათა შეს-

ახებ იხილეთ ი. ბოხაშვილის უკრიად საინტერესო ნაშრომი, აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2004) განაჩენისა შეცვალოს ქმედების ის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია, რომელიც მას მიეკავის პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით. ამასთან, საუარესოდ შეძრუნება, ანუ, სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის უფრო მძიმე მუხლის გამოყენება დასაშვებია, თუ პროცესურობა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში(საქ. სსსე 540-ე მუხლის მეორე ნაწილი). გარდა ამისა, გამამტებულებელი განაჩენის გამოტანა გამამართულებელის ჩაცვლად დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლომ სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით ჩაატარა (საქ. სსსე 540-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, მათ შორის, მსჯავრდებულის ქმედების დანაშაულად არასწორი კვალიფიკაცია, შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს. ამ საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა. თუმცა, ამ უკანასკნელს მიტივირებული განსინებით შეუძლია საქმე გადასცეს საქართველოს უხერხაესი სასამართლოს დიდ პალატას, რომელიც იხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს. აღსანიშნავია, რომ საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საგანი – სისხლის სამართლის, ან სხვა მაჩერი-ალური კანონის არასწორი გამოყენება- საქ. სსსე 564-ე მუხლში განსარტებულია შემდეგნაირად: ა) არ იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) იყენებს კანონს, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) სწორად არ განმარტავს კანონს. გასაგებია, რომ ამ მიმართულით, როგორც წესი, იგულისხმება ქმედების არასწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია, რაც საკასაციო ინსტანციის გან-

ჩინებით შეიძლება გასწორდეს. მაგალითად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ხაკასაციო პალატაში მთელი რიგი მტკიცებულებების ახლებური ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ქმედება, რომელიც სააპალაციო პალატაში დააკვალიფიცირა, როგორც განზრახი მკულელობა (საქ. 1960 წლის სსკ 105-ე მუხლი), გადააკვალიფიცირა, როგორც მკულელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (იმავე კოდექსის 107-ე მუხლი). სააპალაციო პალატაში მიუთითა, რომ ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში სწორად ვერ დაადგინა ფაქტები, ხოლო, დადგენილ ფაქტებს სწორი იურიდიული შეფასება ვერ მისცა (ხაკასაციო პალატის აზრით, დ. შე-ძის ჩვენება, რაც ასაბუთებს მის მიერ დ. გ-იას მკულელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, არაურით არაა გაბათილებული სასამართლო განაჩენში), რის გამოც ჩადენილი ქმედება სწორად ვერ დააკვალიფიცირა (იხილეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, იუნისი, 2002, № 6.). ბოლოს, ისიც საინტერესოა, რომ 564-ე მუხლში კანონის არასწორ განმარტებაზეც არის საუბარი, ესე იგი, კანონის სწორი განმარტება ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური წანამძღვარია. ხაკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი. ბოლოს, ხაკასაციო ინსტანციამ შეიძლება სისხლის სამართლის საქმე ხელახლი სასამართლო განხილვისთვის დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოებისთვის ხავალდებულო მითითებებით, ხოლო, ეს შეიძლება სისხლის სამართლის საქმის სხვა, უფრო მსუბუქი. მუხლით გადაკვალიფიცირებას ნიშნავდეს, თუმცა სემოთ უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ სსკ 540-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ხაქმე საუ-

არესოდ შეიძლება შემობუჩქდეს. ესე იგი, ქმედება უფრო მძიმე მუხლით, ან მუხლის ნაწილით დაკვალიფიცირდეს, კიდრე, ეს სააველაციო ინსტანციის სასამართლოში დაკვალიფიცირდა.

სისხლის სამართლის საქმის ახალი კვალიფიკაცია შეიძლება მოხდეს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამოც (ამის შესახებ უყრი დაწყრილებით იხილეთ ი. ბაბისონია, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, გვ. 420-428). საქმე ეხება განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვას. ახლად აღმოჩენილ გარემოებებს განეკუთვნება, მაგალითად, ის, თუ განაჩენით დადგენილია, რომ კალბია მოწმის ჩვენვბა, ექსპერტის დასკვნა, ან სხვა მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაუდო განაჩენს, ან განსინვბას. ახლადგამოჭლებილ გარემოებებს კი განეკუთვნება, მაგალითად, თუ განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული იქნა კანონი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შემდგრმ იქნა კნობილი ანტიკონსტიტუციურად. (საქ. სსსკ 593-ე მუხლი). გარდა ამისა, საქ. სსსკ 593-ე მუხლის „ბ“ პუნქტში ლაპარაკია იმაზე, რომ განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოიცა ახალი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც აუქმებს, ან ამსუბუქებს სისხლისსამრთლებრივ პასუხისმგებლობას (ესე იგი, იგულისხმება სისხლის სამართლის კანონის უკუძალა).

მე დაწყრილებით არ განვიხილავ ამ გარემობასთა გამო სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის პროცესუალურ საკითხებს, რადგან, ძირითადად ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების ეტაპები მაინტერესებს. აღუნიშნავ მხრივოდ იმას, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არსებობისას სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის შესახებ დასკვნას ამტკიცებს საქართველოს მთავარი პროკურორი, რომელიც წარდგინებით მიმართავს საქართველოს უზენაეს

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ამრიგად, ირკვევა, რომ საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შინებით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია შვიდ უტაპს გაივლის. პირველი სამი ეტაპის ვიზუალური ცნობისა და პრალდებლის სახით პასუხისმგებაში მიცემის აქტები; საბრალდებო დასკვნა) წინასწარი გამოძიების ეტაპზე მიღება. სასამართლო ეტაპზე ხდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა; შემდეგ – სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებებზე; საკააციო ინსტანციაში განიხილება როგორც პირველი, ისე საკასაციო ინსტანციის ძალაში შესული გადაწყვეტილებანი; ბოლოს, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვა ხორციელდება.

სულ სხვაა ამ მხრივ საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც აქ შედარებისთვის მოკლედ იქნება განხილული (მკითხველს შევახსენებ, რომ დროთა განმავლობაში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით დღემდე მოქმედებს საქართველოს 1998 წლის 20 ოქტომბერის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის მაისიდან).

აქ კი მოკლედ აღვნიშნავ, რომ ამ ახალ საპროცესო კოდექსიში, ჯერ ერთი, არსებითადაა შეცვლილი წინასწარი გამოძიება, რომელსაც უბრალოდ პქნია „გამოძიება,“ ესე იგი, უკულებამისილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორცილებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებულ მტკი ცებულებათა შეგროვება (იხ. მე 3 - ე მუხლი, რომელ შიც მოკემელია ამ კოდექსში გამოუენებულ ტერმინთა განმარტება). აქედან გამომდინარე, ამ ახალი კოდექსის თანახმად, გამოსიერას

უკვე არ გააჩნია ისეთი შემაჯამებელი დოკუმენტი, როგორიცაა: საბრალდებო დასკვნა. ეს ბუნებრივია, რადგან, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შიერ მოპოვებული კველა მტკიცებულება წარედგინება სასამართლოს. სამაგიეროდ, სისხლისსამართლებრივი დეკნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებით, საჯარო ინტერესების შესაბამისად (საქ. სსსკ მ-16 მუხლი). ამავე კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად კი, პირს ბრალდება წარედგინება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ცხადია, იგულისხმება დანაშაულის ცნება და მისი ელემენტები, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილითაა გათვალისწინებული (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი). ეს არის კიდევ მტკიცების საგანი, რომელიც ამ ახალ კოდექსში პირდაპირ არაა გათვალისწინებული (იხ. მე-Х თავი), მაგრამ დანაშაულის აღნიშნული ცნების ორი ნიშანი ნებატოური წესითაა გადმოცემული 105-ე მუხლში.. კერძოდ, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო, სისხლისსამართლებრივი დეკნა არ უნდა დაიწყოს, ან შეწყდეს, თუ არ არსებობს სისხლის სამართლის ქანონით გასთვალისწინებული ქმედება, ან თუ ეს ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო.

ცხადია, ბრალდების წარდგენა, გარდა ინკრიმინირებული ქმედების ობიექტური მხარის ნიშნების დადგენისა, გელისხმობს ბრალის ფორმების დადგენასაც, რაც ბრალის დადგენას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რადგან, ფორმიდან შინაარსებულ გადასვლა ინდუქციურია. მით უმეტეს, რომ ბრალის დადგენა გამამტკუნებელი განაჩების ფორმით მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. ამაზე მეტაველებს ხსენებული კოდექსის მე-12 მუხლი, რომელშიც მტკიცებულებათა შეფასებაზეა ლაპარაკი. კერძოდ, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევან-

ტურობის, დასაშეეობისა და უტყუარობის თვალსაზრის. მეორეც, მტკიცებულებას წინაწარ დადგენილი ძალა არა აქვს. და, ბოლოს, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ (ბრალეულად – გ.ხ.) ცნობისთვის საჭიროა გონივრული ეჭვი მიღმა არსებული შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოძიება იწყება დანაშაულის შესახებ. ინფორმაციის მოპოვებისთანავე, ცხადია, იგულისხმება ჩასენილი ქმედების დანაშაულად სავარაულო კვალიფიკაცია, რომელიც უფრო ზუსტდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღმერის მომენტისთვის. მით უფრო, რომ ბრალდების წარდგენა, როგორც უკვე ითქვა, ბრალის ფორმების დადგენის გარეშე შეუძლებელია. ამის შემდეგ ხდება ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობისა და სხვა საკითხებისთვის (იხ. მე-Х თავი). საპროცესო შეთანხმება კი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია (საქ. სსსკ 209-ე მუხლი). იგულისხმება საპროცესო შეთანხმება ბრალზე (როცა პირი აღიარებს მის ბრალს ჩადენილ ქმედებაში) ან, სასჯელზე, როცა, იგი ამ მხრივ ეთანხმება პროკურორის შემოთავაზებას. მაგრამ ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების საკითხები. კერძოდ, საპროცესო შეთანხმებისას, ჯერ ერთი, აღწერილია სუბიექტისთვის ინკრიმინირებული ქმედება; მეორეც, საქმეში არსებული მტკიცებულება საკმარისია დასაბუთებული კარაულისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა (საპროცესო შეთანხმება ახალი საპროცესო კოდექსისამდე იურ შემოღებული).

აღნიშნულ კოდექსში საგანგებოდაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესუალური წესები, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი (თავი XXIII-ე), როგორც ნვეულებრივი სა-

სამართლო წესით, ისე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში). ბუნებრივია, აქ უკვე დგას საკითხი ქმედების დანაშაულად სრული მოცულობით კვალიფიკაციის შესახებ (ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საღისეულოდ ცალკე პარაგრაფად მაქვს განხილული). აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი (საქ. სსსკ 259-ე მუხლი). მით უფრო, რომ განაჩენის გამოტანისას სასამართლომ უნდა დაადგინოს: 1. ჩაიდინათ უ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება? 2. არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო? 3. შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად მის მიერ ჩადენილი ქმედება? ამ სამ კითხვაზე დადებითი პასუხი (რაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის საქმარისია) საფუძველია იმისა, რომ სასამართლომ გამოიტანოს გამამტყნებელი განაჩენი. გამამტყნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს უარაუდი (საქ. სსსკ 269-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამის შემდეგ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება განხილულ იქნეს აპელაციის წესით (იხილეთ XXV-ე თავი). თუ არსებობს სათანადო საფუძველი, აპელაციის წესით გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო ინსტანციაში, ხოლო, ბოლოს სისხლის სამართლის საქმე (განაჩენი) შეიძლება იქნეს გადასინჯული ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო (იხილეთ XXVI-ე თავი). აქვე მოკლედ პირის სერიუმის მიერიდიული პირის ქმედების დანაშაულად კვალიფიკიას, (თავი XXIV-ე), რომელიც იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებითაა გაპირობებული, თუმცა, იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ცალკე და უფრო ღრმა განხილვას მოითხოვს.

ამრიგად, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდ-

ექსისგან არსებითად განსხვავდება ქმედების დაზაშაულად კუალიფიკაციის თუნდაც ზოგადი თეორიის პროცესუალური ფორმის თვალსაზრისით. ამ ახალ კოდექსში, მიუხედავად იმისა, რომ მასში ძირითადად აქცენტი გადატანილია სასამართლოშე, გამოიყების ეტაპზე მაინც რჩება ქმედების წინასწარი, სავარაუდო კუალიფიკაცია, რომელიც უყრო ზუსტდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღმვრისა და ბრალდების წარდგენის ეტაპზე. სრული მოცულობით კი ქმედებას დაზაშაულად აკუალიფიცირებს სასამართლო. რთულია ნაფიც მსაჯულთა სასამრთლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესუარა და ხასიათი. შემდეგ ქმედება შეიძლება ახლებურად დაკუალიფიცირდეს აპელაციის წესით, საკასაციო წესით და, ბოლოს, – ახლადგამოვლენილ გარემოებაა გამო, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ამავე კოდექსის 310-ე მუხლზე.

# თავი გესამე

## ქართველის დანაშაულად კვალიფიკაციის საზოგადო და სპეციალური საცხადველი

### § 1. ტერმინი „კვალიფიკაცია“ და მისი ამსილობიური საცხადველი

„იკუე ითქვა, რომ ტერმინი „კვალიფიკაცია“ ნიშნავს „შეფასებას.“ შეფასება, თავის მხრივ, მეტად რთული საქმიანობაა და გულისხმობს შესაბამის კომპრინენტებს: შეფასების საფუძველს, სუბიექტს, ობიექტს, შედეგს, ამის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც ეს შეფასება იწვევს. საქმე იმაშია, რომ ამ მიმართებით იგულისხმება კარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ლირებულებითი დამოკიდებულება. ადამიანი, უპირვეულეს კოკლისა. საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია და მისი პრაქტიკული საქმიანობა ბუნებრივად უკავშირდება მთელ რიგ შეფასებით ცნებებს, მაგალითად, კეთილი, ბოროტი, მშვენიერი, მახინჯი, დანაშაული და ა. შ. მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი პრაქტიკა მოწესრიგებულია ისეთი ნორმატიული სისტემებით, როგორიცაა: ზნეობა, რელიგია, ხელოვნება, პოლიტიკა, სამართალი და ზოგიერთი სხვა. ამ ნორმატიულ სისტემებში შეფასებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც თავის დროზე სწორად შენიშნება პროფ. ო. ჯიორევი, „ადამიანს მარტო ცხოვრება კი არ უნდა, არამედ კმაყოფილი უნდა იყოს თავისი ცხოვრებით. ადამიანი აფასებს თავის არსებობას, არსს, შეფასება კი ჯერარსის მიხედვით განხილვაა, ხოლო ჯერარსი არსის საშუალებაზე არ დაიყვანება“ (ო. ჯიორევი, კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-

დემინს „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფილოსოფიის სერია, 1980, №1, გვ. 11-12). საქმე ისაა, რომ ტერმინი „ჯერარსი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ჯერ არარსებულს, ჯერ არ განხორცილებულს, ესე იგი იმას, რაც ჯერ არსი არ არის, ანუ, არ არის რეალობაში განხორციელებული, თუმცა, რამდენადაც იგი განხორცილების ღირსია, უნდა განხორციელდეს კიდევ. ჯერარსი არის ღირებულების არსებობის ფორმა. მაგალითად, მსჯელისა, „ადამიანი კეთილი უნდა იყოს,“ ჯერარსიულია. ჯერ გროვ, სიკეთე უმაღლესი ეთიკური ღირებულებაა, რომელიც განხორცილების ღირსია. მეორეც, ადამიანი თავისი მოწოდებით კეთილი უნდა იყოს და პრაქტიკულ ცხოვრებაში სიკეთეს უნდა ამკილრებდეს. სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ბოროტი ადამიანებიც არიან და ამდენად აზრი აქვს მოთხოვნას, რომ ადამიანი კეთილი უნდა იყოს! სიკეთე, მშენიერება, სიუვარული, სიმამაცე, თავისუფლება და ა. შ. ლირებულებებია, იდეალურად რომ არსებობს და არა რეალურად. მით უმეტეს, რომ ლირებულება უესაბამის სუეროში იდეალსაც განასახიერებს. მაგალითად, სამართლის ფილოსოფიაში სამართალი განიხილება არა მარტო პიზიტიური (მოქმედი) სამართლის მიხედვით, არა-ამედ, მისი იდეალის მიხედვითაც. ესე იგი, იმის მიხედვით, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი. ღირებულება კი არის აქსიოლოგის, როგორც ღირებულების ფილოსოფიის, ძირითადი ცნება. ირკვევა, რომ ადამიანი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს არა მარტო მარტიალური ინტერესებით, არამედ იდეალებითაც და ესაა ადამიანის თავისუფლების არსებითი ნიშანი. როგორც პროფ. მ. ჯიოვაზი წერსა, „ადამიანის მოქმედება იმით განსხვავდება ბუნებრივი აქტებისაგან, რომ მისი განმსაზღვრელი არსებითად არის ღირებულება, ადამიანის მიერ აღიარებული ღირებულება“ (დასახელებული ნაშრომი, გვ. 10). აუტორი ადამიანს აქსიოლოგიურ, ანუ შემყვასებელ არსებადაც აკხადებს და ეს განსაზღვრული აზრით, სწორია. მაგრამ ამჯერად

შეფასების საფუძველზეც კიმსჯელოთ. კერძოდ, შეფასებას მისი სუბიექტი, ანუ, ადამიანი ეწევა, ხოლო, ეს, ერთის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ შეფასება სუბიექტური აქტია. ოგულისხმება შეფასების ობიექტისადმი შემფასებელი სუბიექტის დამოკიდებულება. მაგალითად, მსჯელობა „ეს ვარდი მშვენიერია,” გამოთქვამს როგორც მშვენიერებისადმი, ისე, ამ კონკრეტული ვარდისადმი სუბიექტის დამოკიდებულებას. მაგრამ, მეორეს მხრივ, შეფასება უნდა იყოს ობიექტური. ვარდი მშვენიერებად შეიძლება მხოლოდ ამ ერთ, კონკრეტულ, სუბიექტს ეჩვენებოდეს, მაშინ, როდესაც შეფასების ობიექტურობა ინტერსუბიექტურია. შეფასების ობიექტურობისთვის საჭიროა მისი კრიტერიუმი. ამ თვალაზრისით გადამწყვეტია შეფასების საფუძველი, ესე იგი, ის, თუ რისი მიხედვით და საფუძველზე ხდება შეფასება. მშვენიერება ის საფუძველია, რომლის მიხედვით ვარდი შეფასდა. მშვენიერება კი ესთეტიკური ღირებულებაა. აქედან გამომდინარე, შეფასების საფუძველი საზოგადოდ არის ღირებულება, რომელიც განსაზღვრული ნორმის ფორმაში არსებობს. ნორმის ცნება კი, როგორც ჩანს, ნაწარმოებია „ნორმალურის“ ცნებიდან, რომელიც, თავის მხრივ, ლრი უკიდურესობიდან მესამე ანუ, საშუალოა. მხედველობაში გვაქვს პროფ. ბერნეტი შეგანაზღილის მიერ არიტოტელეს ფილოსოფიის ჩეტად საინტერესო ანალიზი. საქმე ეხება სათნოების ცნებას არისტოტელეს ფილოსიფიაში. კერძოდ, ირკვევა, რომ არსებობს ადამიანის სამი სულიერი მდგრადურება. აქედან ორი მანკიერია- ერთი მეტისმეტი სიჭარბის, ხოლო, მეორე, პირიქით, მეტისმეტი ნაკლულობის გამო. მესამე კი არის საშუალო, ანუ, სათნოება, რომელიც ამ ორ უკიდურესობებს უპირისპირდება. მაგალითად, არსებობს ადამიანი, რომელიც ლაჩარია, მაგრამ არსებობს თავზეხელადებული ადამიანიც. ცხადია, სათნოებად არც ერთი არ ჩაითვლება. სილაპრე რომ საძაგელია,- დამატებით ახსნას არ საჭიროებს. თავზეხელადებულობა კი გაძედებულობის ინ-

დენად უკუდურესი ხარისხია, რომ უგუნური ხიფათისა და სრულიად გაუმართლებელი მსხვერპლის წყაროც შეიძლება აღმოჩიდეს. ამ ორ უკიდურესობებს შორის საშუალო, ანუ, არისტიტელეს სიტყვებით რომ კოქკათ, სათნოება, როგორც ნორმალური მდგომარეობა, არის სიმამაცე. იგი არის ერთ-ერთი ეთიკური ლირებულება, რომელიც ნორმის, როგორც ჯარარსის, ფორმაში არსებობს. პროფ. ბ. ჭავანაშვილი ასევნის, რომ არისტოტელეს მიხედვით „ზნეობრივი ლირებულება მიეწერება იმას და უპირატესად იმას, რომელიც საშუალოა უკიდურესობათა შორის“ (ბ. ჭავანაშვილი, ნორმალურობა და ლირებულება, „ფილოსოფიური ძიებანი,“ გ. V, თბილისი, 2001, გვ. 184).

ამრიგად, ადამიანი (ეთქვათ, ჯარისკაცი) არ უნდა იქოს არა მარტო ლაბარი, არამედ, თავზეხელალებულიც. ჯარისკაცი უნდა იყოს მამაცი, რადგან, სიმამაცე ერთ-ერთი ეთიკური ლირებულებაა, რომელიც ნორმის, ანუ, ქცევის წესის ფუნქციასაც ასრულებს. ნორმის ცნება კი ნირმალურობის ცნებიდან მომდინარობს. როგორც პროფ. ბერლნი ჭავანაშვილი აღნიშნავს, ნირმალურობის ცნება ფილოსოფიაში სამი მნიშვნელობით გაიგება: 1. ნორმალურობა, როგორც ჩვეულებრივი, ბუნებრივი მდგომარეობა; 2. ნორმალურობა, როგორც ნორმისეულობა, ნორმასათან შესაბამისობა; 3. ნორმალურობა, როგორც ლირებულება.

ავტორის მსჯელობა ასეთია: ნორმალურობის პირველი მნიშვნელობა ბუნებრივი მდგომარეობას აღნიშნავს. არაბუნებრივი და არანორმალური იქნებოდა, თუ, მაგალითად, მუხას რკოს ნაკველად კიტრი გამოესხა. ან მგელს ლექების ნაცვლად ბაჭიები დაეყარა. მაგრამ ავტორი მაინც ფიქრობს, რომ ნორმალურობის ასეთი კალსახა დაკავშირება საგნის არსთან სწორი არ უნდა იქოს. ავტორის დასკვნით, „თუ კი რაიმეს არსობრივი გარკვეულობა ამ რაიმეს გარკვეულობაზე უშუალოდ მიანიშნებს, მაშინ სიგიერ, მევლელობა, ქურდობა, აგრეთვე ნორმალურად უნდა ჩაგვეთვალა, რაკი

**თითოეულ მათგანს თავისი არსი გააჩნია**“ (გვ. 187). აქედან აკრიტიკი, თავის მხრივ, ასკვნის, რომ არსისთვის ნორმალურობის მიწერა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ნორმალურობა არის არსებითად გონითი სინამდვილის ფენომენი. მხოლოდ ადამიანის, როგორც გონით არსებას, შეუძლია არ იყოს ისეთი, როგორიც არის. აქედან გამომდინარე, ადამიანის ნორმალურობა, აკრიტის სიტუაციით რომ ვთქვათ, დარღვევის მუდმივი საფრთხის წინაშე.

ნორმალურობა მეორე მნიშვნელობით არის ნორმასთან რაიმეს შესაბამისობა. მაგალითად, ზნეობრივი საქციელი სწორი სწორივი ნორმის შესაბამისია. ამორალური ქმედება ამ აზრით ნორმალური არ არის, მაგრამ ამ მიმართებით „არანორმალური“ ფსიქიატრიის, ან ფსიქოლოგიის სფერო კი არაა, არამედ, აქსიოლოგის სფერო, სადაც ღირებულებათა წესრიგზეა (იერარქიაზეა) ღაპარაკი. კერძოდ, ამორალური ქმედება დაბალი, ან სუბიექტური (ან ორივე მათგანის) ღირებულების არსევის შედეგია და იგი ფსიქიატრულ შეშლილობას სრულიადაც არ წარმოადგენს. ბოლოს, ნორმალურობა ნიშნავს ღირებულებას. სიმამაცე ის ღირებულებაა, რომელიც ადამიანის შესაძლო არანორმალურ მდგომარეობას (სილაჩრესა და თავზეხელარებულობას) შორის მოსაშუალეობს და ამ აზრით ნორმალურია, ესე იგი, ნორმის, როგორც ქცევის წესის, იდეალურ შინაარსს შეადგენს. აკრიტიკი ასკვნის, რომ „ადამიანის ნორმალურობას ემუქრება დარღვევის მუდმივი ხიფათი და ამ ხიფათის ავტორი თვითონ ადამიანია“ (იქვე, გვ. 189). ამ ღებულების სასარგებლოდ მეტეცელებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ კცდილობთ შევქმნათ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, რომელიც აღამიანთა ერთი ნაწილის დანაშაულებრივი არანორმალურობის თავისებურ დასტურს წარმოადგენს. თუმცა, აქ მოკლედ მაინც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ღირებულება, როგორც იდეალი და იდეალური ფენომენი, რომელიც შეფასების საფუძველია, არც

თუ იშვიათადაა დაუკანილი „სარგებლიანობის“ ცნებაზე. დირექტული სასარგებლოს ხინონიმად იქნა გაგებული, მაგალითად, ზოგივრთ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში (С. С. Алексеев, Социальная ценность. Права в советском обществе, М. 1971). ამ პოსიციიდან სამართალი შეფასდა მისი საარგებლო თვისებების მიხედვით, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტალური ღირებულება. კადარია, რომ ამ თვალსაზრისით ფასდება სამართალი მისი ეფექტურობის მიხედვით, ესე იგი, თუ რამდენად შეაქვს სამართალს წესრიგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში საქმე ეხება არა იმდენად სამართლის შეფასებას (მით უმეტეს, მისი ეფექტურობის მიხედვით), რამდენადაც ქმედების სამართლებრივ შეფასებას. ცხადია, ფილოსოფიურად სამართალიც უნდა შეფასდეს, რათა დადგინდეს, არის თუ არა სამართლის ესა თუ ის სისტემა ღირსი, იყოს ადამიანთა ქმედების შეფასების საფუძველი (ფაშისტური რეჟიმის კანონი მხრილოდ ფორმალურად განასახიერებდა სამართალს, თუმცა, ამ მხრივ არც კიმუნისტური რეჟიმის სამართალი ბრწყინვავდა, რომ არაფერი კოქეათ სრულიად გაუმართლებელი, უკანონო, მასობრივ რეპრესიებზე). მაგრამ როგორც წესი, საქმე შეეხება ქმედების სამართლებრივ შეფასებას. ამ შემთხვევაში შეფასების საფუძველია სამართლის ნორმა, როგორც ქცევის განსაზღვრული წესი და სამართლებრივი ღირებულების არსებობის ფორმა. სამართლებრივი შეფასების საფუძველია სამართლის ნორმის ფორმაში მოქცეული ღირებულება, რომელიც მართლზომიერი საქციელის მოთხოვნაში გამოიხატება. სამართლებრივი შეფასების მიხედვით ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერი, როდესაც ეს ქმედება სამართლებრივი ნორმის მოთხოვნას ასრულებს და ქმნის მართლწესრიგს; ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგოც, თუ იგი არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწესრიგს (თუმცა, შესაძლებელია ისეთი ქმედებაც,

რომელიც არც მართლზომიერია და არც შართლსაწინააღმდეგო, მაგალითად, ქმედების შემაღენლობა). მაშასადამე, აქსიოლოგიის არასწორი გაგების, ანუ, სარგებლიანობისა და ლირებულების გაიგივების საფუძველზე ფასდება სამართალი და ქმედების საკუთრივ სამართლებრივი შეფასება, ანუ კვალიფიკაცია ამ პოზიციიდან არ ხდება. აქედან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება შეუძლებელია. უფრო მეტიც, ლირებულებისა და სარგებლიანობის გაიგივების ჩიადაგზე ლირებულება ყოველთვის დადებითია და ამიტომ არ არსებობს უარყოფითი ლირებულება. თუ უარყოფითი ლირებულება არ არსებობს, მაშინ, არც უარყოფითი შეფასება არსებობს. ამ ლოგიკით კი გამოდის, რომ ქმედება უასელება როგორც მხოლოდ მართლზომიერი, რადგან, სასარგებლო სწორედ მართლზომიერი ქმედებაა. ქმედების უარყოფითი შეფასება, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ან პოზიციიდან შეუძლებელია, რადგან, უარყოფითი ლირებულება, როგორც შეფასების საფუძველი, არ არსებობს. თუ უარყოფითი შეფასება არ არსებობს, მაშინ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია შეუძლებელია. მაშასადამე, სარგებლიანობისა და ლირებულების გაიგივება დაუშვებელია. (ამ გაიგივების შედეგებს ჩვენ შემდგომაც შევეხებით).

ამრიგად, ირკვევა, რომ ადამიანი არსებითად შემფასებელი არსებაა, ხოლო, შეფასება ლირებულების, როგორც იდეალური არსის საფუძველზე ხორციელდება. ლირებულება არის შეფასებისა და ორიენტაციის იდეალური საფუძველი (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ვ. მპაჩახია, ჭ. ნაფირაშვილი, დ. ბეჟვაძა, ვ. ჰელიძე, ლირებულება და განწყობა, „სოციოლოგიური ნარკუეტები,” თბილისი, 1969, ტვ. 46). სამწუხაროდ, ტერმინი „ლირებულება“ დღემდე არაა ბოლომდე გარეუებული. მაგალითად, ვ. ჰებოვი საუსებით მართებულად წარმოაჩენს აქსიოლოგიის, როგორც ლირებულების ფილოსოფიის, წარმოშობისა და განციფარების ეტა-

კებს, მაგრამ ღირებულების ცნება აკტორის კონცეფციაში საკმაოდ დამაბნეველია. მართლაც, აკტორი, ერთის მხრივ, ღირებულებად მიიჩნევს ცველაფერს, რაც საგნობრივად არსებობს, რის მიმართაც ადამიანი გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებს. ასეთ საგნებად აკტორი კვების პროდუქტებსაც და ჩატმის საშუალებებსაც კი მიიჩნევს (В. Н. Жуков, *Введение в юридическую аксиологию* (Вопросы Методологии), „Государство и право,” 2009, № 6, стр. 21). ამით იქმნება იმისი საფურთხე, რომ ღირებულება, როგორც აქსიოლოგიის ძირითადი ცნება, სარგებლიანობის ცნებას დაემთხვეს და მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით „ქურთუჭის ღირებულებაზეც“ ეისაუბროთ, რაც აქსიოლოგიის, როგორც ღირებულების ფილოსოფიის უარყოფას გამოიწვევდა. მეორეს მხრივ, აკტორი სუბიექტურ ღირებულებებად აცხადებს ნორმებს, აკრძალებებს, მოთხოვნებს, რომლებიც ღირებულებას იდეალური ფორმით შეიცავენ (იქვე). აკტორი სწორად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ღირებულების აქსიოლოგიური ანალიზი არსისა და ჯერარსის მიმართებით განხილვას მოითხოვს. მისი აზრით, სახელმწიფო და სამართალი, ერთის მხრივ, არსის სუეროს განვეკუთვნებიან და მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობაში ერთვებიან. მაგრამ ჯერარსის პოზიციიდან სამართალი საზოგადოებრივი ცნობიერების იმპერატიული სფეროა, რომელიც, აკტორის მტკიცებით, მნიშვნელოვნადაა მოწყებილი სოციოლოგიურ კანონებს და რომელსაც აქვს უნარი ამ კანონებში მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანოს (იქვე, გვ. 22). დამახასათებელია, რომ ხსენებული აკტორი, როგორც პროფესიით ფილოსოფოსი, როგორც ჩანს, უკეთ ხედავს სამართლის აქსიოლოგიური პრობლემატიკის სპეციფიკას, როცა ის აცხადებს, რომ სამართალი არსებითად ნორმატიული ბუნებისაა, რადგან, მას აღამიანთა ურთიერთობებში ნორმატიული წესრიგი შეაქვს (В. Н. Жуков, *Право как ценность*, „Государство и право,” 2010, № 1, стр. 28). ამ პოზიციიდან

აშეკარია, რომ დირებულება ჯერარსის, ანუ, ნორმის ფორ-მაში არსებობს, რის გამოც ნორმა, როგორც ქცევის წესი, თავის მსროლი, ნორმატიული შეფასების საფუძველია. არ-სებობს ეთიქური, ესთეტიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ა. შ. ნორმები. ამ ნორმების სპეციფიკა თითოეულის სფეროში შეფასების სპეციფიკას გამოხატავს. ეს ქმედების სისხლის სამართლებრივ შეფასებას, ანუ, კვალიფიკაციას უხება. სისხლის სამართლებრივად ქმედება შეიძლება და კვალიფიცირდეს როგორც მართლზო-მიერი და ეს ადამიანის ნორმალურობის მინიმალური მდ-გომარეობაა, რადგან, სისხლის სამართალში ნორმატიული მოთხოვნის მინიმუმია გამოხატული. სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლისა და ამ მოთხოვნის საფუძ-ველზე ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირს შორის. ეს ურთიერთობა, თა-ვის მხრივ, არის სახელმწიფოს წინაშე პიროვნებისა და ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირის პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმა. იგუ-ლისხმება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგე-ბლობა მართლზომიერი ქმედების ჩასენისათვის, რადგან, სისხლის სამართლის სუბიექტი (მათ შორის იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმეც) დანიშნულია მართლზომიერი ქმედებისთვის და მოწოდებულია მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. ამ პოზი-ციონისან ისიც გასაგებია, რომ სამართლებრივი ურთიერთო-ბა ღირებულებითი ურთიერთობის ნაისახეობაა. ამიტომა, სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ყალ-იბდება იურიდიული აზროვნების წესი და მისი ლოგიკური ფორმები (იურიდიული ხასიათის ცნებები და კატეგორიები, როგორიცაა, მაგალითად, „მართლზომიერი,“ „მართლსაწი-ნააღმდეგო,“ „პასუხისმგებლური,“ „უპასუხისმგებლო, ანუ,

ბრალეული, „დანაშაული“ და ა.შ). მართლაც, როგორც ცნობილია, ადამიანთა გარკვეული ქატეგორია ნორმატიული მოთხოვნის ამ მინიმუმსაც აღარ ასრულებს და არღვევს მართლზომიერი საქციელის ვალდებულებას. ამგეარი ქმედება კი ფასდება უარყოფითად, როგორც მართლსაწინააღმდეგო, რომელიც აღამიანის ნორმატიულად არანორმალურ მდგომარეობას გამოხატავს. ცხადია, მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება შეურაცხადმაც ჩაიდინოს, ხოლო, ბრალეული ქმედება შერაცხადი სუბიექტის სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის შედეგია და მისი ეს არანორმალურობა (ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა, როგორც შეფასებითი ცნებები) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების დანაშაულად შეფასების, ანუ, კვალიფიკაციის საფუძველია. როგორც ვთქვი, მართლზომიერია ქმედება, რომელიც ჩასუხილია სამართლებრივი ურთიერთობის ფორმასა და ფარგლებში და რომელიც ქმნის მართლწესრიგს. მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, რომელიც არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწესრიგს; ნაცვლად იმისა, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლურად მოჰკიდებოდა მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, ის, პირიქით, მოიქცა უპასუხისმგელოდ, ანუ, ბრალეულად. ქმედების დანაშაულად სრული და საბოლოო კვალიფიკაცია სისხლის სამართლის საქმის განხილვის სასამართლო სტადიაზე ხდება, მაგრამ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის ნაშენები ბუნების დასაღვერად ოვდაპირველად ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვლიფიკაციის ზოგიერთი საკითხი მაინც უნდა განვიხილოთ.

## § 2. არაბორალეულობის პრეზენტის პრიციპი და ძმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროგრესი

„ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის“, როგორც ტერ-  
მინის, ცნებად გაყორმების პრობლემატიკაში არსებითია ამ  
ქალიფიკაციის სუბიექტების პრობლემაც. ტრადიციულად  
შილებულია მტკიცება, რომ ქმედებას დანაშაულად აკვალი-  
ფიცირებენ გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე  
(კხალია, ოითოვეულის საქმიანობის სპეციფიკის გათვალ-  
ისწინებით). მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის კა-  
ნონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებისა და ჩად-  
ენილი ქმედების ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა,  
უპირველეს უოულისა, წინასწარი გამომძიების საქმეა. თუმ-  
ცა, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ქმედების დანაშაულად კვალი-  
ფიკია. მართლაც, ქმედება დანაშაულად მხრილოდ მაშინ  
შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როდესაც დანაშაული უკინ  
ჩადენილია. იურიდიული თვალსაზრისით დანაშაული ჩად-  
ენილია მხრილოდ მაშინ, როდესაც იგი დადასტურებულია  
გამამტკიცებული განაჩენით. აქედან ლოგიკურად გამომდი-  
ნარეობს დაკუნა, რომ, ჯერ ერთი, ერთმანეთისგან უნდა  
განვიახვავოთ დანაშაულის ფაქტობრივად ჩადენა და მისი  
იურიდიული კვალიფიკაცია დანაშაულად. მეორე, ქმედებას  
დანაშაულად სრული მოცულობით აკვალიფიცირებს მხ-  
რილოდ სასამართლო. თუ ეს ასეა, მაშინ ამ მიმართებით  
რაში მდგომარეობს წინასწარი გამომძიების ფუნქცია? საჭ-  
სისკ 112-ე მუხლის თანახმად, მტკიცების საგნის სტრუქტურ-  
აში შეტანილია ბრალიც. თუ იმას ვიტუვოთ, რომ წინასწარი  
გამომძიება ქმედებას დანაშაულად აკვალიფიცირებს, მაშინ  
მას სისხლის სამართლის საქმეზე მართლმხაჯულების  
განხორციელების ფუნქცია უნდა მიეწეროს, რაც დაუშვებუ-  
ლია, რაღაც, „მართალი მსაჯულების“ ფუნქცია მხრილოდ  
სასამართლოს მიეწერება.

წინასწარი გამომძიების სტადიაზე ქმედების დანაშაულად

კეალიფიკაციის დაკანონება არსებითად ეწინააღმდეგება ქმედების ჩამდენი პირის სამართლებრივ (პროცესუალურ) მდგრმარეობას. კერძოდ, „დანაშაული“ ბრალის გარეშე არ არსებობს. თუ ქმედებას დანაშაულად წინასწარი გამოიყება აკეალიფიცირებს, მაშინ, ლოგიკურია დასკვნაც, რომ წინასწარი გამოიყება აღგენს პირის ბრალეულობას. ჩერ-მინი „ბრალდებულის ბრალეულობა“ წინააღმდეგობრივი ტერმინია და იგი არსებითად ეწინააღმდეგება ბრალდებულის ობიექტურ პროცესუალურ მდგრმარეობას და უხეშად არღვევს ბრალდებულის უფლებას. საქმე ის გახლავო, რომ წინასწარი გამოიყების სტადიაზე ქმედების შემადგენლობის განმახორციელებელი პირი შეიძლება კნობილ იქნეს ბრალდებულად, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაა ბრალეული. ბრალდება ბრალის ფორმებს ეყრდნობა. ხოლო ბრალის ფორმა ჯერ კიდევ ბრალი არ არის, ისევე როგორც ფორმა ჯერ კიდევ შინაარსს არ გამოხატავს. არსებობს არაბრალეულობის პრეზუმეციის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმად, ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგრმარეობის თანახმად, არაბრალეულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დადასტურებული გამამტყუნებელი განაჩენით. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს დანაშაულის ცნება, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ესაა დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, რომლის მიხედვით, ქმედების მართლსწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი ქმედების შემადგენლობის სრტუქტურაში არ შედის. ბუნებრივია, თუ ჩადენილ ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნების დადგენა არც ქმედების მარ-

თლწინააღმდეგობის ადგენს და არც სუბიექტის ბრალს. ქმედების მართლწინააღმდეგობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეორე ეტაპზე იკარაულება. სუბიექტის ბრალი კი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე, ანუ, სასამართლო ეტაპზე უნდა დადგინდეს. რაც შეეხება წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალეულობის საკითხს, მას შემდგომ უფრო ღრმად განვიხილავთ.

ამრიგად, დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი ბრალდებულის არაბრალეულობის პრეზუმუციის საფუძველია. ამიტომ, შეცდომაა ამ პრინციპის წარმოდგენა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის პრინციპად, მისი მატერიალურ-სისხლის სამართლებრივი საფუძვლებისგან მოწყვეტით. სხვანაირად რომ ვთქვათ, არაბრალეულობის პრეზუმუციის პრინციპი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ერთიანობას გამოხატავს, რადგან, ვიმეორებთ, ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში არ შედის. მაშასალამე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი დანაშაულის ელემენტებია და არა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები.

გასაგებია, რომ დანაშაულის ცნების რესულ მოდელში, რომელშიც დანაშაულის ელემენტები (საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი) ქმედების შემადგენლობის ელემენტებსაც წარმოადგენს, დანაშაული და მისი შემადგენლობა ერთი და იგივეა. ამ ლოგიკით, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება უდრის დანაშაულის ჩადენას. შემადგენლობა, ისევე როგორც დანაშაული, საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. ამიტომ, არც ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი და არც ბრალის გამომრიცხავი გარემოებანი არსებობს. შემთხვევითი არც ისაა, რომ რესი კრიმინალისტები იძულებული არიან მაინც ილაპარაკონ ამ გარემოებებზე, რომელსაც უწო-

длжебных „ქმედების დანაშაულებრიობის გამომრიცხავ გარემოებებს“ (Обстоятельства, исключающие преступность деяния). Так же кмежедебыи შემადგენლობის სტრუქტურაში ბრალიც იგულისხმება, როგორც ეს შემადგენლობის კნების რუსულ მოდელშია, მაშინ, ქმედების შემადგენლობის განმახორცილებელი პირი იმთავითვე ბრალეულია და, მაშასადამე, არაბრალერულობის პრეზუმუციის პრინციპის მატერიალური (სისხლის-სამართლებრივი) საფუძველი არ არსებობს. ამიტომაა, რომ რუსი კრიმინალისტები და პროცესუალისტები არაბრალეულობის პრეზუმუციის პრინციპს ლოგიკური წინააღმდეგობის გარეშე კურ ასაბუთებენ, თუმცა, ამ მიმართებით დაშატებით სიძნელეს ბრალის ფსიქოლოგიური თეორიაც ქმნის. კერძოდ, ქმედებისა და მიხი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ბრალის სიჩრინი, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში იაზრება და ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების სფეროში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს საქმიანობის გამიჯვნა შეუძლებელია. უფრო მეტიც, „დანაშაულად კვალიფიკირების“ ტრადიციულ თეორიაში სახელმწიფო, როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების უპირველესი სუბიექტი. როგორც წესი, სათანადოდ არც განიხილება, მაშინ, როდესაც სადაც არ არის, რომ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკირებია სისხლის სამართლის კანონში ქმედების დანაშაულად სახელმწიფო კვალიფიკირების შესაბამისი უნდა იყოს. О. დებო-როვი საკისებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „სისხლის სამართლის კანონი ადგენს მოცემული ტიპის ცალკეულ დანაშაულთა ზოგად ნიშნებს, ამ ნიშნების სისტემასთან აკავშირებს დანაშაულთა ზოგად სახელმწიფო ებრივ შეფასებას. სასამართლო, რომელიც ჩადენილ ქმედებაში ადგენს მოცემულ ნიშანთა სისტემას, ვალდებულია ამ ამ დანაშაულს მისცეს მისი საკანონმდებლო შეფასების შესაბამისი შეფასება“ (Ю. А. Демидов, Социальная ценность и оценка в уголовном праве, М. 1975, стр. 149).

ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება 6. ბაბის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კანონის აგებისას კანონმდებელმა ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს. მისი აზრით, ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციის ლოგიკური წესების გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონის აგების პროცესში საშუალებას მოგვცემდა, მიგვეღო ლოგიკურად სწორი ერთადერთი დასკვნა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ ნორმით. მაგრამ ირკვევა, რომ ამ მხრივ კითხვები ბეჭრია. ამის ერთ-ერთ მაგალითად აკრიტიკული ასახელებს სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციას მოელისა და ნაწილის მიხედვით. კერძოდ, თუ კონკურენციის ამ წესს გამოვიყენებთ კანიალური თავდასხმით ჩადენილი მკელელობის კეალიფიკაციის დროს, დაუინახავთ, რომ აქ არის დანაშაულთა ერთობლიობა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „ნ“ პუნქტით და 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ პუნქტით (ესე იგი, დაზარალებულისთვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიუენებით). ავტორი ასე მსჯელობს: მკელელობა კანიალობის შემაღვენლობაში არ შედის. მაგრამ თეორიასა და პრაქტიკაში გამჟარდა აზრი, რომ მკელელობა კანიალობაში შედის ნაწილობრივ. ამიტომ მკელელობა როგორდაც კეალიფიცირდება ორჯერ: ერთი, რომელიც კანიალობაში შედის ნაწილობრივ და მეორე, რომელიც კანიალობაში არ შედის. უფრო სწორად, გამოდის, რომ ერთი და იგივე დაზარალებული არის მოკლელი და ამავე დრის მძიმედ დაჭრილი. მაგრამ, - მსჯელობს აკრიტიკი, - იმ შემთხვევაშიც კი, თუ მკელელობას საერთოდ გამოვიჩანთ კანიალობიდან და ვიტყვით, რომ მკელელობა შთანთქავს კანიალობას, მაინც ლიად რჩება კანიალობის დროს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიუენების გარემოფენათა შერაცხვის საკითხი (Н. Бабий, Принципы построения

уголовного законов и квалификация преступлений, „Уголовное Право,” 2006, № 3, стр. 4.). Аქტორი აგრძელებს: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც გაუფრთხილებლობით მოჰკვდის დაზიანებულის სიკედილი, მიღებულია დაკვალიუმირდეს III-ე მუხლის მე-4 ნაწილით და და 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“ პუნქტით. აქტელან ავტორი ასკუნის: „თუ შევეცდებით იმის გარკვევას, თუ რომელ ობიექტურ გარემოებებს ასახავს აღნიშნული კვალიფიკაცია, მაშინ ასეთი სურათი მიიღება: ყაჩაღობის დროს მძიმედ დაჭრილ დაზარალებულს მის ჯანმრთელობას დამატებით ადგება ზიანი, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა, ესე იგი, ერთსა და იმავე დაზარალებულს ორჯერ ადგება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რომელთაგან ერთ-ერთ მათგანს გაუფრთხილებლობით მოჰკვდის დაზარალებულის სიკედილი“ (იქვე, გვ. 5). აქტელან გამომდინარე, ავტორი ასკუნის, რომ ქმედების ამგეარი კვალიფიკაცია ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს სწორად არ ასახავს და ეწინააღმდეგება ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ შერაცხვის დაუშვეებლობას (იქვე).

აუტორი ამ მხრივ სხვა შაგალითებსაც იშეველიებს. ამ-ჯერად მოკლედ შეენერდები იმ დასკვნაზე, რომელსაც ავტორი აქალიბებს. კერძოდ, ავტორი ფიქრობს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიუმიკის ტრადიციული თეორია უნდა გადაისინჯოს იმ მხრივ, რომ მას უფრო სერიოზული და ღრმა აზრი უნდა მიენიჭოს. მისი მტკიცებით, „ამგვარი მოდგრმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის მეცნიერულად დასაბუთებულ წესებს აუცილებელია ამავე დროს მიენიჭოთ სისხლის სამართლის კანონის აგების პრინციპების მნიშვნელობაც. ამ წესებისა და პრინციპების ერთიანობა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ სისხლის სამართლის ნორმების მწყობრი სისტემა, რომელიც დოგიკურად გაითვალისწინებს და შეიცავს მისი გამოყენების წესების შესახებ ძირითად დებულებებს“ (იქვე, გვ. 6).

აზრი საუკრადლებოა, მოუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლითა (მკვლელობა დამამდიმუბელ გარემოებებში) და 179-ე მუხლის (კანალობა) შეპირისპირებითი აზალიზი ამგვარ პრობლემებს არ ქმნის: თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს სადენილი იქნა მკვლელობა, მაშინ, ქმედება უნდა დაკალიფიცირდეს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით (მკვლელობა ანგარებით, ან შეკვეთით) და 179-ე მუხლით (კანალობა), რადგან, 109-ე მუხლი ყაჩაღური გზით მკვლელობას არ ითვალისწინებს.

როგორც ვხედავთ, ქმედების დანაშაულად სასამართლო კადიფიკაციის ობიექტების კრიტერიუმი ამ ქმედების საკანონდებლო კადიფიკაცია უნდა იყოს. გარდა ამისა, ამ საქმეში წინასწარი გამოიძიების საქმიანობის აღგილი და წესიც უნდა გაირკვეს. ყოველივე ეს კი სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების პრობლემას უკავშირდება. მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხიც.

### § 3. საგართლებრივი სახელმწიფოს იდეა და ძირითადი დანაშაულად კვალიფიკაციის ზობაზი თეორია

პასუხი კითხვაზე, აკვალიფიცირებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ქმედებას დანაშაულად, პირდაპირაა გაკვემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირკულსაკე მუხლში. კერძოდ, ამ მუხლის პირკულ ნაწილში ნათქვამია: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან ხვა სახის სისხლისსამართლებრივ დინისპირას.“

ამ მუხლიდან წანის, რომ სახელმწიფო, როგორც კანონ-

მდებელი, აღგენს დანაშაულის ელემენტებს; იგი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად სისხლის სამართლის კანონში. ამ პოზიციისან გასაგებია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის უპირველესი სუბიექტი არის სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი (საქართველოს პარლამენტი), რომელიც ამ კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კანონში გამოხატავს. ამ აზრით იგულისხმება კრიმინალისაციის, ანუ, ადამიანთა განსაზღვრული ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციის შედეგი. როგორც პ. ბორობევი აღნიშნავდა, „კრიმინალიზაცია არის ინდიკიდუალური ქცევის საზოგადოებრივად საშიში ფორმების გამოვლენის, მათთან სისხლისამართლებრივი ბრძოლის დაშვების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის, სისხლის სამართლის კანონში დანაშაულად მათი აღიარებისა და სისხლისამართლებრივ ქმედებათა სახით მათი ფიქსაციის პროცესი“ А. И. Коробеев, Уголовная наказуемость общественно опасных деяний, Хабаровск, 1986, стр. 28).

ისიც გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კანონში განსაზღვრულ ქმედებათა დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაცია პოლიტიკურ აქტისაც წარმოადგენს, რაღაც, ამა თუ ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაცია პოლიტიკური მოტივაციის გარეშე არ ხდება. იგულისხმება, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროშიც ვლინდება. მაგრამ ამჯერად უურადღებას მიუაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია, როგორც უკვე ითქვა, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის შესაბამისად უნდა ხდებოდეს. ჯერ კიდევ ჩხზარე ბებარია ამოღიოდა იმ მოთხოვნიდან, რომ კანონმდებელი ამავე დროს არ შეიძლება მოსამართლეც იყოს. იგი ამ მხრივ ქმედების სასამართლო კვალიფიკაციის იდეას ასაბუთებს. მისი აზრით, სასამართლო მოწოდებულია

დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა კინშემ კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ყოველი დანაშაულის გამო, - ასევე ავტორი, - მოსამართლე ვალდებულია, ააგოს სწორი დასკვნა. დიდი წანამდევარი - სოფადი კანონი; მცირე წანამდევარი - ქმედება. რომელიც ეწინააღმდეგება, ან ეთანხმება კანონს; დასკვნა: თავისუფლება, ან სასჯელი (Ч. Беккария, О преступлениях и наказаниях, М. 1939, стр. 206).

როგორც უხედავთ, ჩეზარე ბეპარია მისითვის დამახასიათებელი სიცხადით გამოხატავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციიაში ხელისუფლებათა განაწილების იდეას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად. ავტორი ლოგიკური თვალსაზრისით გამოიყენამს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის მოთხოვნას. ცხადია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის ფორმალურ-ლოგიკური წესების (სილოგიზმის) გამოყენება საკმარისი არ არის, მაგრამ ეს საკითხი ამჯერად არ გვაინტერესებს. ამ მიმართებით მოვარია, რომ „ქვედების დანაშაულად კვალიფიკაციის“ ცნება ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს გამოხატავს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად. თუ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრინციპი ხელისუფლებათა განაწილებაში მდგომარეობს (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად), მაშინ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სისხლის სამართლის სფეროშიც ვლინდება. ეს, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო სამართლებრივად ორგანიზებული და მოწყობილი ინსტიტუტია. სახელმწიფო, როგორც სოციალური წარმონაქმნი და სასოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია, ცხადია, კოსტიურების სფეროა და ამ თვალსაზრისით ის სოციალური ფილოსოფიის, სოციოლიტიკის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკური თეორიის და ა. შ. მეცნიერებათა ინტერესის საგანია. გასაგებია, რომ იურიდიული მჯუნიერება სახელმწიფოს სწვდება სამართლებრივი მოწყობის, კანონშემოქმედი

## რისით.

თუ სახელმწიფო იურიდიული თვალსაზრისით სამართლებრივად ორგანიზებული და მოწყობილი ინსტიტუტია, მაშინ სახელმწიფოს სამართლის ბაზონობა საზოგადო მოვლენაა და, მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც რაღაც განსაკუთრებული მოვლენა, შეუძლიერებელი ჩანს. ამ მოსაზრებას თავისებური არგუმენტაცით გამოიქამს კიდევ 3. პოზიციაზე. მიხი აზრით, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა არის არა სამართლებრივი თეორიის, არამედ, იდეოლოგიურ-პოლიტიკური სფერო, რომელიც საზოგადოების რეერდუკიური გარდაქნის მოთხოვნების ეხმიანება. აქედან ავტორი ასკვნის, რომ “ სამართლებრივი სახელმწიფო ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ” (Э. А. Поздняков, Философия государства и права, М. 1995, стр. 167). ავტორი უიქრობს, რომ სახელმწიფო, მაშინაც კი, როდესაც მას დესპოტის ნება განსაზღვრავს, სამართლებრივია, რაღან, „იგი იმანენტურად შეიცავს სამართლისა და მართლწესრიგის ცნებებს ” (იქვე, გვ. 188). ავტორი ამ მხრივ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასაც აკრიტიკებს. „თუ წარმოვიდგენთ სახელმწიფოს, - აღნიშნავს ავტორი, - რომელშიც არსებობს სამი დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელთაგან ერთი ქმნის კანონებს, მაგრამ უძლურია აიმულოს სასამართლოები და ადმინისტრაცია შეასრულონ ისინი; მეორე ასამართლებს, როგორც მას მოესურვება, მაგრამ უძლურია, თავისი გამოცდილება გადასცეს კანონმდებლობას, ასევე აიმულოს სისრულეში მოიყვანოს თავისი დადგენილებანი და განაჩენები; მესამე კი მოქმედებს პირველი ორისგან სრულიად დამოუკიდებლად, მაშინ, ჩვენ მივიღებთ შეშლილთა სახლის სრულ სურათს, რაც ზოგიერთ ჩვენს სამართლისმცოდნეს სურს იხილოს რუსეთში ” (იქვე, გვ. 188-189).

(კადია, ავტორი მართლაც ხატავს თავისებურ „შეშლილთა სახლს,“ რომელშიც ერომანეთს არავინ არაყვერს

ეკითხება და ერთმანეთისგან არც არაფერს მოითხოვს. ამგვარი ვითარება, თუ ის შეიქმნა, – ჩართლაც დაანგრევს სახელმწიფოს. ჩაგრამ ოღნავ დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმოუდგენელია მოქმედი კანონმდებლობისგან სასამართლო ხელისუფლების იმგვარი დამოუკიდებლობა, რომ იგი თვითნებურად ეწეოდეს აღამიანთა გასამართლებას. სადავო არ უნდა იყოს ის დემულება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონი ემორჩილება. მეორეს მხრივ, სასამართლოს ხელს არაფერი უშლის, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკიაში თავისი ყოველდღიური პრაქტიკული გამოცდილება კანონმდებელს გაუსიაროს. განა შემთხვევითია, რომ კანონშემოქმედების წარმატებისთვის სასამართლო პრაქტიკის განხოგადების შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება? მით უმეტეს, რომ ე. პოზდიაპოვი სრულიადაც არ უარყოფს ხელისუფლების ცალკეულ შტოებში ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობას, როდესაც ერთი უკანონოდ ითვისებს მეორის ფუნქციას. ამდენად, ავტორი სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციისა და სპეციალიზაციის გატარება გარდუვალად მიაჩნია. მისი აზრით, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სპეციალიზაციას არ ექვემდებარება. ეს რომ მოხდეს, მაშინ ის თავის „ძალასა და არსებობას დაკარგავდა, როგორც ერთიანი წარმმართველი ძალა“ (იქვე, გვ. 169). ცხადია, სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის სრულიად განსხვავებულ კომპეტენციას. ეს, ჩვენს შემთხვევაში ანუ, ქმედების დანაშაულად კუალიფიკაციის თეორიაში, ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეში ხელისუფლების სამივე შტო (საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) თავისებურად და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს. საქართველოს პარლამენტი ქმნის სისხლის სამართლის კანონს, რომელშიც აღამიანთა განსაზღვრული ქმედება კვალიფიკირებულია დანაშაუ-

ლად; წინასწარი გამოიყება, თუმცა, იგი, როგორც სწორად მიუთითებდა პროფ. ი. ბაბისონია, კლასიკური გაგებით არაა „აღმასრულებელი“ ორგანო (იხ. მისი „პროკურატურის სტატუსი სასღვარგარეთ და საქართველოში,“ თბილისი, 1999), ადგენს კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას და განსაზღვრულ პირობებში ვარაუდობს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის არსებობას, თუ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის გამომრიცხავი გარემოებანი. მაგალითად, თუ სახეზეა სხვა აღამიანის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, მაშინ, საკითხავია: ხომ არაა აქ აუცილებელი მოგერიება? თუ აუცილებელი მოგერიება არ იყო, მაშინ, ივარაუდება, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგო. თუ სუბიექტი შეურაცხადი არ იყო, მაშინ ივარაუდება, რომ სუბიექტის ბრალი გამორიცხული არ არის. ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის ეტაპზე კი დასკვნა ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის შესახებ კატეგორიულია და არა საკარაულო, რადგან, საკარაულო დასკვნებზე განაჩენის დამეჯარება დაუშვებელია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სამართლებრივი სახელმწიფოს იღეას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის თავისებური გარანტიაა. პროფ. ბ. ინდირველი თავის დროზე სწორად შენიშნავდა, რომ, „სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, კანონის უზენაესობისა და მისი აღსრულების აუცილებლობის გარდა, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვაა“ (ბ. ინდირველი, იურიდიული მეცნიერება და საქართველოს სახელომწიფო იურიდიული კონსტიტუციური საფუძვლები, „სამართლებრივი რეფორმა საქართველოში,“ თბილისი, 1996, გვ. 21).

სამართლებრივი სახელმწიფოს ეროვნული კონცეფცია საინტერესოსადაა ნათელურიყობი პროფ. ბ. სამართლის ნაზრეუშიც. ავტორი სხვათაშორის ხახგასმით აღნიშნავს, რომ ერი, რომელსაც შეუძლია სახელმწიფო სამართლებრივად მოაწეოს, - „უძლეველი და სიცოცხლისუნარიანია“ (ამავე კრებულში იხილეთ მისი „ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები,“ გვ. 25). სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა აუცილებელია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თეორიის აგებისას ჟისხლის სამართლის კანონის ფორმალური გაგების ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ და უნებლიერ არ გავამართლოთ, მაგალითად, ფაშისტური რეჟიმის მიერ მისი საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ფორმალური კვალიფიკაცია დანაშაულად. ამ უაღრესად საშიში და ფორმალისტური დასკვნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ, მართალია, სახელმწიფოს საქამომდებლო საქმიანობას პოლიტიკური მიღებაც განსაზღვრავს, მაგრამ სამართლებრივ სახელმწიფოში, სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობის იდეის შესაბამისად, სამართალი წინ უწრებს სახელმწიფოს. ამიტომაა, რომ კანონი სამართალს მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოხატავს. კანონი სამართლის ერთერთი ძირითადი უფორმაა, ანუ, წეართა. როგორც პროფ. ბ. ხებუა აღნიშნავს, კანონსა და სამართალს შორის თვისევ-ბრივი ხასიათის განსხვავება ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ქველი კანონი „კვლება“ გაცილებით უფრო ადრე, მის იფიციალურ გაუქმებამდე, ახალი სამართალი წნდება უფრო ადრე, ვიდრე, იგი გარანტირებული იქნება ახალი კანონით“ (იხ. მისი „კანონი სოციალისტურ სამართლებრივ სახელმწიფოში“, „საბჭოთა სამართალი,“ 1989, №5, გვ. 60).

ამრიგად, კანონის უზენაესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით სახელმწიფოს სამართლის პრიმატს გამოხატავს, რაღაც, გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც

კანონი მოწყვეტილია სამართალს და ანტისამართლებრივია. ამიტომ, უზენაესობის ღირხია არა კოველი კანონი, არამედ, სწორედ ისეთი, რომელიც დემოკრატიული წესითაა მიღებული და მასში საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ნებაა გამოხატული. ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კანონის სამართლებრივი ძუნება და კრიტერიუმი გამოხატულია დებულებით, რომ „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ (საქ. სხ. პირველი მუხლის მეორე ნაწილი).

საკითხავია: სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი, რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, როდესაც იგი ქმედებას დანაშაულად აცხადებს? თუ სისხლის სამართლის კანონი საზოგადოების უმრავლესობის ნებას გამოხატავს, მაშინ, ქმედებას დანაშაულად, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოება უნდა აკვალიფიცირებდეს, ხოლო, სახელმწიფო ითვალისწინებლების ქმედების ამ საზოგადოებრივ შეფასებას და თავისი პოლიტიკური მოტივაციის გათვალისწინებით იღებდეს საბოლოო საკანონმდებლო გადაწყვეტილებას. ამ თვალსაზრისით უპრიანი იქნებოდა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმი. მაგრამ საინტერესოა, რომ, პროფ. ბ. ხორნაბეჭელა (ზარაზიშვილი) ეს კრიტერიუმი მიხი აბსტრაქტულობისა და გაურკვევლობის საბაბით უარყო და აღიარა დანაშაულებრივი ქმედების ამორალურობა. ბ. ხორნაბეჭელი (ზარაზიშვილი) მიუთითებდა, რომ დანაშაული სწორედ ის ქმედებაა, რომელიც საზოგადოების მიერ უკავე შექასებულია ამორალურად. მიხი ასრით, „იქამდე, ვიდრე კანონმდებელი აღიარებს მოვლენას დანაშაულად, ის საზოგადოების მიერ უკავე შეფასებულია როგორც საზოგადოებრივად შეუთავსებელი (შეურიგებელი), ამორალური და ასეთი შეფასება არსებობს, როგორც ობიექტური ფაქტი. ქმედების საზოგადოებისათვის შეუთავსებელი ამორალურობა მისი სტაბილურობის სახით—დანაშაულის აუცილებელი

**ლი ელემენტია” (Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 10-11)**

როგორც ვხედავთ, საზოგადოება თავიდანეე ამორალურად მიიჩნევს განსაზღვრულ ქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის კანონში დანაშაულად ქვალიფიკირიას იმსახურებს. ეს მოსაზრება საინტერესოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მასში პირდაპირაა გამოხატული ქმედების დანაშაულად ქვალიფიკირები საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაფარდობა. სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაფარდობა (ურთიერთობა) სისხლის სამართლი მეცნიერების საგანია (იხილეთ უფრო დაწვრილებით ბ. ნაჟყაბია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილისი, 1998). მაგრამ საკმარისია თუ არა ქმედების ამორალურობა მისი დანაშაულად საკანონმდებლო ქვალიფიკირებისათვის? ჩემის აზრით, არ არის საკმარისი. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, მცირემნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც ზიანს არ აუქნებს სისხლის სამართლის კანონით დაცელ სიკეთეს, ან არ ქმნის ასეთი ზიანის მიუქნების საფრთხეს, დანაშაულად არ ჩაითვლება. აშკარაა, რომ ტერმინი „საფრთხე“ ქმედების სოციალურ საშიშროებაზე მიანიშნებს. სამწევებაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ცნები განმარტებულია წმინდა ფირმალურად, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულის ცნების ამ წმინდა უორმალური განსაზღვრებიდან გამომდინარე, სრულიად გაუგებარი ხდება ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკირის კრიტერიუმი. ქმედების ამორალურობა ამ შერიც, როგორც უკვე ითქვა, საკმარისი არ არის. ზნეობა საზოგადოებრივი ცხოვრების იმდენად ფაქტის სფეროა და აღამიანს იმდენად მაღალ მოთხოვნას წარუდგენს, რომ ამ

პოზიციიდან მცირებნიშვენელოვანი ქმედებაც კი ამორალურია. ამდენად, დგება ქმედების ლანაშაულად საკანონიშვებლო კვალიფიკაციის კრიტერიუმის პრობლემა.

ვფიქრობთ, ქმედების სოციალური საშიშროება ამ მხრივ უურალდების ლირიკა. მართალია, ქმედების ლანაშაულად კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას გადამწყვეტად ხაძჭოურ სისხლის სამართალში მიიჩნევდენენ, რასაც იდეოლოგიური დატეკიროვაც პქონდა, მაგრამ ამის გამო მისი სრული უგულებელეობა სწორი არ უნდა იქნას. დანაშაულის წმინდა ფორმალური განსაზღვრების პოზიციიდან შეუძლებელია, მაგალითად, ყაჩალობისა და ძარცვის გამიჯვნა. მართლაც, ცნობილია, რომ მართლწინააღმდეგობას, როგორც ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასებას, არაკითარი მეტ-ნაკლებობის, ანუ, ხარისხის თვისება არა აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, ყაჩალობა უფრო მართლსაწინააღმდეგოა, ვიდრე ძარცვა, რადგან, ერთიც მართლსაწინააღმდეგოა და მეორეც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველ ნაწილში კი ყაჩალობა განმარტებულია, როგორც თავდასხმა სხვისი მოძრავი ნიუთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ხიცოცხლისთვის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ძარცვა კი შეიძლება ჩადენილ იქნეს ძალადობის გარეშეც, მაგრამ თუ იგი ძალადობით განხორციელდა, მაშინ ეს ძალადობა, ხაქ. სხვ 178-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სოცოცხლის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩალობად და არა ძარცვად. გარდა ამისა, მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ამარა როგორ გინდათ გადაწყვიტოთ დანაშაულთა კატეგორიაციის პრობლემა? მართლწინააღმდეგობას, როგორც უკავე ითქვა, არაკითარი ხარისხობრივი საზომი არა აქვს, მაშინ, როდესაც საქართველოს ხისხლის სამართლის

კოდექსის მუ-12 მუხლისი დანაშაულებრივი ქმედება, მისი სიმძიმის მიხედვით, იყოფა ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიად. ცხადია, აქ დანაშაულებრივი ქმედების სოციალური საშიშროების მეტ-ნაკლები ხარისხი იგულისხმება. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მითითება ქმედების საშიშროებაზე, ან მის მიერ საფრთხის შექნაზე საქმართვის ხშირია. მაგალითად, საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ლაპარაკია სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებაზე (საქ. სსკ 127-ე მუხლი); იმაზე, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა (განსაკლელ ში მიტოვება - 128-ე მუხლი) და სხვა. ასეთივე საშიშროებაზეა ლაპარაკი, მაგალითად, საქ. სსკ XXX თავში((დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ). ამიტომ, ვაჟიქრობთ, რომ საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმის უგულებელყოფა გაუგებარს ხდის ქმედების დანაშაულად როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო კვალიფიკაციის თავისებურებას. ცხადია, ტერმინი „საშიში“ ხშირ შემთხვევაში აღნიშნავს ობიექტურ ვითარებას, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი შეფასებითი არ არის და ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროება ქმედების საზოგადოებრივ შეფასებას არ გამოხატავს. პირიქით, თუ მცირემნიშვნელოვანი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ, ბუნებრივია, საზოგადოებრივი საშიშროება ქმედების ის მნიშვნელობაა, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში, მასში მოქმედი ტრადიციის, ჩვეულების, თუ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ამა თუ იმ ქმედებას ენიჭება. ამიტომ, ვაჟიქრობ, კანონმდებელი ამა თუ იმ ქმდების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად (მაგალითად, ამ თუ იმ ქმედების გავრცელებულობა, მისი ხრდის, თუ შემცირების ტენდენცია) მხედველობაში იღებს ამ ქმედების საზოგადოებრივ ელერადობასაც. მნიშვნელობასაც(რეზონანსაც). მით უმეტეს, რომ ამ მიმართებით მართლწინააღდევობა,

როგორც ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, ქმედების საზოგადოებრივ შეფასებასთან (საზოგადოებრივ საშიშროებასთან) მიმართებაში მეორეულია. კანონისძებელი მხედველობაში იღებს ამა თუ იმ ქმედების საზოგადოებრივ შეფასებას, თავისი პოლიტიკური ამოცანების კვალობაზე აფასებს მას ვითარც მართლსაწინააღმდეგოს და შხოლოდ ამის შემდეგ აღწერს ამ ქმედების შემაღვენლობას სისხლის სამართლის კანონში. აღსანიშნავია, რომ სსსკ 28-ე მუხლი ში ჩამოთვლილია სისხლის სამართლებრივი დეკრისა და წინასწარი გასმოძიების შეწყვეტის საფუძველები, „ლ“ პუნქტად დასახელებულია ვითარების შეცვლა, რომლის შედეგად ქმედება აღარ არის საზოგადოებრივად საშიში (ჩაზიანმა ჩვენია - გ. ჩ.). იგულისხმება, რომ ვითარების შეცვლამდე ქმედება საზოგადოებრივად საშიში იყო.

შესაძელებელია ვიფიქროთ, რომ ქმედების ბუნებას, მისი მეტ-ნაკლები სიმძიმის მიხედვით, გამოხატავს უმართლობის ცნება, როგორც ქმედების შემაღვენლობისა და ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის ერთიანობა. უმართლობის სტრუქტურაში ბრალი არ შედის, მაგრამ ბრალის ფრირმებისგან მოწყვეტით უმართლობის წიპიზაცია შეუძლებელია. მაგალითად, მკვლელობის ცნება განისაზღვრება, როგორც სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსაობა. მაშასადამე, შეურაცხადი პირის მიერ სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ მკვლელობის უმართლობად იგი ვერ ჩაითვლება, რადგან, შეურაცხადი პირი განზრახ ვერ იმოქმედებს. მკვლელობის უმართლობა უყვრო მძიმეა, ვიდრე, ვთქვაო, ქურდობისა. უმართლობის ცნება, როგორც ჩანს, ქმედების მეტ-ნაკლები სიმძიმის გამოხატულებაა და ეს მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სოციალური საშიშროებისაგან მოწყვეტით იგი მაინც არ არსებობს. მით უმეტეს, რომ უმართლობა კრიმინალურაციის, ანუ, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის ერთადერთ კრიტერიუმია არ გამოდგება.

ერთეულივე აქტების ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სასამართლო, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას, დანაშაულის ცნების ფორმალური განსახლერებით ვერ შემოიფარგლება. იგი ქმედებას უნდა აძლევდეს ისეთივე შეფასებას, როგორიც ამ ქმედებას, მისი საზოგადოებრივი შეფასების კვალობაზე, მისცა კანონმდებლელმა. ამაზე მეტყველებს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების საკანონმდებლო გადაწყვეტაც. ქმედების სწორი სასამართლო კვალიფიკაცია სასჯელის დანიშვნის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მხრივ კურადღებას იქცევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მუსამე ნაწილი, რომლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამიმებელ გარემოებებს, მოვალეობითა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების ხერხს, ბრალეულის წარსულ ცხოვრებას, პირად ეკონომიკურ მდგომარეობას და ა.შ., რომელთა დაღვენა, ცხადია, მართლწინააღმდეგობის, როგორც ქმედების წმინდა სამართლებრივი შეფასების ფარგლებში შეუძლებელია (ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმეგობის თანაფარდობის შესახებ იხილეთ თ. ფერეთმლი, თბილისი, 2006).

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ წინასწარი გამოძიებისთვის, როგორც წესი, საკმარისია ქმედების მართლწინააღმდეგობის თაობაზე სავარაუდო დასკვნა და ამდენად ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებაზე მსჯელობა ყოველთვის როდია აუცილებელი. მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება საჭიროა, მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას (თუმცა, ახალ საპროცესო კოდექსში ეს საკითხი წესდება სასამართლოში). ჩვენ უკვე დავასახელეთ საქ. სსკ 28-ე მუხლის „ღ“ პუნქტი, რომელშიც სისხლისსამართლებრივი დეკნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად დასახელებულია კითარების შეკვეთა, რომლის შესახებ ქმედება აღარ

არის საშიში. გარდა ამისა, 112-ე მუხლის “ ე ” პუნქტის თანახმად, წინასწარმა გამოძიებამ ვალდებულია დააღმინოს დანაშაულის შედეგად მიუენებული ზიანის ოდენობა და ხასიათი. ბუნებრივია, რომ აქ იგულისხმება ჩადენილი ქმედების შეფასება მისი მატერიალური, თუ მორალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით, ხოლო, ეს ქმედების სოციალური საშიშროების ხასიათისა და ხარისხის ცნებებს ბუნებრივად მოითხოვს.

#### § 4. ნაციონალური სასამართლო და მმართვის დანაშაულად გვალიზირების პროცესი

უკვე ითქვა, რომ წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ემყარება ამჟამად მოქმედ (1998 წლის 20 თებერვალის) საპროცესო კანონმდებლობას, მაგრამ ამ მხრივ გაეკეთდა ზოგიერთი გამოწვევებისი, ამჯერად მოკლედ მაინც შეკვეჩი ნაფიც მსაჯულოთა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის თავისებურებებს. ამ მხრივ უკრალდებას იქცევს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ე.წ. ვერდიქტის ბუნება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაწესებულია 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც ძალაში შედის 2010 წლის ოქტომბრიდან. ამ საკითხის მოკლედ მაინც განხილვა ზედემეტი არ იქნება, იმის მიუხედავად, რომ ამ პრობლემას ურცელი მონოგრაფიული ნაშრომი უძღვნა სამართლის დოქტორმა ი. ბაბისონიაზ (იხილეთ ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბილისი, 2008). საქმე იმაშია, რომ საქართველოს სინამდვილეში ამ ფრიად არსებითი სიახლის დანერგვის პრობლემა მხოლოდ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავებითა და მიღებით არ ამოიწურება. საკითხავია ისიც, თუ რამ-

დენად შეესაბამება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაწესების იღეა დანაშაულის ცნების სამწევროვან დაყოფას, რომელიც დანაშაულის ცნების აგების გერიანულ ტრადიციას გამოხატავს (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმხევობა და სუბიექტის ბრალი – საქ. სსკ მუ7 მუხლის პირველი ნაწილი).

დანაშაულის ცნების ეს სამწევროვანი დაყოფა პასუხობს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის განსაზღვრულ ეტაპებს, რომელთა შესახებაც სუმოთ მოკლედ მაინც ვიმსჯელეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბუნდოვანია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სფეროში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს საქმიანობის გამიჯვნა. კერძოდ, დანაშაულის ცნების ამ მოდელის თანახმად, თავდაპირველად უნდა დადგინდეს იქნების ქმედების შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით; მეორე ეტაპზე – ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და მესამეზე - სუბიექტის ბრალი. საკითხაჟია: როგორ გადანაწილდება დანაშაულის ეს ელემენტები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში სუბიექტის უდანაშაულობის თუ დანაშაულის თაობაზე ე. წ. ვერდიქტის შესაბამისად?

ეს საკითხი ბუნებრივად ისმის, რადგან, საყოველთაოდაა მიღებული მჩქიცება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი იფარგლება სისხლის სამართლის საქმებზე ე. წ. ფაქტის საკითხით. კერძოდ, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261- მუხლში (ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი), მის პირველსავე დებულებაში ნათქვამია, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებას ფაქტების შესახებ.“ მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.“ ცხადია, რომ პირის ბრალეულობა, თუ არაბრალეულობა „ფაქტის“ საკითხს სრულიადაც არ წარმოადგენს. რადგან,

ბრალი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის შეფასებას ხინ-თეზურად გამოხატავს. საკითხი იმის თაობაზე, ბრალეუ-ლია თუ არა სუბიექტი, ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, ფარგლებში ვერ გადაწყდება, რადგან, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ბრალი არ შედის და შეფასების, ანუ, „ნორმის“ პრობლემატიკაში ინაცვლებს.

ეს ბუნებრივია, რადგან, ბრალი ქმედების მართლწინააღმე-გობის გარეშე არ არსებობს, ხოლო მართლწინააღმდეგობა არის ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება და ამიტომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში არ შედის. ბოლოს, ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის უარყოფით შეფასებას (გაეიკენა) გამოხატავს და, მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, სტრუქტურული ელემენტი სრულიადაც არ არის.

ამრიგად, ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბი-ექტის ბრალი ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, სტრუქტურაში არ შედის. აქედან გამომდინ-არე, საკითხავია, თუ როგორ ხდება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, ან ვის მიერ, ან, ბოლოს და ბოლოს, ხდება თუ არა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში პროფე-სიონალი მისამართლის ჩარევა, თუ ეს უკანასკნელი მხ-ოლოდ სასჯელის დანიშვნის საკითხით იფარგლება?

ამრიგად, საქართველოში ჩაფიც მსაჯულთა სასამართ-ლოს დაწესება ქმნის არსებით მეორესოლოგიურ პრობ-ლემებს, განსაკუთრებით „ფაქტისა და ნორმის“ მიმართების პრობლემატიკიდან. ეს პრობლემატიკა აქსიოლოგიური მიდ-გომის გარეშე ვერ გადაწყდება, რადგან, საქმე ეხება. ერთის მხრივ, ფაქტობრივ, რეალურ, სინამდვერებეს ისე, როგორც ის არის, ხოლო, მეორეს მხრივ- ღირებულებას, რომელიც იდეალურად არსებობს (მაგალითად, სიკეთე, როგორც უმაღლესი ეთიკური ღირებულება). სიკეთე უნდა განხორ-ციელდეს, რადგან აღამიანთა შორის ბოროტება ჯერ კიდევ

არსებობს. ფაქტისა და ნორმის მიმართების პრობლემა ნებისმიერი იურისტის სწორი იურიდიული აზროვნების ერთგვარი სახითჯერ ქვაა. კერძოდ, სამართალი, როგორც ადამიანთა ქცევის წესების, ანუ, ნიურმების ერთობლიობა, არსებობს და ამ აზრით ის ერთგვარი, (ისეალური), ფაქტია, მაგრამ სამართალი ამ მხრივ მაინც განსხვავდება ფაქტიურობის იმ გაგებისგან, რომლის თანახმად, ფაქტი წეულებრივ აღიქმება, როგორც უკვე არსებული, განხორციელებელი, ისტორიული. პროფ. ბ. ნანეიშვილი ამ პრობლემას გერმანელი ფილოსოფიოსის პასერლის ფენომენლოგიური მეთოდის გამოყენებით მიუღვა და, მიუხედავად ამ ფენომენლოგიური მეთოდოლოგიის ნაკლოვანებისა, ამ მხრივ მისი ნააზრევი უკრიად საინტერესოა. კერძოდ, მან გამოიყენა ნამდვილობის (კნება, რომელიც სამართალთან მიმართებაში მნიშვნელობის, ანუ, მოქმედების მაჩვენებელია. სხვანაირად რომ კოქათ, „ნამდვილი სამართალი“ – ესაა მოქმედი სამართალი. უფრო სწორად- პოზიტიური, ანუ, მოქმედი სამართალი არის სამართლის აზრის ნამდვილობა (იხილეთ ბ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, „სამართლის ფილოსოფიის საკითხები,“ თბილისი, 1992, გვ. 64). ავტორი სამართლის ნამდვილობას ადარებს ფაქტის ნამდვილობასთან და ასევნის, რომ ფაქტი უოველთვის რაღაც უკვე მომხდარია, მაშინ, როდესაც ნამდვილ სამართალს სულ სხვა ტენდენცია აქვს. მისი მტკიცებით, „ფაქტი მიზეზობრივად გამოწვეულია და იგი ყოველთვის თვით იწვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე. თვით გამომწვევი ფაქტი. ამიტომ, ამ შემთხვევაში ის, რაც მომხდარია, როგორც აბსოლუტურად რეალიზებული, სავსებით და მოთლიანად ინდივიდუალურია და, მაშასადამე, ისტორიულიცა“ (იქნე, გვ. 48).

ამ დებულებაში გამოხატულია არა მარტო წმინდა ფაქტის იდეა, არამედ, ქმედების შემაღენლობის არსებითი დახახითებაც. კერძოდ, ჩვენ უკვე კოქათ, რომ დანაშაულის

ნადენა ხდება ქმედების შემაღენლობის განხორციელების გზით, ხოლო, ქმედების კოველი შემაღენლობაც და მიხი განხორციელებაც მკაცრად ინდიკირებულია. მაგალითად, ხაქ. სსკ 177-ე მუხლის პირველ ნაწილში ქურდობის ხულ სხვა შემაღენლობაა გათვალისწინებული, ვიდრე, ამ მუხლის სხვა ნაწილებში, იმის მიუხედავად, რომ ქურდობის, როგორც დანაშაულის, ცნება ერთია. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ფაქტი აბხოლურობადა რეალიზებული, რაც იმას ჩიშნავს, რომ ქმედების შემაღენლობის ჩიშნების დადგენა სისხლის სამართლის საქმეზე აბხოლური ჭეშმარიტების დადგენის საფუძველია. მით უფრო, რომ ქმედების შემაღენლობის განხორცილება უკავი ისტორიულ წარსელზე მიუთითებს, რადგან, სისხლის სამართლის საქმე უკავე ჩადენილი ქმედების გამო დგება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაგვასკვნაო, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სწორედ რომ ქმედების შემაღენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის დადგენით იფარგლება? ამ კითხვაზე რაიმენაორი პასუხის გასაცემად მოკლედ მაინც აღვჩიშნავ, რომ „ფაქტის“ ცნება კიდევ ორი მნიშვნელობით გამოიყენება. ჯერ ერთი, არსებობს იურიდიული ფაქტის ცნება და მისი კლასიფიკაცია ხდომილებებისა და მოქმედებების სახით. მაგრამ ამ მხრივ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ასაკებრით რაიმე საგანგუბო პრობლემა არ იქმნება. გაკილებით უფრო რთულია ე.წ. ნორმატიული ფაქტის პრობლემა, რომელსაც პროფ. ბ. ნანეიშვილი ოვის ზემოთდასახელებულ ნაშრომში განიხილავს. მაგალითად, დაპირება, ერთის მხრივ, ფაქტია, ხოლო, მეორეს მხრივ, მას ნორმატიული ბუნება აქვს, რადგან, დანაპირები უნდა შესრულდეს. მაგრამ აქ დასმული პრობლემის ასაკებრით არა ნორმატიული ფაქტი გამოდგება. ქმედების შემაღენლობის სტრუქტურაში კი, როგორც უკავე ითქვა, არც ქმედების მართლწინააღმდეგობა შედის და არც სუბიექტის ბრალი. საკითხავია, ვინ აკალიფიცირებს ქმედებას დანაშაულად?

როგორც ვხედავთ, ქმედების დანაშაულად კვალიფი-  
კაციის სუბიექტის საკითხი, სისხლის სამართლის იმ საქ-  
მექტე, რომელთაც ნაყიც მსაჯულთა სასამართლო გა-  
ნიხილავს, გართულდა. ასეთია დანაშაულის ცნების გერ-  
მანული მოდელის, ანუ, სამწევროვანი დაუოფის იდეიდან  
გამომდინარე დასკვნა. იქნებ ამიტომაც არის, რომ გერ-  
მანიის ფედერა ციულ რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულთა  
სასამართლო დაწესებული არაა დანაშაულის ცნების რუ-  
სული მოდელი, ანუ, დანაშაულის შემადგენლობის ოთხწევ-  
როვანი დაუოფა (დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე,  
სუბიექტი და სუბიექტური მხარე), ერთი შეხედვით, არ ქმ-  
ნის რაიმე დაბრკოლებას, რომ სისხლის სამართლის საქმე  
ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. მაგრამ, თუ  
ქმედების შემადგენლობის განხორციელება უკვე უდრის და-  
ნაშაულის ჩაღენას, როგორც, ეს დანაშაულის ცნების ამ  
მოდელიდან გამომდინარეობს, მაშინ, დანაშაულის ცნების  
ამ სტრუქტურაში ფაქტისა და ნორმის გამოყოფა შეუძლე-  
ბელია. ამიტომ, არსებითად გაუგებარია, დანაშაულის ამ  
მოდელში როგორ უნდა გამოიყოს ე. წ. „ფაქტის“ საკითხი,  
როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის სა-  
განი?

ამ მხრივ უფრო მარტივად დგას საკითხი, მაგალითად,  
ინგლისში. აქ. როგორც აღნიშნულია, დანაშაულის ცნება  
გაშლილად არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ დანაშაული  
მაინც წარმოდგენილია ობიექტური (ლათინური ტერმინით  
(actus reus) და სუბიექტური მხრივ (აგრეთვე ლათინური ტერ-  
მინით (mens rea)). ობიექტური მხრივ უნდა დამტკიცდეს, რომ  
ჩაღენილია ქმედება (მოქმედება, უმოქმედობა, „შედეგი და  
ა.შ), ხოლო სუბიექტური მხრივ - ის, რომ არსებობს სუბი-  
ექტის დანაშაულებრივი ნება (ესე იგი mens rea), ამ იმიტური  
მხარის ჩიშნებისადმი სუბიექტის ბრალეული დამოკიდე-  
ბულება. (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხილეთ  
Уголовное право зарубежных государств, часть Общая, М. 2001,

стр. 24-26). დანაშაულის ცნების ამ მოდელში მართლაც შეიძლება გამოიყოს ქმედების ფაქტობრივი მხარე, ანუ, ფაქტის საკითხი იმგვარად, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავის კომპეტენციას არ გასცდეს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ფაქტისა და ნორმის (სამართლის) გამიჯვნა ურობლები არც ინგლისშია. ეკრძოდ, ინგლისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე, როცა ექიმია ერთ-ერთი ოპერაციის დროს პაციენტს გამოურთო სასუნთქი აპარატი, რის გამოც პაციენტი დაიღუპა, დააღინა, რომ ექიმი ცნობილ იქნეს პრალუულად მარტივი მღკლელობის ჩადენაში. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწევებილება უცვლელად დატოვა. საჩივარი განუხილველად დატოვა ლორდთა პალატამაც (იხილეთ გ. А. Есаков, Н. Е. Крылова, А. В. Серебрякова, Уголовное право зарубежных стран, Учебное пособие, М. 2009, стр. 133).

მიუხედავად ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობა უფრო ადგილად საბუთდება სამართლის სოციოლოგიის ტრადიციის ქვეყნებში, რომელთაც თავად დიდი ბრიტანეთი განეკუთვნება. ამ პოზიციიდან ურიად საუკადლებოა თ. ჩარბვიანის მოსასრება იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა არსებითია სამართლის სოციოლოგიის კონტქსტში. ამ მიმართულების მიხედვით, სამართალი, როგორც საზოგადოებრივი წარმოჩაქმნი, ყალიბდება პიროვნებაზე საზოგადოების ზემოქმედების შედეგად, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სამართლებრივი ცნობიერების ფორმებში. აკტორის მართებული დასკვნით, „სამართლის სოციოლოგიის კვლევის სფეროს განეკუთვნება სოციუმის სამართლებრივი ნორმების ღირებულებებისა და საზრისების გენერალიზება და ანალიზი“ (თ. ჩარკვიანი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ საქართველოში არსებული დისკუსიები, ქურნალი „კამათელი“, 2009, № 2, გვ. 102). ცხადია, სამართლის ნორმატიული ბუნება არც სამართლის

სოციოლოგიაშია უგულებელყოფილი, მაგრამ ამ მიმართულებაში წამყენი მაინც სოციალური ფაქტებია, ხოლო ამ პოზიციიდან ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ფაქტობრივი, არანორმატიული, მხარე უფრო გამოკვეთილია. მაგრამ, როგორც ჩანს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენციის დადგენია და დანაშაულებრივი ქმედების მხოლოდ ფაქტობრივი მხარით შემოსაზღვრა ერთობ პირობითია. ამ გარემოებაზე მეტყველებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული საკითხების ანალიზი. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რესულ მოდელში მიღებული პრაქტიკის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს პროფესიონალი მოსამართლე მიმართავს შემდეგი კითხებით: 1) ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ქმედებას? 2) დამტიცებულია თუ არა, რომ ეს ქმედება ჩაიდინა განსასჯელმა? 3) დამნაშავეა თუ არა განსასჯელი ამ ქმედების ჩადენაში?

თითქმის ასეთივეა ინგლისში დამკვედრებული პრაქტიკა, ოდონდ იმ განსახვავებით, რომ აქ ნაფიც მსაჯულებს უსვამენ ერთ ასეთ შემაჯებელ კითხვას: დამნაშავეა თუ არა განსასჯელი შერაცხული დანაშაულის ჩადენაში? (ამის უესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ი. ბაბისონია, ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 270- 271). ამ და სხვა სახის სიძნელებში დასახელებული აუტორი მიიყვანა იმ ფრიად ლოგიკურ და მართებულ დასკვნამდე: მეტისმეტად პირობითი, არაზუსტი და უმართებულოა იმისი კატეგორიული მტკიცება, რომ „სინამდვილეში ნაფიცი მსაჯულუბი იხილავენ და წყვეტენ მხოლოდ წმინდა ფაქტობრივ, არასამართლებრივ საკითხებს“ (იქვე, გვ. 279). ავტორი საკსებით მართებულად სვამს კითხვას იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმული კითხვა:

„დამნაშავეა თუ არა განსასჯელი შერაცხული დანაშაულის ჩადენაში “- განა “ არ გულისმობს, როგორც მინიჭუმი, განსასჯულის ბრალეულობა-არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც, როგორც ცნობილია, სწორედ სამართ

ლებრივი, ამასთან, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცენტრალურ, ურთულეს პრობლემათაგანია?" (იქვე, გვ. 279). ერთი სიჩუქით, ბრალეულია თუ არა განსასჯელი, ავტორის დასკენით, „ფაქტის“ საკითხში ვერ ჯდება და იგი ქმედების დანაშაულად კავლიფიკაციის საკითხებსაც უკავშირდება. ფრიად საყურადღებოა ავტორის დასკენი: აღნიშნული და სხვა, უფრო კონკრეტული საჭირობოროტო, მაგრამ, უპასუხო კითხვების კორპუსი, „როგორც ამ წიგნიდანაც ჩანს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ თითქმის ისეთივე ძველია, როგორც თავად ეს ინსტიტუტი, ისეთივე წინააღმდეგობრივი და დილემურია, როგორც ამ ინსტიტუტის "ბიოგრაფია," აწმყო და სამერმისო პერსპექტივები!!!" (იქვე, გვ. 230).

კროფ. ი. გაბისონიას ამ მართებულ და საინტერესო დასკენის ძირები ჰებელის ფილოსოფიურ ნაზრენშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. ჰებელი, როგორც „სამართლის ფილოსოფიის“ ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს უკურადღებოდ არ დატოვებდა. მართლაც, ჰებელი იხილავს ბრალდებულის ქმედების შემაღენლობის თაობაზე დარწმუნების ორ მომენტს. ერთის მხრივ, როცა ეს დარწმუნება ემყარება გარემოებებს და სხვათა მოწმობებს (ესე იგი, მტკიცებულებებს - ბ. 6.), ხოლო, მეორე მხრივ, საქმე ეხება ბრალდებულის მიერ მისივე დანაშაულის აღიარებას. ჰებელი ასკენის, რომ „ამით შევეხებით მთავარ პუნქტს ე. წ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხში. აქ - ხაზს უსვამს ავტორი, - არსებითია ის, რომ სასამართლოსმიერი გადაწყვეტილების ორივე შემაღენელი ნაწილი- მსჯელობა ფ ა ქ ტ ო ბ რ ი გ მ ხ ა რ ე ზ ე და მსჯელობა მისდამი კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ყ ე ნ ე ბ ა ზ ე (ხაზგასმები ჰებელისაა - გ. 6.) - რამდენადაც ეს, თავისთავად, ორი სხვასხვა მხარეა, სრულდებოდეს როგორც ორი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ უ ნ ქ ც ი ა“ (ჰებელი, გონის ფილოსოფია, თბილისი, 1984, გვ. 304).

ამრიგად, ფაქტისა და ას ფაქტისადმი კანონის მიყ-

ენების, ანუ, შეფარდების საკითხს პეგელიც განასხვავებს. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ პეგელი ამ ორი ფუნქციის დაპირისპირების წინააღმდეგია. მისი აზრით, ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება ნაფიც მსაჯულებზე დამარტინებლად მოქმედებს, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა ეს დარწმუნებულობა ჭეშმარიტებისგან განუყოფელი უნდა იყოს, როგორც ხდომილების უეჭველად დასგომის მწვერვალი, თუმცა, ეს დარწმუნებლობა მაინც სუბიექტურია. ამიტომ, პეგელის აზრით, ბრალდებულს უფლება აქვს, ნაფიც მსაჯულთა დასარწმუნებლად დანაშაულის აღიარებას მიმართოს. ცხადია, ეს მომენტი, ავტორის აზრით, არასრულია, მაგრამ „კიდევ უფრო არასრულია მეორე მომენტი, თუ მასაც ამდენადვე აბსტრაქტულად განვიხილავთ, - მტკიცება, მარტოდენ გარემოებებიდან და მოწმეთა ჩვენებებიდან ამოსვლით. მსაჯულები ხომ, არსებითად, მოსამართლეები არიან და განაჩენიც მათ გამოაქვთ“ (იქნე, გვ. 305).

პეგელი, როგორც ჩანს, მხედველობაში იღებს მოსამართლეობა იმ რწმენას, რომელესაც საქმეში არსებული მტკიცებულება ქმნის. აქედან გამომდინარე, პეგელი ასკვნის, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიცავს ობიექტური მტკიცებისა და სუბიექტური, ე. წ. მორალური დარწმუნებულობის აღრევასა და ვერგარჩევას“ (რაც, კაცმა რომ თქვას, ამბობს იგი, - ბარბაროსაროსობიდან მომდინარე ვითარებაა). აქედან პეგელი ასკვნის, რომ მარტოოდენ სახელის ასე გამოკიდება საქმის არსში ჩახედვის გარეშე აღვიდი რამეა, თუმცა, დიდი ზერელობაა. საქმის არსი კი, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ აქ ორი რამეა ერთმანეთისგან განსხვავებული. ერთის მხრივ, ობიექტური მტკიცება, იმ აბსრილური უეჭველობის გამოყენებით, რომელიც ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებაში ძევს, და მეორეს მხრივ მტკიცება ამ მომენტის გარეშე (იქნე, გვ. 305).

• პეგელის ამ მსჯელობათა შეფასებისივის აქ მოქლედ აღვხისჩავთ, რომ პეგელი ჩემისკოდას აზროვნების წესად

აკხადებს და, როგორც ჩანს, ინტელექტის უმორჩილებს.

მეორენაირად რომ კოტეკათ, პებელთან ნება ინტელექტზეა დაყვანილი. ამიტომაა, რომ პებელთან იძულების ფსიქოლოგიური დასაბუთება შეუძლებელია, რადგან, იძულებული შეიძლება იყოს ნება და არა ინტელექტი. ამიტომ პებელს სხვა არაფერი რჩება, თუ არა დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ მისი დანაშაულის აღიარება, რაც, როგორც ცნობილია, პრაქტიკაში იშვიათია. ამიტომ პებელის ამ ნააზრების შეფასება თეით პებელის ფილოსოფიური სისტემის პოზიციიდან უნდა მოხდეს. აქ კი საბოლოოდ დავასკვნით, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა ნაყიც მსაჯულთა სასამართლოში მიღებული წესით არსებითადაა დამოკიდებული დანაშაულის ცნების მოდელზე და მისი ელემენტების სისტემაზე. მაგრამ ამჯერად მოკლედ შეგვხები სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემას.

## § 5. მემკვიდრეობის დანაშაულად პვალიფიკაცია და სისხლის სამართლის ნორმის შევარდების კრონბლება

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების ნაწილია. ამ ოვალსაზრისით სადაც არაა, რომ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდება სასამართლოს კომპეტენციაა, რადგან, ეს პროცესი გარღისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ხაკითხების გადაწყვეტასაც. სადაცა ის ხაიკთხი, ახორციელებს თუ არა სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებას წინასწარი გამოიიქნა? უფრო კონკრეტულად რომ კოტეკათ, არის თუ არა საბრალდებო დასკვნა სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტი? ამ კითხვაზე ზურბი პასუხი დღემდე არ არსებობს. (ამ საკითხს ვიხილავთ იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სისხლის სამართ-

ლის ახალ საპროცესო კოდექსში საბრალდებო დასკვნა, როგორც წინასწარი გამოიების საქმიანობის შემაჯემებელი აქტი, უკავი გათვალისწინებული არაა).

პროფ. ვ. აბაშმაძე, რომელმაც სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, საბოლოოდ მიღის დასკვნამდე, რომ „კომპეტენტური ორგანოების მიერ სამართლის შეფარდების აქტები წარმოადგნს სპეციფიკურ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც იწვევენ კონკეტულ პირთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას“ (ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სამართლის ნორმის შეფარდება, ობილისი, 1972, გვ. 61). საკითხავია: არის თუ არა საბრალდებო დასკვნა ისეთ იურიდიული ფაქტი, რომელიც ახალ საპროცესო ურთიერთობას შექმნიდა? საეჭვოა, რადგან საბრალდებო დასკვნა ქმედების დანაშაულად საბოლოო კვალიფიკაციას არ გამოხატავს. მით უმეტეს, რომ საბრალდებო დასკვნაში ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი სავარაულოდაა მინიჭებული. ჩვენ უკავი აღვნიშნეთ, რომ მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმაციის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმად, ბრალდებული თავისი ობიექტური პროცესუალური მდგრადულებით ჯერ კიდევ არაბრალეულია, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ვიდრე, მიხი ბრალი არ იქნება დადასტურებული გამამტუნებელი განაჩენით. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში ამ მხრივ ხშირია, ასე კოქვათ, წაჯეჭუჯეჭუბა. როდესაც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს საქმიანობა მკვეთრად არაა გამიჯნული. შეგალითად, ბ. პავლოვი წერს, რომ „დანაშაულის სუბიექტის ბრალეულობის დადგენა – ეს სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობას ადგენს გამომძიებელიც“ (В.Г. Павлов, Субъект преступления и уголовная ответственность, С-Петербург, 2000, стр.17).

გასაგებია, რომ ამგვარი აღოგიზმის კითარებაში დას-

მული პრობლემის მართებული გადაჭრა შეუძლებელია. არსებითად სწორია დებულება, რომ სამართლის ნორმის შეფარდებას სახელმწიფო ორგანიზაციი ბრძანების ხასიათი აქვს (ვ. აბაშმაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61). ამიტომაა, რომ „სამართლის ნორმის შემფარდებლის მიერ მიღებული ინდივიდუალურ-კონკრეტული დადგენილება სავალდებულოა არა მარტო ამ კონკრეტული პირისათვის, ვისი მისამართით აც იგი გამოცემულია, არამედ ყველასათვის“ (ვ. აბაშმაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61-62).

ქნელი არაა იმისი მიხევედრა, რომ ამგვარი ბუნებით ხასიათდება სწორედ სასამართლო განაჩენი და არა საბრალდებო დასკვნა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოსთვის უპირობოდ სავალდებულო სრულიადაც არაა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საბრალდებო დასკვნა სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტს არ წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი ასე კალსახად არაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ა. კალაშნიკოვი სასს უსვამის იმას, რომ „სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების უფრო ნიშვნელოვანი აქტი არის სასამართლო განაჩენი, რომელშიც ჩადენილ ქმედებას სახელმწოფოს სახელით ეძლევა შეფასება. მხოლოდ სასამართლოს განაჩენით შეიძლება პირი ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და დიასაჯოს“ (ვ. კულტივულის დასახელებული ნაშრომი, გვ. 15). მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი იქნება ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის ნორმას მხოლოდ სასამართლო როდი უფარდებს. მისი აზრით, „სისხლის სამართლის ნორმებს იუნებენ როგორც მოკლევის ორგანოები, ისე, გამომძიებელიც, პროკურორიც და მოსამართლეც“ (იქნე, გვ. 15). ირკვევა, რომ სასამართლო სისხლის სამართლის ნორმას იუნებს სრული მოკლებით, ესე იგი, იუნებს ნორმის საჩქვიასაც, ხოლო, სხვა ორგანოები, მაგალითად, გამომძიებელი, იუნებს სისხლის

სამართლის ნორმის დისპოზიციას და არა სანქციას. ავტორის დახვენით, ხისხლის სამართლის ნორმაზე მითითება იწვევს გან საზღვრულ პროცესუალურ შედეგებს, მაგალითად, დადგენილება თანამდებობის პირის ხისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიკემის თაობაზე, აუცილებლობის შემთხვევში, იწვევს თანამდებობისა მის გადაუენებას (იქვე, გვ. 15).

რასაკვირეელია, წინასწარ გამოძიებას ყოველივე ამისი უფლება აქვს, მაგრამ დადგენილება ხისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში პირის მიკემის შესახებ ან თანამდებობიდან მისი გადაუენების თაობაზე ხისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტს არ წარმოადგენს. მართლაც, ჯერ ერთი, ხისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიკემა მხოლოდ პროცესუალური იქტია და ხისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უწოდდება. მეორეც, თანამდებობიდან პირის გადაუენება ხისხლის სამართლის ნორმის საფუძველზე ხდება, მაგრამ ეს აქტი მხოლოდ პირობითია, რაღაც, გამორიცხული არაა, რომ აღნიშნული პირი სასამართლოში გაამართლოს. ს. ალექსანდრი, ჩემის ა'სრით, სწორად შენიშნავდა, რომ ხისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და რომ ეს გადაწყვეტილება ტარდება (ჰერვებაში(იხ. С. С. Алексеев, Общая теория права, М. 1982, стр. 330). ასეთივე დასკვნას აკეთებდა ი. მოთოვილოვპარიც, თუმცა, ავტორი არ სცნობდა იმ განსხვავებას, რაც არსებობს ხისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტებასა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას შორის. მისი ა'სრით, „თუ ხისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობა შემეცნებითია, მაშინ, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ გამოძიებისა და სასამართლოს ყველა მსჯელობის მიმართ გამოიყენება ჭეშმარიტობის (მცდარობის) კატეგორია“ (Я. О. Мотовиловкер, Основной вопрос уголовного дела и его компоненты, Воронеж, 1984, с тр. 73). ავტორი, როგორც ჩანს, იმდენდე თავდაჯერებული გნოსეოლოგისტია, რომ იუ-

რიდიულ შეფასებათა ჭეშმარიტებაზეც კი ლაპარაკობს, ჩაშინ, როდესაც შეფასება უნდა იყოს ობიექტური, ესე იგი ინტერსუბიექტური და არა ჭეშმარიტი ან მცდარი, ამ ცნებების წმინდა გნოსეოლოგიური გაგებით. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გამხორციელების სფეროში შეფასებათა უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან, იგი იურისპრუდენციაში ოდოთგანვე ცნობილი მეთოდოლოგიური პრინციპის – ფაქტისა და ნორმის – მიმართების უგულებელყოფას წარმოადგენს. ასეთ პირობებში ქმედების შემაღებელობის, ფაქტის მსჯელობის, სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობაც და პრალიც უნდა მოვიაზროთ, როგორც ეს დანაშაულის შემაღებელობის რუსულ მოდელშია მიღებული, და მაშინ ჩვენ ვერასოდეს კერ გავმიჯნავთ ერთმანეთისგან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტებას და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, როგორც გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ორ განსხვავებულ სფეროს, თუმცა, საბოლოო ჯამში ერთიანს და განუეცოდეს. ცხადია, ყოველი ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობით ვლინდება, მაგრამ ამჯერად კვლავ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემას დაუბრუნდებით.

უკვე ითქვა, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია რამდენიმე ეტაპს გაიკლის. უპირველეს ყოველისა, საქმე ეხება ფაქტობრივ გარემოებათა დადგენიას, რაც, ერთის მხრივ, ხდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, მათი ხელახლი გადამოწმება ხდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის საბოლოო განხილვის ეტაპზე. ამიზომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სისხლის სამართლის ნორმას წინასწარი გამოძიებაც იყენებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ უურადლებას არ აქცევენ სამართალშეფარდებითი აქტის იურიდიულ ბუნებას და ამ აქტს მიაკუთვნებენ ნებისმიერ პროცესუალურ დოკუმენტს,

რომელიც შეიძლება შეადგინოს წინასწარმა გამოძიებამ. მაგალითად, შედარებით უახლოეს ლიტერატურაშიც კი არაა გარკვეული იურიდიული კვალიფიკაციის სუბიექტების საკითხი. მხედველობაში გვაქნას პ. ივანოვის ჩაშრომი, რომელიც სამართლის ზოგადი თეორიის პრინციპიდან ეხება იურიდიული პასუხისმგებლობის ინდივიდულიზაციის პროცესს. მისი აზრით, „სამართალდარღვევის ნიშნები – ეს პირველია, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლის შემფარდებელი.“ და რომ სამართლებრივი კვალიფიკაციის პროცესში ხდება კონკრეტული ადამიანური საქციელის საზოგადოებრივი საშიშროების (მავნეობის) მოკულობისა და სიღრმის შეფასება“ (А. А. Иванов, Индивидуализация уголовной ответственности, М. 2000, стр. 117). ავტორი ისე მსჯელობს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე, აღკვეთის ღინისძიების, თუ სასჯელის შეფარდებაზე, რომ ამ საქმიანობებს სუბიექტების მიხედვით არც განასხვავებს.

ამ მხრივ მეოთხოლოგიურად უფრო საყურადღებოა ა. წერდანცევის პრინციპია, როცა იგი ერთბანეთისგან განასხვავებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მათ დადგენას, ნორმის შერჩევას და საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამართალ შეფარდებითი აქტების ბუნებისა და მათი კლასიფიკაციის საკითხი.

ავტორის აზრით, სამართალ შეფარდებითი აქტები იყოფიან წარმომადგენლობითი, მმართველობის, სასამართლო და საკონტროლო-საზედამხედულო ორგანოების აქტებად (იხ. А. Ф. Черданцев, Теория государства и права, М. 1999, стр. 249).

როგორც ჩანს, სამართალ შემფარდებელ თრგანოთა ამ კლასიფიკაციაში აშეარადაა გამოკვეთილი ნორმის ისეთი შეფარდება, როცა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებაა მიღებული და იგი საკალიბრულოა შესასრულებლად. ეს, კხადია, ეხება სასამართლო განაჩენს, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების პროცესუალურ ფორმას და არა წინასწარი გამოძიების აქტებს

(კოქეათ, საბრალდებო დასკვნას). ამიტომ, უკრ დაცულიანებები პრეზიდიას, როგო სამართლის ნორმის შეფარდების აქტებად დასახელებულია არა მარტო სასამართლო განაჩენი, არამედ, საქმის მასალებზე რეზოლუციების ყორმებიც, მათ შორის- პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცებაც (იხილეთ თეოриა გосударства и права, М. 2000, стр. 401-405).

იმისათვის, რომ დასმუშავი საკითხი სწორად გადაუჭრათ, საჭიროდ მიმართოთ რამდენიმე შეორეოლოგიური საკითხის განხილვა. ჯერ ერთი, ქმედების შემაღებელობის დადგენა ისე უკრ მოხდება, თუ კონკრეტულად არ იქნა მითითებული სისხლის სამართლის იმ ნორმაზე, რომელიც ქმედების ამ შემაღებელობას ითვალისწინებს. მაგრამ ამ მიმართებით სისხლის სამართლის ნორმაზე მითითება ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის მიზნით კი არ ხდება, არამედ, ქმედების შემაღებელობის დადგენის მიზნით, რაც სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების შინაარსში შედის, რადგან, ჰეშმარიტია ის, რომ, მაგალითად, ქურლობის მარტივი შემაღებელობა გათვალისწინებულია საქ. სსკ 177-ე მუხლის პირველ ნაწილში. ჩიშჩავს თუ არა ეს გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებას? ცხადია, არა, რადგან, ამ ეტაპზე ქმედება ჯერ კიდევ არაა შეფასებული დანაშაულად და ამიტომ ქმედებისადმი ამ ნორმის შეფარდებაზე ლაპარაკიც კი არ დირს. მეორევ, ქმედების შემაღებელობის დადგენა - ესა ფაქტის დადგენა, ხოლო, ფაქტიდან ნორმაზე, ანუ, ქმედების შემაღებელობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირ ლოგიკური გადასცელა შეეძლებელია და ამიტომ სავარაუდოა. მასამა, საკარაულოა სუბიექტის ბრალველობის საკითხიც, რადგან, ბრალი უტუკარად მხოლოდ სასამართლო განასიჟნით უნდა დადგინდეს. მეორევ, სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა იმიტომ დგება, რომ დანაშაულებრივ ქმედების შედეგად სუბიექტი(ფიზიკური პირი, აგრეთვე,

ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირი) არღვევს სახ-  
ელმწიფოსთან იმ ურთიერთობას, რომელიც დანაშაულის  
ჩადენამდე არსებობდა. შეორენაირად რომ ვთქვათ, რაგი  
სუბიექტი ნებაყოფლობით არ ასრულებს სისხლის სამარ-  
თლის ნორმის მოთხოვნას, მას აიძულებენ, იგი შეასრუ-  
ლოს. ბუნებრივია, რომ ამ იძულების ერთადერთი პრო-  
ცესუალური ფორმა გამამტყუნებელი განაჩენია, როგორც  
სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტი. როგორც  
სწორად მიუთითებს ბ. სავანელი, სამართლის ზოგადი  
ნორმით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივი განხ-  
ორციელება იმდენას ინდივიდუალურია, რომ ამ უკანასკნე-  
ლის მიმართ ზოგადი ნორმის გავრცელება საკმაოდ რთუ-  
ლია. მისი დასკვნით, „სწორედ აქ იწყება კონკრეტული  
ნორმის გამომუშავების პროცესი, სამართლის კონკრეტული  
აზრის წვდომა, რაც გამოიხატება სამართლის შე-  
ფარდების აქტებში (გადაწყვეტილება, დადგენილება, განა-  
ჩენი და ა.შ). ესაა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერ-  
თობის ინდივიდუალური სა მართლებრივი რეგულირების  
სფერო, ზოგადიდან კონკრეტულ-სამართლებრივ ჯერარსში  
ინდივიდუალური აზროვნების გადართვის სამყარო“ (ბ. სა-  
ვანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1997, გვ. 178).

ამ მსჯელობის სისწორეს აღასტურებს ის გარემოება,  
რომ ქმედების შემაღებელობა, რომელიც სისხლის სამარ-  
თლის ნორმის პიპოთებაშია აღწერილი, რეალურად კუკ-  
ელთვის მკაცრად ინდივიდუალური წესითა და ფორმით  
ხორციელდება. ამიტომაა, რომ ქმედების საკანონმდებლო  
შემაღებელობასთან ამ ინდივიდუალური ქმედების იგივეო-  
ბის დადგენა საკმაოდ რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

გარდა ამისა, ქმედების ზოგად საკანონმდებლო შემაღებე-  
ლობასა და და მის ინდივიდუალური წესით განხორციელებ-  
ბას შორის არის ისეთი კავშირი, რომელიც „ზოგადისა და  
კერძოს ერთიანობას გამოხატავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სა-  
სამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი,

ერთი მხრივ, ემუარება სისხლის სამართლის იმ ნორმას, როგორც აკრძალული ქცევის წესს, რომლის მოქმედება ამ კონკრეტული ქმედების მიმართ შეჩერდა, ხოლო, მეორეს მხრივ, მკაფიოდ პერსონალური, ინდივიდუალური სასამართლო აქტია. ამიზომაა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დანაშაულის ჩამდენ პირს იძულებითი წესით აღადგენს სახელმწიფოსთან იმ ობიექტურ კავშირში, რომელშიც ის იმყოფებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. მეორეს მხრივ, გამამტყუნებელი განაჩენი სუბიექტის ბრალის, როგორც სახელმწიფოს წინაშე მისი უპასუხისმგებლობის, დალგენით ადასტურებს, რომ სუბიექტი სახელმწიფოსთან სუბიექტურ კავშირშიც იმყოფებოდა, უსე იგი, ვიდრე იგი დანაშაულს ჩაიდენდა, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, როგორც წესი, ეკიდებოდა პასუხისმგებლურად. მაგრამ ამ კავშირის აღდგენა სახელმწიფოსთან მის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში აღდგენას სრულადაც არ ნიშნავს, რადგან, სისხლის სამართლის ნორმა ქცევის ზოგადი წესია და ამდენად, ქმნის სახელმწიფოსთან სუბიექტის სისხლისსამართლებრივ ურთიერთობის მოდელს, რომლის მიზანია დანაშაულთა თავიდან აცილება (საქ. სსკ პირუელი მუხლის მესამე ჩაწილი). გამამტყუნებელი განაჩენი კი ინდივიდუალური სასამართლო აქტია, რომელიც სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას კი აღადგენს, არამედ ქმნის სასჯელალსრულებით სამართლებრივ ურთიერთობას(თუ, რასაკეირუელია, გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელი დაიჩიშნა).

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება იწვევს ამ კონკრეტული ქმედების მიმართ (და არა საერთოდ) სისხლის სამართლის ნორმის მოქმედების შეჩერებას იმგვარად, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმა, როგორც ქცევის ზოგადი წესი, მართლწესრიგად ვერ გარდაიქმნება. ეს კი იმას ადასტურებს, რომ სახელმწიფოსთან სუბიექტის კავშირი დაირღვა, რაც მოუთმენელია, რადგან, სახელმწიფო სუბიექტთან კავშირის გარეშე არ არსებობს. სისხლის სამართ-

ლის ნორმის შეფარდება კი ნიშნავს ამ კონკრეტული დახა-  
შაულებრივი ქმედების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის  
ანდივიდუალურ ფორმაში სისხლის სამართლის ნორმის  
სავალდებულობის გავრცელებას, როდესაც დანაშაულის  
ჩამდენი პირი იულებითი წესით აღსდგება სახელმწიფოს-  
თან ობიექტურ კავშირში.

აქედან შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა. ჯერ  
ერთი, სისხლის სამართლის ნორმის შეფარდების აქტს მხ-  
ოლოდ გამამტყუნებელი განაჩენი წარიცადგენის. მაშასადამე,  
ქმედების დანაშაულად საბოლოო კალიფიკაციას მხოლოდ  
სასამართლო ახორციელებს. მეორეც, თუ გამამტყუნებუ-  
ლი განაჩენი სუბიექტის ბრალის დადგენის გარეშე გამოტ-  
ანილი ვერ იქნება, ხოლო, ბრალეულობის საკითხს ნაყიც  
მსაჯულთა სასამართლო წავეტის, მაშინ, ქმედების მართლ-  
წინააღმდეგობის საკითხიც მანვე უნდა დადაწყვიტოს, რაյი  
ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე სუბიექტის ბრა-  
ლი არ არსებობს. მესამე, ქმედების შემაღებელობის, მიხი  
მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენის  
საქმეში პროფესიონალი მოსამართლე არ მონაწილეობს და  
შემინ ამ უკანასკნელის როლი მხოლოდ სასჯელის შე-  
ფარდებით უნდა შემოიფარგლოს. თუმცა, ეს საკითხი შემ-  
დგომი მსჯელობას მოითხოვს.

## თავი მეოთხე

### დანაშაულის ჩაღის გეპანიზმი და ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების პრიცესება

#### § 1. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა და ძმებების დანაშაულად კვალიფიკაცია

წევენ უკავ მოკლედ მაინც განვიხილეთ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია, როგორც ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის საფუძველი. ცხადია, სიხლის სამართლის კანონი, რომელშიც კანონმდებელი განასღვრულ ქმედებებს დანაშაულად აკვალიფიკირებს, ძალაში უნდა შევიდეს და პრქმიულოდ ამოქმედდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგას ქმედების დანაშაულად საგამომიჯობო და სასამართლო კვალიფიკაციის პრობლემა. ოგულისხმება, რომ განსასღვრული ქმედება წალენილია და ამიტომ საჭირ შეუხება მის დანაშაულად კვალიფიკაციას. მაგრამ ამ მიმართებით დგება საკითხი იმის შესახებ, ქმნის თუ არა სისხლის სამართლის კანონის პრაქტიკული ამოქმედება რაიმე ურთიერთობას? ამ კითხვაზე რესულ იურიდიულ ლიტერატურაში, საბჭოერიდან დღემდე, გაცემულია მეტად უცნაური პასუხი: დიახ, წარმოიშობა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, ოღონდ, დანაშაულის წადენის გამო. ამ თემაზე არსებული კრიტიკი ლიტერატურიდან დავასახულებთ მხოლოდ ზოგიერთს (მაგალითად, А. А. Пионторовский, Правоотношение в уголовном праве, „Правоведение“, 1962, №2; Н. А. огурцов, Правоотношение и ответственность в советском уголовном праве, Рязань, 1976). ეს მოხაზულია, როგორც წესი, კრიტიკულდება თანამედროვე რესეტის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც (Уголовное

ამრიგად, ირკვევა, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლა ქმნის სიხლის სამართლებრივი ურთიერთობას, რომელსაც, თავის მხრივ, იწყევს დანაშაულის ჩადენა. თითქმის გაძატონდა დებულება. რომ დანაშაული ის იურიდიული ფაქტია, რომელიც ქმნის სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას სახელმწიფოსა და დანაშაულის ჩამდენ პირს შორის (В. П. Божьев, Уголовно-правоотношени, М. 1975, стр. 12). საკითხავია, რომელი უსწრებს რომელს: სისხლის სამართლის კანონი დანაშაულს. თუ, პირიქით, დანაშაული სისხლის სამართლის კანონს? კხადია, სისხლის სამართლის კანონს წინ უწრებს ქმედება, რომელიც შეიძლება კანონმდებელმა დანაშაულად დაკუალიფიციროს. როგორც კრიმინალიზაციის ობიექტი. მაგრამ ეს ხომ ჯერ დანაშაული არ არის? ჯერ ერთი, ვიდრე იგი სისხლის სამართლის კანონში არ იქნება გათვალისწინებული და, მეორეც, ვიდრე მისი საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისი ქმედება არ იქნება ჩადენილი, იურიდიული თვალსაზრისით ქმედების დანაშაულად კვლიფიკირის საკითხი პრაქტიკულად არც დაღვება. თუ დანაშაული ქმნის სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონს. ამ პრატიკიდან სრულიად გაუგებარია, თუ როგორ ხდება ჩადენილი ქმედების მიმართ სისხლის სამართლის კანონის გამოყენება? თუ სისხლის სამართლის კანონს დანაშაული უსწრებს, მაშინ, როგორაა შესაძლებელი, რომ დანაშაული ამავე დროს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო

ქმედება იყოს? მართლაც, დანაშაულს, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონი. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონშია კი თავის აღრესატებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულება უნდა დააკისროს, რათა ამ ვალდებულების დარღვევა შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო. მეორე მხრივ, სისხლის სამართლის ნორმის აღრესატები(ყიზიკური და იურიდიული პირები) მოწოდებულნი არიან, მართლზომიერი ქმედების მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდონ, რათა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ამ აღრესატების უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის მიზეზად ჩაითვალოს. გარდა ამისა, საიდან ვიცით, რომ ჩადენილი ქმედება უკავე დანაშაულია? თუ ეს უკავე ვიცით, მაშინ ჩადენილ ქმედებას, როგორც დანაშაულს, არავითარი დამატებითი კვალიფიკაცია არ სჭირდება, რაკი დანაშაულის დანაშაულად კვალიფიკაცია უაზროა. თუ დანაშაული სისხლის სამრთლის კანონით გათვალისწინებული ქმედებაა, მაშინ, ნუთუ ლოგიკური არ არის მტკიცება, რომ თავდაპირველად მოქმედებას იწყებს სისხლის სამართლის კანონი და მხოლოდ ამის შემდეგ დგება ამ კანონით გათვალისწინებული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა? თუ თავდაპირველად სისხლის სამართლის კანონი იწყებს მოქმედებას, მაშინ ნუთუ ელემენტარული ლოკიკა არ მოითხოვს იმის მტკიცებას, რომ სისხლის სამართლის კანონის აღრესატი არის პირი, რომელიც ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი სისხლის სამრთლის კანონის აღრესატია იურიდიული პირიც. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ხდება ვალდებული მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწერიგს. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის

სამართლის კანონის ძალაში შესვლის პომენტიდან იქმნება არა დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ეს დებულება მე ჯერ კიდევ 1997 წელს გამოქვენებულ ნაშრომში დავასაბუთე (ამის შესახებ უფრო დაწყობილებით იხილეთ ბ. ნაბეჭდი, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი, 1997). ამ დებულების სისწორეს აღასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწერიგის დაცვა.“ (ხაზგასმა ნებია).

იგულისხმება, რომ სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონის დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით აამოწმედებს და მიმართავს საზოგადოების დელიქტუნარიან წევრებს (საქართველოში აგრეთვე იურიდიულ პირებს), რომლებიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის პომენტიდან ხდებიან ვალდებული მოქმედებას მართლზომიერად და ქმნისნენ მართლწერიგს. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის კანონის ნორმა, როგორც მართლზომიერი ქცევის წესი, ჯერარსულია, ესე იგი მოითხოვს მართლზომიერ ქმედებას, ხოლო სისხლის სამართლის ნორმის აღრესატების მართლზომიერ ქმედებას სისხლის სამართლის ნორმა მართლწერიგში გადააქვს. ცხადია, სისხლის სამართლის ნორმის სანქცია, მრთის მხრივ, შეიცავს დანაშაულებრივი ქმედებისთვის დასჯის მუქარას, ხოლო, მეორეს მხრივ, მიმართულია მოსამართლეზე, რათა სასჯელი ამ სანქციის ფარგლებში დანიშნოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სასამართლოს საქმიანობა მოწესრიგებულია არა სისხლის სამართლის კანონით, არამედ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით. სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტის ურთიერთობა კი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის კანონით. მაშასადამე, სისხლის

სამართლის კანონის ბალაში შესვლის მომენტიდან იქმნება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სიხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელწიფოსა და სისხლის სამართლის ნორმის ადრესატებს შორის. ეს ურთიერთობა სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის იურიდიული ფორმაა. ბუნებრივია, თუ ეს ურთიერთობა მართლზომიერი ქმედების იურიდიულ ფორმასაც წარმოადგენს. ესაა ღირებულებითი ურთიერთობის ჩაირსახეობა, რომელიც ქმედების სამართლებრივი შეფასების (კუალიფიკაციის) საფუძველია. ამიტომაა, რომ ქმედება, რომელიც ამ ურთიერთობის ფორმასა და ფარგლებში ხორციელდება, მართლზომიერია და ქმნის მართლწესრიგს. ესაა ქმედების დადებითი შეფასება, ანუ, კუალიფიკაცია, რომლის საფუძვლს, როგორც უკვე ჩანს, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო არსებული ურთიერთობა წარმოადგენს. გასაგებია, რომ სისხლის სამართლის აღრესატი თავდაპირებელია უნდა მოქმედებდეს მართლზომიერად, ესე იგი, ურთიერთობაში უნდა იქოს სახელმწიფოსთან, მაგრამ არა დანაშაულის ჩადენის, არამედ, პირიქით, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო. სისხლის სამართლის ნორმის აღრესატის ვალდებულება, მოქმედებდეს მართლზომიერად, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სიხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტია. ბუნებრივია ვიყიქროთ, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა სხვა არაფერია, თუ არა მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევა, ესე იგი, ამ ქმედების გამო და ფარგლებში პირი გადის სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყვარგლებს გარეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენა სახელმწიფოს იღების უარყოფაა, ხოლო ეს, თავის მხრივ, დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს, რადგან დანაშაული საზოგადოებას ტოვებს სახელმწიფოს გარეშე. ჩაშასადამე, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ქმედების, როგორც

სოციალური, ისე სამართლებრივი (მართლზომიერების, ან მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით) ქმედების შეფასების საფუძველია. ამდენად, გასაკეირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რუსულ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობის პრობლემა არსებითად არც დამდგარა, რადგან, რუსი კრიმინალისტებისთვის დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სიხლის სამართლებრივი ურთიერთობის იდეა, როგორც წესი, უკეთა. დანაშაულის ჩადენის გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის იდეიდან კი ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჯერ დანაშაულია, ხოლო შემდეგ - სისხლის სამართლის განონი. ამ ლოგიკით კი დანაშაულებრივი ქმედება ვერც სიხლის სამართლის კანონით იქნება გათვალისწინებული და ვერც მართლსაწინააღმდეგო.

დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა არის არა მარტო ქმედების მართლზომიერებისა თუ მართლწინააღმდეგობის, არამედ, სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის ნორმის აღრესატების პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიული ფორმაც. იგულისხმება, რომ მართლზომიერ ქმედებას, როგორც წესი, მართლზომიერი ქმედების კალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება განაპირობებს. ამ პასუხისმგებლობას სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე ეისრულობს. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მართლზომიერი ქმედების კალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობამ დამოკიდებულება განაპირობებს. ეს უპასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზეზია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის ფორმასა და ფარგლებში დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. დანაშაულის ჩადენის მექანიზმის პრობლემა კი ქმედების დანაშაულად კვალი-

ფიკაციის პრობლემაზე უაღრესად მნიშვნელოვანია. მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხი.

## § 2. დანაშაულის ჩადენის მემანიზმის მსოფლმართველობის დასაბუთებისთვის

უკეთ აღვნიშნე, რომ სისხლის სამართლის ქანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სისხლის სამართლის ნორმის აღრესატები ხდებიან ვალდებული მოქმედებდნენ მართლზომიერად. ისინი მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ მართლზომიერი საქციულის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლით, ანუ, ამ მოვალეობის შესრულების განწყობით მოეკიდონ. მართლზომიერი ქმედების მოვალეობის დარღვევა ქმედების მრთლწინააღმდეგობაზე მიუთითებს, ხოლო, თუ სუბიექტმა ეს დარღვევა სახელმწიფოს წინაშე უასუხისმგებლობის მიზეზით გამოწვია, მაშინ, იგი მოქმედებს ბრალეულად.

გასაგებია, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, ანუ, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა დანაშაულთა თავიდან აკილების გამო წარმოშობილი სისხლის სამრთლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. ამ ქმედების ჩადენას შისი ჩამდენი პირი გაჰყავს როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულების, ისე, ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების, ანუ, ხსენებული სისხლის სამართლებრივი ურთიერთობისა და პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობის ფარგლებს გარეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი, მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო და ფარგლებში; გადადის სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში, სადაც ეს პირი არც ვალდებულია (არ არის ვალდებული გამოცხადდეს) და არც უფლებამისილი (მას არც მიმაღვის უფლება აქვს). ამ

სამართლებრივად თავისუფალ სიკრცეში ამ პირის სამართლებრივი სტატუსი, ანუ, მდგომარეობა არ არსებობს. ეს იმასაკვთავეს, რომ ეს პირი ამ კითარებაში ჯერ კიდევ „დამჩაშავე“ არ არის(ეს ქმედება დანაშაულად ჯერ კიდევ არაა დაკვალიფიცირებული); მაგრამ არც „უდანაშაულოა“, რადგან მან განახორციელა ქმედება, რომელიც შეიძლება დანაშაული აღმოჩნდეს.

თუ კიტევით იმას, რომ ადამიანები დანაშაულს სწალიან, ჩვენ აქ მხოლოდ პირობითად ვმსჯელობთ და ვუშვებთ, რომ დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა თითქოს მართლაც არის შესაძლებელი. ტრადიციულ თეორიებში დანაშაულის ჩადენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური თვალსაზრისით განიხილება. ოგულისხმება ქცევის ფსიქოლოგიური ფორმები, მოტივაცია, მიზნის დასახვა, გადაწყვეტილების მიღება და მისი აღსრულება. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით კი მხედველობაშია დანაშაულებრივი ქმედების მიზეზობრივი გაპირობება, მოტივაციის პროცესთან დანაშაულებრივი ქმედების მიზეზისა და ხელშემწეობი პირობის კავშირი(ამის შესახებ იხილეთ ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბილისი, 1969, გვ. 496-512). კრიტიკული ეს მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართებით ტრადიციულ თეორიებში არ არის გათვალისწინებული მთავარი – გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ფორმების მსოფლმხედველობრივი თავისებურება. ამ პოზიციიდან „დანაშაულის ჩადენის“ ტრადიციული ტერმინი უსაფუძვლოა.

მართლაც, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ადამიანი, უპირველეს უოვლისა, საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია. ქმედების დანაშაულად ეკალიფიკია, სასჯელის დანიშვნა, მისი აღსრულება და სხეულის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. ბუნებრივია ვიუიქროო. რომ დანაშაულის ჩადენაც საზოგადოებრივი პრაქტიკის სფეროა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ადამიანი მარტოლენ საზოგადოე-

მიანის თეორიული მიმართება პრაქტიკულ მიმართებაზე არ დაიყვანება. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ დანაშაულის ზოგადი ცნება, რომელიც გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ დამოკიდებულებას გამოხატავს, პრაქტიკულად განხორციელებული ვერ იქნება. მეორენაირად რომ ვოჭკათ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მართლაც, როგორ შეიძლება „ზოგადი დანაშაულის“, ან დანაშაულის ჩადენა ზოგადად? შეუძლებელია ჩადენილი იქნეს დანაშაული და ის არ იყოს მკელელობის, ქურდობის, ყაჩაღობის და ა. შ. შემადგენლობის გზით განხორციელებული.

ამრიგად, დანაშაულის ზოგადი ცნების, ანუ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა შეუძლებელია. ერთი შეხედვით, შესაძლებელია მხრილოდ ცალკეულ დანაშაულთა ჩადენა. მაგრამ ეს მოჩეუნებითობაც ქრება,. როდესაც საჭმის კითარებას ამ მხრივაც უფრო ღრმად გავაცნობიერებთ. კერძოდ, არსებობს ცალკეულ დანაშაულთა ცნებებიც, რომელიც ამ ასაექტითაც გამოხატავს გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ დამოკიდებულებას. მაგალითად, არსებობს მკელელობის ცნება, როგორც სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრაზი მოსპობა. მკელელობის, როგორც ასეთის, ანუ, მისი ზოგადი ცნების, პრაქტიკული განხორცილელება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ, მკელელობის ამდენი შემადგენლობა (მარტივი - 108-ე მუხლი; კვალიფიკიური - 109-ე; პრიკილეგირებული, ანუ, პასუხისმგებლობის შემაძსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი - 110-114 მუხლები) ზედმეტი იქნებოდა. დასმულ საკითხში უფრო მეტი სიცხადის შეტანის მიზნით მოკლედ გავეცნოთ მკელელობის დამამტიმებელ გარემოებებს საქ. სსკ 109-ე მუხლის მიხედვით. ეს მუხლი დაყოფილია სამ ნაწილად. თითოეულ ნაწილში მკელელობის სხვადასხვა დამამტიმებელი გარემოებაა გათვალისწინებული. მაგალითად, ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია

პრაქტიკით არ შემოიფარგლება. ამ პრაქტიკის შეტი ეყვეპტურობისთვის იგი მიმართავს მეცნიერებას, რომელიც გარესინამდვილისადმი ადამიანის შემეცნებით, თეორიულ, დამოკიდებულებას გამოხატავს. ეს დამოკიდებულება პრაქტიკულთან მიმართებაში მეორეულია, რადგან ეს უკანასკნელი პრაქტიკის მოთხოვნებითაა პირობადებული (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ 6. ძვარაცხლია, ადამიანი, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა, თბილისი, 1985, გვ. 1987, გვ. 187). ამისი დადასტურება ჩვენს შემოხევაშიც შეიძლება: ჩვენ ვკვლილობთ თეორიულად გამოვხატოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრაქტიკა, რათა ეს უკანასკნელი უფრო ეფექტური და მეცნიერულად დასაბუთებული იქნება.

ამრიგად, ირკვევა, რომ გარესინამდვილისადმი ადამიანი ამყარებს, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულ მისართებას, რომელიც ამ სიჩამდვილისადმი თეორიული მიმართების საფუძველია. თუ საზოგადოებრივი პრაქტიკა ლაპარაკობს ნორმის, როგორც ქცევის წესის, ენაზე, ესე იგი საზოგადოებრივი პრაქტიკა მოწესრიგებულია სოციალური (მორალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ა.შ.) ნორმებით, თეორიის ენას ცნება თუ კატეგორია წარმოადგენს, რადგან, გარესინამდვილისადმი ადამიანის შემმეცნებითი, თეორიული დამოკიდებულება ცნების, თუ კატეგორიის ლოგიკურ ფორმაში გამოიხატება. არსებობს დანაშაულის ცნება, როგორც თეორიული ასრის ლოგიკური ფორმა. იგი, როგორც შეკვეა არაერთხელ აღვნიშნეთ, განმარტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ესაა დანაშაულის ზოგადი ცნება, რომელიც მიღებულია როგორც წმინდა ემპირიული უკაქტების, ისე, ცალკეულ დანაშაულთაგან აბსტრაქციის ანუ განყენების გზით.

ისიც დაღვენილია, რომ გარესინამდვილისადმი ადა-

ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშეა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, „ქმედების“ სტრუქტურაში იგულისხმება მისი სუბიექტური მხარეც, ოღონდ, ბრალისა და მისი ფორმების გარეშე. ამ მიმართებით უგულისხმება ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება. მაგრამ ამ საკითხს უფრო დრმა განხილვა სჭირდება და მას მოგვიანებით განვიხილავთ. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ტერმინი „ქმედების შემადგენლობა.“ ეს ტერმინი სისხლის სამართლის ჟოგად ნაწილში დავას არ იწვევს, როგორც დანაშაულის პირველი ელემენტი (მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გარეშე). მაგრამ რამდენადაც სისხლის სამართლის ქერძო ნაწილში გადმიცემულია დამთავრებული დანაშაულის ცნება და მისი ცალკეული შემადგენლობანი, ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობა“ აუცილებელი ხდება. მაგალითად, ერთია ქურდობის ცნება და მეორეა მისი შემადგენლობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველ ნაწილში ქურდობა განმარტებულია, როგორც „სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.“ ეს, ერთი მხრივ, არის ქურდობის, როგორც ცალკეული დანაშაულის, ცნებაც და მისი მარტივი შემადგენლობაც. მაგრამ ქურდობის შემადგენლობა ქურდობის ცნებაზე მეტია და მრავალფეროვანი. ამაზე მეტყველებს 177-ე მუხლის არა მარტო მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილი, არამედ ამ მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი მუხლებიც, რომელიც ქურდობის არაერთგზისობაზე მიანიშნებს. განა ცხადი არაა, რომ, როგორც წესი, ქურდობის, როგორც ასეთის, ჩაღენა კი არ ხდება, არამედ, ქურდობის სხვადასხვა შემადგენლობის განხორციელება. სამწუხაროდ, ამ მიმართებით დაშვებულ იქნა ლიგიკური შეცდომაც, როდესაც დანაშაულის ცნება და მისი შემადგენლობის ცნება გააიგივეს. მაგალითად, ა. პიონტკოვსკი

ადამიანის ნების გარებანი აქტი მოქმედების, ან უმოქმედობის სახით, რადგან შემაღენლობა შეიძლება განხორციელდეს არაპარტო აქტიური მოქმედებით, არამედ, უმოქმედობითაც; ესე იგი, სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობით. ქმედება, თავის მხრივ, ასე მარტივი არ არის. იგულისხმება ქმედების სტრუქტურა, მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები. ცნობილია, რომ დანაშაულის (ცნების კლასიკურ მოდელში(ლისტ-ბელინგის მოძღვრება) შემადგენლობა მხოლოდ ობიექტური ნიშნებით იყო წარმოლგენილი, რადგან, ამ დროისათვის გაბატონებული გახლდათ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, ხოლო, ბრალი ქმედების შემადგენლობის უარგლებს გარეთ იქნა გატანილი. ცხალია, ქმედების შემადგენლობის ასეთი წმინდა ობიექტური გაგება ობიექტიფიზმია, რადგან, რაიმე სუბიექტური ელემენტის (თუნდაც მოტივის, ან მიზნის) გარეშე „შემადგენლობა“ პრაქტიკულად გამოუსაღებარია. მაგალითად, წმინდა ობიექტური ნიშნების მიხედვით შეუძლებელია ქურდობის შემადგენლობა როგორც სხვისი მოქმედები ნივთის ფარული დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამიტომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურა მისი სუბიექტური ელემენტის გარეშე არ არსებობს. გარკვეული პირობითი აზრით იყენებენ ტერმინს „ობიექტური შემადგენლობა“ ან „სუბიექტური შემადგენლობა“ ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის აღსანიშნავად, მაგრამ ეს მხოლოდ შემადგენლობის ბუნების დადგენის აჩალისური ხერხია, მაშინ როდესაც სინოეზი შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა იგულისხმება. სამწეხაროდ, ამ მხრივ მეორე უკიდურესობა, ანუ, სუბიექტიფიზმი განვითარდა, როდესაც ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ბრალი იქნა შეტანილი. ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობა არ შედის, ხოლო, ასეთ პირობებში ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ბრალის შეტანა ლოგიკურად იმასაც ნიშნავს. რომ

ნაირად დანაშაულის ჩადენის მექანიზმისა და ქმედების დანაშაულად კულიტურული ცნების სწორი დაღვენა შეუძლებელია.

### § 3. დანაშაულის ცნება და გეზების შემადგენლობა

უკვე საეჭვო არ უნდა იყოს დებულება, რომ პრაქტიკულად ხორციელდება არა დანაშაული, როგორც ასეთი, ან ცალკეული დანაშაული ზოგადად, არამედ, სისხლის სამართლის კანონით გათვალიწინებული ქმედების კონკრეტული შემადგენლობა. ქმედების ეს შემადგენლობა მთელ დანაშაულს კი არ უდრის, არამედ, იგი დანაშაულის პირველი და ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. სისხლის სამართლის კანონით გათვალიწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების გარეშე დანაშაულის ჩადენაზე ლაპარაკიც კი გამორიცხულია. მაგრამ ამ შემადგენლობის განხორციელება დანაშაულის ჩადენას ჯერ კიდევ არ უდრის. თუ დადგინდა, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შესაბამისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია, მაშინ, დანაშაული ჩადენილად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში არც მართლწინააღმდეგობა შედის და არც ბრალი. ამიტომ, დგას დანაშაულის ცნებისა და ქმედების შემადგენლობის ცნების გამიჯვნის საკითხი.

უპირველეს ყოველისა, დასაღვენია ტერმინოლოგიური საკითხიც. კერძოდ, რომელი ტერმინი უფრო მისაღებია: „დანაშაულის შემადგენლობა“ თუ „ქმედების შემადგენლობა“? პირველი ტერმინი გაძარტონებულია რესულ, ხოლო, მეორე - გერმანულ სისხლის სამართლებრივ, ლიტერატურაში. ცხადია, ამ ორ მიღვომას შორის არის საერთოც. ესაა ტერმინი „ქმედება.“ უპირველეს ყოველისა, იგი ულისხმება

მკვლელობა: а) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამ-  
სახურებრივ საქმიანობასთან, ან, საზოგადოებრივ მოვალეო-  
ბასთან დაკავშირებით; ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან  
დაკავშირებით; გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ  
უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას;  
დ) სხვა დანაშაულის დაფარვის, ან მისი ჩადენის გაად-  
ვილების მიზნით. ნუთუ გასაგები არაა, რომ შეუძლებელია  
არა ოუ მთელი მკვლელობის, როგორც ასეთის, ჩადენა,  
არამედ, მკვლელობის ამ რთხი დამამტიმებელი გარემოებით  
ერთბაშად ჩადენაც კი. მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდე-  
ბასთან დაკავშირებით ამ სახის მკვლელობის ერთი შემად-  
გენლობაა, სხვა დანაშაულის დაფარვის, ან მისი ჩადენის  
გაადვილების მიზნით. მეორეა და ა. შ.

გასაგები უნდა იყოს, რომ პრაქტიკულად დანაშაუ-  
ლის არც ზოგადი ცნება ხორციელდება და არც ცალკეუ-  
ლი დანაშაულის ცნება(ამის შესახებ უფრო დაწვრილე-  
ბით იხილეთ ბ. ნაჟმებია, ქმედების დანაშაულად კვალი-  
ფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, თბილისი, 2000)-ეს  
ბუნებრივია, რაღან ცნება, როგორც თეორიული ასრის  
ლოგიკური ფორმა, გარესინამდვილისადმი აღამიანის თეო-  
რიულ დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო, ეს თეორი-  
ული დამოკიდებულება პრაქტიკულ დამოკიდებულებაზე არ  
დაიყვანება. მკვლელობის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ  
ხდება, არამედ, პრაქტიკულად ხორციელდება მკვლელობის  
ცალკეული შემადგენლობანი. მაგალითად, მარტივი მკვლ-  
ელობის შემადგენლობა ერთ შემთხვევაში ხორციელდება  
ეჭვიანობის, მეორეში - შურისძიების, მესამეში - სისხლის  
აღების ნიადაგზე და ა. შ. იგულისხმება, რომ პრაქტიკულად  
ხორციელდება, უპირველეს კოვლისა, სისხლის სამართლის  
განონით გათვლისწინებული ქმედების შემადგენლობა, რო-  
მელიც ჯერ კიდევ არ უდრის დანაშაულის ჩადენას. ას  
მიმართებით ბუნებივად დგება „დანაშაულის“ და „შემად-  
გენლობის“ (ცნებათა გამოჯვნის პრობლემა, რაღან სხვა-

წერდა, რომ დანაშაულის მატერიალური ცნება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის შემადგენლობის ფორმით კონკრეტიზირდება. „დანაშაულის ყოველი შემადგენლობა - წერდა ავტორი, - რომელიც მითითებულია სიხლის სამართლის კანონში, არის ამ დანაშაულის ცნება“ (Курс советского уголовного права в шести томах, т. 2. М. 1970, стр. 91). მისი აზრით, „დანაშაულის ყოველი შემადგენლობა, როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედებისთვის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა, არის განსაზღვრული დანაშაულის იურიდიული ცნება“ (იქვე, გვ. 94). ამრიგად, გამოდის, რომ დანაშაულის ზოგადი ცნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილში დანაშაულის შემადგენლობის ცნების ლოგიკური ფორმით გამოიხატება. ეს დებულება ლოგიკურად სწორი იქნებოდა მხლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ცნება და მისი შემადგენლობის ცნება ერთი და იგივეა. ამ იგივეობის პირობით შეიძლება უამტკიცოთ, რომ დანაშაულის ზოგადი ცნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილში დანაშაულის შემადგენლობის ცნებით გამოიხატება. სინამდვილეში, ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობა დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტია და არა მთელი დანაშაული; მეორეც, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ცალკეული დანაშაულის ცნება ამ დანაშაულის შემადგენლობას სრულიადაც არ ამოწურავს. აქედან გამომდინარე, ა. პიონტკოვსკის აღნიშნული მსჯელობა ლოგიკური შეკვლომაა. სამწუხაროდ, ამ საქმეში ა. პიონტკოვსკი ჩარჩო არ ყოფილა. ამტკიცებდნენ, რომ „დანაშაულის ზოგადი ცნება გამოხატავს ყველა დანაშაულის ზოგად თვისებას, რომლის იურიდიული ცნება კანონმდებლის მიერ გამოხატულია ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობაში“ (Курс советского уголовного права, часть Общая, т. 1, ЛГУ. 1968, стр. 252).

სამწუხაროდ, უითქმის ანლოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ რესეტის ფერერაციის სისხლის სამართლებრივ

ლიტერატურაშიც. ამტკიცებუნ, რომ „ადამიანის საზოგადოებრივად საშიში ქმედება – ეს რეალური სინამდვილეა, ხოლო შემადგენლობა – მისი იურიდიული ცნება (Уголовное право Российской Федерации, Общая часть, М. 1996, 82).

ვერ ვიტავით, იმას, რომ რესი კრიძინალისტები დანაშაულის ცნებისა და შემადგენლობის ცნების გამიჯვნას არ ცდილობდნენ, მაგრამ ამ საქმეში ბოლომდე თანმიმდევრული არ იქნებ და არ არიან. მაგალითად, პ. ტრაინის სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ მკალელობა ერთიანია, „ხოლო მკალელობის შემადგენლობა – სხვადასხვა“ (A. H. Трайни, Состав преступления по советскому уголовному праву, М. 1951, стр.22). სამწუხაროდ, ავტორი ლოგიკურად თანმიმდევრული არ ყოფილა, რადგან, ის ამტკიცებდა, რომ „ერთია 1947 წლის 7 ივლისის ბრძანებულებით გათვალისწინებული სოციალისტური საკუთრების გატაცების შემადგენლობა, რომელიც როგორც დანაშაულს – ქურდობას, გაფლანგვას, ხელისუფლების ანგარებით გამოყენებას და ა. შ. შეიცავს“ (იქნე, გვ. 172). გამოდის, რომ ქონების გატაცების ზოგადი შემადგენლობა აპირობებს ცალკეულ დანაშაულს, მაშინ, როდესაც გატაცების, როგორც ასეთის, პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია.

ხსენებული თვალსაზრისით უურადღებას იქცევს პროფ. 6. კუზნეცოვას პოზიციაც. ავტორი გვეკითხება: „მართლაც ერთია თუ თერთმეტია დანაშაულის შემადგენლობა რსფსრ სსკ 102-ე მუხლში?“ (იგულისხმება მკალელობის დამამძიმებელი გარემობანი). ამ კითხვაზე ავტორის პასუხი ასეთი გახლდათ: არსებობს ერთი შემადგენლობა ალტერნატიული ნიშნებით, თუ ერთიანია ქმედება - მკალელობა, გატაცება და ა. შ. (Н. Ф. Кузнецова, Преступление и преступность, М. 1969, стр. 118). გამოდის, რომ, მაგალითად, საჭ. სსკ 109-ე მუხლში გათვალისწინებულია მკალელობის არა ცალკეული შემადგენლობანი, არამედ, ერთი შემადგენლობა ალტერნატიული ნიშნებით. თუ დანაშაულის ჩადენა მხრილი შემადგენლო-

ბის განხორციელების გზით ხდება, მაშინ გამოდის, რომ მკვლელობის ერთი შემადგენლობის განხორციელება უდრის მკვლელობის ყველა დამამტკიმებელი გარემოების ერთბაშად ჩადენას, რაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ არსებობს მკვლელობის საკმაოდ ბევრი შემადგენლობა, რომლის კალ-კლკე განხორციელების გზით ხდება მკვლელობის ჩადენა (თუმცა, ერთდროულად შესაძლებელია მკვლელობის რამოდენიმე შემადგენლობის განხორციელებაც).

დანაშაულის ცნებისა და ქმედების შემადგენლობის ცნების მიმართებაზე მსჯელობდა ვ. ბუღრიავცევიც, თუმცა, მისი ეს მსჯელობა კატეგორიული არ იყო და ავტორი ამას ამ საკითხის დაუმუშავებლობით ხსნიდა. მისი აზრით, თუ შემადგენლობის ალტერნატიული ნიშნების ცნებაზე უარს ვიტყვით, მაშინ, მოგვიწევს იმის აღიარება, რომ, მაგალითად, საკუთრებაზე ხელყოფის საკმაოდ ბევრი შემადგენლობა არსებობს. მკვლელობის მიმართ კი იგი შემადგენლობის ალტერნატიულ ნიშნებზე ამახვილებდა უურადღებას (იხილეთ მისი ნაშრობი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე, გვ. 82). მიუხედავად ამგვარი გაურკვევლობისა, ვ. ბუღრიავცევი მაინც მიუიღა დასკვნამდე, რომ, მაგალითად, ქურდობა ხორციელდება არა სოგადად „მოქმედების“ გზით, არამედ სრულად განსაზღვრული მოქმედებით - „ქონების ფარული გატაცებით“ (იქევ, გვ. 151). ამ უკანასკნელ მსჯელობაში ავტორი, როგორც ჩანს, იმ მოსაზრებას გამოთქვამს, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება არა ზოგადად, როგორც ასეთი, არამედ, ამა თუ იმ კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზით. ეს კი დანაშაულის ჩადენის მექანიზმის მსოფლმხედველობრივ დასაბუთების საჭიროებაზე მიუთითებს, თუმცა, ვ. ბუღრიავცევს ეს საკითხი უშეაღოდება დაუსვამს.

რაც შეეხება შემადგენლობის ე. წ. ალტერნატიულ ნიშნებს, ის უურადღებას იქცევს იმდენად, რამდენადაც დანაშაულის ჩადენის არაერთ ვარიანტს გამოხატავს. ამ ნიშნებს

კანონმდებლით ხშირად იქენებს ერთნაწილიან მუხლში, როცა იგი ცდილობს გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის უგელა შესაძლო ვარიანტი. მაგალითად, საქ. სსკ 190-ე მუხლში გათვალისწინებულია კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლის რამდენიმე ვარიანტი: დაუსაბუთებელი უარი რეგისტრაციაზე; ასეთივე უარი ლიცენზიის გაცემაზე; საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა; მის საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევა; მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აქ სამოთვლილი ალტერნატიული შემადგენლობანი იმაზე მიანიშნებს, რომ პრეტიული ხორციელდება კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლი არა ზოგადად ან როგორც ასეთი, არამედ, ალტერნატიული კარიანტებით, რაც, თვის მხრივ, ამ დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა შესაძლებლობაზე (ხერხზე) მიუთითებს.

#### § 4. მენების შემაღებლობა, რომორც ძალაშორის

უკვე ითქვა, რომ არსებობს დანაშაულის ზოგადი ცნება, მაგრამ არსებობს ცალკეული დანაშაულის ცნებაც. ამ მიმართებით იგულისხმება ზოგადისა და კერძოს ლოგიკური კავშირი. დანაშაულის ზოგად ცნებას სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ლოგიკურად შეესაბამება ცალკეული დანაშაულის ცნება და არა ამ დანაშაულის მოული შემადგენლობა. მაგალითად, 177-ე მუხლის პირველ ნაწილში ქურდობის ცნება ქურდობის მარტივი შემადგენლობის აღწერის გზითაა გადმოცემული, მაგრამ ქურდობის შემადგენლობა და ქურდობის ცნებაზე უყრიო მდიდარი და მრავალფეროვანია. ეს იმასაც ადასტურებს, რომ ერთია დანაშაულის ცნების ხაგანი და მეორეა ქმედების შემადგენლობის. როგორც კატ-

ეგრირის, საგანი. როგორც დ. მებერია აღნიშნავსა, „ცნების უდიდესი მეცნიერული დირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის საგანთა არსს გამოხატავს. აზრი, რომელიც საგანთა არსს არ გამოხატავს, არ შეიძლება ცნებად იწოდებოდეს“ (დ. მებერია, ცნების თეორიის საკითხები, ობილისი, 1967. გვ. 196). აქედან გამომდინარე, ქმედების შემადგენლობას, როგორც თეორიული აზრის კატეგორიულ ფორმას, ესე იგი კატეგორიას, დანაშაულისგან განსხვავებული საგნობრივი საფუძველი აქვს. ამ თვალსწირისით უკრადლებას იპირობს 3. შერჩებინის მოსაზრება. მისი აზრით, „დანაშაულის შემადგენლობა თავისებური, უნიკალური ტერმინია, რომლის მსგავსი არც ერთმა მეცნიერებამ არ იცის.“ აკტორის მტკიცებით, „დანაშაულის შემადგენლობას საერთოდ არა აქვს გვარი, იგი არ შედის რომელიმე სხვა ცნებაში. დანაშაულის შემადგენლობა უკიდურესად ფართო ცნებაა, სისხლის სამართლის კატეგორია“ (В. А. Жеребкин, Содержание понятий права, Автореферат докторской дисс. Харьков, 1980, стр. 19). აკტორი მართალია იმაში, რომ დანაშაულის შემადგენლობას არა აქვს გვარი. მისი განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური სახის მიხედვით (როგორც ეს ხდება (ცნების განსაზღვრებისას) შეუძლებელია. პროფ. ს. შერჩები წერდა: „ცნების განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური ძირითადი წესები ეხება გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებაში მყოფ ცნებებს, რომელთაც აქვთ უახლოესი გვარი და სპეციფიკური ნიშანი. სწორედ ამ მიმართებათა დადგენა ითვლება ცნების განსაზღვრებად. კატეგორიას კი არც გვარი აქვს დ არც სახე“ (ს. შერჩები, დიალექტიკური ლოგიკა, ობილისი, 1965, გვ. 387). ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობას მართლაც არა აქვს გვარი და ამიტომ იგი კატეგორიალური ბუნებისაა, რადგან, ცნების განსაზღვრების წესით არ განისაზღვრება. მაგრამ არის თუ არა იგი საკუთრივ სისხლის სამართლის კატეგორია? ჩემის აზრით, არსებობს ტერმინი „ქვედების შემადგენლო-

ბა,” რომელიც სჭირდება ეთიკას, რელიგიას, სამართალს. იგი თავის გამოხატულებას სამართლის თეორიაშიც პოულობს. „ქმედების შემადგენლობა“ უზოგადეს კატეგორიას აღნიშნავს, ხოლო ეს უზირგადესი კატეგორია სპეციფიკურად ვლინდება სამართლის ცალკეულ დარგებში, მათ შორის, ცხადია, სისხლის სამართალშიც. დანაშაულის ცნება აიგება სამი კატეგორიის - ქმედების შემადგენლობის, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალის, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორიის, - საფუძველზე (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხილეთ ბ. ნაჟყაბია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006).

ამრიგად, „ქმედების შემადგენლობა“ უფრო აქტუალურად არის სამართლის წოდები თეორიის კატეგორია, რომელიც სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართალშიც. მართებულია ავტორის მტკიცება, რომ დაჩაშაულის შემადგენლობა ლოგიკურ მიმართებაშია არა ცალკეული დანაშაულის ცნებასთან, არამედ, ცლკეული დანაშაულის, კოქიათ, ქურდობის, შემადგენლობის ცნებასთან (იხ. ეერებინის დასახ. ნაშრომი, გვ. 18).

ქმედების შემადგენლობა რომ კატეგორიული ბუნებისაა, სხვა გზითაც შეიძლება დავადასტუროთ. კერძოდ, არსებობს ისეთი კატეგორიაც, რომელიც ოუცილებელი კავშირის ფორმას წარმოდგენს. ქმედების შემადგენლობა არის მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის კავშირის ფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი ქმედება თავის დაპირისპირებულში, ანუ, მართლსაწინააღმდეგოში პირდაპირი ლოგიკური გზით კი არ გადადის, არამედ, ქმედების შემადგენლობის განხორცილების გზით. მართლზომიერი ქმედება თავის დაპირისპირებულში, ანუ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში პირდაპირი ლოგიკური გზით რომ გადადიოდეს, მაშინ, მართლზომიერი ქმედება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ლოგიკური მოხსნა იქნებოდა. ამგვარ გვ

თარებაში მართლსაწინმაღდეგო ქმედების სამართლებრივი ბუნება გაუგებარი აღმოჩნდება. ტერმინი „მართლზომიერი,” როგორც ქმედების დადებითი შეფასება, ნიშნავს სამართლებრივი მოვალეობის შესრულებას. ტერმინი „მართლსაწინააღმდეგო” ნიშნავს მართლზომიერი ქმედების მოვალეობის დარღვევას, ხოლო ეს დარღვევა ხდება ქმედების კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზით. ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლზომიერი აქტი არ არის, რადგან, ეს ქმედება უკვე სცილდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, მაგრამ იგი ამავე დროს არც მართლსაწინააღმდეგოა. ამიტომ, ჩვენ უერ დაუეთანხმებით თითქმის გაბატონებულ დებულებას, რომ იურიდიული მნიშვნელობის ქმედება შეიძლება იქნის მხოლოდ მართლზომიერი, ან მართლსაწინააღმდეგო (A. F. Черданцев, Теория государства и права, M. 1999, стр. 305). ქმედების შემადგენლობა სწორედ ისაა, რომელიც, ერთი მხრივ, ემიჯნება მართლზომიერ, ხოლო, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგო ქმედებას. ეს არის სასაზღვრო, ანუ, შუალედური ე.წ. მარგინალური ქმედება. სამწუხაროდ, ამგვარი მარგინალური ქმედება საბოლოოდ მაინც მართლზომიერადაა მიჩნეული (იქვე, გვ. 307). ცხადია, ეს მტკიცება შეკვლომაა. რადგან, ქმედების შემადგენლობა არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. ეს იმის თქმაც არის, რომ ქმედების შემადგენლობა შეფასებითი არ არის. მართალია, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა შეფასებით ნიშნებსაც შეიცავს (მაგალითად, გარუკნილი ქმედება, არსებითი ზიანი და სხვა), მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა შემადგენლობაზე დავიუვანოთ.

სამწუხაროდ, ვ. გერებეგინი ქმედების დანაშაულად კუალიფილაციის მთელ თავისებურებას ლოგიკური ხერხებით ამოწურავს. მისი აზრით, „დანაშაულისა და დანაშაულის

შემადგენლობის თანაფარდობის საკითხი – ეს ლოგიკური პრობლემაა” (იხილეთ შერჩებინის დასახელებული ნაშრო-  
მი, გვ. 48). იგი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ „დანაშაული“ შეფასებითი ცნებაა, ხოლო, ქმედების შემად-  
გენლობა, როგორც უკავე ითქვა, აღწერილობითია, ფაქტის  
მსჯელობაა. ამ მიმართებით კი ბუნებრივად დგება ქმედების  
დანაშაულად კუალიფიკაციის აქსიოლოგიური პრობლემაც.

## § 5. დანაშაულის ცნება და ძმებების შემადგენლობა ამსიონლობიური თვალსაზრისით

უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართლის კანონით გათ-  
ვალისწინებული ქმედების შემადგენლობა არც მართლზომ-  
იერია და არც მართლსაწინააღმდეგო. დანაშაულის ჩადენა  
ხდება ამა თუ იმ ქმედების შემადგენლობის განხორციელე-  
ბით, ხოლო, ქმედების შემადგენლობის განხორციელება  
არც მართლზომიერია და პირდაპირი ლოგიკური გზით არც  
მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში გადადის. აქედან გამომ-  
დინარე, ქმედების შემადგენლობა შეფასებითი არ არის.  
კერძოდ, იმის გამო, რომ ქმედების შემადგენლობის განხორ-  
ციელება უკვე სცილდება დანაშაულთა თავიდან აცილების  
გამო არსებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის  
უარგლებს, იგი მარლზომიერი აქტი აღარ არის; იმის გამო,  
რომ ქმედების შემადგენლობიდან ამ ქმედების მართლწი-  
ნააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა შეუძლე-  
ბელია, - ქმედების შემადგენლობის განხორციელების ფაქ-  
ტი ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე ჯერ კიდევ არ  
მიუთითებს. პროფ. თ. ჭერებილი ლოგიკური თვალსაზ-  
რისით საკუთხით მართებულად წერდა, რომ „დანაშაულის  
შემადგენლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის  
ზოგადი ცნების სახეობით ცნებას. დანაშაულის ზოგადი

ცნების სახეობითი ცნება იქნება ცალკეული დანაშაულის (მაგალითად, მკულელობის, ქურლობის, ყაჩალობის და სხვა) ცნება და არა შემადგენლობის“ (ესე იგი განსაზღვრული დანაშაულის აღწერის) (კნება (თ. ფრანგული, ბ. ტყევალი-აძმ, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 109-110). გასაგებია, რომ ქმედების შემადგენლობა აღწერილობითი ბუნებისაა, ე. წ. ფაქტის მსჯელობაა, რადგან, როგორც უკავი უთქვით, იგი ქმედების არც დადგით, და არც უარყოფით შეფასებას გამოხატავს. ეს დებულება კი უფრო ადექტატურად შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნეს აქსიოლოგიური მეთოდის, ანუ, ღირებულების ფილოსოფიის პოზიციებიდან. ჩვენ უკავი გახსენეთ აქსიოლოგია, როგორც ღირებულების ფილოსოფია შეფასების საფუძველისა და ნორმის ცნებასთან კავშირში. კერძოდ, ადამიანი შემფასებელი არსებაა, ხოლო, შეფასება ღირებულების, როგორც შეფასების საფუძვლის, მიხედვით ხორციელდება. ნორმა, როგორც ქცევის წესი, ღირებულების არსებობის ყორმაა. მეორენაირად რომ კოქეათ, ნორმა, როგორც ქცევის წესი, ჯერარსულია და შეფასების საფუძველიც. ბ. ნანიშვილი სამართლიანდ წერდა: „წარმოუდგენელია სამართლის ნორმა ღირებულებითი მომენტის გარეშე. აგრეთვე გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეუძლია სამართლის ნორმას სხვა რამ გამოხატოს, თუ არა ჯერარსობა“ (ბ. ნანიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, თბილისი, 1929, გვ. 18).

ამრიგად, ადამიანის საქციელი სამართლის ნორმის, როგორც სამართლებრივი ღირებულების ფორმის, საფუძველზე უასედება, კითარც „მართლზომიერი,“ როდესაც ეს ქმედება ნორმის მოთხოვნას ასრულებს და ქმნის მართლწესრიგს. სედლ სხვა მდგომარეობა იქმნება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენა ხდება ქმედების შემადგენლობის განხორცილების განით, ხოლო, ქმედების შემადგენლობა თავისი ბეჭედით

აღწერილობითია, ფაქტის მსჯელობაა. ამ შერიც უურადღებას იქცევს პროფ. გ. ტბეგვლიაძის მოსაზრებანი ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწონაათლევების თანაფარდობის შესახებ. მისი მტკიცებით, ადამიანი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ადგენს ფაქტებს ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არის. მაგრამ ადამიანს სრულიადაც არ აკმაყოფილებს ფაქტობრივად არსებული სინამდვილე და იგი ცდილობს ამ სინამდვილის გარაქმნას ისე, როგორც მას იღეალში წარმოუდგენია. ფაქტების დადგენის წესით აიგება ე. წ. დესკრიფციული, ანუ, აღწერილობითი მსჯელობები. გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების ვითარებაში კი „ლაპარაკია ობიექტისადმი სუბიექტის ღირებულებით დამოკიდებულებაზე, ე. ი. სუბიექტი აქ არ გამოდის, როგორც ფაქტების, მოვლენების პასიური რეგისტრატორი“ (Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, стр. 49). მეორენაირად და ჩვენი ამოცანების კუთხით რომ ვთქათ, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დადგენა, მაგრამ იგი ამის შემდეგ საჭიროებს სულ მცირე ორი შეფასებითი ცნების (ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის) დადგენას. ამისთვის კი საჭიროა გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულება. ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთი სახეა სამართლის ნორმა, რომელიც ქმედების სამართლებრივი შეფასების საფუძველია. ცხადია, სისხლის სამართლის ნორმაში ქმედების შემადგენლობაც არის აღწერილი, მაგრამ იგულისხმება ამ ქმედების შეფასებაც. ასე, რომ, სისხლის სამართლის ნორმა აღწერილობითი და შეფასებითი მსჯელობების სინთეზის წარმოადგენს (გ. ტბეგვლიაძე, გვ. 51). აუტორი მიდის დასკვნამდე, რომ შემადგენლობა დესკრიპციულია, ხოლო, მართლწინააღმდეგობა, პირიქით, - შეფასებითი. მისი მტკიცებით, „შეფასების

საგანია ქმედება, მაგრამ შეფასება, რასაკვირველია, არაა თვითონ ქმედება. აქედან გამომდინარეობს, რომ მართლწინააღმდეგობა, როგორც ლირებულებითი, შეფასებითი მსჯელობა, არ შეიძლება გათვალისწინებული შემადგენლობის, როგორც აღწერილობითი მსჯელობის, ნიშნად ჩაითვალოს” (გ. ტყუჩელიაძე, გვ. 54).

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმაში იგულისხმება ქმედების არწერილობისა და მისი შეფასების სინთეზური ერთიანობა(ამის შესახებ იხ. გ. ტყუჩელიაძე, ლირებულების პრობლემა და სამართალი, „საბჭოთა სამართალი,” 1981, № 2). ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ქმედების შემადგენლობის დადგენა ვერ ამოწურავს. რადგან, დანაშაული ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს, ხოლო, მართლწინააღმდეგობა შეფასებითი მსჯელობაა და შემადგენლობის, როგორც აღწერილობითი. უაქტის მსჯელობის, ნიშანს თუ ელემენტს არ წარმოადგენს. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობის შეტანა მეთოდოლოგიური შეცდომაა, რომელიც უაქტის მსჯელობაზე ლირებულებითი მსჯელობის დაყვანის შედეგია. ესაა ქმედების შემადგენლობაზე დანაშაულის ცნების დაყვანის ტენდენცია, რომლის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აქსიოლოგიის, როგორც ლირებულების ფილოსოფიის, უგულებელყოფა, როდესაც უგულებელყოფილია ნორმატიული თავალსაზრისი, ესე იგი, სამართლის ნორმა, როგორც ქცევის წესი, ქმედების შემადგენლობის, როგორც უაქტის მსჯელობის, სტრუქტურაშია შეტანილი. უფრო აქსიოლოგურად რომ ვთქვათ, ამ მიმართებით ჯერარსი არსზეა დაყვანილი, რის გამოც შეფასების მთელი მექანიზმი (ჯერარსული პოზიცია) მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე, „დანაშაული“, როგორც შეფასებითი ცნება, ქმედების შემადგენლობაზე, როგორც აღწერილობით მსჯელობაზე, არ დაიკვანება. ვ. მერმებინი თაქის

Ієвза нащернімში წერდა, რომ „დანაშაული“ სავსებით უნიკალური მოვლენაა. თუ Ієвза მეცნიერების ცნებებს აქვს გვარეობითი ნიშანი და სახეობრივი განსხვავება, სისხლის სამართალში საქმე სხვაგვარდაა. კერძოდ, იმ ნიშნების საფუძველზე, რომელიც ქმნის დანაშაულის ცნების ძირითად შინაარსს, ჯერ კიდევ არ შეიძლება გაეკეთდეს დასკანა, რომ ჩადენილი ქმედება იარის დანაშაული. ქმედების დანაშაულისადმი მიკუთვნების ფუნქციას „დანაშაული“ აქ აღარ ასრულებს. აქედან ავტორი ასკვნის, რომ, მაგალითად, გაძარცვის ნიშნების დადგენილან „ჯერ კიდევ შეუძლებელია, რომ ქმედებას სამართლებრივი შეფასება მიეცეს (В. А. Жеребкин, Логический анализ понятий права, Киев, 1976, стр. 20).

როგორც ჩანს, აუტორი იმ მოსაზრებას გამოთქვამს, რომ დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედების ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა ქმედების დანაშაულად კვლიფიკაციას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. სამწუხაროდ, ვ. უმრაბბინი ლოგიკის სფეროში ჩაიკეტა და ამიტომ იგი იქნება ული გახდა, უკან დაეხია. კერძოდ, მისი მტკიცებით, „თუ ჩადენილი ქმედება არის განზრახი, ფარული, რაც სხვისი ქონების გატაცებას წარმოადგენს, თუ იგი ჩადენილია 14 წლის ასაკს მიღწეული პირის მიერ, მაშინ, ასეთი ქმედება არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსწინააღმდეგო (В. А. Жеребкин, Логическая структура состава преступления, Харьков, 1974, стр. 36).

სამწუხაროდ, ირკვევა, რომ აუტორის ეს მსჯელობა მხრილ ფორმალურ-ლოგიკური თევალსაზრისით შეიძლება გამართლდეს, მაშინ, როდესაც აქსიოლოგიურად გაუმართლებელია, რადგან, მცირემნიშვნელოვნი ქმედება, თუმცა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს შეიცავს, მაგრამ დანაშაულად ვერ ჩაითვლება. მართალია, აუტორი ამ წინააღმდეგობის აცნობიერებს, მაგრამ ლოგიკის სფეროში ჩაიკეტას გამო პრობლემა გადაუქრედი დარჩა. ამას ადას-

ტურებს ის ფაქტი, რომ აკტორი რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გაძატონებულ დებულების დაუბრუნდა. აკტორის დასკუნით, „დანაშაულის შემადგენლობა არის ქმედებათა სამართლებრივი შეფასების ერთადერთი საფუძველი, დანაშაულის კვალიფიკაციის ერთადერთი საფუძველი და სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის საფუძველი“ (В. А. Жеребкин, Содержание понятий права, стр. 22).

საკითხავია: თუ ქმედების შემადგენლობა აღწერილობითია, მაშინ, როგორ შეიძლება იგი ქმედების დანაშაულად შეფასების (კვალიფიკაციის) საფუძვლად, ანუ, ლირებულებად ჩაითვალოს? გარდა ამისა, თუ მცირემნიშნელოვანი ქმედება, მიუხედავად ამ შემთხვევაში შემადგენლობის ნიშნების ფორმალურად არსებობისა, დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ, როგორ შეიძლება, რომ ქმედების შემადგენლობა სიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად ჩაითვალოს?

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონით გათვალიწინებული ქმედების ნიშნებისადმი ჩადენილი ქმედების ნიშნების თუნდაც ზუსტი, მაგრამ მხოლოდ ფორმალური, მისაღაბება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ჯერ კიდევ არ წარმოადგენს, რადგან მცირემნიშვნელოვანი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ჩეენ უკავით, რომ სისხლის სამართლის ნორმა, ერთი მხრივ, ითვალიწინებს ქმედების შემადგენლობას, როგორც ფაქტის მსჯელობას, ხოლო, მეორეს მხრივ, - ამ ქმედების შეფასებას შისი მართლწინააღმდეგობის ოვალსაზრისით. პროფ. ბ. ხებჟა მართებულად აღნიშნავს, რომ „ნორმა ადგენს იმას, რაც “უნდა იყოს.“ ნორმის შინაარსს აყალიბებს ჯერარსი-სამართლის ნორმა არის ჰიპოთეტური ჯერარსული წინადადება. სამართლის ნორმა გაპირობებული, კერძოდ, ფაქტობრივი შემადგენლობით გაპირობებული ჯერარსული წინადადებაა“ (ბ. ხებჟა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გ. 5. 50). მეორნაირად რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის ნორმა არის

ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის სინთეზური ერთიანობა, თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედება არაა მცირემნიშვნელოვანი და არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება. ეს იმასაც ადასირული, რომ „ასეთი ქმედება ტიპიურად საზოგადოებრივად საშიშია, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებული გარემოებისას, არ იქნება საზოგადოებრივად საშიში“ (ო. ბამზრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 132). ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნორმაში ქმედების შემადგენლობა იარსებებს მხოლოდ ფორმალურად, მისი მართლწინააღმდეგობის გარეშე. თუ ქმედება საზოგადოებრივად საშიშია, მაშინ, სისხლის სამართლის ნორმა ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკურ-აქსიოლოგიური საფუძველია. მაგრამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემატიკაში დგას კიდევ ერთი მეოროდოლოგიური პრობლემა - რა ტერმინით უნდა გამოვხატოთ ჩადენილი ქმედების ნიშნების მიმართება მისი საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნებთან - „შესაბამისობით“ თუ „იგივეობით“? მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხიც.

## § 6. ჩაღენილი ძმეზების რეაგებისა და სისხლის სამართლის პანონით გათვალისწინებული ძმეზების რეაგების იგივეობის საჭიროების

უკაյ არაერთგზის ითქვა, რომ ჩაღენილი ქმედების ნიშნები ზუსტად უნდა შესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს. ამ შესაბამისობის დადგენა ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებული ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მაგრამ ამ

მიმართებით დგას მეთოდოლოგიური საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი ტერმინია ამ მხრივ უყვრო გამართლებული - „შესაბამისობა“ თუ „იგივეობა“?

„დანაშაულის კვალიფიკიის“ ტრადიციულ თეორიაში ამ მხრივ გამოყენებულია ტერმინი „შესაბამისობა“ იმის აღსანიშნავად, თუ როგორია მიმართება ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ნიშნებისა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებთან. ამ მხრივ განსხვავებული პოზიცია დაიკავეს პ. ნაუმოვმა და პ. ნოვიჩენკომ. მათი აზრით, ტერმინი „შესაბამისობა“ უფრო მათემატიკური და ბუნებისმეტყველურია და რაიმესი ფუნქციონალურ დანიშნულებას გამოხატავს. მაგალითად, ქიმიაში განვითარებულ შესაბამისობა პერიოდულობის კანონი იმის საფუძველზე, რომ მან დაადგინა ელემენტების ინდივიდუალური თვისებებისა და მათი ატომური წონის ფუნქციონალური შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აკტორები ფიქრობენ, რომ ქმედების დანაშაულად კვლიფიკიის თეორიაში გამოყენებული უნდა იქნეს ქმედებისა და მისი საკანონმდებლო ნიშნების არა „შესაბამისობა“, არამედ „იგივეობა“, როგორც დიალექტიკური მეოოდისა და ლოგიკის ერთიანობის სპეციფიკური გამოხატულება(Л. В. Наумов, А. С. Новиченко, Закон логики при квалификации преступлений, М. 1978, 11-15). ამ დებულებას იმით ასაბუთებენ, რომ იურისტი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკიისას, აცნობიერებს სამართლის ნორმას მთელი თავისი საკანონმდებლო ცნებებით და მისი ნიშნებით. ეს უკანასკნელი მიესადაგება ჩადენილი ქმედების ჩიპიურ, დამახასიათებელ, ნიშნებს სწორედ იგივეობის მიხედვით (იქვე, გვ. 16). კხადია, იგულისხმება, რომ ჩადენილ ქმედებაში არის ისეთი ნიშნები, რომელიც აღწერილია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაში. მაგალითად, ჩადენილია კამჯის ქურდობა საქონლის სადგომში შედწევით იმ პირის მიერ, კინკ ორჯერ იქო ნასამართლები გამომალევისათვის. ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედების (ქურ-

ლობის) ნიშნები უნდა გაიგივდეს. ჯერ ერთი, საქ. სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილის ნიშნებთან (ქურდობის სოგადი შემადგენლობის ნიშნებთან); მეორეც, ამავე მუხლის მეორე ნაწილის “გ” პუნქტის იმ ნიშანთან, რასაც კანონი აკვალი ფიცირებს, როგორც ქურდობას „სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.“ ამ შემთხვევაში გაიგივებისათვის საკმარისია „სადგომში შეღწევა“, რადგან იგულისხნება, რომ კამუნი საქონლის სადგომში (გრმურში) იდგა; მესამეც, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტთან, რომელშიც მითითებულია გამოძალვისათვის ნასამართლებრივი პირი.

ამრიგად, ამ მაგალითიდანაც კი ჩანს, რომ ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციის ცნებაში ტერმინი „იგივეობა“ მართლაც შეიძლება გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ იგივეობის კანონი ლოგიკის ერთ-ერთი შენიშვნელოვანი კანონია. პროფ. გ. ბამრაძე აღნიშნავდა, რომ „აზრი მიაკუთვნებს საგნებს ერთ ქლასს არა იმიტომ, რომ ეს საგნები აბსოლუტურად იგივეობრივი არიან, არამედ, იმიტომ, რომ ამ საგნებს იგივეორბრივი ნიშნებიც ახასიათებს“ (გ. ბამრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, IV, ლოგიკა, თბილისი, 1978, გვ. 400). ამით ისაა ჩათქვამი, რომ იგივეობა გულისხმობს განსხვავებასაც. როგორც პროფ. ს. ჭერეთელი წერდა, „იგივეობის ცნება აუცილებლობით გულისხმობს განსხვავების ცნებას; იგივეობრივს აზრი აქვს განსხვავებულთან მიმართებაში; იგივეობა და განსხვავება ფარდობითი კატეგორიებია“ (ს. ჭერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 142).

იგივეობის ცნება მოითხოვს იმას, რომ, ჯერ ერთი, ზუსტად უნდა იქნეს გაგებული სისხლის სამართლის კანონში გამოყენებული ტერმინი თუ ცნება, რათა მოხდეს მისი იდენტიფიკაცია პრაქტიკულად ჩადუხილი ქმედების ნიშნებთან. მეორეც, ცხადია, ერთია სისხლის სამართლის ნორმა, როგორც იდეალური არსი, და მეორეა რეალური ქმედება, მაგრამ იგივეობას ქმნის ის ნიშნები, რომელიც არწერილია სისხლის სამართლის კანონში და ამვე დროს ახასიათებს

რეალურად ჩადენილ ქმედებას. როგორც პროფ. ზ. ვაკე-  
აია აღნიშნავდა, „აუცილებელია აიხსნას, რომ ჩადენილი  
ქმედების ნიშნები ზუსტად, და არა მიახლოებით, სრული  
მოცულობით. შეესატყვისებიან ნიშნებს, რომლებიც აღ-  
წერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში.  
შეესატყვისობის სიზუსტე აღნიშნავს იგივეობას მომხდარ  
ფაქტსა (ჩადენილსა) და კანონში აღწერილ ქმედობას (მო-  
ქმედებასა და უმოქმედობას) შორის“ (ზ. ვულაია, სისხ-  
ლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი ტომი, მეორე  
გამოკება, ობილისი, 2003, გვ. 10). ქმედების ნიშნებისა და  
სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედების ნიშ-  
ნების დამთხვევის შესახებ თავისებურად მსჯელობს პროფ.

გ. ლეგვაიზაცია (იხილეთ სისხლის სამართლის კერძო  
ნაწილი, თბილისი, 2006, გვ. 18). ამრიგად, ქმედების და-  
ნაშაულად კვალიფიკაციისას დადგენილი უნდა იქნეს, უპ-  
ირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის კანონით გათვალ-  
ისწინებული ქმედების ნიშნებისა და რეალურად ჩადენილი  
ქმედების ნიშნების ლოგიკური იგივეობა. იდენტიფიკაციას  
(გაიგივებას) სასამართლო-საგამოძებო საქმიანობაში დიდი  
პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ამოცნობა  
სხვა არაფერია, თუ არა პირის იდენტიფიკაცია იმ პირთან,  
რომელიც წარედგინება მოწმეს, დაზარალებულს, ან ბრალ-  
დებულს ამოსაცნობად, ან მკვლელობის იარაღის თავის  
თავთან იდენტიფიკაცია, იმის დასაღვენად, რომ გასროლა  
სწორედ ამ იარაღიდან მოხსდა და სხვ(В. И. Кирилов, А. А.  
Страченко, Логика, Учебник для юридических вуз, М. 1987, стр.  
118-121).

## § 7. დანაშაულებრივი ძიებების გენეზისი და მისი მიღვველობა ძიებების დანაშაულად პვალიციაციის სფეროში

დანაშაულებრივი ქმედების გენეზისის პრობლემა ფრი-  
ად საინტერესო, მაგრამ მარკალმიხილივალ რთულია. იგი  
საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ რა განაპირობებს  
დანაშაულებრივ ქმედებას, როგორია ამ ქმედების ჩადენის  
მექანიზმი და ამ მექანიზმის რომელი ელემენტი იქცევს  
განსაკუთრებულ უერადლებას. საიდან, რომელი ელემენ-  
ტიდან, დავიწყოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია  
და რომელით დავამთავროთ? ეს საკითხი დასვა და თა-  
ვისებურად გადაჭრა კიდეც 3. გუდრიავცევა. მისი აზრით,  
დანაშაულის გენეზისი საწყისი ელემენტია სუბიექტი,  
ესე იგი შერაცხადი და განსაზღვრულ ასაკს მიღწეული  
პირი; ამ პირის თავისებურების სეგანლენით კალიბრება  
დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტური მხარე; განზრახ-  
ვის, გაუფრთხილებლობის, მოტივისა და მიზნის კვალი-  
ბაზე იქმნება დანაშაულის შემადგენლობის ისეთი ორი  
ელემენტი, როგორიცაა ობიექტური მხარე და ობიექტი(B.  
Н. Кудрявцев, Взаимосвязь элементов преступления, „ Вопросы  
борьбы с преступностью,” Вып. 25, М. 1976, стр. 55-56). აქედან  
გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ ჩადენილი ქმედების  
დანაშაულად კვალიფიკაცია უნდა დავიწყოთ უკუთანმიმ-  
დევრულად, ესე იგი ობიექტიდან, გადავიდეთ ობიექტურ მხ-  
არეზე, სუბიექტურ მხარეზე და, ბოლოს, სუბიექტზე (იქნა,  
გვ. 60). 3. გუდრიავცევის აღნიშნული იდეა, რომ დანაშაუ-  
ლებრივი ქმედების გენეზისური მოდელი საპირისპირო,  
ანუ, უკუთანმიმედუვრობით გახდეს ქმედების დანაშაულად  
კვალიფიკირების ეტაპონი, უაღრესად საუკუთანმიმდებარებია. კერ-  
ძოდ, ამ ლიგიკით, გენეზისურად დანაშაულებრივი ქმედების  
პირველი ელემენტი ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების  
ბოლო ეტაპზე აღმოჩნდება. ავტორის სქემაში ესაა სუბი-

ექტი, რომელიც იწყებს დანაშაულებრივ ქმედებას და რო-  
მელიც გამამტეუნებელი განასინით ხდება მსჯავრდებული.  
ერთი შეხედვით, 3. ძელიავცვის მიერ მოწანილი სქემა-  
მოღელი თითქოს სწორია. მაგრამ რა ვუკოთ იმას, რომ  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის  
პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის  
სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწი-  
ნააღმდეგო და ბრალეული ქმედება? გამოდის, რომ ბრალი  
დანაშაულებრივი ქმედების მესამე, ესე იგი, ბოლო, ელუ-  
მცნტია და ამიტომ იგი ქმედების დანაშაულად კვალიფიკა-  
ციის ბოლო ეტაპზე უნდა იქნეს დადგენილი. მაგრამ მაშინ  
ბრალი გენეზისურად დანაშაულებრივი ქმედების საწყისი  
უნდა იყოს, რათა იგი კვალიფიკაციის სასრულ ეტაპზე მო-  
ექცეს. ისმის საკითხი: როგორ შეიძლება ბრალი დანაშაუ-  
ლებრივი ქმედების საწყისი ელემენტი გახდეს? მითუმეტეს,  
თუ ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიური  
დამოკიდებულებაა და მეტი არაუკარი, მაშინ სუბიექტური  
იდეალიზმის აღიარება იქნებოდა იმისი თქმა, რომ ბრალი,  
როგორც ფსიქიური დამოკიდებულება, დანაშაულებრივი  
ქმედების საწყისი ელემენტია. ამ საკითხს მოგვიანებით  
გავაღრმავებთ. აქ კი იმას ვიტაუით, რომ იურიდიულ ლიტ-  
ერატურაში, სამწუხაროდ, აქცენტი, როგორც წესი, გადატ-  
ანილია მართლსაწინააღმდეგო ქმედების მექანიზმს, მა-  
შინ, როდესაც დიალექტიკის ანბანური მოთხოვნის მიხედ-  
ვით, თავდაპირველად გაგებელი უნდა იქნეს სწორედ მარ-  
თლზომიერი ქმედების მექანიზმი, რადგან, ამ პოზიციიდან  
მართლსაწინააღმდეგო ქმედების მექანიზმი მარლზომიერი  
ქმედების მექანიზმის შებრუნებული ვარიანტი იქნება. მა-  
ტერიალისტური ფილოსოფიის პოზიციიდან ბუნებრივია ვი-  
ზუიქროთ, რომ ადამიანის ქმედება, მისი მორალურ-სამართ-  
ლებრივი თვისების შიუხედავად, გარკვეული მიზეზიდან აღ-  
მოცენდება. უმიზესო არაუკარია და ბუნებრივია, თუ ამ მხრივ  
გამონაკლისად არც დანაშაულებრივი ქმედება ჩაითვალება.

„მიზეზი,“ თავის მხრივ, ობიექტურია, ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს და საფუძვლად ედება ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეს- მოტივაციას, მიზნის დასახვას, გადაწყვეტილების მიღებას, მის აღსრულებას. ისიც ბუნებრივია უიფიქროთ, რომ მიზეზი, როგორც ადამიანის ქცევის ობიექტური, გარეგანი, დეტერმინანტი, ამ ქცევას, როგორც წესი, პირდაპირი ლოგიკური გზით არ აღძრავს, არამედ, ადამიანის ფსიქიგური სამყაროთი გაშუალების გზით. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ ცოცხლილი ორგანიზმების აქტივობის წერტილი არის მოთხოვნილება. თუ ცხოველში მოთხოვნილება უშუალოდ გადადის მოქმედებაში, ადამიანში, პირიქით, მოთხოვნილება მოქმედებაში უშუალოდ, როგორც წესი, არ გადადის. ასეთი გადასცვა მოთხოვნილებისა მოქმედებაში აღამიანთან ხდება მხოლოდ იმპულსური ქცევისას, როდესაც მოქმედება ხორციელდება მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის ურთიერთდამოხვევის ნიადგზე, ცნობიერების საგანგებო ჩარევის გარეშე, ანუ, არაცნობიერად. მაგალითად, თამ-ბაქოს წევის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელიც არაცნობიერად, იმპულსურად, ხდება, შეიძლება თან ახლ-დეს აქტიური შემოქმედებითი აქტი, მაგალითად, მეცნიერული კვლევა-ძიება (ამის შესახებ უფრო დაწრილებით იხ. ლ. ჟდნაძე, ჟოგადი ფსიქოლოგია, თბილისო, 1998). ამრიგად, იმპულსური ქცევა ფიქოლოგიურად მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის დამთხვევის ნიადაგზე, არაცნობიერად, ხორციელდება. სულ სხვაა ამ მხრივ ნებ-ელობითი ქცევა, ანუ, ქცევა ნებისყოფისა და ინტელექტის ურთიანობის ნიადაგზე. მოთხოვნილებისაგან მოწყვეტით არც ეს ქცევა ხორციელდება, მაგრამ ნებელობითი ქცევის დროს მოთხოვნილება ქცევაში უშუალოდ კი არ გა-დადის, როგორც ეს ხდება იმპულსური ქცევისას, არამედ გაშუალებულია მოტივაციისა და მიზნის დასახვის ფსიქიკური პროცესით. ასეთ შემთხვევაში მიზეზი, როგორც ადა-

მიანის ქცევის ობიექტური დეტერმინანტი, აპირობებს მოტივაციას და მიზნის დასახვას, მაგრამ მიზეზი, როგორც ობიექტური, მოტივში, როგორც სუბიექტურში, პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის. ეს ბუნებრივია, რადგან, ადამიანის ფსიქიური ქცევა გარესინამდევილისადმი ჩისი მსოფლიმხედველობრივი დამოკიდებულებისგან მოწყვეტით ვერ აიხსნება. ამ მიმართებით იგულისმება ამა თუ იმ ადამიანის მოფლიმხედველობრივი პრინციპები, მისი ღირებულებების სისტემა, რომლითაც იგი პრაქტიკულად ხელმძღვანელობს. ამ მიმართებით იგულისხმება აგრეთვე ნორმატიულად დადგენილი მოვალეობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების ბუნება და ხასიათი.

გასაგებია, რომ ადამიანი, რომელიც თავის პრაქტიკულ ცხოვერებაში ღირებულებათა მაღალი სისტემით ხელმძღვანელობს, დანაშაულს პრინციპულად არ ჩაიდენს. დანაშაულს არ ჩაიდენს ის პირიც, რომელიც თავის ნორმატიულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდება. ამიტომ პრინციპული ხასიათის შეკვეთია, როდესაც დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, ფსიქოლოგიური თავადისასრისითაა წარმოდგენილი. ადამიანის მთლიანობა ხომ უილოსოფური პრობლემა? მით უმეტეს, შეეძლებელია ადამიანის საქციულის გაგება-შეფასება თავისუფლების სათანადო გაგების გარეშე. თავისუფლება კი პოზიტიური პასუხისმგებლობისგან მოწყვეტით სუბიექტის თვითნებობაში შეიძლება გადაისარდოს. პოზიტიური პასუხისმგელობა, ერთი მხრივ, არის მართლწომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება. რომელსაც საჭიროვლად ედება ჩართლზომიერი ქმედების მოვალეობის აღსრულების მთლიან-პიროვნული განწყობა; მეორეს მხრივ,- თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმა. ეს ბუნებრივია, რადგან, თავისუფლება აუკიდებლობაში (მორალურ, თუ ჩართლზომიერ ქმედებაში) პოზიტიურ პასუხისმგებლობას გადაქვეს.

პოზიტიური პასუხისმგებლობა, თავის შერიც, სათანადო ურთიერთობას მოითხოვს, რადგან სუბიექტი პოზიტიურად პასუხისმგებელია სათანადი ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს) წინაშე. სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის ნორმის აღრეხატების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ურთიერთობა სისხლის სამართლებრივია და დანაშაულთა თავიდან აცილების შინანს ემსახურება. ეს ურთიერთობა იურიდიული ფორმაა, რომლის სოციალურ შინაარსს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობა შეადგენს. უკვე ითქვა, სისხლის სამართლის ნორმის აღრეხატები ვალდებული არიან, მოქმედებდნენ მართლზომიერად და მოწოდებული, სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში აღასრულობს სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა, შექმნან მართლწესრიგი. მეორენაირად რომ კოქიათ, იხინი მოწოდებული არიან, მართლზომიერი ქმედების მოვალეობას მიხი აღსრულებისთვის სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგელობით მოეკიდონ.

ხავითხავია: რა შეიძლება იყოს მართლზომიერი ქმედების მექანიზმი მოავარი, გადამწყვეტი, რომლის გარეშე არ არსებობს თავისუფლება და პასუხისმგელობა? ცხადია, მართლზომიერი ქმედება არაა მოწყვეტილი არც თავის ობიექტებზე წინაპირობას, მიზეზობრიობის ჯაჭვებს, არც სათანადო მოთხოვნილებას, არც ჩებას და ცნობიერებას, მაკრამ ამ მხრივ მოავარი ამ ელემენტებში ჯერ კიდევ არ ჩანს. უფრო მეტიც, იხე ჩანს, რომ მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზი თითქოს არის ამ ქმედების მართლზომიერების შეგნება. გვეხუებულია, რომ თუ სუბიექტს მიხი ქმედების მართლზომიერება შეგნებული აქვს, მაშინ ის მართლზომიერ ქმედებას უიპირებდე ჩაიდენს. თუ ქმედების მართლზომიერების შეგნება მართლზომიერი ქმედების ჩადენის საკმარისი პირობაა, მაშინ, მართლსაწინაამდევო ქმედების შეგნებული, ანუ განზრახი ჩადენა შეუძლებელია. მეორენაირად რომ კოქიათ, სუბიექტს რომ სცოდნოდა, მიხი ეს ქმედება

მართლს სწინააღმდეგორა, მაშინ ის ამ ქმედებას არ ჩაიღენდა. ეს კი ბრალის განზრახი ფორმის უარყოფის ტოლფასია.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების მოვალეობის შეგნება მართლზომიერი ქმედების ჩადენის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ საქმარისი პირობა არ არის. მართლზომიერი ქმედების ჩასადენად აუცილებელი და საკმარისია, რომ მართლზომიერი ქმედების მოვალეობას სუბიექტი მისი აღსულების განწყობით, ანუ, პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს. შეიძლება ითქვას, რომ მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტური მიზენია მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება. არაა გამორიცხული ისეთი მართლზომიერი ქმედებაც, რომელიც შესაძლო დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელის მუქარის ზეგავლენითაა ჩადენილი, მაგრამ ეს ამ პირს მართლზომიერი ქმედების კალდებულებისაგან სრულიად არ ათავისუფლებს. იგი ამ პირს არც იმ მოწოდებისაგან ათავისუფლებს, რომ მართლზომიერი ქმედების მოვალეობას პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს. თუ მართლზომიერ ქმედებას მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება იწვევს, მაშინ შეძრუნებულ ვართანგში მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უნდა იწვევდეს. საქმე ისაა, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა, ანუ, პასუხისმგებლობა მართლზომიერი ქმედებისთვის, როგორც პასუხისმგებლობა მომავლისათვის, გარევეულწილად უპირისიპირდება პასუხისმგებლის ჩეგატიურ ასპექტს, როგორც პასუხისმგებლობას წარსულში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სუბიექტმა მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ნაცვლად, პირიქით, უპასუხისმგებლით დამოკიდებულება გამოიჩინა. საქმე ისაა,

რომ პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, როგორც პასუხისმგებლობა მოძალუისათვის, ნეგატიურ პასუხისმგებლობაში პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადაღის. პასუხისმგებლობის ეს თრი ასპექტი ერთმანეთს უკავშირდება მესამე მფლობარებით, რომელიც პოზიტიური პასუხისმგებლობის ხილისამირა, ანუ, უპასუხისმგებლობაა. ეს პასუხისმგებლობის ამ ორი ასპექტის კავშირის ფორმაა. ლაპარაკია ბრალის კატეგორიასე, რაღაც უპასუხისმგებლობა ერთის მხრივ, უარყოფს ან უგულებელყოფს პოზიტიურ პასუხისმგებლობას, ხოლო, მეორეს მხრივ, ნეგატიურ პასუხისმგებლობას აფეშნებს. ამიტომაა, რომ ბრალი არის ხოციალური ფილოსოფიის კატეგორია, როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა, რაღაც, პასუხისმგებლობა ხაზოგადოდ ხოციალური ფილოსოფიის კატეგორიას წარმიადგენს (ამის შეახებ უყრი დაწყრილებით იხილეთ ბ. ნაჟაშია, ბრალი, როგორც ხოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001). ჩართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი ბრალეული დამოკიდებულების სინონიმია (იხილეთ ბ. ნაჟაშია, მართლზომიერი ქმედების მექანიზმის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაკრე“, 2005, №1).

ბრალის ხაკითხებე შემდგომაც ვიმსჯელებ. ამჯერად ხწორედ იმისი თქმა მინდოდა, რომ რაკი მართლზომიერ ქმედებას, როგორც წესი, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება იქნება, მაშინ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უნდა იწვედეს. ეს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი ბრალეული დამოკიდებულების სინონიმია. სუბიექტი ან შეგნებულად უარყოფს ხახელმწიფოს წინაშე პოზიტიურ პასუხისმგებლობას და მოქმედებს ბრალის განხრახი ფორმის ხალჯულებე. ან

უგულებელყოფს ამ პასუხისმგებლობას და მოქმედებს გაუფრთხილებლობით. მაშასადამე, ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია, ესე იგი, დანაშაულის გენეზისში პირველია, რომელიც აპირობებს ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებას; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია კი იწყება ქმედების შემადგენლობის დადგენით. თუ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს, მაშინ, წინასწარი გამოძიება ვარაუდობს, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია, თუმცა, ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგრადირებით, მაინც არაბრალეულია, ვიდრე, მისი ბრალი არ იქნება დადგენილი გამამტებულებელი განაჩენით.

ამრიგად, ბრალი, როგორც დანაშაულის გენეზისში პირველი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ბოლოა, რომელიც სასამართლო საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. მართალია, მიზეზი, როგორც წესი, ობიექტურია, მაგრამ არაა გამორიცხული „მიზეზის“ როლში მოგველინოს სუბიექტურიც. მაგალითად, აქსიოლოგიაში (ლირებულების ფილოსოფიაში) ლირებულება ობიექტური წესრიგის უმაღლეს და შედარებით დაბალი რაჩის თირებულებათა თბიექტური თანაფარდობა), მაგრამ არსებობს „სუბიექტური ლირებულების“ ცნებაც, როცა სუბიექტი ირჩევს არა უმაღლეს ლირებულებას (კოქკათ, სიკეთეს), არამედ იქცევა ანგარებით, როცა სუბიექტი მოქმიედების მიხი ვიწრო, სუბიექტური, ინტერესით ანუ სუბიექტური ლირებულებით. გარდა ამისა, კნობილია, რომ ქართულ ენაზე „მიზეზი“ ზოგჯერ „ბრალის“ სინომიმადაც გამოიყენება. მაგალითად, იშვიათი არაა ასეთი მსჯელობა: მავანს რომ დვიძლი აწუხებს, - ეს იმისი ბრალია, რომ იგი აღკრაპოლურ სასმელს ბოროტად იუკრებდა.

ცხადია, აქ „ბრალი“ „მიეზის“ მნიშვნელობით გაიგება. მაგრამ ეს, ასე კოქვათ, „ჯანსაღი აზრის“ პოზიცია შეიძლება მეცნიერებამაც გამოიყენოს. კერძოდ, „ბრალი“ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება მართლზომიერი ქმედების საკმარისი და აუცილებელი პირობაა ანუ სუბიექტური მიზეზია. მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის ამგვარი პასუხისმგებლური დამოკიდებულება სუბიექტის ქმედების შექების, წახალისების საფუძველია. შესაბამისად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადუნის აუცილებელი და საკმარისი პირობაა ანუ სუბიექტური მიზეზია. მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელმაც სისხლის სამართლის յანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა გამოიწვია, სუბიექტის გაკიცხვის (დაგმობის) საფუძველია. ეს ბუნებრივია, რაღაც სუბიექტს ხელს არაუკერი უშლიდა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება პქონოდა და, მაშასადამე, მართლზომიერი ქმედების სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მან კი, პირიქით, გადაწყვიტა მართლსაწინააღმდეგო ქმედების სასარგებლოდ და ამიტომ გაკიცხვას იმსახურებს. მაშასადამე, ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, სინთეზურად გამოხატავს სუბიექტის გაკიცხვას (რომ ის მოიქცა „უპასუხისმგელოდ“) მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. უყრო სწორად, ბრალი აბსტრაქტული გაკიცხვა კი არაა, როგორც ეს ბრალის ნორმატივისტულ თეორიებშია მიღებული, არამედ გაკიცხვის საფუძველია. კერძოდ, „უპა-

სუბიექტის უარყოფითი შეფასების გამოხატულებას წარმოადგენს. სუბიექტის უპასუხისმგებლობის ანუ ბრალის ხარისხი არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული (მაგალითად, ჩადენილი ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეზე), მაგრამ ამჯერად მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ბრალის განსრახი ფორმა სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტური პასუხისმგებლობის შეგნებულ უარყოფას ანუ უპასუხისმგებვლობის (ბრალის). უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე გაუფრთხილებლობა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე პოზიტური პასუხისმგებლობის უგულებელყოფის შედეგია.

#### § 8. დანაშაულებრივი ძრეზების ფინანსურირებულების გუნდის და ძრეზების დანაშაულად პვალიციის პროცესის პროგრესი

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ქცევის ფსიქოლოგიური ცნების (აგრეთვე მოტივისა და მიზნის ცნებათა) გარეშე ვერ აიგება. ამჯერად კი მოკლედ შევეხებით ქცევისა და დანაშაულის კავშირს, ხოლო მიტივისა და მიზნის ცნებებს მოგვიანებით, ბრალის ფორმებთან კავშირში, განვიხილავთ.

დანაშაულებრივი ქმედების შექანიზმი მართლზომიერი ქმედების შექანიზმისგან მოწყვეტით კერ გაიგება. ისიც ფაქტია, რომ დანაშაულებრივი ქმედების შექანიზმის დადგენა ამ ქმედების მხოლოდ ფსიქოლოგიური ბუნების დალგენით ვერ ამოიწურება, რადგან, ადამიანის მთლიანობა ფილოსოფიური პრობლემაა და ამიტომ ადამიანის ქმედება მსოფლმხედვებრივ დასაბუთებასაც მოითხოვს. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ ადამიანის ქვევის ფსიქოლოგიური მხარე ღირებულებათა არსევანის, თავისუფლებისა და პა-

სუხისმგებლობის მიმართებისგან მოწყვეტით ეერ გაიგება. მაგრამ, რამდენადაც აღამიანის პრაქტიკული ქმედება ფსიქიური მხარის გარეშე არ შეიძლება იქნეს ჩაღენილი, ბუნებრივია, თუ დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური ბუნების პრობლემა შეფარდებით დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ამ მიმართებით არაერთი და არსებითი გაუგებრობა დღემდე გრძელდება.

ამ მიმართებით დგას უმთავრესი მეთოდოლოგიური საკითხი, რომელსაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საქმეში უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: არის თუ არა დანაშაულებრივი ქმედება ქცევა ფსიქოლოგიურად? თუ ამ კითხვას დადებითად უჟავასუხებთ, ესე იგი დანაშაულებრივი ქმედება ფსიქოლოგიურად ქცევაა, მაშინ, პასუხი უნდა გაუკეს შემდეგ კითხვასაც: დანაშაულებრივი ქმედება ფსიქოლოგიურად იმპულსურია (არაცნობიერია) თუ ნებისყოფითი, ცნობიერი აქტი? იგულისხმება, რომ თუ დანაშაული ფსიქოლოგიურად ქცევაა, ესე იგი, ქცევის ნაირსახეობაა, მაშინ დანაშაული იმპულსურიც უნდა იყოს და ნებისყოფითიც (ნებელობითიც), რაკი ფსიქოლოგიაში ქცევის ორი ფორმა - ნებისური და იმპულსური - არსებობს. შემოხვევითი არც ისაა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში, განზრახი დანაშაული ნებელობითი ქცევის ნაირსახეობად გამოაცხადეს, ხოლო, გაუფრხილებელი დანაშაულის ფსიქოლოგიური ბუნება ზოგჯერ იმპულსური ქცევის ბუნებასაც მიუსადაგეს.

ამ მიმართებით ურცელი დისკუსიის გამართვას მოკლე და მკვეთრ მეთოდოლოგიურ მხედლობას ვამჯობინებ. ამოვდივარ იმ დებულებიდან, რომ დანაშაული ქცევა კი არაა, არამედ ქცევის განხორციელების ხერხია (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ბ. ხარაზიშვილი, ხოცურის ფსიქოლოგია, თბილისი, 1975; იხ. აგრეთვე მისი ნაშრომი „ხორნაბუჯელის“ ფსიქოლოგიის (Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона гашихи, Тбилиси, 1981). მართლაც,

„ქცევა“ არის ფსიქოლოგიური ცნება და ამიტომ ყველა სხვა არაფსიქოლოგიური მეცნიერება, რომელსაც ეს ცნება სჭირდება, მისი ფსიქოლოგიური გაგებით უნდა ხელმძღვანელობდეს. გასაგებია, რომ „დანაშაული“ ქცევისგან, როგორც ფსიქურისგან (მაგალითად, გადაწყვეტილების აქტისაგან) მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ არც ქცევაზე დაიკვანება. დანაშაული რომ ქცევა იყოს, მაშინ, იგი ფსიქოლოგიის ცნება იქნებოდა. დანაშაული ორი შეფასებითი ცნების (ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის) საფუძველზე აიგება, ხოლო, მართლწინააღნდეგობა და ბრალი ფსიქოლოგიურ ცნებებს სრულიადაც არ წარმოადგენს. მართლწინააღმდეგობა სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე არ არსებობს, ხოლო, სამართლებრივი ურთიერთობა ფსიქოლოგიური ცნება და პრობლემა, რასაკუირველია, არა. ბრალი რომ მართლაც იყოს ქმედებისა და მისი შეღებებისას ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული, მაშინ, ლოგიკურად მიკიდებლით ქცევისადმი, როგორც ფსიქიკურისადმი, ფსიქოჰურ დამოკიდებულებას. ეს კი ორმაგი ფსიქოლოგიზმია. აქედან გამომდინარე, დანაშაული ფსიქოლოგიურად ქცევაზე არ დაიკვანება. დანაშაულებრივი ქმედება მართლაც არის ფსიქოლოგიური ქცევის განხოციელების ხერხი. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის (მისი მისაკუთრების მიზნით) მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი, ძარცვა-აშკარად დაუფლებისა, ყაჩაღობა-სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადური ხერხით დაუფლებისა და ა. შ. დანაშაული რომ ქცევა იყოს, მაშინ, კოველ კონკრეტულ დანაშაულს, როგორც ქცევას, თავისი საკუთარი მოტივი უნდა ჰქონოდა, მაშინ, როდესაც ერთი მოტივით(მაგალითად, ანგარებით) არაერთი დანაშაულებრივი ქმედება (როგორც წესი, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალვა, მკვდელობა) კი და ა. შ.) ხორციელდება.

დემულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია, ერთის მხრივ, დანაშაულს ქცევასთან აკავშირებს, ხოლო, მეორეს მხრივ, აშკარად მიჯნავს ქცევისგან, როგორც ფსიქიურის გან, და მას სამართლის სფერომდე აამაღლებს. კერძოდ, საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და პრალეული შეიძლება იყოს არა ქცევა ფსიქოლოგიურად, არამედ, ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი. ამ პრინციპიდან გახიგებია, რომ საქმე შეეხება ქმედებას, როგორც ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობას. ობიექტურის მხრივ იგულისხმება ადამიანის ნების გარეგანი გამოხატულება აქტიური მოქმედების გზით, ან სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა უმოქმედობის გზით. სუბიექტურის მხრივ კი იგულისხმება ცნობიურება, ნება, ემოცია, რომელიც ფსიქოლოგიურად მოტივისა და მიზნის ერთიანობით კლინდება. ისიც გასაგები უნდა იყოს. რომ „ქმედება,“ მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, არაა მხრილოდ უბრალო ფსიქო-ფიზიური აქტი, როგორც ფიზიურისა და ფსიქიკურის ერთიანობა. ქმედების ცნება ამ ასპექტით შემადგენლობასთან ასოცირდება, რადგან, იგულისხმება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. ფსიქოლოგიურად პირველ რიგში აქ ქცევაა, ესე იგი, მოტივი და მიზანი; შემდეგ ქმედება, როგორც მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხი. მაგალითად, მკვლელობა ანგარებით არის სხვისი სიკოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განხრახი მოსპობა, როგორც ანგარების მოტივის დაქმაყოფილების სპეციფიკური ხერხი. (ანგარების მოტივი შეიძლება დაქმაყოფილდეს სხვადასხვა ხერხითაც, მათ შორის, მკვლელობის გზითაც). სისხლისსამართლებრივად ეს ქმედება დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით (მკვლელობა ანგარებით, ან შეკვეთით). კრიმინალისტიკურად კი, სისხლის ხაქვეზე ჭეშმარიჩების დადგმ

ნის ინტერესებში, ხაჭიროა იმის დადგენაც. თუ რა ხერხით იქნა წადენილი ეს ანგარებითი მკვლელობა. გამორიცხეული არ არის მკვლელობის წადენა მოწამეულით, მოხრჩილით, ცეკველსახროლი იარაღიდან გასრულით, დანის. ან სხვა პასრი იარაღის გამოყენებით და სხვა. აქედან გამომდინარე, ხაჭიროა ერთმანეთისგან განვასხვაოთ დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორცილების ხერხი. რომელიც ხაკმარისა ხელლის ხამართალში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ასპექტით და ოვით დანაშაულის წადენის ხერხი, როგორც კრიმინალისტიკური ცნება (Г. И. Начкебия, Психологизм и нормативизм в науке уголовного права, Тбилиси, 2000, стр. 21). მაგალითად, ერთია ქურდობა, როგორც სხვის მოძრავი ნივთის მიხაკეთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარგლები ხერხი, და მეორეა ოვით ქურდობის წადენის ხერხი. რომელიც, როგორც წესი, ხაკმარდ მრავალფეროვანია. მაგალითად, ქურდობა ტექნიკური ხერხის გამოყენებით, ბინაში, ხადგომება, თუ ხაცავში შეღწევით და ა. შ. ცხადია, ზოგიერთი მათგანი სისხლისხამართლებრივი მნიშვნელობისაა, თუმცა მას კრიმინალისტიკური მნიშვნელობაც აქვს.

ამრიგად, დანაშაული ფსიქოლოგიურად ქვევა არაა და ამიტომ იგი არც ნებისმიერია (ნებისყოფისია) და არც იმპერიულსერი. მითემეტებს, რომ არაცხობიური. ანუ, იმპერიური ქცევისგან ბრალის გამოუკანა კოვლად შეუძლებელია. დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი, უკავშირდება მხოლოდ ნებელობით ქცევას, რომელიც მოტივირებული და მიზანდასახულია. ეს ეხება არა მარტო განსრახვას, როგორც ბრალის ერთ-ერთ ფორმას, არამედ, გაუფრთხილებლობასაც. რადგან, ერთია ნებელობითი ქცევა წმინდა ფსიქოლოგიურად და მეორეა ბრალის ცნება და ფორმები.

ამრიგად, დემაულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიურად ქვევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის განხ-

თრციულების ხერხია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემაზე მეტად მნიშვნელოვანია. მართლაც, ქცევის, როგორც ფსიქოლოგიური ცნების, შეფასება შეუძლებელია, რადგან ფსიქოლოგია შეფასებითი მეცნიერება არ არის. ქცევა ფსიქოლოგიურად არც კეთილია და არც ბოროტი, არც კარგი და არც ცუდი. სამაგიეროდ, დადებითად ან უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ფსიქოლოგიური ქცევის განხორცილების ხერხი. თუ, მაგალითად, პირი კანონიერი ხერხით აგროვებს ქონებას, - ეს ცხადია, „ანგარებად“ ვერ შეფასდება. მაგრამ თუ პირი უკანონო ხერხით აკეთებს იგივეს, მაშინ, მიხი ეს ქმედება ანგარების დაკმაყოფილების ხერხად ფასდება. ამიტომ, მიზანშეწონილია მოკლედ შეკჩერდეთ ტერმინოლოგიურ საკითხზეც. კერძოდ, ტერმინი „დანაშაულებრივი ქცევა“ არამეცნიერულია, რადგან, ქცევა დანაშაულებრივი ვერ იქნება. ქცევის ფსიქოლოგიური ცნებისადმი დანაშაულის ნიშნების მექანიკური მისაღაბება უაზროა.

ჩემის აზრით, ქართულ ენაში საკსებით სწორი და მისაღებია ტერმინი „საქციული.“ ეს ტერმინი არაა მოწმევებილი ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეს, მაგრამ არსებითად სოციალურია და ადამიანის არსობრივ გამოხატულებასაც წარმოადგენს. ჟ. ამირაჯიბის რომანში „დათა თუთაშეია“ იურისტებისთვის არაერთი საინტერესო ეპოზიტია მხატვრულად აღწერილი და ღრმა ფილოსოფიურად შეფასებული, მაგრამ ამჯერად მოკლედ შევეხებით იმ ეპიზოდის, როდესაც ხელმურედ გააძრავებულ და ნაავადმყოფარ დათას (მას მოხაკლავად ეხროდეს, მაგრამ იყი გადარჩა) საკულტურულით იკლებს კონსტანტინე, მუშაი ზარანდიას უფროსი ძმა. მაგალი ზარანდია, მუშაისა და კონსტანტინეს მამა, აწევებინებს კონსტანტინეს და ეუბნება: „საქციულს თუ დაუწუნებ ადამიანს, იქვე და მაშინვე უნდა ითქვას, როგორი საქციული იქნებოდა კარგი და მისაღები.“ (გვ. 553). ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა დათა თუთაშეიას მსჯელობაც. ეს

უქანასკნელი ამბობს, რომ ისე არ გამოდის ეს ცხოვრება: უკელა კარგად და მშეიღად იყოს, დათამ აბრაგობაზე ხელი აიღოს. როდესაც ორივე ერთად არ გამოდის. - მხჯელობის დათა,- „მაშინ ის უნდა აკეთოს კაცმა, ამ ორში რომელი უფრო ღირებულია“ (იქვე).

ამრიგად, სოკიალურ-ფსიქოლოგიურად და მსოფლმხელურობრივად სწორია ტერმინი “ დანაშაულებრივი საქციული, ” როგორც პიროვნების ბუნებისა და ხასიათის ჩიშანი და არა ფსიქოლოგიური ცნება. დათა თუთაშხიას ნათქვამი, რომ ორიდან კაცმა უფრო ღირებული უნდა აკეთოს, - ნიშნავს არჩევანს ღირებულებთა შორის, როდესაც ადამიანი ირჩევს უფრო მაღალ და ობიექტურ ღირებულებას და ამიტომ მისი საქციელი უფრო კეთილი და მისაბაძია.

სამწუხაროდ, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი “Преступное поведение” თითქმის გაბატონებულია. აქედან ქართულად ითარგმნება ტერმინი “ დანაშაულებრივი ქცევა.” უყრი მართებულია რუსული ტერმინი “ Поступок, ” რომელშიც სოკიალურად შეფერილი ქავა ანუ საქციელი იგულისხმება.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება ქცევის ფსიქოლოგიური მხარისგან მოწყვეტით არ არსებობს. მაგრამ თვი ამ ქცევაზე არ დაიყვანება და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ქმედება ფსიქოლოგიური ქცევის (მოტივისა და მიზნის) განხორციელების ხერხია. საზოგადოებრივად ხაშიში, მართლხაწინააღმდეგობის და ბრალებული არის არა ქცევა ფსიქოლოგიურად, არამედ, ქცევის განხორციელების ხერხი. ეს ხერხი, თავის მხრივ, უკავშირდება „საქციელის“ ცნებას, რადგან ამ ცნებაში ჩანს გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებითი დამოკიდებულება და მიხი შედეგი. ტერმინი „საქციელი“ მსოფლმხელურობრივი დატერმინების მქონეა და ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების წესის გამოხატულებასაც წარმოდგენს. ამ მიმართებით შემთხვევითი სულაც არაა საქართველო

კულტური ატეხიდი ბრძოლა ქურდული ცხოვრების წესის წინააღმდეგ. ქმედების დანაშაულად კუალიფიკაციის სოგად თეორიაში აღამიანის საქციელის ცნებას და მის სათანადო გაგებას უაღირესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბოლოოდ იმ დასკვნანდე მივდივართ, რომ სისხლის სამართალი ქცევის ფხიქოლოგიური ცნებისგან მოწყვეტით დანაშაულებრივი ქმედების ცნებას ვერ ააგებს, მაგრამ ტერმინი „ქმედება“ ქცევაზე არ დაიყვანება და „შემაღებლობის“ ცნებასთან ახორციელება. ფართო აზრით, ქმედება მთელი შემაღებლობაა, როგორც დანაშაულის ცნების პირველი ელემენტი. სხვა საკითხია, ქმედების სტრუქტურა, რომელსაც ცალკე შევეხებით. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვცადოთ ქმედების შემაღებენლობის ცნების დაგენაცია: ქმედების შემაღებენლობა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების, როგორც დანაშაულის ჩადვნის ხერხის, ინდივიდუალურად გამოკვეთილი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დანაშაულად მისი კუალიფიკაციის პირველი და აუცილებელი პირობაა.

## თავი გახტა

# მთკიცების საბანი, მისი სტრუქტურა და კონფიდენციალურობის დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესი

## § 1. მგრივი შემაღებელობის ობიექტური მხარის ცნება და ნიშნები

როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისე თანამდებროვე რუსეთის ფედერაციის სისხლისამართლებრივ ლიტერატურაში „დანაშაულის შემადგენლობა“ გულისხმობს, უპირველეს ყოველისა, დანაშაულის ობიექტს. „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ტრადიციული თეორია ამ ობიექტის დადგენით იწყებს. ცხადია, არსებობს დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, სახელმწიფო სეკურიტეტი და ა. შ.). მით უმეტეს, რომ სისხლის სამართალი ამ ობიექტის დაცვას უძლენება. მაგრამ, ამ მიმართებით არსებითად შესაკვლეულია როგორც ტერმინოლოგია, ისე ტრადიცია. ჯერ ერთი, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქმედებას დანაშაულიდ აეკალიფიცირებს, უპირველეს ყოველისა, კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონიში. განსაზღვრული ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებით კანონმდებელი ადგენს სისხლის სამართლებრივი დაცვის ამა თუ იმ ობიექტს(ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, სახელმწიფო საუკერენიტეტს და ა. შ.). გასაგებია, რომ ქმედების დანაშაულიდ საკანონმდებლო კვალიფიკაციის პოზიციიდან ბუნებრივია „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნება. სწორედ კანონმდებელი (და არა გამომძიებელი, პროცესური, ან მოსამართლე) ქმნის ამ ცნებას და სისხლის სამართლის კანონის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის (მიხ

პნიშვნელობის) მიხედვით ააგებს. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის კლასიფიკაცია ამ მხრივ სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის ანალიზს მოითხოვს. მეორეც. უკვე ითქვა, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესხვლის მომენტიდან იქმნება დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სისხლისამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის ნორმის აღრესატებს (ფინიკურ და იურიდიულ პირებს) შორის. ამ პირთა მართლზომიერი ქმედება დანაშაულებრივი ხელყრისებან იცავს იმ ობიექტს, რომელიც კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი წესით დაცვის ღირსად გამოაცხადა. ამიტომ, სისხლის სამართლის ნორმის ამ აღრესატებს „სისხლის სამართლის სუბიექტი“ უნდა ეწოდოთ (ნაკლად ტრადიციული „დანაშაულის სუბიექტისა“). გასაგებია, რომ დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს სწორედ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და სისხლისსამართლებრივი დაცვის სუბიექტი, როგორც დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სისხლისსამართლებრივი ელემენტები. დანაშაულებრივი ქმედება სწორედ ამ ობიექტის ხელყოფით ვლინდება. აქედან გამომდინარე, პირველადი ცნება ამ მიმართებით არის არა „დანაშაულის ობიექტი“, არამედ, „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი“, რომელიც წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ბ. ნაჟ-ჟაბია, „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ კრება, „სამართალი,“ 1999, № 6-7). ქმედების დანაშაულად კეალიფიკაცია, ამიტომ „დანაშაულის ობიექტის“ ტრადიციული ცნებით ვერ დაიწყება. ეს გასაგებია, რადგან ჩადენილია თუ არა დანაშაული- ეს თავიდანვე ეს არაა ცნობილი, რომ უკვე მისი ობიექტი დავადგინოთ, არამედ, დადგენას ანუ კვალიფიკაციას მოითხოვს. შემდგომ ჩვენ უჩახავთ, რომ სუბიექტის მიზანს არსებითადაა დამოკიდებული ის, თუ სისხლისსამართლებრივი დაცვის რომელ ობიექტზეა მიმართული. სუბიექტის ქმედება, ხოლო, მიზანი ქმედების შემაღებულობის

სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტია. ბუნებრივია გო-ფიქროთ, რომ ქმედების დანაშაულად კეალიფიკირის გზა-ზე პირველია ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის დადგენა. იგულისხმება პასუხი კითხვაზე: ჩადენილია თუ არა სისხლისსამართლებრივად რელევანტური რაიმე ქმედება? ამ კითხვაზე რაიმენაირი პასუხის გარეშე სისხლის სამართლის საქმე ვერ აღიძერებოდა (ვიდრე იგი საქართველოში ოფიციალურად იყო დაკანონიებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტატია), ხოლო, სადღეისთვის წინასწარი გამოიყება ვერ დაიწყება. (სისხლის სამართლის საქმის აღმურისა და დეკნის მიმართების შეხახებ. იხ. შ. ფაფუიაშვილი, თბილისი 1999 წ.). მაგრამ ამ მიმართებით მოქლევდ მაინც უნდა აღვნიშნოთ ერთი არსებითი ხასიათის გარემოება, რომელიც დანაშაულის ცნებისა და ქმედების შემადგენლობის გაიგივების სისხლეებიდან მომდინარეობს. კერძოდ, თუ დანაშაულის შემადგენლობა მისი ოთხი კლემენტისგან (ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისაგან) შედგება, მაშინ რა ვუყოფ იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის აღმურის ეტაზე სუბიექტი, როგორც წესი, უცნობია? იგი ფაქტობრივად ცნობილიც რომ იყოს, იურიდიულად მისი დადგენის პროცედურა მაინც პირველ რიგში ქმედების დადგენის მოითხოვს. ეს საკითხი სისხლისსამართლებრივი დეპნის ცნებასაც უკავშირდება. კერძოდ, ამზეკიცებლნენ, რომ სისხლის სამართლის საქმის არძვრა ხდება ქმედების ფაქტზე, სიხლისსამართლებრივი დეპნი კი პირვენების მიმართ ხორციელდება. ამიტომ იყო, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის საქმის აღმურის ცნებასთან დაკავშირდით შემოტანილ იქნა „დანაშაულის შემთხვევის“ ცნება. რესულ ენაზე კი არსებობდა ტერმინი „Событие преступления.“ რაც ქართველ ენაზე „დანაშაულის ხდომილებას“ ნიშნავს. ტერმინი „ხდომილება“ უფრო ბუნებისმეტყველური ტერმინია და ნიშნავს ბუნების მოვლენებს. იურიდიული ფაქტების

კლასიურიკიაში, მაგალითად, ადამიანის დაბადებას ან გარღაცვალებას „ხდომილებად“ მიიჩნევენ. გასაგებია, რომ „დანაშაულის ხდომილება“ თუ „დანაშაულის შემთხვევა“ წინააღმდეგობრივი ტერმინია. ჯერ ერთი, თუ ქმედება დანაშაულია, მაშინ, ის სოციალური სინამდვილის ფაქტია და არა ბუნების ხდომილება; მეორეც, ცნობილია, რომ ტერმინი „შემთხვევა“ არაბრალეული ქმედების ანუ „კაზუსის“ გამომხატეულია. ამიტომ, საკითხავია: თუ ქმედება დანაშაულია, მაშინ ის უეჭველად ბრალეულია და ამიტომ „შემთხვევა“ ანუ „კაზუსი“ ვერ იქნება. გასაგებია, რომ „დანაშაულის შემთხვევა“ ხელოვნურია, ურთიერთგამომრიცხავ ტერმინებზეა შეკონტრებული. ამ ფრიად ხელოვნური ტერმინის შექმნაც იმან განაპირობა, რომ დანაშაული და მისი შემადგენლობა გააიგივეს. თუ დანაშაულის ჩადენა დანაშაულის შემადგენლობის ოთხივე ელემენტის ერთდროულად არსებობას ნიშნავს, მაშინ, რატომაა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან წინასწარი გამოიხების საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ უცნობია პირი, ხელუოფის ობიექტი, სუბიექტური მხარეც კი? ამიტომ ამ მიმართებით „დანაშაულის შემადგენლობის“ ტრადიციული ტერმინი პრაქტიკულად გამოუსადეგარი გამოდგა და ამიტომ შექმნეს სრულიად უასრო და ხელოვნური ტერმინი „დანაშაულის შემთხვევა.“ მიუხედავად ამისა, იურისტები იძულებული ხდებოდნენ „დანაშაულის შემთხვევა“ დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან კავშირში განეხილათ. ითქვა კიდეც, რომ ტერმინი „დანაშაულის შემთხვევა“ პირობით გამოიქვენება გარემოებათა იმ წრის აღსანიშნავად, რაც ახასიათებს დანაშაულის ობიექტურ მხარესა და ობიექტს (Теория доказательств в советском уголовном процессе, М. 1973, стр. 164-165). კავშირია, დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ცნება საკითხით კანონიერია და ამიტომ „დანაშაულის შემთხვევის“ წინააღმდეგობრივი ტერმინი საჭირო არც იქნებოდა, რომ დანაშაულისა და მისი შემადგენლობის ობიექტის ფარავობა სწორად კოფილიყო გაგებული. ამ მიმართებით

პროფ. ბ. ხარაზიშვილი იქნა კრიტ-ერთი პირველი, რომელმაც გარკვეული აღნიშნა, რომ „დანაშაულის შემთხვევა“ ხშირად უკავშირდება დანაშაულის შემადგენლობას, რაյო სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ფაქტოან დაკავშირებით აღიძერება. ამიტომ იქნა, რომ აუტორი სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციებთან სისხლის სამართლის ცნებების მჯიდრო კავშირი მოითხოვდა. კერძოდ, მტკიცების საგანში დანაშაულის შემადგენლობის შეტანას უჭერდა მხარს. მიხი აზრით, თუ ჩვენ დანაშაულის უქმდასგენლობის კლემენტებს „უშუალოდ მტკიცების საგანში გავითვალისწინებთ, ამით მხოლოდ საგამობიერო-სასამართლო დარგის წარმომადგენლობს მუშაობას გაუუადვილებთ“ (ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თბილისი, 1982, 54-55).

ამრიგად, დანაშაულის ცნებაში „შემადგენლობის“ ცნების გაოქენება სისხლის სამართლის პროცესს გაურკვეველ უთარებაში ჩააგდება. ნ. კოლიანსკი საკსემით მართებულად წერდა: „უარის თქმა მატერიალური სისხლის სამართლის ისეთ ცნებაზე, როგორიცაა დანაშაულის შემადგენლობა, გარდუვალად მიდის სისხლის სამართლის პროცესის უარყოფამდე. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობა ან არარსებობა. სწორედ ამაში მდგომარეობს სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა“ (. . Полянский, Вопросы теории советского уголовного процесса, МГУ, 1956, стр. 235). აუტორი ხახს უსვამდა დანაშაულის შემადგენლობის პროცესუალურ წარმომავლობას. მიხი აზრით, ფერდალური ეპოქის დასაცლეთევროპულ სამართლში „კორპუს დჯლიქტის“ (ცნება გულისხმობა დანაშაულის კვალს, მოკლეულის გვამს, სისხლის კვალს, მკლელელის იარაღებსა და ა. შ. სხვანაირად, ამ ცნებაში იგულისმებოდა ის ნიშანთა ერთობლიობა, რომლის მეშვეობით შეიძლებოდა დანაშაულის ჩადუჩაში დარწმუნება, რათა შემდეგ გადასული-უკრენ დაწინაშეის ძებნაზე. მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს

„კორპუს დელიკტი“ გერმანულ ლიტერატურაში გადატანილ იქნა სისხლის სამართლის სფეროში ისე, რომ ლანაშაულის შემაღენლობაზე მოძლვრებიდან ამოღებულ იქნა სუბიექტური პირობები. ასე, რომ, მას პროცესუალური წარმომავლობის ქვალი დიდხანს ეტუობოდა. აქედან ნ. პოლიანსი ასკვნის: „დანაშაულის შემაღენლობის ცნება სისხლის სამართლის კრიურთ ცნებად იქცა, მაგრამ მისი პროცესუალური წარმომავლობის ქვალი შემონარჩუნებულ იქნა იმით, რომ ამ ცნებაში დანაშაულის მხოლოდ ობიექტური ნიშნები იქნა შეტანილი“ (იქვე, გვ. 235). ავტორი, როგორც ჩანს, გულისხმობს დანაშაულის ე.წ. კლასიკურ სიტემას (ლისტ-ბელინგის მოძღვრება), რომელშიც ქმედების შემაღენლობა მხოლოდ თბიექტური ნიშნების ერთობლიობად იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ ვითარება მოგვიანებით შეიცვალა, როდესაც უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემა დაისვა და დადგებითად გადაწყდა კიდეც.

ამრიგად, მტკიცების საგანში უნდა ვიგულისხმოთ არა „დანაშაულის შემთხვევა“, „არამედ „დანაშაული“, რომელიც, როგორც უკავე არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლხასწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კიდექსის 112-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, წინასწარმა გამოძიებამ უნდა დადგინოს ბრალდებულის ქმედება. დავას არ იწვევს ლებულება, რომ სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი. ცხადია, მოელი რიგი საკითხების გადაწყვეტისას მხედველობაში იღებენ ბრალდებულის (განსასჯელის) პიროვნებასაც, მაგრამ ქმედების გარეშე „ბრალდებული“ არ არსებობს და ამიტომა, რომ ქმედების ფაქტის დადგენას ამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საქმეში უაღრესად დიდი მნიუნელობა აქვს. ქმედება, უკარტო გაგებით, მოელი დანაშაულია, მაგრამ ამ

ტერმინში მირითადად მაინც იგულისხმება „შემადგენლობა, რომელიც იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს. წვენ ვერ დავეთანხმებით გრადიციას, რომლის თანახმად, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შეაქვთ ხელყოფის ობიექტი და ხელმყოფიც (სუბიექტიც). ჩვენ უკვე ვთქვით, რომ არებობს დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სიხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს განსაზღვრულ ობიექტს. მეორეს მხრივ, არსებობს მართლზომიერი ქმედების სუბიექტი. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და სუბიექტი დანაშაულთა თავიდან აკილების გამო არსებული ურთიერთობის ელემენტებია და არა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები. ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში სუბიექტი და ობიექტი არ შედის, რადგან, ქმედება არც ობიექტია და არც სუბიექტი. ცხადია, ქმედების დადგენა მიღის სუბიექტისა და ობიექტის დადგენამდეც, მაგრამ ქმედება შეიძლება დაგახასიათოთ როგორც ობიექტურის, ისე სუბიექტურის მხრივ. ქმედების შენადგენლობის დადგენა თვით ამ ქმედების ობიექტური მხარის ნიშნების დადგენით უნდა დაიწყოს. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე არის ადამიანის ნების გარეგანი აქტი, რომელიც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე მავნე, სოციალურად საშიში, ზემოქმედების პროცესისა და შედეგის იურიდიულ ნიშნებში გამოიხატება (იხილეთ ბ.ნაჟებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, ობილისი, 2002, (ლექციების კურსი), გვ. 66).

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე მთელი რიგი ნიშნებით ხახიათდება: ესაა ქმედება, ესე იგი, მოქმედება, ან უმოქმედობა; შედეგი; მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის; ქმედების ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება, კითარება და ზოგიერთი სხვა. მოკლედ განხევიხილოთ იხინი ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების ასპექტით.

## § 2. დანაშაულებრივი მოქმედება

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედების, იხე. უმოქმედობის გზით. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიური მოქმედებით ხორციელდება (დაჭრით, მოწამდებით, თავდასხით, გაძარცვით და ა. შ.). აქტიური დანაშაულებრივი მოქმედება, მართალია, მოტივისა და მიზნის, ანუ, ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია, მაგრამ მასში არ იგულისხმება რეფლექტორული მოქმედება, რომელიც ბუნებრივი რეფლექსის (მაგალითად, სიმაღლისან ჩამოვარდნის შიშის) გამოვლენაა და ნების გარეგან აქტს არ წარმოაგენს. მასში არ იგულისხმება არც იმპულსური მოქმედება, რომელიც არაცნობიურია, ანუ, ობიექტივაციის აქტის, ანუ, კნიბიერების გარეშე ხორციელდება. პოლოს, მასში არ იგულისხმება ისეთი ფიზიური იძულება, როდესაც სუბიექტს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, სისხლისსამართლებრივი გაგებით მოქმედება არაა დაუძლეველი ძალის არსებობისას, უკიდურესი აუცილებლობის უითარებაში, პათოლოგიური სიმთვრადის ან პათოლოგიური აფექტის მდგრმარეობაში. რიგ შემთხვევებში კანონმდებელი იძლევა აქტიური დანაშაულებრივი მოქმედების დეტალურ აღწერას. მაგალითად, საქ. სსკ 117-ე მუხლში ზუსტადაა აღწერილი ჯანმრთელობის განხრას მძიმე დაზიანების ყველა შესაძლო გარიანტი, რაც გამოიებასა და სახამართლოს საშუალებას აძლევს დანაშაულებრივი მოქმედება იხე დაკვალიფიციროს, როგორც ეს კანონმდებელმა განხიაზღვრა. კერძოდ, ჯანმრთელობის განხრას მძიმე დაზიანება, ესე იგი, სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა ხილოცხლისთვის, ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების, ან რომელიმე თრგანოს, ან მიხი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიური აუადმიტობა, ორსულობის შეწვევა, სახის წარუშლელი

დამახინჯება, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფაოთა სიცოცხლისთვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, ან, წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისაუნარიანობის სრულ დაკარგვასთან. ცხადია, ამ აღწერილობაში გადმოცემულია ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანების ცალკეული შემადგენლობაზი, რომელნიც, როგორც წესი, სხვადასხვა მოქმედებით ხორციელდება, თუმცა, შესაძლებელია ერთსაროველად რამდენიმე შემადგენლობის განხორციელებას (მძიმე საგნის თავსა და მუცელში არაერთგზისი ჩარჩუნით, მაგალითად, ირსულობის შეწყვეტა და ფსიქიური დაავადება).

ცხადია ისიც, რომ დანაშაულებრივი მოქმედება სიგჯერ რთული და ეპიზოდიანია. მაგალითად, ერთია უცირად აღჭრული სულიერი აღველების ნიადაგზე ჩადენილი აქტიური მოქმედება, როგორც უშუალო რეაქცია დაზარალენულის მართლსაწინააღმდეგო ძალადობაზე, ან ამორალურ ქმედებაზე, და მეორეა წინასწარმოფიქრებული დანაშაულებრივი გეგმის განხორცილება (მაგალითად, მოწამლეის გზით მკალელობის ჩადენისას საწამლავის შეძენა, ან დამზადება, სასიკვდილო დოზის შერჩევა, მსხვერპლისთვის მისი მიწლების ხერხი და სხვა).

ზოგიერთი შემადგენლობა მარტივია და კანონმდებული ამიტომ ამ მიმართებით რაიმე საგანგებო აღწრიულობას არ მიმართავს. მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგიერიების ფარგლების გადაცილებით(საქ. სსკ 122-ე მუხლი) რაიმე საგანგებო ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს, რადგან, ჯერ ურთი, აუცილებელი მოგერიების (კნება და ფარგლები დადგენილია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (საქ. სსკ 28-ე მუხლი); მეორეც, სკუ 117-ე მუხლის ანალიზი მოითხოვს იმის დადგენას, თუ ჯანმრთელობის რა ხარისხის დაზიანება არსებობს.

რიგი შემადგენლობა როგორი კინსტრუქციისაა თავისი დასაშიძიმებელი გარემოებებით (მაგალითად, ძალადობა, მუხლი 126-ე). ქმედებას სოგჯერ შეიძლება პქრინდეს სისტემაზე მარტივი ხასიათი (კემა); ან შეიძლება ჩადუნილ იქნეს ორი ან შეტი პირის, ან ორსულის და სხვა პირთა მიმართ. ამ მიმართებით იგულისხმება აქტიური მოქმედებების სისტემა, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში ერთი აქტიური მოქმედებაც კი ხაკმარისია (მაგალითად, მძარცველმა ახალგაზრდა ქალს მობილური ტელეფონი აართვა იმ დროს, როდესაც იგი ზარზე პასუხის გაცემას ცდილობდა).

არსებობს მარტივი შემადგენლობა ალტერნტიული ვარიანტებით. მაგალითად, 260-ე მუხლის პირები ჩატვალისწინებულია ხარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის უკანონო დამსაღება, წარმოება, შეძენა, შეჩახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, ან გასაღება. გასაგებია, რომ ამ ტიპის დამთავრებულ დანაშაულად ქმედების კვალიფიკაციისთვის ხაკმარისია ერთ-ერთი მათგანის ჩაღენა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ პირმა ურთიდროულად განახორციელოს ორი, ან მეტი ალტერნატიული შემადგენლობა (მაგალითად, ხარკოტიკული საშუალების შეძენა და შეჩახვა).

ცხადია, დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, შიშველი ხელებით არ ხდება. ადგილი აქვს გარესინამდვილის ობიექტური კანონზომიერების ცოდნას და მის გამოყენებას. ამ კანონზომიერებაზე ჴემოქმედებას შესატევისი საშუალებებით, იარაღებით, რაც, თავის მხრივ, განაპორებებს დანაშაულის ჩადენის ამ თუ იმ ხერხის შერჩევას. მაგალითად, ლებედება, რომ აღამიანი მოკვდავია, ფსიქოლოგიურად აზრს ასლევს მკვლელის მოქმედებას, მაგრამ ამ მიმართებით შეიძლება მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევაც. მაგალითად, მიორიდატეს, ან ცენტრს საწამლავით ვერ მოაკვდინებდნენ, რაკი ისინი საწამლავს ბავშვობიდან უკანენ შეგუებულნი. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა

მკალელობის მცდელობა და ირა დამთავრებული მკალელობა; შესაძლოა პოტენციურ მკალელს ცეცხლსასროლმა იარაღმა უმტკიცის და მან გასროლა ვერ მოახდინოს ან საწამლავი ვარდის წყალში აერიოს და სხვა ამგვარი, რაც იმასე მეტადელებს, რომ აღაშიანის მოქმედება გარესაანუაროზეა მიმართული და მის ქმედებას მისი კანონზომიერებაც განსაზღვრავს. ამდენად, აღაშიანის ქმედება მისგან მოწივეტით არ არსებობს, მაგრამ მისგან შეფარდებით დამოუკიდებელია და ამიტომ მასზე არ დაიკვანება.

ქმედების დანაშაულად ზუსტი კვალიფიკაციისთვის სისხლის სამართლის კანონი საკმარისი არ არის. იგულისხმება ე.წ. ბლანკეტური ნორმების სისტემა, რომელიც სამართლის სხვა დარგებს განეკუთვნება. მაგალითად, 248-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის შემთხვევაში აუკილებელია გავეცნოთ იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც სანიტარულ-ჟანრულმიოლოგიურ წესებს აღგენს და შესაბამის სამსახურებს მისი დცვის მოვალეობას აკირებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გაუფრთხილებლება, როგორც ბრალის ურთ-ერთი ფორმა, წინდახედულობის ნორმებს (როგორც წესი, დაუწერელი ქცევის წესებს) ეფუძნება და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას ამ ნორმების დადგენიც ხდება აუკილებელი. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის საჭირო იქნება ამ იურიდიული პირების დამატების დოკუმენტების (ხელშეკრულების, დებულების, თუ წესდების ანდა, კანონის) ანალიზი.

ბოლოს, აქტიური მოქმედების გზით უფრო ტიპიურია დანაშაულში თანამონაწილეობა, თემკა, ეს უკანასკნელი უმოქმედობის გზითაც შეიძლება, როდესაც სუბიექტი ვალდებული იყო ემოქმედა აქტიურად და როცა მისი ეს აქტიური მოქმედება შესაძლო დანაშაულის თავიდან აკილების ერთ-ერთი პირობა იქნებოდა.

### გ 3. დანაშაულებრივი უმოქმედობა

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობით, როდესაც პირს აქტიური მართლზომიერი ქმედების ჩადენა ეფალებოდა, ხოლო მან ეს მოვალეობა არ შეასრულა, ოუმკა, კი მას მისი შესრულება შეეძლო. არსებობს ე. წ. წმინდა უმოქმედობა, როდესაც დანაშაული მხოლოდ უმოქმედობის განით შეიძლება იქნეს ჩადენილი. მაგალითად, გადასახადისთვის თავის არიდება (საქ. სხე 218-ე მუხლი) მხოლოდ უმოქმედობით შეიძლება. მაგრამ არსებობს შერეული უმოქმედობაც. როდესაც დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, ახალშობილის მკვლელობა მშობლის უმოქმედობით, როდესაც საკუთალეურად არ კვებავს ბავშვს, რათა იგი შიმშილით დაიღუპოს, თუმცა, მკვლელობა აქტიური მოქმედებითაც შეიძლება იქნეს ჩადენილი.

საქართველოს ხისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი ქმედების შემადგენლობა თავისი შინაარსით გვიჩვენებს, თუ რა წესით შეიძლება მისი ჩადენა. მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა (საქ. სხე 321-ე მუხლი) შეიძლება მხოლოდ უმოქმედობით, როდესაც პირში უგულიერებელყო შესაბამისი დოკუმენტების შენახვის დადგენილი წესი, მაშინ როდესაც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (საქ. სხე 320-ე მუხლი) შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

დანაშაული უმოქმედობით შეიძლება ჩადენილ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი თავს არიდებს სპეციალური მოვალეობის შესრულებას. მაგალითად, მობილიზაციით გაწვევისგან თავის არიდება (საქ. სხე 358-ე მუხლი). ხისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივი უმოქმედობის სხვა არაერთი სახეა აღწერილი.. მაგალითად, განხილვედში მიტოვება პირისა, რომელიც ხიცოცხლისთვის საშიშ მდგრადულებაში იმუოფებოდა, მა-

გრამ მოკლებული იქნა შესაძლებლობას, დაეცნა თავი, თუ მიმტკებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისთვის დახმარების გაწევა (საქ. სსკ 128-ე); უმოქმედობით ხორციელდება დაუხმარებლობაც (საქ. სსკ 129-ე), როდესაც სიცოცხლისათვის საშიშ მდგრმარეობაში მყოფ პირს არ გაშრევენ აუკილებელ და გადაუდებელ დახმარებას, როდესაც ეს დახმარება შესაძლებელია, ან როდესაც არ ატეობინებენ, სადაც ჯერ არს ამ ხაფურთხის თაობაზე. კხალია, უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის სიხვა არერთი შესაძლებლობაა გაოვალისწინებული ხაქართველოს ხისხლის ხამართვის კოდექსში, მაგრამ ამჯერად მოკლედ პირს შევეხები უმოქმედობით გამოწვეული შედეგების პრობლემას. ამ თვალზაზრისით საინტერესოა ე. წ. ხოციალური როლი ეკისრება. კერძოდ, იგი არის მეუღლე (კოლი ან ქმარი), დედა, ან მამა შეიძლებონ მიმართებაში; მოქალაქე - სახელმწიფოსთან მიმართებაში; ჯარისკაცი; მოხელე, ან მასთან გაათანაბრებული პირი და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეულ ამ ხოციალურ როლს შესატყვისი მოვალეობა და მისი შესრულების მოლოდინი მიეწერება (ამის შესახებ უყრო დაწვრილებით იხილეთ მ. გოგელაშვილი, ხოციალურ მოლოდინთა მოტივაციური მნიშვნელობის საკითხისათვის, თბილისი, 1968). მაგალითად, სახელმწიფო მოქალაქისგან მართლზომიერ ქმედებას მოვლის; მეუღლე მეუღლისგან - ერთგულებას; შეიძლისგან - მადლიერებას და მშეიძლიური ზრუნვის გამართებას და ა.შ. გახაგებია, რომ უმოქმედობა არის გაცუდება იმ მოლოდინისა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში პიროვნების ხოციალური როლიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ჩვენ უკვე მოვისევნივთ განხიაცლელში მიტოვება, რომელიც სხვა არაფერია. თუ არა ხამართლებრივი გარანტის ხოციალური როლიდან გამომდინარე დახმარების

ნააღმდეგ, საბოტაჟი (საქ. სსკ 318-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ტერორისტული აქტი (საქ. სსკ 323-ე მუხლი) და სხვა. ცხადია, უკელა ეს შედეგი ერთმანეთშია გადახლართული. კერძოდ, მაგრერიალური შედეგი, თავის მხრივ, ფასდება მორალურადაც და პოლიტიკურადაც. მაგალითად, დანაშაული საქუთრების წინააღმდეგ ამორალურია, ხოლო, საბოტაჟი სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, ეკონომიკური საფუძვლის ძირის გამოთხრაა. მაგრამ დანაშაულებრივი შედეგების ეს დაყოფა მაინც საჭიროა იმის დახალგენად, თუ, სახელდობრ, როგორი შედეგი დადგა, ან შეიძლებოდა მოკურლოდა ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებას? მაგალითად, ქრთამის აღება უაღრესად საშიში პოლიტიკური შედეგების მქონეა, რადგან, იგი მოქალაქეთა თვალში სახელს უტეხს სახელმწიფოს, როგორც, პოლიტიკურ სუბიექტს.

სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილია ისეთი შემაღენლობაც, რომელიც მაკვალიფიცირებელ შედეგებზე მიუთითებს. მაგალითად, საქ. სსკ 109-ე მუხლში გადმოცემულია მკვლელობის, 177-ე მუხლში – ქურდობის, 229-ე მუხლში - აფეთქების მაკვალიფიცირებელი გარემოებანი. ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამა თუ იმ მუხლის ნაწილით ან იმ პუნქტით, რომელიც ამ ქმედებას ითვალისწინებს.

რიგ შემთხვევაში ქმედების შემაღენლობა გადმოცემულია შეფასებითი ნიშნებით. მაგალითად, გარუკილი ქმედება (საქ. სსკ 141-ე მუხლი) გულისხმობს უარყოფით შეფასებას იმ ქმედებისა, რომელსაც პირი სჩადის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. შეფასებითი ნიშნებია გამოყენებული მთელ რიგ სხვა შემაღენლობებშიც. მაგალითად, ქურდობა, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დაისჯება 177-ე მუხლის მეორე ნაწილით; იგივე ითქმის დარცვის, თაღლითობის და სხვა მსგავს შემაღენლობათა შესახებაც. ხადაც შეფასება აშეარადაა გამოკვეთილი. შე-

სოციალურად საშიშია (მართლსაწინააღმდეგოა) და ამიტომ მისი სხვა რაიმე შედეგის დაღვენა-დამტკიცება საჭირო არ არის. ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება დამთავრებულ დანაშაულს გამოხატავს და მისი ჩადენის მცდელობა (მაგალითად, ყაჩაღობისა) გამორიცხულია. მომზადება, ან მცდელობა შედეგიან შემაღებელობებს ახასიათებს. მაგრამ საკმაოდ ბევრია შემაღებენლობა, რომელშიც დანაშაულებრივ შედეგებზე პირდაპირ, ან არაპირდაპირაა მითითებული. მაგალითად, მუქარა (საქ. სხვ 151-ე მუხლი) დამთავრებული დანაშაულია მისი დამაჯერებლად გამოხატვის მომენტიდან, როდესაც დასარალებულს გაუჩნდა მუქარაში გამოხატული ძალადობის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილია ისეთი შემაღებენლობაც, რომელიც თავისი არსით დამთავრებულია და ამიტომ კიდევ რაიმე სხვა შედეგის დაღვრობის დამტკიცება საჭირო არ არის. მაგალითად, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისთვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაკვემა (საქ. სხვ 313-ე მუხლი) დამთავრებული დანაშაულია და ამ შემთხვევაში არ არის საჭირო იმისი მტკიცება, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ქმედებას, რაკი ისედაც გასაგებია, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი ამ სახელმწიფო საიდუმლოების საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენება. არსებობს კ. წ. საფრთხის შემქნელი დელიქტებიც (დაუხმარებლობა, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, შიდხის შეყრის საფრთხე და სხვა), რომელიც რიგი თავისებურებით ხასიათდება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ „საფრთხე“ მოცემულ შემთხვევაში დამთავრებული დანაშაულის ნიშანია და დანაშაულებრივ შედეგს წარმოადგენს.

დანაშაულებრივი შედეგები შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად: მატერიალურ და მორალურ-პოლიტიკურად. მატერიალურ შედეგში იგულისხმება მკაფიოდობა, ჯანმრთელობის დაზიანება, დანაშაული საკუთრების წი-

მოლოდინის გაცუდება. როდესაც ამგვარი სიციალური მოლოდინი არ მართლდება, მაშინ, ირლვევა კიდეც ადა- მიანთა ურთიერთობის დადგენილი წესი, ხოლო, ამ დარ- ღვევას ფრიად სერიოზული შედეგები მოსდევს.

ამრიგად, უმოქმედობას საკმარდ სერიოზული შედეგები მოსდევს. ეს ბუნებრივია, რადგან, უმოქმედობისას სუბი- ექტი არ ასრულებს აქტიური მართლზომიერი მოქმედების მოვალეობას, რის გამოც ირლევე ადამიანთა ურთიერთო- ბის დადგენილი წესი. ეს გასაგებია, რადგან, პირის აქტი- ური მართლზომიერი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგის დადგრძია თავიდან იქნებოდა აკილებული.

#### § 4. დანაშაულებრივი შედეგი

საქ. სსსკ 112-ე მუხლში გათვალისწინებულია მჩეულების ხაგანი, ესე იგი, ის გარემოებანი, რომელიც უნდა დამტ- კიცდეს წინასწარი გამოიების სტადიაზე. ამ გარემოება- თა ჩამონათევალში დასახელებულია დანაშაულის შედეგად მიუენებული ზიანის ხასიათი და ოდენობაც („ე“ პუნქტი). ცხადია, ამისი დადგენია ხელყოფის ობიექტის დადგენასაც მოითხოვს, მაგრამ ამჯერად დანაშაულებრივი შედეგის ზოგ- ადი ცნებით შემოვიყარგლებით. როგორც ცნობილია, სისხ- ლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრვი ქმედება აღ- წერილია რაიმე შედეგს მითითების გარეშეც. მაგალითად, უაჩაღობა დამთავრებულია ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუყოლების მიზნით თავდასხმის მომენტიდან. ასეთ შემად- გენდობას „ფორმალურს“, ხოლო, ზოგჯერ „შეავაცილსაც“ კი „ენოდებენ, თუმცა არც ერთი ეს ტერმინი საქმის ამ ვი- თარებას ზუსტად უკრ გამოხატავს. იგულისხმება კითარება, როდესაც დამთავრებული დანაშაულის მნიშვნელობა აქვს თვეით ქმედებას. ასეთ შემოხევაში დანაშაულებრივი ქმედება

ცასებითი ნიშნები გამოკეთოლია, მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის შემაღვენდობებშიც. კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დანაშაულია, თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია (საქ. სსკ 332-ე მუხლი). ცხადია, ამგვარი შეფასებითი ცნებების დადგენა აღვილი არ არის და ამიტომ კანონმდებელი ცდილობს, სადაც კი ეს შესაძლებელია, გამოიყენოს უფრო უდავო და ერთიანი კრიტერიუმი. მაგალითად, ქურდობა დიდი ოდენობით, ერთის მხრივ, შეფასებაა („დიდი“), ხოლო მეორე მხრივ, კანონმდებელი ადგენს დიდი ოდენობის საზომ ერთეულს. კერძოდ, თუ ზიანი, მისი ფულადი გამოხატულებით, 10 000 ლარის ზევითაა (იხ. 177-ე მუხლის პირველი შენიშვნა).

დანაშაულებრივი შედეგების მორალურ-პოლიტიკური შეფასების გამოა, რომ დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი შეიძლება და, ესე იგი, პირვანდელი, ანუ, დანაშაულის ჩადენიამდე ირსებული მდგრადი მდგრადი ადგენია შეუძლებელია. სხვა საკითხია, თუ სასჯელის გამოყენების შედეგად კოლექტური მსჯავრდებული მართლისობის ქმედების მოვალეობას პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოექიდება და მართლისობის ქმედებას ცხოვრების წესად დასახაუს, ესე იგი, აღსდგენა სახელმწიფოსთან იმ ურთიერთობაში, რომელშიც იგი მის მიერ დანაშაულის ჩადენიამდე იმყოფებოდა.

## § 5. მიზანობრივი კავშირი მმართვასა და შედეგს შორის

ქმედება, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება შეფასდეს, როგორც დამთავრებული დანაშაული რაიმე მატერიალური შედეგების დადგომის გარეშეც (მაგალითად, ბანდიტის). ასეთ შემთხვევაში ქმედებასა და შედეგს შირის მიზეზო-

ბრივი კავშირის ხაյითხი არ დაიხმის. ეს ხაკითხი დაიხმის მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედება იწევეს ხისხლის ხამართლის კანონით გათვალისწინებულ ზიანს, ან ქმნის ასეთი ზიანის მიუღწების ხაფურთხეს (საქ. სსკ მე-8 მუხლის პირველი ნაწილი).

მიზეზობრივი კავშირის ხაკითხი ფილისოფიურია (მიზეზისა და შედეგის ურთიერთკავშირი) და ყველა სხვა კერძო მეცნიერება, მათ შორის ხისხლის ხამართლისა, მიზეზობრიობის ფილისოფიური გაგებით უნდა ხელმისაწევლობდეს. იგულისხმება, რომ ადამიანის ქმედება გარესამყაროსეა მიმართული და ამიტომ ამ ხამყაროს მიზეზედეგობრივ ჯაჭვშია ჩართული. ქმედება, რომელიც იწვევს განსაზღვრულ შედეგებს, თვითონაც არის რაიმე მიზეზის შედეგი, ხოლო, ქმედების შედეგი, თავის მხრივ, თვითონაა მიზეზი სხვა შედეგებისა და ასე უსასრულოდ. მიზეზობრივი კავშირი ხავცილებურად ვლინდება სოციალურ სფეროში და ეს უნდა გავითვალისწინოთ, განსაკუთრებით უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემატიკაში. კერძოდ, მიზეზობრიობის ბუნებისმეტყველური გაგება, რომლის თანახმად, მიზეზი არის ენერგიის გადაცემა ერთი მოვლენიდან მეორეზე, უმოქმედობის მიზეზობრიობას უერ დაასაბუთებს. ხოციალურ ხილეროში მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობანი ინფორმაციის გადაცემის სფეროა, ვიდრე ენერგიის გადაცემისა. უმოქმედობის მიზეზობრიობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამი მომენტი: როცა პირს ეგისრება აქტიური მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა, შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება და, ბოლოს, სავალდებულო მოქმედების შესრულებით მართლსაწინადგლებო შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული (საქ. სსკ მე-8 მუხლის მესამე ნაწილი).

ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია. ხაზიანო შედეგი შეიძლება გამო-

წეიოს არა მარტო ადამიანის ქმედებამ, არამედ, ბუნების პოვლენებმაც. მაგალითად, ხანქარი შეიძლება გააჩინოს ე.წ. მოკლე ჩართვამ (ესე იგი დროებითმა უწესრიგობამ ელექტროენერგიის მიწოდებაში), მაღალი, ტროპიკული, სიცხეების გამო ტეის მასივების მეტისმეტმა გადახურებამ და სხვა. ამიტომ დგას საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა დამდგარი ზიანი ადამიანის მიერ გამოწვეული ან მონაწილეობდა თუ არა ადამიანის ქმედება ამ ზიანის დადგომაში ? თუ ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა, მაშინ, ქმედება ხისხლისსამართლებრივი გაგებით არ არსებობს და ცხადია, ამ მიმართებით წინასწარი გამოძიების დაწყების ხაფუძველიც გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, წინასწარმა გამოძიებამ და შემდეგ სასამართლომ აუცილებლად უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგებს შორის. მაგალითად, ხაქართველოს უზენაესი სასამართლოს ხისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განისილა ხისხლის სამართლის საქმეს ქეთაისის ხაოლჭო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2001 წლის 20 აპრილის განაჩენი. კერძოდ, გ. ლ-ძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მამას ვ. ლ-ძეს, იმის გამო, რომ მისმა ძროხამ დააზიანა ღობე და შევიდა მის ნაკვეთში, დაუწყო ჩხუბი, და ხის კატის თავში დარტყმით მიაუენა ხიცოცხლისთვის სახისუათო მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია მიხი ხიკვდილი (იხ. ხაქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ხისხლის სამართლის საქმეებს შე, 2001 წლის 11 ნოემბერი, გვ. 496). ამ საქმემ განსახულის ბრალის საკითხში ასრთა სხვადასხვაობა გამოწვია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის ხაკითხით კიფარგლებით.

მიზეზობრივი კავშირის ხაკითხი ხისხლის სამართლში არაერთგზის ყოველა საგანგებო მსჯელობის საგანი, მათ შორის ხაქართველოშიც. ამ მხრივ გამოიჩეულია პროფ. თ. ვერეთლის კონკრეტული (Т. В. Церетели, Причины и связь в уголовном праве, М. 1963: აგრეთვე, მიხი „ხისხლის სამართლის

სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება მიზეზობრივ კავშირს სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულების დარღვევასა და ადამიანის უფლების დარღვევას „შორის“ (ვაკ ბოცირიძე, მიზეზობრიობა, გამოქვემდება „ჯისიაი“, თბილისი, 2006, გვ. 29).

ბოლოს, კნიბილია, რომ შესაძლო დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა მიზეზობრივ კავშირშია ამსარელებლის მიერ ჩადენილ ქმედებათან, რადგან, წინასწარი შეპირება იმისა, რომ პირი დაფარავს ამსრელებლის მიერ მომავალში ჩახადებ დანაშაულს, დანაშაულის შედეგად მოპოვებულ საგნებს, დანაშაულის იარაღს კვალს და ა. შ.-წარმოადგენს დანაშაულში თანამონაწილეობას დახმარების ფორმით. აქედან გამომდინარე, დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა (საქ. სსკ 375-ე მუხლი) წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს მართლმხარეულების წინააღმდეგ.

## § 6. ძმედების შემადგენლობის ობიექტები მხარის სხვა ნიშნები

ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეში შედის რიგი ობიექტური ნიშანი, რომლის დადგენას ე.წ. მატერიალურ შემადგენლობებში არსებითი მნიშვნელობა აქვს. იგულისხმება ქმედების ჩადენის აღგილი, დრო, ხერხი, საშუალება, კითარება. მოკლედ განვიხილოთ იხინი. ქმედების ჩადენის დრო და აღგილი დადგენილია ხისხლის სამართლის ზოგად ჩაწილში ხისხლის სამართლის კანონის დროსა და ხივრცეში მოქმედებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს ხიყითხი განხილულია ხისხლის სამართლის ზოგადი ჩაწილის ხახელმძღვანელობის (ხისხლის სამართლი, ზოგადი ჩაწილი, თბილისი, 2007; აგრეთვე პროფ. ი. ბამბოვის

თეორიაც, რომლის თანახმად, შედეგი მიზეზის ძალისა და ინტენსივობის ადექვატური უნდა იყოს. მაგალითად, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას დაზარალებულის სიკედილი, როგორც წესი, არ მოხდევს, მაგრამ თუ აქ მიზეზობრიობის სხვაგვარი განვითარება მოხდა (მაგალითად, დაზარალებული ჭრილობაში ინფენეციის შექრის გამო გარდაიცვალა), მაშინ, ადექვატურობის მომხრენი ან უარყოფენ ამ ასპექტით მიზეზობრიობას, ან შემთხვევით მიზეზობრიობაზე ანდა მიზეზობრიობის ჯაჭვში რაღაც მისტიკურ წყვეტაზე ლაპარაკობენ. სინამდვილეში კი არც შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი არსებობს და არც მიზეზობრივი კავშირის წყვეტაა შესაძლებელია. მიზეზობრიობის პოზიციიდან მთავარია, რომ დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ადამიანის ქმედება წარმოადგენდეს. ეს სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობს ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე. მიზეზობრიობის პრინციპები სისხლის სამართალში სხვა ფუნქცია არ ეკისრება და ამიტომ მიხი შექანიური გადაჩანა ქმედების მართლწინააღმეგობის, ან ბრალის სფეროში დაუშვებელია. სისხლის სამართლის სფეროში მიზეზობრიობის შესახებ ცნობილია კიდევ რამდენიმე სახე: ალტერნატიული, ანუ, ორმაგი, როდესაც შედეგი გამოიწვია ორშა. ან მეტმა ქმედებამ, თუმცა, ამ შედეგის დადგრძისთვის საკმარისი იყო ერთ-ერთი ქმდებაც; კუმულაციური, როდესაც შედეგის დადგრძისათვის ერთი მოქმედება საკმარისი არ არის; ჰიპოთეტური, როდესაც ქმედება ასკარებს ამ შედეგს, რომელიც მოგვიანებით მაინც დადგებოდა (იხილეთ გ. ტერაპე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010). აღსანიშნავია, რომ მიზეზობრიობის პრინციპი გამოიყენება არა მარტო წევულებრივი საქმეების სასამართლო პრაქტიკაში, არამედ, ადამიანის უფლების ეკროპული სამართალშიც. კერძოდ, ირკვევა, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული ზედამხედველობის განხორციელების დროს კონვენციის ხელშეკვრელ

კრობლებები”, ტ. I. თბილისი, 2007). ითქვა, რომ ფილოსოფიაში მიზეზობრივ კავშირს განმარტავენ, როგორც მოვლენათა შორის ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებულ იბიექტურ კავშირს, რომელიც აისახება ადამიანის ცნობიერებაში და გამოიყენება მის პრაქტიკულ საქმიანობაში. პროფ. თ. შერეტელი შეიძლება კმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დაღვენის ე.წ. პიპოზებური ელიმინაციის მეთოდი, რომლის თანახმად, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქმედება წარმოადგენს ამ შედეგის დადგომის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა, ან დადგებოდა სხვაგვარად და სხვა პირობებში. ეს დებულება ერთი არსებითი ცვლილებით გადმოცემულია საქართველოს სსკ მუ-8 მუხლში. კურძოდ, რატომდაც გამოტოვებულია პროფ. თ. წერეთლის მიერ ხაზგასმული დებულება, რომ ქმედება შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და არა ერთადერთი. კურძოდ, პროფ. თ. შერეტელი ამოდიოდა იქიდან, რომ შედეგის გამომწვევი არაერთი პირისა არსებობს, მაგრამ ეს პირობები შედეგისთვის თანაბარი მნიშვნელობის კი არაა, როგორც ამას მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტური თეორია ამტკიცებს, არამედ, სხვადასხვა ძალისა და ინტენსივობისაა, რის გამოც ზოგი კი -არსებითი, რომლის გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა. მიზეზობრიობის ექვივალენტური თეორია ემსარება იმ მართებულ დებულებას, რომ ქმედება შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ შედეგისთვის ეველა წინაპირობა თანაბარი მნიშვნელობისაა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ, მაგალითად, დანაშაულში თანამორჩილებისას ორგანიზატორის მოქმედება დამხმარის მოქმედებას გაუტოლდებოდა, ხოლო, ეს სასჯელის დანიშვნის პრაქტიკას გამოუვალ მდგრძალეობაში ჩააყენებდა. მეორეს მხრივ, ჩაკლოვანია მიზეზობრიობის ე.წ. ადეპტატურობის

ნაშრომშიც (იხილუეთ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005). ამჯერად კი მოქლეს შევეხები ამ საკითხს სიახლის სამართლის კერძო ნაწილის ასპექტით. მართლაც, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია რიგი ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულია მხოლოდ განაზღვრულ დროს, ან ადგილას მიხი ჩადენის გამო. მაგალითად, უკანონო ჩადირობა (საქ. სსკ 301-ე მუხლი) გულისხმობს, ჯერ ერთი, იმას, რომ ჩადირობა საერთოდ კი არაა აკრძალული, არამედ, მხოლოდ განსაზღვრულ სფეროში, სადაც ნადირობას ნებართვა სჭირდება, ან, იგი ჩადენილია აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან იგი (ჩადირობა) დროისა და ადგილის მიხედვით ნებაღართულია, მაგრამ ჩადენილია აკრძალული იარაღით, ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დაახლოებით ასეთივე სხვა ანალოგიურ შემადგენლობებში ქმედების ჩადენის ადგილისა და დროის საკითხი. მაგალითად, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ განეხვა (საქ. სსკ 303-ე მუხლი) გულისხმობს, ჯერ-ერთი, იმას, რომ ტყის განეხვა საერთოდ კი არაა აკრძალული, არამედ, აკრძალულ ადგილას (მაგალითად, ნაკრძალში) ან, ისეთი ხე-ბუჩქნარისა, რომელიც იშვიათობის წარმოადგენს და საგანგებოდოა დაცული ტყით სარგებლობის რეეიმის მიხედვით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება დანაშაულის ჩადენის სპეციფიკური ხერხია. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის მართლხანიაღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი, მაგრამ არსებობს თვით ქურდობის ჩადენის ხერხიც. თაღლითობა, მაგალითად, არის მოტყუების ხერხით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების, ან ქონებაზე უფლების მიღების განხორციელება, მაგრამ თვით თაღლითობაც შეიძლება სხვადასხვა ხერხით განხორციელდეს. მაგალითად, ჰემარიტად უნიკალურ კედლის საათს თაღლითო საკმაოსე მეტ ფასს აღებდა, ხოლო ამ საათის კითომცდა ქადაგდში

გახვევის საბაძით საათის ნაკველად მყიდველს შეუმინუა-  
ლად და ოსტატურად ბრტყელ ქვას აჩეჩებდა ხელში.

ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეში იგულისხ-  
მება დანაშაულის საგანი, რომელზე ზემოქმედებითაც სუბი-  
ექტი ზემოქმედებს ხელყოფის ობიექტზე. მაგალითად, ქურ-  
დობა კოველთვის გულისხმობს მესაკუთრის რაიმე საგნის  
(ავტომანქანის, ტელეკინორის, კომპიუტერის და ა.შ.) მარ-  
თლსაწინააღმდეგო და ფარულ დაუფლებას. სხვაგვარად  
და ფურმით საკუთრება არ არსებობს და მისთვის ზიანის  
მიუენება საგანზე ზემოქმედებით ხდება. სხვა საკითხია, თუ  
ზოგ შემთხვევაში საგანი არ ზიანდება, პირიქით, უმჯობეს-  
დება კიდევ. მაგალითად, კაცმა მოპარული ტელეკინორი  
გააუმჯობესა. ზოგ შემთხვევაში კი დანაშაული საგანი ზი-  
ანდება, ან ნადგურდება და საკუთრება ამ ხერხით განიცდის  
ზიანის, ან განადგურებას (მაგალითად, ნივთის დაზიანება ან  
განადგურება - საქ. სსკ 187-ე მუხლი).

დანაშაულის საგანი განხვავდება დანაშაულის საშუ-  
ალებისგან, ან იარაღისგან (შაგალითად, ქურდობისას -  
მორგებული გასაღები, მკვლელობისას - ცეცხლსასროლი  
იარაღი, ან საწამლავი და ა.შ.). არის შემთხვევაც, როდესაც  
ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ფუნქციას ასრულდებს.  
მაგალითად, ქრომის აღებისას ფული არის დანაშაულის  
საგანი, ხოლო, ქრომის მიცემისას - ქრომის მიცემის სა-  
შუალება (იხ. ბ. უშრცხვანიშვ. სისხლის სამართლის ზოგ-  
ადი ნაწილი, ობილისი, 1971).

მოკლედ განვიხილოთ დანაშაულის ჩადენის კითარება.  
იგი შეიძლება ამიმიმებდეს პასუხისმგებლობას(მაგალითად,  
დანაშაულის ჩადენია ობიანობის კითარებაში), ან, პირიქით,  
ამსუბუქებდეს მას (მაგალითად, ქმედების შემადგენლობის  
განხორციელება მძიმე ოჯახურ, ან პირად კითარებაში) ან  
კიდევ გამორიცხავდეს პასუხისმგებლობას (მაგალითად, კი-  
თარების შეკველის გამო ქმედება აღარ არის სოციალურად  
საშიში და მართლსაწინააღმდეგო).

## § 7. ძმედების მართლივინააღმდეგობის დაზღვის მეთოდოლოგია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, მტკიცების საგნის სტრუქტურაში მეორე ელემენტია ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ოგულისხმება, რომ ქმედება, მისი ობიექტური ნიშნებით, უკვე დადგენილია. ამის შემდეგ დგება ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი (თუმცა, როგორც შემდგომ დავინახავთ, ეს საკითხი სუბიექტის ქცვის მიზანსაც უკავშირდება). თუ ეს ქმედება აღარ არის მართლსაწინააღმდეგო, საქმის შემდგომ გამოძიებას აზრი არა აქვს, რადგან, ქმედების მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ცნების მეორე ელემენტია. მაგრამ რას ჩიშნავს ქმედების მართლწინააღმდეგობა და რა ხერხით (მეთოდით) უნდა დალგინდეს იგი? ამ კითხებაზე პასუხისმოგონის მოკლედ აღვნიშნავთ, რომ, ჯერ ერთი, არსებობს ე. წ. ბლანკეტური ნორმა, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგში მოქმედ ნორმათა სისტემას გამოხატავს. მაგალითად, მძლოლი არღვევს აკტორისანისორის ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების დადგენილ წეს; მშობელი არღვევს სამართლებრივი გარანტის მოვალეობას და სხვა. მეორეს მხრივ, არსებობს საკუთრივ სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობაც, რადგან, დანაშაულებრივი ქმედება არღვევს ამ ქმედების სისხლის სამართლებრივ აკრძალვას (აქტიური დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ) ან სისხლის სამართლის კანონით დადგენილი აქტიური მოქმედების ვალდებულებას (დანაშაულის უმოქმედობის გზით ჩადენის შესაძლებლობის წინააღმდეგ). პროფ. თ. ვერეთელი საკუთრივ მართლებულად აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც დანაშაულებრივი ხელყოფისგან იკავს სისხლის სამართლის კანონი, „შეიძლება დაცული იყოს სხვა დარგის სამართ-

ლებრივი ნორმებითაც. მაგალითად, საკუთრების უფლებას იცავს სამოქალაქო სამართალიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა თავის შინაარსს სულაც არ იღებს სამართლის ამ სხვა დარგების ნორმებისგან.“ აკტორის დასკვნით, „სისხლის სამართლის სფეროში იქმნება უმართლობის ახალი ტიპი, და ეს ახალი ტიპის უმართლობა იქმნება იმით, რომ იგი აღწერილია სისხლის სამართლის კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობა“ (ი. შერეტელი, საზოგადიებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 104).

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაღებენად საჭიროა, ერთის შერივ, ბლანკეტური ნორმების დაღენა, ხოლო, მეორეს შერივ – სისხლის სამართლის იმ ნორმებისა, რომელიც ქვედების ამა თუ იმ შემადგერნლობას ითვალისწინებენ. სამწუხაროდ, ამ მიმართებით არაერთი გაუგებრობა იქმნება. ჯერ ერთი, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის დაღენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის დაღენას, რადგან არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არაერთი გარემოება (მაგ. აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვა). მაშახადამე, ქმედების ობიექტური მხარის არსებობის მიუხედავად შესაძლებელია, რომ ეს ქმედება არ იყოს მართლხანისააღმდეგო. მეორეც, ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, ხოლო ფაქტიდან ნორმაზე ანუ შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია. მეორენაირად რომ კონკრეტური მეორების შემადგენლობის არსებობის ფაქტი ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს. ეს მტკიცება, რომ ქმედების შემადგენლობის არსებობის ფაქტი ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს. ეს მტკიცება კი, როგორც უკავი იქო ნაჩვენები, ქმედების შემადგენლობაზე დანაშაულის დაუვანის შეღებია. ამ გამგებრობის

თავიდან აცილების მიზნით ხასი უნდა გაესკას იმ გარემოებას, რომ წინასწარი გამოძიება ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მხოლოდ საფარაუდო დასკვნას აკეთებს. იგულისხმება, რომ, თუ არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გმომრიცხავი რომელიმე გრერმოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ იფარაუდება, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

უკვე ითქვა, რომ „მართლწინააღმდეგობა“ არის ჩადენილი ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება. ობიექტური მხრივ ეს ქმედება იგივეობრივია იმ ქმედებისა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. ქმედების სამართლებრივი შეფასების საფუძველია სამართლის ნორმა, რომელიც სამართლის სუბიექტებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) მართლზომიერი ქმედების მოვალეობას აკისრებს. „მართლზომიერი“ არის ქმედების დაღებითი შეფასება. სამართლის სუბიექტი პრაქტიკულად ახორციელებს სამართლის ნორმის მოთხოვნას და ქმნის მართლწესრიგს. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ სახეზეა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სამართლის ნორმისა და მართლესრიგის კავშირის ფორმაა. მერჩენაირად რომ ვთქვათ, სამართლის ნორმის მოთხოვნა (ესე იგი მართლზომერი ქმედების ჩადენისა) მართლწესრიგში სამართლებრივი ურთიერთობის ფორმით გადადის. სისხლის სამართლის ხიბიექტი სამართლებრივ ურთიერთობაშია სახელმწიფოსთან, როგორც კანონმდებელობან, რომელიც სისხლის სამართლის კანონს დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით აამოქმედებს. უპირველეს კოვლისა, აუცილებელია ზრუნვა დანაშაულთა თავიდან აცილებისთვის, რომელსაც სიხლისსამართლებრივი ურთიერთობა ემსახურება. ამიტომა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შესაძლებელია მართლზომიერი ქმედება, რომელსაც ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგში გადააქვს.

გასაგებია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამარ-

თლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიხი ჩამდები პირი გამკაცეს სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, ესე იგი, იურიდიულად თავისუფალ სიურცეში, სადაც სუბიექტი არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი (არაა ვალდებული გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიმაღოს). ამ პირობებში სუბიექტის სამართლებრივი სტატუსიც გაურკვევლია, რადგან იგი კერ კიდევ „დამნაშავე“ არ არის (ბრალი ჯერ კიდევ დასადგენია), მაგრამ არც „უდანაშაულოა“, რადგა, გამორიცხული არ არის, რომ ქმედების შემადგნლობა სუბიექტის დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებდეს. ამიტომაა, რომ ქმედების შემადგენლობა არის ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა, ანუ, კატეგორია, რომელიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკირიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამ მიმართებით იგულისხმება სისხლის სამართლის საქმის ე.წ. ფაქტობრივი გარემოებანი, რომელთა დაღვენის გარეშე ქმედების კერც მართლწინააღმდეგობა იქნება დადგენილი და ვერც სუბიექტის ბრალი. მაგრამ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დაღვენა აეტომატურად არ აღგენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მართლწინააღმდეგობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთია სისხლის სამართლის კანონით ქმედების გათვალისწინება და მეორეა ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა. მაგალითად, მცირემნიშვნელოვანი ქმედება ფორმალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ იგი მართლსაწინააღმდეგობის თვალსაზრისით კერ შეფასდება. მართლწინააღმდეგობა არის ქმედების უარყოფითი სახელმწიფოებრივი შეფასება, რომელიც ამ ქმედების სასამართლო შეფასების საფუძველია. სუბიექტი არღვევს მართლზომერი ქმედების ვალდებულებას და ხელყოფს მართლწერიგს. ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკირის

თავისებურების შესახებ შემდგომ უფრო დაწერილებით ვიმ-სჯელებთ. ამჯერად კი გეინდა იმ დებულების დამტკიცება, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მხოლოდ სავარაუდოა და არა კატეგორიული. ჯერ ერთი, მართლწინააღმდეგობა, როგორც უკვე ითქვა, არის ქმედების ზოგადი სახელმწი-ფოებრივი შეფასება, ხოლო, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ ქმედების შემაღებელობის განხორციელება ინდივიდუალური აქტია. აქედან გამომდინ-არე, ისმის საკითხი: როგორაა შესაძლებელი, ან შესაძლე-ბელია თუ არა საერთოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ინდივიდუალური შემაღ-ბენლობის დადგენის ფაქტიდან გაკეთდეს კატეგორიული დასკვნა, რომ ეს ამ ქმედება მართლწინააღმდეგოა? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა მეთოდოლო-გიური მსჯელობა კერძოდან ზოგადზე (შემაღებელობიდან მართლწინააღმდეგობაზე) გადასცლის თავისებურების შესახებ. პასუხი უარყოფითია, რადგან, კერძოდან ზოგა-დზე გადასცლა მხოლოდ ინდუქციური დასკვნის წესითაა შესაძლებელი. კერძოდ, ბ. ჯიბეტი სწორად აღნიშნავს, რომ ინდუქცია კერძო შემთხვევებიდან ამოდის და ზოგა-დისა და აუცილებლის მიღებას ესწრაფვის. მაგრამ, ცდაში მოკემული ერთეული შემთხვევები არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ რაიმე ურთიერთვის ასე იქნება. ამ მხრიე რაიმე „დანასკვნის მიღებას გარკვეული ვარაუდის დაშვება ესაჭიროება“ (იხილეთ მიხი „ინდუქციური დასკვნის ბუნები-სათვის“, თბილისი, 1975, გვ. 121).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქმედების ინდივიდუ-ალური შემაღებელობის დადგენიდან დასკვნა ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის, როგორც მისი უარყოფითი სახ-ელმწიფოებრივი შეფასების, შესახებ სავარაუდოა და არა კატეგორიული. კერძოდ, თუ ჩადენილია სისხლის სამართ-ლის კანონოთ გათვალისწინებული რომელიმე ქმედება და

ამავე დროს, არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ, წინასწარი გამოძიება ვარაუდობს, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

ქმედების ინდიკირულური შემადგენლობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე დასკვნის (გადასკლის) ინდუქციური პუნქტი შეიძლება დაკადასტრუროთ იმ ზოგადმეოროლოგიური დეტალებიდანაც, რომ ფაქტიდან ნირმაზე, ანუ, შეფასებაზე პირდაპირ-ლოგიკური გადასკლა შეუძლებელია. კერძოდ, ჩვენ უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, იმის მიუხედავად, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშნებში შეფასებითი ნიშნებიც (მაგალითად, „არსებითი ზიანი“) გვხვდება. აქსიოლოგიურად რომ კოქეათ, არსილან ჯერარსისე პირდაპირი ლოგიკური გადასკლა არ არსებობს (იხილეთ ოჯორები, „კულტურის სტრუქტურა“, „კულტურა, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი“, თბილისი, 1977. გვ. 78). .

ასრიგად, ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, არის აღწერილობითი, ფაქტის, მსჯელობა. ამიტომ ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის, დადგენა, კერ კიდევ არ ამგეიცებს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის, როგორც ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას, თუმცა საკარაულო დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მაინც შეიძლება გაკეთდეს (იხ. ბ.ნაჟაშვილია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006).

კოველიკვე აქედან გამოიმდინარეობს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე შეიძლება უტყუარად დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, როგორც ფაქტის მსჯელობა, მაგრამ ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ სავარაუდო (ინდუქციური). აქედან ისიც გასომდინარეობს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე დასკვნა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებაც სა-

გარაუდოა, მაგრამ ამ საკითხეს მოგვიანებით შევეხებით. აქ კი მხოლოდ იმას ვიტუკით, რომ მტკიცება: „ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული,” სავარაუდოა (საალბათოა თუნდაც მისი მაღალი ხარისხით) არა მარტო ბრალდების წარდგენის ეტაპზე, არამედ, საბრალდებო დასკვნაშიც. ცხადია, ქმედების შემადგნლობის ღალგენია საბრალდებო დასკვნის შედგენის ეტაპზე უფრო უტეურია, ვიდრე. ბრალდების წარდგენის ეტაპზე, მაგრამ რამდენადაც ქმედების მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა ორივე შემთხვევაში სავარაუდოა, ამდენად, წინასწარი გამოძიების ეტაპზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სავარაუდოა, ალბათურია და არა კატეგორიული და საბოლოო. ეს დებულება ბრალის კუთხითაც იქნება გამეტარებული.

## § 8. ძირითადი სუბიექტის პროცესუალური გადამარტინის საპითხისათვის

სადაც არ არის, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა მხოლოდ აღამიანს შეუძლია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ონახმად კი -განსაზღვრული კატეგორიის იურიდიულ პირსაც). სამწუხაროდ, როგორც სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში, კანონმდებლობასა და თეორიაში დღემდე ბუნ-დოკანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა კნებით გამოიხატოს სამართლებრივი მდგრადერება იმ პირისა, რომელმაც, შესაძლოა, დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ რომელიც თუკიალურად ჯერ კიდევ არაა კნობილი დანაშაულის ჩამდენ პირად? სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და თეორიაში საკმაოდაა გავრცელებული ტერმინები „დამნაშავა“ „დანაშაულის სუბიექტი“, „დამნაშავის პიროვნება“. კხადია, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ამ ტერმინებს

არავითარი საფუძველი არა აქვთ, რადგან, ჯერ ერთი, დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ხისხლის სამართალი არ აღვენს. მეორეც, წმინდა ოურიდიული თვალაზრისით დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივი მდგომარეობა გამოხატულია ტერმინით „მსჯავრდებული“, რომელიც გამამტკუნებული განაჩენითაა აღიარებული ბრალეულად ხისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლაწინადმდებო ქმედების ჩავნაში. გასაგებია, რომ „მსჯავრდებული“ სწორედ ის იურიდიული ტერმინია, რომელიც დანაშაულის ჩამდენი პირის პროცესუალურ მდგომარეობას გამოხატავს. ამიტომ, ტერმინი „დამნაშავე“ (და სხვა ამგვარი ტერმინი) იურიდიული აზროვნების წესს არ გამოხატავს და იგი სოციოლოგიური საზრისს აჩარებს. იურიდიული აზროვნების ლოგიკურ ფორმად მისი გასაღება დაუშვებელია. კადაკი, ტერმინი „დამნაშავე“ გამოყენება იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ პირია ჩაიდგილად ჩაიდინა დანაშაული. ტერმინი „უდანაშაული“ კი, პირიქით, იმ ფაქტის გამოხახარადაა დანიშნული, რომ პირს დანაშაული ფაქტობრივად არ ჩაუდენია. გასაგებია, რომ იურიდიულ ტერმინად არც „უდანაშაულო“ ჩაითვლია, რადგან, პირის სამართლებრივ მდგომარეობას არც ეს უკანასკნელი გამოხატავს. ამიტომ, ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად ამ არაიურიდიული ტერმინების პროცესუალური მნიშვნელობით გამოყენება, როგორც ეს გვხვდება საქართველოს ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მაგალითად, მე-10 მუხლში ლაპარაკია უდანაშაულობის პრეზუმუციაზე, როგორც ეს გადმოკემულია საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლში). სინამდევილეში კი ლაპარაკი უნდა იყოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის არაბრალეულობაზე, ვიდრე, მათი ბრალი ხისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგულ, ქმედების ჩადენაში არ იქნება დადასტურებული გამამტკუნებული განაჩენით. ამაზე შეტყველებს საქ. სხსკ

მე-11 მუხლი, რომელშიც ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლებასეა ლაპარაკი. ეს იმა-ზეც მეტყველებს რომ პირის პროცესუალურ მდგომარეობას გამოხატავს არა ტერმინი „დამნაშავე“ (ან, „უდანაშაულო“), არამედ, ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი და მსჯავრდებული. თითოეულ ეს ტერმინი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის განსხვავებულ ეტაპებს გამოხჩავს, ხოლო, ამ ეტაპების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯავრდება და აქ არ გავიმეორებთ.

ამრიგად, ჩეუქ არ ვისიარებთ „დანაშაულის სუბიექტის“ ტრადიციულ ცნებას, რადგან, ის იურიდიული აზროვნების წესს არ გამოხატავს. არსებობს სისხლის სამართლის სუბიექტის ცნება, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილ სისხლისამართლებრივ ურთიერთობას გამოხატავს, ხოლო ქმედების შემადგენლობის განხორციელების კვალობაზე უფრო ლოგიკურია ტერმინი „ქმედების სუბიექტი“, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის, ანუ, ქმედების დანაშაულად კეალიფიკირების ეტაპების მიხედვით, მიიღებს პროცესუალურ ნათლობას ეჭმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის სახით (საქართველოს სისხლის სამართლის ახალ (2009 წლის 9 ოქტომბრის) საპროცესო კოდექსში გამოიყენების სტატიაზე პროცესუალურად ფიგურირებს „ბრალდებული“, ხოლო გამამტკიცებული განაჩენის საფუძველზე – „მსჯავრდებული“). მაგრამ ტერმინი „ქმედების სუბიექტი“ დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი ვერ იქნება, სამწუხაროდ, როგორც ეს ტრადიციულად ესმით. მაგალითად, როგორ შეიძლება, რომ იურიდიული პირი, როგორც განსაზღვრული ორგანიზაციელი წარმონაქმნი, ქმედების შემადგენლობის ელემენტად ნაითვალოს? მაშასადამიერ, იგულისხმება რეალური, ცოცხალი, პიროვნება, რომელსაც ლიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სისხლის სამართლში, ისე სისხლის სამართლის

პროცესში. სისხლის სამართლში ქმედების დანაშაულად კუალიუკიაციის ასპექტით საუოველთაოდაა ცნობილი ის, რომ დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ახალისა და სულიერი ჯანმრთელობის პირმა; ზოგიერთი შემადგენლობის განხორციელებას მოქალაქეობის სამართლებრივი მდგომარეობა სჭირდება. კერძოდ, საქ. სსსკ მე-5-ე მუხლში ლაპარაკია საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში მუსმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონები პირზე და უცხოელ მოქალაქეზე, რომლებმაც შეიძლება ჩაიდინონ დანაშაული. მაგალითად, ჯაშუშობა, საქ. სსკ 314-ე მუხლის თანახმად, შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ უცხოელმა მოქალაქემ, ან მოქალაქეობის არმქონები პირმა (იხილეთ მ.ლეპვიზვილი, ბ.მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, ობილისი, 2002, გვ. 6). გარდა ამისა, სხვაგვარად წერილი საკითხი დიპლომატიური იმუნიტეტის ქონე უცხოელ მოქალაქეთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ვიდრე, სხვა სკულებრივი პირის მიმართ; სამოხელეო, ან სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იურს მხოლოდ სახელმწიფო მოხელე, ან მასთან გათანაბრებული პირი, ანდა სამხედრო მოსამსახურე; ახევე, საყურადღებოა ქმედების დანაშაულად კუალიუკიაციისას ე.წ. სამართლებრივი გარანტის ცნება, როდესაც განსაზღვრული ხტატუსის მქონე პირი ჩადის დანაშაულს. მაგალითად, დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა (საქ. სსკ 112-ე მუხლი); სატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იურს მდერელი, თუ საქმე ავტოსატრანსპორტო დანაშაულს უხება, ხოლო, რეინიგზის, წყლის, საჰაერო და საბაზირო ტრანსპორტის მართვა კოლექტიურად ხორციელდება. მაგალითად, სალოკომოტივო ბრიგადის, თუ ეკიპაჟების სახით (იხილეთ ჭ. ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, ობილისი, ობილისი, 2004, გვ. 58). გარდა ამისა, რაკი სიტყვა „მძღოლ-

ზე” ჩამოვარდა, იმასაც მივაქციოთ უურადლება, რომ მას შეიძლება გაუჩნდეს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია თავისივე დანაშაულებრივი მოქმედების შეგებად და ამის გამო მოუწიოს პასუხისმგებლობა ახალი დანაშაულისთვის. მაგალითად, მძღოლი, რომელიც გაუფრთხილებლობით დაეჯახა ქვეითად მისიარულებს, ვალდებულია იზრუნოს მასზე იმ შემდხევებაშიც კი, „როდესაც იგი სათანადო დახმარების აღმოჩენითაც კი ვერ გადაარჩენდა დაშავებულის სიცოცხლეს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის განსაკუდელში მყოფი ადამიანის დაუმარებლობის ფაქტი“ (სისხლის სამართლის კერო ჩაწილი, თბილისი, 2006, გვ. 120).

ერთი სიტყვით, კანონმდებელი, ქმედების შემადგენლობის აღწერისას, ცდილობს მიუთითოთ ქმედების სუბიექტის იმ ნიშნებზე, რაც ამა თუ იმ შემადგენლობის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (შერაცხაობა, მოქადაქეობა, თანამამდებობა, სამსახური და მისი სახე, სპეციალური მოვალეობანი და სხვა). მოკლედ აკნიშნავთ ამ ხრივ, მაგალითად, ასაკის მნიშვნელობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი შერაცხაობის ცნებაში შედის, მაგრამ ამ მხრივ საინტერესოა რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზიმალური ასაკი თოთხმეტი წელია. (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 12 წლის ასაკიდან ზოგიერთი სახის დანაშაულებრივი ქმედისათვის უკვე გაუქმდებულია).

სუბიექტის ასაკი ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსშია მითითებული. მაგალითად, 238<sup>1</sup>-ე მუხლში ლაპარაკია 21 წლის ასაკს მიუღებელება ან ნასამართლობის მქონე ანდა ნარკოტიკების მოხმარებისთვის აღმინისტრაციულსახლელდაღებული პირის მიერ ციკი იარაღის ტარებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლიბაზე. გარდა ამისა, მხოლოდ სრულწლოვანმა პირმა შეიძლება ჩაიღინოს,

მაგალითად, არასრულწლოვნის ნაბია ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში - საჭ. სსკ 171-ე მუხლი; არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შეიღავდა აუგანის მიზნით- 172-ე მუხლი; არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - 143-ე 2-ე მუხლი; სქესობრივი კავშირი, ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან- 140-ე მუხლი; ძალადობის გარეშე გარევნილი ქმედება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან- მუხლი 141-ე და სხვა. ამ და სხვა ამგვარი ფაქტების დადგენა, როგორც წესი, იმაზეც მიუთითებს, რომ სუბიექტმა დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა ანუ, იგი მოიქცა მართლსწინააღმდეგოდ, თუმცა, ამის დამტკიცება კატეგორიული დასკვნის ფორმით მხოლოდ ხასამართლოს შეუძლია.

#### § 9. ძგელების უგადგენლობის სუბიექტური მხარის რეზების (მოტივისა და მიზნის) დადგენა და საპალიციაციო მიმართველობა

უკვე ითქვა, რომ როგორც საბჭოთა, ისე, თანამედროვე რუსეთის ხისხლისსამრთლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე გაგებული იყო და არის, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული სუბიექტის ქცევის მოტივის, მიზნისა და ბრალის ერთიანობით. გასაგებია, რომ აქ გამოხატულია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად, ბრალი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის წამყვანი ელემენტია. მაგრამ წყენ უკვე აღვნისჩეთ, რომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობა არ შედის. ამიტომა, რომ მართლწინააღმდეგობა დანაშაულებრივი ქმედების მეორე

ელემენტია. თუ ქმედების შემაღვენლობის სტრუქტურაში მართლწინააღმდეგობა არ შედის, მაშინ ამ სტრუქტურაში არც ბრალია შესაძლებელი, რადგან ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე ბრალი არ არსებობს. მით უმეტეს, თუ ბრალი, როგორც შემდგომში დავინახავთ, ქმედების სუბიექტის გაკიცხვას გამოხატავს, მაშინ გასაგებია, რომ გაკიცხა, რეოგორც უარყოფითი შეფასება, ქმედების შემაღვენლობასთან, როგორც აღწერილობით, ფაქტის, მსჯელობასთან, პირდაპირ კაცშირში კერ იქნება. ამიტომა, რომ მართლწინააღმდეგობა არის ქმედების შემაღვენლობისა და სუბიექტის ბრალის კავშირის ფორმა. მეორენაირად რომ კოქვათ, კაცშირი ქმედების შემაღვენლობასა და ბრალის შერის გაშუალებულია ქმედების მართლწინააღმდეგობით. აქედან გამომდინარე, ბრალი ქმედების შემაღვენლობისგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ იგი შემაღვენლობის სტრუქტურაში უშუალოდ არ შედის. ამიტომ არსებოთად სწორი არ არს მტკიცება, რომ ბრალი თითქოს არის ქმედების შემაღვენლობის ერთ-ერთი ელემენტი. მაგრამ მაშინ საკითხავია: არსებობს კი ქმედების შემაღვენლობის სუბიექტური მხარე? კადანა, არსებობს, მაგრამ არა ბრალისა და მისი ფორმების სახით. არამედ, ქცევის ფსიქოლოგიური ფორმის სახით. იგულისხმება არა იმპულსური ქცევა, რომელიც პრინციპულად არაკნობიერია, არამედ, ქცევის ნებელობითი ფორმა, როდესაც სუბიექტს გაკნობიერებული აქვს თავისი ქცევა და ნებელობის (ნებისყოფის) მეშვეობით იღებს და ასრულებს კიდევ გადაწყვეტილებას, იმოქმედოს, ან თავი შეიკავის რაიმე აქტიური მოქმედების ჩადენისგან. იმპულსური, ანუ, არაკნობიერი მოქმედებისაგან ბრალის გამოყენა შეუძლებელია, მაგრამ აქ არ შეიძლება მოკლედ მაინც არ აღვნიშნო აღამიანის მოლიანობის ფილოსოფიური კრიბლება, რაღაც, არც თუ იშვიათია აღამიანის არსის ისეთი კალმხერიერი და კერძომექინიერული ინტერპრეტაცია, როგორიცაა: ბოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი, ბისევიორიზმი,

ფსიქოანალიზი და სხვა. ამ და სხვა ანალოგიურ თეორიებში, როგორც წესი, მეთოდად გამოყენებულია პოზიტივიზმი, რომელიც პუნქტის მეტყველების მეთოდებით ცდილობს ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების ახსნასაც (ამის შესახებ უფრო დაწრილებით იხ. როალ्ड ბლეკბონ, *Психология криминального поведения*, 2004, стр. 40). ამ მხრივ, როგორც საურულოთაოდაა ცნობილი, ერთ-ერთი გამორჩეულია ზ. უროიდის ფსიქოანალისტიკური თეორია, რომელიც ცხოველ ინტერესთან ერთად კრიტიკულ განწყობასაც პიაღებს, რადგან იგი, როგორც წესი, ადამიანის არხის ბიოლოგიზაციის შედეგია. ზ. ვროიდი ე. წ. „ოდიპოსის კომპლექსზე“ ლაპარაკობს, რადგან მის კონცეფციაში ადამიანის სქესობრივი ლტოლება განმსაზღვრელია და საუზისკლად უდევს ადამიანის საქმიანობას, მისი ფსიქიური თავისებურებას, აგრესიას, თუ ფსიქიკურ აშლილობას, ოლონდ, არაკნობიერის სფეროდან მომდინარე. სოცოპლეს მიერ შეთხული ტრაგედიის თანახმად, ოდიპოსია არ იცის, რომ ის, უნც მან მოკლა, მამამისია, ხოლო, დედამისია ის, ვინც მან კოლად შეირთო. ზ. ვროიდი ხაზს უსვამს იმას, რომ სოფოკლეს აღნიშნული თხზულება „ოდიპოსის უცოდინარობაზე არაცნობიერის მართვებული გადმოცემა“ და რომ იგი „გმირს აქცევს უდანაშაულოდ, ან ასეთად უნდა აქციოს ის. ბედის გარდუვალობის აღიარებაა, რომ ყველა ვაჟიშვილს მისჯილი აქვს ოდიპოსის კომპლექსის გადატანა“ (ზ. ვროიდი, ფსიქოანალიზი, თბილისი, 1996, გვ. 537). მე არ შევუძგებით ფრთიდიზმის უფრო ვრცელ ანალიზს. უიტევი მხოლოდ იმას, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებაზე და გარემოს ზეგავლენის შედეგები შეიძლება ადამიანის არაცნობიერში მართლაც დაილექოს და ყოველივე ეს მოგვიანებით გახდეს ამა თუ იმ სუბიექტური გადაწყვეტილების უშუალო მიზეზი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან, როგორც ამას ზ. ვროიდი ამჩკიცებს.

შევაცდები მოკლელ განვიხილა ქცევის ფსიქოლოგიური

კონცეფცია. ცხადია, ფსიქოლოგია ერთ-ერთი კერძო მეცნიერებაა და ამიტომ გამორიცხული არ არის აღამიანის არსის ფსიქოლოგიზაცია, მაშინ, როდესაც აღამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მხარის გამოვლენაში „მთავარია აღამიანის ღირებულებითი განწყობები: ის, რაც მას უფრო არსებითად და გადამწყვეტად მიაჩნია არა იმდენად მოცემულ მომენტში, არამედ, რამდენადაც ცხოვრებაში საზოგადოდ“ (Е. П. Ильин Мотивация и мотивы, Питер, 2000, стр. 137). რაյო ღირებულების არსებობის ფორმა ჯერარსია, აღამიანის ქცევაში ჯერარსიც მონაწილეობს (იხილეთ ზ. ბაბაბაძე, აღამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბილისი, 1987, გვ. 8) და ამიტომ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებებით არ განისაზღურება. ვ. ბიბიჩაიშვილის აზრით, „თითოეულ ადამიანს ახასიათებს ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ცნობიერება, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი აზრით, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური, რელიგიური, სამართლებრივი, ესთეტიკური წარმოდგენებითა და ოდევებით“ (ვ. ბიბიჩაიშვილი, ხოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბილისი, 2006, გვ. 19). რასაკუირველია, ქცევა ფსიქოლოგიურად სინამდვილის ისეთი ფაქტია, რომელიც სამართლებრივი სინამდვილისგან შეფარდებით დამოუკიდებელია. მეორეს მხრივ, ქმედების სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) მნიშვნელოვნადაა დამოუკიდებული ქცევის ფსიქოლოგიურ მხარეზე, განსაკუთრებით მოტივისა და მიზანზე. მართალია, დანაშაულებრივი ქმედება სუბიექტური მხრივ მოტივისა და მიზნის საფუძველზე კი არ იწყება, არამედ, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობა დამოკიდებულებიდან, ანუ, ბრალიდან, მაგრამ ბრალის დადგენია ქმედების დანაშაულად კვლიფიკაციის ბოლო ეტაპია. ამიტომ, ბრალისა და მისი ფორმების დადგენია მოტივისა და მიზნის დადგენით უნდა დაიწყოს.

აკად. ღ. ბენაძე წერდა: „ფსიქოლოგიაში ნებისმიერი

მოქმედების საბუთს ანუ, საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რაიმეს გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს: გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უძღვის წინ“ (დ. უზნამე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 203). მოტივაციის შედეგად კალიბრდება მოტივი. ქცევა კი „იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს“ (იქვე, გვ. 24). მაშასადამე, მოტივი ფსიქოლოგიურად არის ამა თუ იმ ქმედების ფსიქიკური სასრისი, რისი გულისფრისაც ქმედების ჩადენა გადაწყდა. ბ. პეტელინი, ერთის მხრივ, სწორად მიუჰთითებს, რომ მოტივის გამოყენებას მოქმედების ხაზრისეული შინაარხის დადგენიამდე მიუკეთართ (ნ. Я. Петелин. Установление мотива и цели преступения, М. 1979, стр. 23). მეორეს მხრივ, აღიარებს მოტივთა ბრძოლის თაობაზე ხაյმარდ გავრცელებულ მოსაზრებას (იქვე, გვ. 24). კხადია, ეს ავტორის კონცეფციის წინააღმდეგობაა, რადგან, ერთსა და იმავე ქმედებას ხსნადასხვა მოტივი, ანუ, ხაზრისი არ შეიძლება პქონდეს. მოტივთა ბრძოლა კი არ ხდება, არამედ, მოტივაციის ფაქტორთა შეპირისპირება. ამაზე მოტივთა კლასიფიკაციაც შემცველებელია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოტივი ფსიქოლოგიური ცნებაა და ამიტომ მისი კლასიფიკაცია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს (ნ. В. Харразишивили, Вопросы мотива поведения в советском праве, Тбилиси, 1963, стр. 151). მართალია, მოტივთა კლასიფიკაცია დანაშაულებრივი ქმედების ხერხების შერჩევასთანაა გადახლართული, მაგრამ ერთია ქცევა ფსიქოლოგიურად და მეორეა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია. სამწუაროდ, არც თუ იშვიათია მოტივის დუალისტური გაგება, რაც ქმედების დანაშაულად მცდარი კვალიფიკაციის საწინდარია. მაგალითად, ბ. ვოლკოვი თავის დროსე ფიქრობდა. რომ ერთსა და იმავე დანაშაულს შეიძლება პქონდეს შერჩევლი მოტივი. ამ დებულების დასაბუთების მიზნით ავტორი იშველიებდა მაგალითს თ. დოსტოვსკის („დანაშაული და სასჯელი“)

ერთ-ერთი პერსონაჟის – რასეკოლნიკოვის – მოქმედებიდან. ბ. ვოლგოვის აზრით, რასეკოლნიკოვმა მოხუცი მევახშე ქალის მკვლელობა ჩაიდინა არა მარტო ანგარებით, არამედ, იმ მოტივითაც, რომ გამოვლინა საკუთარი თავი. ბ. ვოლგოვს თავად მოაქვს რასეკოლნიკოვის მსჯელობა, საიდანაც ჩანს, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში მას ანგარება საერთოდ არ ამოძრავებდა და რომ მას უნდოდა გადაელახა ე.წ. პატარა გაცობის ყოველდღიური ნორმა და ამ მხრივ ნაპოლეონს გატოლებოდა. ამიტომ „შერეული მოტივების“ იდეა არ სებითად ეწინააღმდეგება ქმედების დანაშაულად სწორი კუალიურიაციის იდეას. ბ. ვოლგოვი თავადვე აღნიშნავს, რომ შერეული მოტივები აძნელებენ კიდევ სწორად განვსაჯოთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა მირითადი მიმართულებანი და „დიდ სიძნეელს ქმნიან ჩადენილი ქმედების ხასიათის განსაზღვრაში, დანაშაულის კვალიფიკაციაში“ (Б. С. Волков, Мотив и квалификация преступлений, Казанский гос-унт. 1968, стр. 21). აუტორი იქნება ამბობს, რომ „ადამიანს არ შეუძლია თავის საქციელს საფუძვლად დაუდოს ერთდროულად შინაარსითა და მნიშვნელობით განსხვავებული მოტივები“ (იქნე, გვ. 21).

ამრიგად, აუტორი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა, როცა იგი, ერთის მხრივ, ერთსა და იმავე ქმედებას საფუძვლად უდებს შერეულ, ანუ, არაერთგვაროვან მოტივებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ამას უარყოფს და ერთ ფსიქოლოგიურ ქცევაში ერთი მოტივის იდეას ამჟღიდრებს. ფსიქოლოგიურად ეს უკანასკნელი იდეა უფრო სწორია (Б. С. Волков, Мотивы преступлений (Уголовно-правовые, социально-психологическое исследование, Казань, 1982).

ერთ ქცევაში ერთი მოტივის იდეა კარგადაა დასაბუთებული დ. პიპაძის ნაშრომშიც. აუტორის აზრით, „ყოველ კონკრეტულ მოქმედებას აქვს მხოლოდ ერთი მოტივი. მართალია, მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ სხვა მოქმედებათა მოტივებიც. მოთხოვნილებანი, ინტერესები,

მიზნები, განწყობები, დამოკიდებულება და ა. შ. მაგრამ ისინი მოცემული მოქმედების მხლოდ ფაქტორების როლს „ასრულებებ“ (Д. А. Кикнадзе, Система факторов действия и развития личности, Тбилиси, 1982, стр. 148). ირკვევა, რომ მოტივი გადაწყვეტილების საფუძველია, რადგან, მოტივისა და გადაწყვეტილებას შორის რაიმე გაძაშვალებელი რგოლი არ არსებობს. „ყოველ მოტივს, - ამტკიცებს აკტორი, - მოსდევს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოტივს აქვს თავისი შინაარსი, რომელიც სხვა სუბიექტისთვის დაფარულ საიდუმლოდ მოჩანს. მისი გახსნა კი იმის ტოლფასია, რომ შევიხედოთ ადამიანის შინაგან სამყაროში“ (იქნე, გვ. 146-147).

გამომდინარე იქიდან, რომ მოტივის გარეშე არც ერთი ნებისეურულითი ქვევა არ ხორციელდება, ჩეუნ სწორად არ მიგვანით მოტივების დაუოფა დანაშაულის მოტივებად და ქმედების მოტოვებად, როგორც ეს ი. ვილანოვსის წარმოედგენია. აკტორი ფიქრობს, რომ დანაშაულის მოტივი განსრახი ბრალის პირობებში არსებობს, მაშინ, როდესაც გაუფრთხილებობისას სახეზეა მხრიდან ქმედება, რომლის შედეგსაც სუბიექტი შინად არ ისახავდა (И. Г. Филановский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУ, 1970, стр.49). კხადია, ქცევის „გაუფრთხილებელი მოტივაცია“ შეუძლებელია, მაგრამ, ჯერ ერთი, დანაშაული საკუთრივ ფხიქოლოგიური ქვევა კი არაა, არამედ, ქცევის ხერხია (ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, ობილისი, 1975). მეორეც, რაკი დანაშაული ფსიქილოგიურად ქვევა არაა, მას არც საკუთარი მოტივი აქვს. მეორეც, მაშინ, როდესაც ფხიქოლოგიურად ერთ ქცევას ერთი მოტივი შეუსაბამება, ერთი მოტივით არაერთი დანაშაული ხორციელდება. მაგალითად, ანგარების მოტივით ხორციელდება, როგორც წესი, ქურდობა, ქარცვა, ქანაღობა, თაღლითობა, მეულელობაც კი. მესამე, სათანადო მოტივის გარეშე არც გაუფრთხილებელი დანაშაულია შესაძლებელი. ბნელ

ოთახში სანთლის დაწების ფსიქოლოგიური საზრისი, ანუ, მოტივი ოთახის განათებაა, ხოლო, სხვა საკითხია, თუ სუბიექტს დაუდევრობით დარჩა ანთებული სანთლი და ამან ხანძარი გამოიწვია (მ. ტერაპა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2004). ან კიდევ: როდესაც ტყვიით სროლაში დიდოსტატი ნიშანზე ესერის ადამიანის თავზე დაღგმულ საგანს, ფსიქოლოგიურად მიხი ქცევის მოტივი სროლაში მიხი თხტატობის დადასტურებაა (Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 80), ხოლო, ადამიანის თავში ტყვიის მოხვედრის შემთხვევაში ქმედება კვალიფიკირდება, როგორც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა თვითიმედოვნებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია და არა ხაკუთრივ ქცევა ფსიქოლოგიურად. განაცხადი არაა, რომ, მაგალითად, ქურდობა სხვისი მოძრავი ნიჟთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუყიდების ფარული ხერხია, ძარცვა – აშკარა ხერხი, ყაჩაღობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ხაშიში ძალადებრი ხერხი და ა. შ. ეს დებულება კრცელდება გაუფრთხილებლობაზეც. როცა პირი სროლაში თავისი თხტატობის დადასტურების მიზნით ცეცხლსასროლ იარაღს იღებს ხელში, იგი გარკვეული ხერხით მოქმედებს, ისევე, როგორც ოთახის განათების მიზნით სანთლის დანთებაც ფსიქოლოგიური ქცევის გარკვეული ხერხია. სხვა ხაკითხია, თუ სუბიექტი მოქმედებს შეგნებული უპასუხისმგებლობის პირობებში, ანუ, განჩრას ან უგულებელებელოფებს წინდახედულობის ხერმის მოთხოვნებს და მოქმედებს გაურთხილებლობით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ, ჯერ ერთი, სისხლის სამართალი მოტივისა და მიზნის ხაკუთარ გაგებას არ ქმნის და მათი ფსიქოლოგიური, თუ ფილოსოფიური (მიზნის კანკეკორია) გაგებიდან ამოდის, რათა ადამიანთა ქმედებას შეხატების შეფასება მიეცეს. მეორეც, მოტივი და მიზანი ბრალის ფორმებს უკავშირდება და ამ

გ სით გავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციაზე, ბრალის ხარისხზე და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციაზეც.

სანამ მოტივისა და მიზნის მიხედვით ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციაზე უშუალოდ ვისაუბრებდე, საჭიროდ მიმართა უურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში დანაშაულებრივი ქმედების მოტივის პრობლემა მოწოდრაფიული წესით ერთ-ერთმა პირველმა პროფ. ბ. ხარაზიშვილმა დაამუშავა. ავტორმა უურადღება გაამახვილა მოტივის არა მარტო ხისხლისსამაერთლებივ ასპექტზე, არამედ, ხისხლის სამართლის საპროცესო და კრიმინალისტიკურ ასპექტზეც. მანვე შემოგთავასა მოტივთა კლასიფიკაცია მოტივის ფსიქილოგიური არსის გათვალისწინებით. კერძოდ, 1. მოტივები, რომლებიც ოდეურ მოვლენებთან არიან დაკავშირებული (ცლასობრივი სწრაფვა, რასობრივი სიძულვილი და სხვა); ოდეურ მოტივებში შედის აგრეთვე ესთეტიკური ხასიათის მისწრაფებანი; რელიგიური ხაასიათის მოტივები და მოტივები, რომლებიც გვაროვნულ გადმონაშთებს უკავშირდებიან. 2. პირადი ხასიათის მოტივები გამოვლენილი ქვენაგრძნობების სახით (ეგოიზმი, კარიერიზმი, შური, ეჭვიანობა, შურისძიება, უპატივცემლობა, სიძუნწვანება). ავტორი პირად მოტივებში ათავსებს აგრეთვე არაქვენაგრძნობით მოტივებს (მოჭირნეობა, გულუხვობა, სიჯიუტე, თავმოთნეობა, სიმორცხვე) და განწყობილებიდან გამომდინარე მოტივებს: კმაყოფილება, უკმაყოფილება, სიხარული, სასოწარკვეთა, მოწყენილობა, აფექტური მოტივი, სპორტული ინტერესი და ა. შ. (Б. В. Харазишвили, Вопросы мотива поведения в советском праве, стр. 63).

ამ მხრივ საქართველოში რიგით მეორეა ირ. დვალიძე, რომელმაც მოტივისა და მიზნის პრობლემა ფრიად ნაყოფიერად და საინტერესოდ დაამუშავა, ჯერ კრთი, ქმედების დანაშაულად კეალიფიკიის ასპექტით; მეორეც, ხისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის

პოზიციიდან. აუტორი კრიტიკად ეხება, მაგალითად, მოტივთა კლასიფიკაციის დღემდე სადაც საკითხებს და აქცენტს დასკვნას, რომ მოტივი, ერთის მხრივ, ფსიქოლოგიური ცნებაა, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქიკური მხარის ერთ-ერთი კომპონენტი, ხოლო, მეორეს მხრივ უკავშირდება სოციალურ-პოლიტიკურ შეფასებებს (იხილეთ ირ. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ობილისი, 2008, გვ. 63) და რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულობაზე თითქმის ორმოცდახუთი ქცევის მოტივითა და მიზნითა დეტერმინირებული (იქან. გვ. 64). გარდა ამისა, საკურადღებოა ის გარემოებაც, რომ დასახელებული ავტორი მოტივისა და მიზნის ცნებებს განიხილავს დანაშაულის სამწევრო-ანი დაყოფის მიხედვით დანაშაულის თითოეული ელემენტის თავისებურების გათვალისწინებით. კერძოდ, ავტორი ასახელებს მოტივებსა და მიზნებს, რომლებიც ქმედების შემაღენლობის სუბიექტური მხარის თავისებურებას განსასღრავენ(მაგალითად, ანგარება). სავსებით სწორია ავტორის დასკვნა, რომ დანაშაულის მეორე ელემენტის - ქმედების მართლწინააღმდეგობის - ასპექტით არსებითია მიზნის ცნება, რადგან მიზანი ერთ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება, აფუძნებს ქმედების მართლწინააღმდეგობას, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა სუბიექტი სამართლებრივი სიკეთის დაკვის მიზნით მოქმედებს (მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში), მაშინ ჩადენილი ქმედება მართლწომიერია. და, ბოლოს, ავტორი სავსებით მართლებულად უსვამს ხახს იმ გარემოებას, რომ მიზანი გავლენას ახდენს ბრალის შინაარსზე და ხარისხზე და, მაშასადამე, ხაბოლოდ ჯამში ხისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე (იქან. გვ. 65).

მიუხედავად იმისა, რომ მოტივისგან არც ერთი დანაშაუ-

ლეგისტრი ქმედება არაა მოწყვეტილი, სისხლის სამართლის საკონსლებლო შემადგენლობაში მოტივი უწყელოების პირდაპირ არაა გათვალისწინებული. მაგრამ ქვევის მოტივის დაღვის გარეშე ვერც ერთი ქმედება ვერ იქნება სათანადოდ შეფასებული. მაგალითად, ჩვენ უკვე გვძონდა მსჯელობა იმაზე, რომ პირს ანთებული საჩიული დარჩა ჩაუქრობელი, რასაც ხანიარი მოჰკვა. ქმედება, სხვა თანაბარ პირობებში, დაუდეკრობად ფასდება, მაგრამ თუ სანთლის დანთების მოტივი არ იქნება დაღგენილი (იგულისხმება, რომ სათანადო განათება არ იყო და საჩიული ოთახის გასანათებლად ააჩინეს), შეიძლება წარმოიშვას ეჭვი ხანძრის განზრახ განეხის თაობაზე. ან კიდევ: თუ ადამიანის თავზე დადგმულ საგანზე სროლის მოტივი (ტკიით სროლაში ოსტატობის დადასტურების სურვილი) და ტკიით სროლაში თვით მსროლელის ოსტატობა არ იქნება დაღგენილი, მაშინ, ადამიანის თავში ტკიის მოხვედრის შემთხვევაში, ქმედება, ნაცვლად თვითიმედოვნებად მიხი შეფასებისა, შეიძლება შეფასდეს განზრახ მკვდელობად (ევენტუალური განზრახვით ჩადენილად). მოკლედ განვიხილოთ ქვევის მოტივისა და მიზნის მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

## § 10. ძალის დაშაულად გვალიზირავია დაშაულების ძალის გამოიყენების (სამცირის) გოთივების მიზანით

ზემოთ მოკლედ იყო განხილული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემატიკაში მოტივისა და მიზნის ზოგადი საკითხები. ამ პარაგრაფში კი ამ საკითხებს უფრო კონკრეტულად, მოტივთა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, შევეხები.

**ა) ეჭვიანობა** არის პირადი მოტივი, რომელიც სუბიექტური მხრივ შეიძლება საფუძვლად დაედოს მარტივ მკვლელბას (საქ. სსკ 108-ე მუხლი) ან ჯანმრთელობის დაზიანებებს, თუმცა, ამ უკანასკნელთა შემაღვენლობებში ეს მოტივი ქმედების სხვა მოტივებისგან უჩღა გაიმიჯნოს (მაგალითად, აფექტური მოქმედებისგან). ეჭვიანობა – ესაა ერთგულებასა და სიყვარულში დაეჭვება, ოდონდ, არა პათოლოგიური ეჭვიანობა, (სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო, წიგნი პირებული, 2006, გვ. 30), არამედ ნორმალური ფსიქიკის ადამიანის ემოციური გრძნობა, რომელიც ზოგჯერ ხანგრძლივად და მტანჯველად განიცდება, ხოლო, მოტივად იგი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში ჩამოყალიბდეს. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება დალატის ფაქტზე შესწრება, ან დალატში დარწმუნების მაღალი ხარისხი, რომელიც მკვლელობის გადაწყვეტილების საფუძველი ხდება. ცხადია, აქ ერთმანეთში არ უნდა აგერიოს მკვლელობა ფიზიოლოგური აფექტის ვითარებაში (Т. Г. Шавгулиძე, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1974), რაღაც, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მკვლელობის მოტივი არის აფექტი (ნ. В. Хразишвили, Вопросы мотива поведения в советском праве, стр. 59). რასაკვირეულია, აფექტის დროს სუბიექტს ამორავებს თავისი ღირსებისა და პატივის დაცვის მიზანი, მაშინ, როდესაც ეჭვიანობისას სუბიექტის ქმედებას პარტნიორის (მეუღლის, საყვარლის თუ ახლო მეგობრის) მხრივ სიყვრულია და ერთგულებაში დაეჭვება წარმართავს.

**ბ) შურისძიება.** ესაა ემოციური გრძნობა, რომელიც წარსულში მიუენებული წევნისთვის სამაგიუროს მიზღვის მოტივად ყალიბდება. იგულისხმება დაზარალებულის მხრივ ამორალური ან მართლსწინააღმდეგო ქმედება, რომელიც იწვევს პირის განაწყენებას და მათზე რეაქციის მოთხოვნილებას. ამ მოტივით ჩადენილი განზრახი მკვლელობა საქ. სსკ 108-ე მუხლით დაკალიფირდება, თუ იგი გაიმიჯნება

აყენებული მოქმედებისგან (საქ. სსკ 111-ე მუხლი). მაგალითად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაშ გ-ს სცნო ბრალეულად საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 105 -ე მუხლით, შერისძიების მოგივით ჩადენილ მკალელობაში. ამ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა უფრო დროის შესწავლაში და ონალიზმი აჩვენა, რომ სიჩამდვილეში აღგილი პერიოდი უიზიოლოგიური აღექტის ვითარებაში ჩადენილ მკალელობას. კერძოდ, საქმე ეხებოდა გ-ს დედის ინტიმურ ურთიერთობას შევერპლთან. ამასთან დაკავშირებით სწორადაა მითითებული, რომ „ამ დროს დაზარალებულის სისტემატურმა ამორალურმა საქციელმა შეიძლება წარმოშვას ხანგრძლივი ფსიქოტრამვული ვითარება. რომელმაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა-განმუხტვა“ (იხილეთ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბილისი, 2002, გვ. 24-25). მეორეს მხრივ, ეს მოგივი უნდა გაიმიჯნოს - საქ. სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტისგან, რომელიც ითვალისწინებს მკალელობას მსხვერპლის, ან მისი ახლო ნოესავის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ესე იგი როცა მსხვერპლი მოქმედებს მართლზომიერად და შერიძიების საჭიროებული რეალურად არ არსებობს. მაგალითად, მოსამართლემ გამოიტანა კანონიური განაჩენი, ან მოწმემ სასამართლოში ამხილა პირი დანაშაულის ჩადენაში, რაც მკალელობის მოგივალ იქცა და მაშინ ქმედება დაკავალიფიცირდება საქ. სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით. თუ, პირიქით, მოსამართლემ გამოიტანა წინასწარ შეცნობით უკანონო განაჩენი, ან მოწმემ ბრალდებულის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა და ეს იქცა მკალელობის მოგივალ, მაშინ ქმედება დაკავალიფიცირდება საქ. სსკ 108-ე მუხლით. მაგალითად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 2000 წლის 31 იანვრის განაჩენით დ. ს-მე ცნობილ იქნა

ბრალუელად 1960 წლის სსკ 105-ე მუხლით (მკვლელობა შემამსუბიქებელ და დამამტკიმებელ გარემობათა გარეშე), აგრეთვე ამავე კოდექსის 187-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეჩება). საქმე გასაჩიურდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო პალატაში იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულის ქმედება გადაქვალიფიცირებული ყოფილიყო იმავე კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილზე (ჯანმრთელობის განრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც გაუყირთხილებლობით მოჰკვა დაზარალებულის სიკვდილი). საქართველოს უზენაესი სასამრთლოს საკასაციო პალატა ქმედების ამგვარ გადაქვალიფიცირებას არ დაეთანხმა და მან დადასტურებულად მიიჩნია, რომ დ. ს-ძემ ჩაიღინა მკლელობა შეურისების მოტივით. კერძოდ, დ. ს.-ესა და დაზარალუბულის (მსხვერპლს) შორის ადრე არსებობდა კონფლიქტური დამოკიდებულება, მაგრამ ეს არავითარ აუცილებლობას არ უქმნდა დ. ს-ძეს. რომ მოეკლა მსხვერპლი. საქმის ვითარება კი ასეთი გახლდათ: ქ. ფურთმი იდგა პოლიციურთა პიკეტი. ერთ-ერთმა პოლიციურმა გააჩირა „გოგულის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც უნებართვოდ მართავდა გ. ჭ-ს შეიღი (აღნიშნული მაქანა ამ უკანასკნელის სიმამრს ეკუთვნოდა). ამ ავტომანქანაში იჯდა ოთხი პირი, მათ შორის ფაქტობრივი მძღოლის ორსული ცოლი. პოლიციურებმა მანქანა დაათვალიერეს, მაგრამ საეჭვო კერაფერი ნახეს და ფაქტობრივ მძღოლს ნება მისცეს, განეგრძო გზა. მაგრამ პოლიციურებს შემოუერთდა დ. ს-ძე, რეიდის ხელმძღვანელი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა მგზავრების ჩამოსმა და პოლიციის ეზოში ავტომანქანის დაუქმნება. ფაქტობრივმა მძღოლმა ორსული ცოლის შინ მიუვარა სოხოვა და მერე იგი მზად იყო პოლიციისათვის გადაეცა ავტომანქანა. მაგრამ დ. ს-ძემ ამაზე კატეგორიული უარი განუცხადა, თან დაცვითი წევნაც შეახსენა. ამაზე მძღოლი გაბრაზდა და პოლიციურს სიტუაციერი შეურაცხეული მიაუეხა. გაბრაზებულმა დ. ს-ძემ უკედახთვის მოულოდნელად თავისი ავტომანქანის საღონიდან

გადმოიდო ატომიატური ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც ერთი გასროლა მოახდინა პაერში, ხოლო შემდეგ სირბილით მიუახლოება მისგან 10 მეტრის მანძილზე გაუნიტევლად მდგრმ გ. ყ. ს-შვილს და გულმკერდის არეში იარაღის ლულის თითქმის მიძღვნით, ერთჯერადი გასროლით, მძიმედ დაჭრა იგი. დაჭრილი მაღევე გარდაიცვალა. ამ ფაქტების დასგნით და სათანადო შეფასებით საკასაცირ პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ დ. ს-ძე მოქმედებდა შერისძიების მოტივით და, მაშასადამე, ქმედების სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირების საფუძველიც არ არსებობს (საქართველოს უწენაუსი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2001, 11 ნოემბერი, გვ. 706-709).

**გ) სისხლის აღება – ესაა უართო გაგებით შეკრისძიების სახე, მაგრამ იგი ფსიქოლოგიურად არსებითად განსხვავდება შეკრისძიებისგან. შეკრისძიებას პრაქტიკულად არც ერთი აღამიანი არაა მოკლებული, მაშინ, როდესაც სისხლის აღება ძული, გვარუუნელი, წერილების გადმონაშოთ, რომელიც დღემდება შემორჩენილი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (კერძოდ, ხევსურეთი, სვანეთი, ზემო აჭარა). არაა აუცილებელი, რომ სისხლის ამღები ამ რეგიონებში ცხოვრიდდეს. საქმარისია, თუ მკვლელობას იგი მიიჩნევს იმ წესის აღსრულებად, რომელსაც ხსენებულ რეგიონებში მისდევვნ. გარდა ამისა, სისხლის აღებისას შესაძლებელია მოკლან პირველადი მკვლელის გვარიდან ისეთიც, რომელიც არა მარტო საუკეთესოა ამ გვარში, არამედ ისეთიც, რომელსაც ამ დავაში არანაირი წილი და ბრალი არ მიუძლვის. ისიც აღსანიშნავია, რომ სისხლის აღება, როგორც წესი, რომელიმე კერძო პირის პირადი საქმე კი არაა, არამედ, გვარის კაცების ერთობლივი გადაწყვეტილებაც, რომლის აღსრულება ლირსების საქმედ ითვლება.**

მკვლელობა სისხლის აღების ნიაღაგზე, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის

თანახმად, მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად იქმ მიჩნეული. ამგამად მოქმედი სსკ 109-ე მუხლი (მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოებაზე) სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე უნდა დაკალიფიცირდეს საქ. სსკ 108-ე მუხლით.

დ) მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების, ე.წ. გარჩევებისა და ჩხუბის ნიადაგზე, როგორც წესი, კვალიფიცირდება საქ. სსკ 108-ე მუხლით, მაგრამ იმ პირობით, თუ გამოირიცხა ხულიგნური ქვენაგრძნობა(საქ. სსკ 109- ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი), ხოლო თუ მარტივი სახის მკვლელობას თან ახლდა ხულიგნური მოქმედება (საქ. სსკ 239-ე მუხლი), მაშინ, ქმედება, სხვა თანაბარ პირობებში, დაკალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, ესე იგი, მარტივი მკვლელობა (საქ. სსკ 108-ე მუხლი) და ხულიგნობა (საქ. სსკ 239-ე მუხლი), თუ ადგილი პქონდა მკვლელობას ხულიგნური ქვენაგრძნობით, ესე იგი, სრულიად უმნიშვნელო, გამოგონილი, საბაბით, რის გამოც ისე ჩანს, რომ ამ მიმართებით სახეზეა თითქოს უმოტივო მოქმედება, - მაშინ, ქმედება კვალიფიცირდება საქ. სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით. თუ ხულიგნურ ქვენაგრძნობით მღეკლელობას თან ახლდა ხულიგნური მოქმედება, მაშინ ქმედება, უნდა დაკალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (საქ. სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი და საქ. სსკ 239-ე მუხლი). ამ მიმართებით (იხილეთ პლ. შეზარაშვილი, ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, თბილისი, 1986, გვ. 15). მაგრამ, როგორც ირკვევა, ხულიგნური ქვენაგრძნობისა და ხულიგნური მოქმედების გამიჯვნა იოლი არ არის. როგორც პროფ. შ. ცაფიაშვილი აღნიშნავს, სასამართლო პრაქტიკაში ხულიგნური ქვენაგრძნობის, როგორც მოტივის, და ხულიგნური მოქმედების აღრევა იშ-

ვიათი არაა(იხილეთ შ. ჭავიაშვილი, განზრახი მკელელობის ქჯვალიფიკაციის ზოგიერთი პრობლემა, „ადამიანი და კონსტიტუცია,“ 2004, № 4). სემოთაღნიშნულ გარემოებებში მკელელობა საქ. სსკ 108-ე მუხლით დაკალიფიცირდება იმ შემთხვევაშიც, თუ გამოირიცხა მკელელობა ფიზიოლოგიური აუცილებელი ვითარებაში (საქ. სსკ 111-ე მუხლი), აგრეთვე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაკილებით (საქ. სსკ 113-ე მუხლი).

ბოლოს, ჩეულებრივ გარჩევებში მკელელობა უნდა განვასხვავოთ ე.წ. „ქურდული გარჩევებისაგან,“ რადგან ამ შემთხვევაში ოგულისხმება „ქურდული სასამართლო“ რომელიც ქურდული ცხოვრების წესის გამოხატულებაა. თუ ამგვარი გარჩევების მოტივი იყო რაიმე ქონებრივი ინტერესი, ისე ანგარება, და თუ ამ გარჩევებს თან დაერთო მკელელობა, მაშინ, ქმედება უნდა დაკალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით) და ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (საქ. სსკ 223-ე მუხლი). ცხადია, ქურდობა „კანონიერი“ ვერ იქნება და ამიტომ ამ მიმართებით ტერმინოლოგიის შეცვლა აუცილებელი ხდება (ტერმინი „კანონიერი ქურდობა“ ბრჭყალებში მაინც ჩაისევას).

ე) ანგარების მოტივით საკმაოდ ბევრი დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება (ქურდობა, ძარცვა, ყანაღობა, თაღლითობა, მკელელობაც კი). ადამიანი ფსიქოლოგიურად შეიძლება იყოს ხარბი, მომხვეჭელი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ანგარება, ვითარც მოტივი. როგორც მართებულად აღნიშნავდა პროფ. ბ. ხარაზიშვილი (ხორნაბეჯელი), მოტივი თავისთავად, როგორც ასეთი, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ანტისაზოგადოებრივი. მაგალითად, პირადი გამდიდრების სურვილი მაშინვე იქცევა „უარყოფით“ მოტივად, როგორც კი პირი მისი აღსრულებისთვის მიმართავს ისეთ ხერხებს, როგორიცაა: ქურდობა, ყანაღობა, თაღლითობა

და ა.შ. (იხილეთ) ბ. ხორნაბუჯელი, გვ. 89). მაშასადამე, „ანგარება“ არის ფსიქიკური საზრისი იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, რომელიც, ერთი მხრივ, მატერიალური გამორჩენის ხერხია, ხოლო, მეორე მხრიდან მატერიალური ვალდებულებისაგან გათავისუფლების ხერხი. მაგალითად, პირი ლროზე კერ ისტუმრებს აღეძულ სესხს და სასესხო ვალდებულებისგან თავის დაღწევის მიზნით კლავს გამსესხებელს.

მკვლელობა ანგარებით (ან „შეკვეთით) გათვალისწინებულია საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით, როგორც პასუხისმგებლობის დამამიმიმებელი გარემოება. მაგალითად, ლ. კ.-შეილმა ნ. ნ-შეილს 3000 ამერიკული ლოდარის საფასურად მოაკვლევინა ქმარი, მაგრამ შემქვეთმა მკვლელს შეპირებული თანხა არ გადუხადა. ეტუობა, ეს საფუძვლად დაედო ნ.ნ.-შეილის აღიარებით ჩენებას, რის საფუძველზე მსჯავრდებულის ადვოკატმა ნ.ნ.-შეილის ქმედების კვალიფიკაციიდან ანგარების მოტივის ამორიცხვა მოითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხისხლის სამართლის ხაქმეთა საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ეს საჩივარი და მიუთითა, რომ სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც ეს საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილა, „სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს ო. კ. შეილის მკვლელობის ეპიზოდში და სწორად დასდო მსჯავრი ნ.ნ.-შეილს ამ უკანასკნელის მკლელობისთვის დამამდიმებელ გარემოებებში...“ (იხილეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზი ხისხლის სამართლის საქმეებსე, 12 ლეკემბერი, 2001 წელი, გვ. 638).

ანგარების მოტივით ხორციელდება არა მარტო დანაშაული საქუთრების წინააღმდეგ, არამედ, რიგი სხვა ექინომიკური ხასიათის დანაშაულიც (მაგალითად, ცრუ მეწარმეობა - საქ. სსკ 193-ე მუხლი), თუმცა უკელია ამ ტიპის დანაშაულის მაკვალიფირებელ ნიშად იგი არ ჩითკლება.

ანგარება ფსიქიკური საზრისია რიგი სხვა დანაშაულებრივი ქმედებისაც (მაგალითად, ქრთამის აღება - საქ. სსკ 338-ე მუხლი), მაგრამ ამჯერად ნათექამით შემოვიყარგდებით. აღვჩიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ვთქვათ, ქურდობის ამსრულებელი, ან თანამონაწილე შეიძლება მოქმედებდეს სხვისადმი მაჩერიალური დახმარების სურვილითაც, მაგრამ, ეს წმინდა ფორმალური აღტრუიზმია (აღტრუისტული მოტივის შესახებ იხილეთ ე. პ. ილინ, *Мотивация и мотивы*, 200, стр. 218-222), რომელიც ამიტომ პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, როგორც წესი, არ გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სხვისი ქონების მითვისების მიზანი არსებობს და იგი საბოლოოდ მაინც ანგარებად ფასდება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ქმედებასაც, რომელიც დანაშაულად მისი მოტივის (ანგარების) გამო ითვლება. ასეთია, მაგალითად, ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვალა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით (საქ. სსკ 197-ე მუხლი);

ანგარების მოტივთან დაკავშირებით შესაძლოა ქმედების დანაშაულად კეალიფიკაცია გართულდეს დანაშაულში თანამონაწილე ლროს. კერძოს, არაა გამორიცხული, რომ, ვთქვათ, წამქეზებელს მკვლელობის ჩაღენისას ამოძრავებდეს ანგარების მოტივი, ხოლო, ამსრულებელს თუ დამხმარეს- ეჭვიანობის მოტივი. გასაგებია, რომ წამქეზებლის ქმედება დაეკალიფიცირდება საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით (მკვლელობა ანგარებით, ან შეკვეთით), ხოლო ამსრულებლისა თუ დამხმარის მოქმედება – 108-ე მუხლით, იმის მიუხედავად, იცოდნენ თუ არა ამ უკანასკნელებმა, რომ წამქეზებელი მოქმედებდა ანგარების მოტივით. საქმე ისაა, დანაშაულში თანამონაწილეობა ხორციელდება ბრალის განხრახი ფორმით. მოტივი კი პერსონალურად ქმნის სუბიექტის მოქმედების ფსიქიკურ საზ-

რისს. ამიტომ, სწორი არ იქნებოდა, თუ ანგარების მოტივს მიუკარდით იმ თანამონაწილეს, რომელმაც იცოდა, რომ წამქენებელი მოქმედებდა ანგარებით, შაგრამ თვითონ ამ მოტივით არ მოქმედებდა.

რაც შეეხება იმას, რომ თანამონაწილეთა ქმედების მოტივების მიხედვით განსხვავებული კვალიფიკაცია და ნაშაულში თანამონაწილეების არ ანგრევს, დასაბუთებულია უმართლობის ცნებით. კერძოდ, როგორც სწორადაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, მკვლელობა, მისი ჩადენის მოტივების მიუხედავად, ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობაა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ვ. ბამურალიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძვლი, თბილისი, 1989). მაშასადამე, უკელა თანამონაწილე ამ ერთიანი უმართლობის განხორციელებისთვის არის პასუხისმგებელი, ხოლო, ანგარების მოტივი ბრალის ხარისხს მოქმედი ფაქტორია და ამიტომა, რომ ამ მოტივით ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება საქ. სსკ 109-ე მუხლით. .

ვ) რასობრივი, რელიგიური, ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით შეიძლება ჩადენილ იქნეს მკელელობა (საქ. სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი), აგრეთვე ჯანმრთელობის მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანებანი (საქ. სსკ 117-118-ე მუხლები). იგივე მოტივი უდევს საფუძვლად გენოციდსაც (საქ. სსკ 407-ე), რომელ, ეს უკანასკნელი გულისხმობს წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოქმედებას გარკვეული ჯგუფის ადამიანთა მოსახლეობად, მკლელობის, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიუქნების გზით. იგივე მოტივებით შეიძლება ჩადენილ იქნეს მიცვალებულისადმი უპატივცემლობა (საქ. სსკ 258-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით ურიად საინტერესოა პროფ. პ. გლეხოვას პოზიცია, რომა აუტორი იმოწმებს შემთხვევებს, რომა რუსეთის ფედერაციაში ერთგრული, რასობრივი, თუ

ეთნიკური სიძლვილის მოტივით ჩადენილი მკალელობანი და კადლიცირდა, როგორც ჩადენილი ხულიგნური, თუ სხვა პირადი მოტივით. აქედან ავტორი ასკვნის, რომ, საზოგადოების ერთი ჩატილის აზრით, სახელმწიფო არ იღვძს ჩაციონალიზმის აღსაკვეთად აუცილებელ ჭიმებს, ხოლო, საზოგადოების მეორე ჩატილის აზრით კი ამ ფაქტებს სახელმწიფო დისკრიმინაციულად ეკიდება. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 24 ივნისს შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმად, 213-ე მუხლი „ხულიგნობა“ მესამე ჩატილის სახით ითვალისწინებს ხულიგნობას, თუ ის ჩადენილია პილიტიკური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეროვნული, თუ რელიგიური მოტივებით, ანდა გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი სიძლვილის ან მტრობის მოტივით. ასეთ საკანიონმდებლო ცვლილებებს ავტორი არ ეთანხმება და ფიქრობს, რომ აქ ერთმანეთშია აღრეული ხულიგნური ქავნაგრძნობა და რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სხვაგვარი შეუწინარებლობის მოტივი. ამ პოზიციიდან ჩადენილი ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასება შეუძლებელია (იხ. Н. В. Кленова, О недостатках формального отношения к квалификации преступлений, „Государство и право,” 2010, № 2, с тр. 46). აქ, ჩვენის მხრივ, დაუსძენთ (თუ სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად არ ჩაგვეთვლება), რომ ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა განგვებ ჩქმალავს რუსეთის სინამდვილეში არსებული რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, თუ რელიგიური დაპირისპირების ფაქტებს და მათ „ხულიგნობის“ საფარს უქმობს, რაც სირაჭლემას პოზაში დგომას მოგეაგონებს.

რელიგიური მოტივი, თავის მხრივ, შეიძლება საფუძვლად დაედოს, მაგალითად, სამხედრო ვალდებულებების მოხდის გან თავის არიდებას (სსკ 356-ე ან 358-ე მუხლები) იმ პირის მხრივ, კინკ, კოქათ, იოლოველია და ამიტომ თავს არიდებს

სახელმწიფო, ან სამხედრო სამსახურში ჩადგომას.

ვ) კარიერიზმისა და ყალბად გაგებული სამსახურებრივი ინტერესის მოტივით შეიძლება ჩადენილ იქნეს, მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (საქ. სსკ 333-ე მუხლი), აგრეთვე, განმარტების, ჩვენების, ან დასკუნის მიცემის იძულება (საქ. სსკ 335-ე მუხლი).

ზ) მოკლედ შევეხებით დანაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისა და შეუტყობინებლობის მოტივებს. კალია, ობიექტური მსრივ ეს დანაშაულობაზე ზიანს აუქნებენ მართლმხაჯულებას(ისე იგი, დანაშაულის თავისან აკილების, ან უკვე ჩასენილი დანაშაულის დროულად გახსნის ინტერესებს. მაგრამ დანაშაულის დაფარვა (საქ. სსკ 375-ე მუხლი) ხორციელდება არა იმ მოტივით, რომ ზიანი მიაუქნონ მართლმხაჯულების ინტერესებს (ეს უკანასკნელი სუბიექტს შეგნებული აქვს), არამედ, ანგარებით, ნათესაური გრძნობის კარნახით, მხილების შემთხვევაში შურისძიების შიშით, ყალბად გაგებული ამხანაგური გრძნობით, ქურდული კხოვრების წესის გამო და სხვა (M. X. ხაბიული, Ответственность за укрывательство и недоносительство по советскому уголовному праву, Казанский гос-унт, 1984, стр. 70). შემთხვევითი არაა, რომ დანაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც დაფარა ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაული, ან ის, რომელიც ტრეჭიკინგის მსხვერპლთა მომსახურების პასუხისმგებელი პირია (საქ. სსკ 375-ე მუხლის მეორე ნაწილი).

რაც შევხება შეუტყობინებლობას (საქ. სსკ 376-ე მუხლი), მასში ნათესაურ გრძნობაზე მითითებული არ არის და ეს გახაგებიცაა, რაღან, საქმე ეხება იმ პირის უმოქმედობას, კინც იცის, რომ მზადდება, ან ჩადენილია მიმე, ან განსაკუთრებით მიმე დანაშაული. აღნიშნული დანაშაულებრივი უმოქმედობა საკმაოდ ლიდი საშიშროების შემ-

ცველია, რაღან, ჯერ ერთი, მომზადების სტადიოდან ამ ქმედებათა შესახებ შეტყობინება მათი თავიდან აკიდების პირობაა; მეორეც, თუ აღნიშნული კატეგორიის დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ, საქმე ეხება მათი დროულად გამოვლენისა და ბრალეულ პირთა დასჯის ინტერესების. ცხადია, ნათესაური გრძნობა, რომელმაც აღნიშნული შეუტყობინებლობა გამოიწყო, სახელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

## § 11. ძმების დანაშაულად პოლიციაცია სუბიექტის საქციელის მიზნის მიხედვით

მოკლედ შევეხებით მიზნის მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრიობლემას. მისანი, როგორც სწორად მიუთითებს ღ. პიპნაძე, ადამიანის მოთხოვნილების, როგორც მოქმედების ამღმვრელის, ახალ თეოსებრიობას წარმოადგენს (ღ. პიპნაძე, ადამიანის მოქმედების .საკითხისათვის, თბილისი, 1971, გვ. 6). ყრიად საუკრადლებოა ამაუკეთებელი მოსაზრებების შემდეგი მოსაზრებებიც: „ერთი და იგივე მიზანი შესაძლებელია სხვადასხვა მოქმედებით განხორციელდეს. თუ რომელ მოქმედებას აირჩევს ადამიანი მოცემულ სიტუაციაში, - ეს დამოკიდებულია შემდგომ ეტაპზე - მოტივაციის (ხაზვასმა ავტორისაა - გ. 6.). პროცესზე“ (იქვე, გვ. 7). მაშასადამე, მოტივი და მიზანი ფსიქოლიგიურად ქცევის განუყოფელი კომპონენტებია, თუმცა, თითოეულს თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისება აქვს. აქვე უიტევი იმასაც, რომ „მიზანი - ეს იდეალურად მოცემული მოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აქმაყოფილებს“ (იქვე, გვ. 152). არსებობს მიზანობა იერარქია, როდესაც უფრო მაღალი ღირებულების მიზანს უფრო დაბალი რანგის მიზანი, კითარც საშუალება, მოემსახურება. მეორეს

მხრივ, დებულება, რომ ობიექტურად ერთი და იგივე ქმედება შეიძლება ფსიქოლოგიურად ხულ სხვადასხვა შინაარსის გამოხატავდეს, დასტურდება სისხლის სამართლის სფეროშიც. მაგალითად, მოქმედება აფეთქებით, თუ კეცხლის წაიდებით ერთ შემთხვევაში არის დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (საქ. სსკ 187-ე მუხლის მეორე ნაწილი); მეორე შემთხვევაში – დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ (მაგალითად, აფეთქება- საქ. სსკ 229-ე მუხლი); მესამე შემთხვევაში – შეიძლება თან ახლდეს მასობრივ არეულობას (საქ. სსკ 225-ე მუხლი); მეოთხე შემთხვევაში შეიძლება გამოხატავდეს საბორგაჟის შემაღვენლობას (საქ. სსკ 318-ე მუხლის მესამე ნაწილი) და სხვა. მართლაც, პირველ შემთხვევებაში სუბიექტის მოქმედების მოტივი არის შერისძიება, ხოლო მიზანი არის მესაკუთრისოვის ქონებრივი ზიანის მიუენება; მეორე შემთხვევაში - საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფის მიზანი; მესამე შემთხვევაში იგი თან ახლავს მასობრივ არეულობას, რომელსაც თავისი მოტივი და მიზანი აქვს; მეოთხე შემთხვევაში კი სუბიექტს ის მიზანი აქვს, რომ ზიანი მიაუენოს სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს.

აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სიბიუქტის ქცევის მიზანი განსაზღვრავს ხელყოფის ობიექტის ხასიათსაც. როგორც სწორად მიუთითებს ირ. დვალიძე, სწორედ „მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფენ“ (ი. ღვალიძე, მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, „მართლმსაჯულება და კანონი,“ 2006, № 2, გვ. 70). გასაგებია, რომ პირველ შემთხვევები ქმედების ობიექტია საკუთრება. მეორე და მესამე შემთხვევაში – საზოგადოებრივი წესრიგი, ხოლო, მეოთხე შემთხვევაში სუბიექტი ხელყოფს სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს. ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, რანაირად უნდა დავიწყოთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია დანაშაულებრივი ხელყოფის

ობიექტიდან, როგორც ეს ტრადიციულადაა მიღებული რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში? ვიდრე სუბიექტის ქცევის მიზანი არ ვიცით, ხელყოფის ობიექტის დადგენა შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ „დაწარმატების მოწივი და მიზანი“ თავიდანვე კი არაა ცნობილი (რაკი „დაწარმატები“ გამამტიქუნებელი განაჩენით დასტურდება), არამედ ქმედების დაწარმატებას კვალიფიკაციის სხეადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის კვალობაზე. მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით შევეხები. ამჯერად კი აღვნიშნავ, რომ მიზანი ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი კრიტერიუმია. როგორც პროფ. ი. ფარათელი მართებულიად აღნიშნავდა, თუ ვინმე ამტკრევს ფანჯარას გაზით (კამლით) მოხრისისგან ბავშვის გადარჩენის მიზნით, მაშინ, ეს მოქმედება მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლოა. მაგრამ თუ იგივე ქმედება ხორციელდება გაისარცვის მიზნით, მაშინ, იგი არაა მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგერბლო, თუნდაც ფანჯრის გატეხვის შედეგად კვამლი გაიფანტოს და ბავშვი გადარჩეს (Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М. 1963, стр. 196). მიზანი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა დამაფუქნებელი ზოგადი ნიშანია (ი. ღვალიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 76). მართლაც, აშეარაა, რომ აუცილებელი მოგერიებისას (საქ. სსკ 28-ე მუხლი) სუბიექტს ამოძრვებს დაწარმატებრივი, ან შეურაცხადის მხრივ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის. (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და ა.შ.) დაცვის მიზანი; საკარაულო დამზადავის შეპყრობისას (საქ. სსკ 29-ე მუხლი) სუბიექტი მოქმედებს ამ პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენებისთვის ხელისშეწყობის მიზნით და სხვა. ამიტომ, კერ დავეთანხმები გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქცევის მიზანს თითქოს არ შეუძლია

Шеаамциртес, аნ გაზარდოს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება (В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М. 1960, стр.114). ეს დებულება არსებითად არაა სწორი. საკისებით მართებულად აღნიშნავს პროფ. ო. ბამყრელიძე, რომ სამართალდამრღვევის შემყრობის მოქმედების მართლწომიერებას მისი მიზანი განსაზღვრავს. აუტორის აზრით, „იმ შემთხვევაში, როცა სამართალდამრღვევს შეიძყრობენ მისთვის სამაგიეროს გადახდის, ან სხვა რამე მიზნით, მისი შეპყრობა არ შეიძლება მართლწომიერი იუოს; ასეთი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და შემყრობი პასუხს აგებს თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის“ (ო. ბამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ობილისი, 2005, გვ. 226). ვ. ბედრიავცევი თავის სხვა ნაშრომში ავითარებდა მისაზრებას, რომ სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში მიზნები შეიძლება იუოს ნეიტრალური, მართლწომიერი და მართლსაწინააღმდეგო (В. Н. Кудрявцев, Причинность в криминологии, М. стр. 137). ამ დებულების სასარგებლოდ მიზნით დაფუძნებული დელიქტების ცნებაც მეტყველებს. მაგალითად, ქურდობა (საქ. სსკ 177-ე მუხლი), ძარცვა (საქ. სსკ 178-ე მუხლი), ყაჩაღობა (საქ. სსკ 179-ე მუხლი) და სხვა დაფუძნებულია სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით. ცნობილია, რომ გასაღების მიზნის გარეშე ყაღბი ფულის, ან ფასიანი ქაღალდის დამზადება დანაშაულად არ თვლება (საქ. სსკ 212-ე მუხლი). იგივე ითქმის გასაღების მიზნის გარეშე ნარეოტიკული საშუალების შესაძენად ყაღბი რეცეპტის, ან სხვა დოკუმენტის დამზადების შესახებაც (საქ. სსკ 267-ე მუხლი), აგრეთვე, ფსიქოტროპული, ან ძლიერ მოქმედი ნივთიერების შესაძენად (საქ. სსკ 268-ე მუხლი); დანაშაულად არ ითვლება აგრეთვე ანგარების მიზნის გარეშე ოფიციალური დოკუმენტის, ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა (საქ. სსკ 361-ე მუხლი), გასაღების მიზნის გარეშე ყაღბი დოკუმენტის, ბეჭდის, შრამპის ბლანკის დამზადება

(საქ. სსკ 362-ე მუხლი).

მიზანი მაკვალიფიკირებელი ჩიშანია, მაგალითად, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით (მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით), ამავე მუხლის მესამე ნაწილით (მკვლელობა სხეულის ორგანოს ნაწილის, ან ქსოვილის გადანერგვის, ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით; მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (საქ. სსკ 110-ე მუხლი) გულისხმობს მოქმედებას ფიზიკური ტკივილისგან მსვერპლის გათავისუფლების მიზნით; რასობრივი დისკრიმინაცია (საქ. სსკ 142 -ე პრიმი მუხლი), ესე იგი, ქმედება, ჩაღენილი ეროვნული, ან რასობრივი მტრობის, ან განხეთქილების ჩამოდგების, ეროვნული, პატივისა და ლირიკების დამცირების მიზნით; თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვა დანაშაულის დაფარვის, ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით (საქ. სსკ 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი); მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ტრგანიზაცია, ან პირი შეასრულოს, ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება (საქ. სსკ 144-ე მუხლი); მიზანია მითითებული ცრუ მეწარმეობის (საქ. სსკ 193-ე მუხლი), უკანონო შემოხავლის ლეგაზაციის (საქ. სსკ 194-ე) და სხვა.

დავას არ იწევეს სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებში სახელმწიფოსთვის ზიანის მიუენების მიზანი (საქ. სსკ 308-ე- მუხლი- საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხლებლობის დარღვევა, მუხლი 309-ე- ანტიკონტიტუციური ხელქშეკრულების დაღება, ან მოლაპარაკების წარმოება, მუხლი 310-ე საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა და სხვა). სპეციალური მიზანია გათვალისწინებული ტერორიზმი შემადგებლობებში (ტერორისტული აქტი, საქ. სსკ 323-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაღება ტერორისტული მიზნით (საქ. სსკ 329-ე), ტერორიზმის დაფინანსება (საქ. სსკ 331 პრიმი მუხლი) და სხვა.

როგორც ვხედავთ, მე მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი მომენტი აღვიშნე და ვნახეთ, რომ საქართველოს ხისხლის სამართლის კოდექსში ქმედების მოტივი და მიზანი კოველთვის პირდაპირ არაა გამოხატული, მაგრამ მთელ რიგ შემადგენლობებში ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ქმედების მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიურად გასაგებს ხდის ამ ქმედების ფსიქიურ საზრისს, თუ რისი გულისფვის იქნა ჩადენილი ესა თუ ის ქმედება, ან რა მიზანს ისახავდა სუბიექტი. ამის მიხედვით წყდება საკითხი, არის თუ არა ეს ქმედება დანაშაული (განსაკუთრებით მიზნის ასპექტით), თუ იგი მართლზომიერი ქმედებაა? მეორეც, მოტივისა და მიზნის მიხედვით ხდება ერთი დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნა მეორისგან. მესამეც, ამის შესაბამისად ხდება ხელყოფის ობიექტის დაღვენაც. მეოთხე, მოტივისა და მიზნის მიხედვით ხდება ბრალის ფორმების დადგენაც. აქ არაფერს ვამბობ უმართლობის სიბიექტური ელემენტების პრობლემაზე. მეხუთეც, ამ მხრივ ფრიად საინტერესოა დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემაც მეექვსე, ბრალის ხარისხისა და პასუხისმგებლობის ინდიკიდუალზაკიის პრინციპის განხორციელება.

## § 12. ბრალის ფორმების დადგენა და მიზანის დანაშაულად გვალიზირაცია

(ბრალის შინაარსისა და ფორმების ერთიანობის საკითხისათვის)

როგორც უკვე დავინახე, ქმედების მოტივისა და მიზნის დადგენა ბრალისა და მისი ფორმების დადგენის წინაპირობაა. ცხადია, მოტივისა და მიზნის დადგენიდან ბრალის ფორმებზე დასკვნა პირდაპირი ლოგიკური გზით ვერ მიიღება, რადგან, მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური ცნებებია, ხოლო, ბრალის ფორმები, მართალია, ქცევის

ფსიქოლოგიური მხარისგან მოწევეტილი არაა, მაგრამ წმინდა ფსიქოლოგიურ ცნებებს უკვე არ წარმოადგენს. ამიტომ, ულემენტარულად არაა სწორი ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის თანახმად, ბრალი არის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული განზრახვის, ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალი, ჯერ ერთი, მისი ფორმების გარეშე უკვე გამოვლინდება; მეორეც, ბრალის ფორმა ჯერ კიდევ ბრალი არაა, ისევე როგორც ფორმა ჯერ კიდევ შინაარსი არ არის. მესამე, ბრალის ფორმა ბრალის შინაარსითაა განსაზღვრული და ამიტომ წმინდა ფსიქოლოგიურად არ არსებობს. მეოთხე, ბრალის ფორმების დადგენა ბრალდების საფუძველია და სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მეხუთე, ბრალის ფორმების დადგენა ბრალის დადგენას ჯერ კიდევ არ ჩიშნავს და ამიტომ ბრალის ფორმების უტყუარად დადგენის მიუხედავად ბრალდებული ჯერ კიდევ არაბრალულია, კიდრე მისი ბრალი არ იქნება დადგენილი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტეუნებელი განაჩენით. მეექვსე, ბრალისა და მისი ფორმების გამიჯვნა ქმედების დანაშაულად კუალიფიკაციის საქმეში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო საქმიანობის გამიჯვნის საფუძველია.

როგორც ჩანს, საკითხოდ რთული ამოცანა დავისახეო. მაგრამ საქმე ის გახდავთ, რომ ამ საკითხებზე ამჯერად პირველად არ ვმსჯელობთ, ესე იგი. გვაქვს გარეუცხვლი პოზიცია (იხილეთ გ. ნაჭერებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001), რომელსაც გზადაგზა მოკლედ გადმოვცემთ. პირველ რიგში საკითხი ასე დგას: არსებობს თუ არა ბრალის ფორმა? თუ არსებობს, რა ფორმებში ვლინდება იგი? ამ კითხვებზე ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას თავისებური პასუხი აქვს. კერძოდ, ბრალის ფორმებად განზრახვა და გაუფრთხილებლობაა შინჩეული. მაგრამ ამ საკითხში ბრალის ფსიქოლოგიური

თეორია თანმიმდევრული არ არის. ეგულისხმობ იმას, რომ ეს თეორია, ერთის მხრივ, ლაპარაკობს ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე განზრახვისა, ან გაუფრთხილებლობის ფორმით, ესე იგი, აღიარებს, რომ ბრალი განზრახვის, ან გაუფრთხილებლობის ფორმით ვლინდება. მეორეს მხრივ აღიარებს, რომ არსებობს განზრახი ბრალი და გაუფრთხილებული ბრალი, ესე იგი, გამოდის, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეებია და არა ფორმები. მართლაც, თუ ბრალი სხვა არაფერია, თუ არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, მაშინ, რა განსხვავებაა, ერთის მხრივ, მოტივისა და მიზნის ფსიქოლოგიურ შინაარსება და ბრალის ფორმებს შეირის? პ. დაბრლი თვის დროზე წერდა: „ბრალი არის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე; ბრალისა და დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნებები იგივეობრივია“ (П. С. Дагель, Д. П. Котов, Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 41). ავტორის მტკიცებით, „მოტივი, მიზანი და ემოცია - აუცილებელი კომპონენტებია ფსიქიკური დამოკიდებულებისა, რომელიც ბრალს შეადგენს“ (იქნე, გვ. 43).

სამწუხაროდ, ბრალის ფსიქოლოგიური თუორია თითქმის გაძარინებულია თანამედროვე რესერვის ფედერაციის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც. მაგალითად, ა. რარობი წერს: „ბრალი - ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმდებისა და მისი შედეგებისადმი“ (А. И. Рарог, Субъективная сторона и квалификация преступлений, М. 2001, стр. 14). მეორეს მხრივ, აკტორი იქნება ამტკიცებს, რომ „ბრალი - ეს იურიდიული ცნებაა და ამიტომ მისი ზედმეტი ფსიქოლოგიზაცია არ უნდა მოხდეს...“ (იქნე, გვ. 14). საკითხავია: როგორ უნდა გარდაიქნას ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება იურიდიული ცნებად? სამწუხაროდ, ამ კითხ-

ვა ზე ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში ზუსტი პასუხი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგისმის საფრთხეს ბევრი აცნობიერებს. მაგრამ ამჯერად დავუძრუნდვთ ბრალის ფორმების პრობლემას. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, როგორც უკინიანის, განზრახვა და გაუყირთხილებლობა ბრალის, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიური დაბიკილებულების სახეებია, რადგან, აღიარებულია ის, რომ არსებობს განზრახი ბრალი და გაუყირთხილებელი ბრალი. მაგრამ მაშინ სადღაა ბრალის ფორმა? საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში განზრახვა, ან გაუფრთხილებლობა ბრალის სახეები კი არაა, არამედ, ბრალის, როგორც რაღაც არაფსიქოლოგიური შინაარსის, გამოვლენის ფორმები. ამ ლოგიკით კი არსებობს არა განხრახი, ან გაუფრთხილებელი ბრალი, არამედ, ბრალის განზრახი, ან გაუფრთხილებელი ფორმა. მაშასადამე, ბრალის ფსიქოლოგიურმა თეორიაში ბრალის ფორმების ცნება არ იცის, რადგან იგი ბრალის ფორმებად ასაღებს იმას, რაც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, ბრალის სახეებია.

იცის თუ არა ბრალის ფორმების ცნება ბრალის ნორმატიულმა თეორიაში? ამ მხრივ ურიალ საინტერესო „ფინალური თეორიის“ ძირითადი დებულებები. კერძოდ, ფინალიზმი, ერთის მხრივ, ამტკიცებს, რომ ბრალი არის გაკიცხვა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, ხოლო, მეორეს მხრივ, მიღის დასკვნამდე, რომ განხრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედების ულემენტებია და არა ბრალის ფორმები. იგულისხმება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ქმედების ელემენტები, წმინდა ფსიქოლოგიური ცნებებია და არა სუბიექტის გაკიცხვის გამომხატველი ცნებები. თუ ამ მხრივ განზრახვაში მართლაც შეიძლება ერთი შეხედვით გვაფიქრებინოს, რომ იგი წმინდა ფსიქოლოგიური ცნებაა, გაუფრთხილებლობა წმინდა ფსიქოლოგიურად შეუძლიერებლია და აშიგომ ეს

უკანასკნელი ბრალის ფორმაა (ო. ბაზარელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, „ადამიანი და კონსტიტუცია,” 2004, № 34). აქედან გამომდინარელის, რომ ფინალური თეორიის თანახმად, განსრახვა და გაუყვრთხილებლობა ბრალის ფორმებს არ წარმოადგენს. მაგრამ მაშინ როგორაა შესაძებელი ბრალი მისი გამოვლენის რაიმე ფორმის გარეშე? განაუფრომო შეინარსი, ან უშინაარსო ფორმაა შესაძლებელი? თუ ბრალი სუბიექტის გაკიცხვაა, ის ხომ რაიმე ფორმით და გაკიცხაობის არაერთნაირი ხარისხით უნდა გამოვლინდეს? ლაშა-გილიგი ეუტალია „ფინალური თეორიის“ ფუნდამენტურ კრიტიკას იძლევა. მისი აზრით, „ნორმატიულ შეფასებასთან გაიგივებული სისხლის სამართლებრივი ბრალი არ მოიცავს თავის შემადგენელ კომპონენტად არც განზრახვას და არც გაუფრთხილებლობას, არ გულისხმობს სუბიექტური ფსიქიკის მაღვეფინიერებელ როლს და, ამგვარად, სხვა ნაკლოვანებებთან ერთად იქცევა დოგმატურად ამორფულ (უფორმო) სისხლის სამართლებრივ ცნებად“ (ლაშა-მილობი გულაძი, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბილისი, 1999, გვ. 228; იხილეთ აგრეთვე მისი „ბრალი სისხლის სამართლში“, თბილისი, 2000).

თუ განსრახვა ბრალის ფორმა არაა და ამიტომ იგი ქცევის ფსიქოლოგიური კომპონენტია, მაშინ, იგი ნებისმიერი გადაწყვეტილების ჩაირსახეობად უნდა ჩათვალოს. თუ პირდაპირი განსრახვა ქცევის ფსიქოლოგიურ კომპონენტად გამოიყერება, ამ მხრივ ევენტუალური განსრახვა აშეარად პრობლემურია. როგორიც სწორად აღნიშნავდა პროფ. ბ. ხარაზიშვილი (ხორნაბუჯელი), თუ განზრახვას ნებისმიერი ქცევის გადაწყვეტილებასთან გავაიგივებთ, მაშინ არაპიდაპირი, ევენტუალური, განზრახვა არაპირდაპირ, „ნეიტრალურ.“ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ, „რაც არაფრით არ უკავშირდება ნებისმიერ ქცევას, არ უტოლდება მას, რა ფორმაშიც არ უნდა იყოს ის“ (Б. В. Хорнабуджелი,

Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр. 40). Марти-  
ლац, Рабаданова и Шевидзе в «Философии права» пишут о том, что  
«важнейшим вопросом» является то, каким образом можно  
предотвратить преступления? А Шварц, Роман Григорьевич  
и Елена Григорьевна Гаринские в «Философии права» пишут о том, что  
«важнейшим вопросом» является то, каким образом можно предотвратить  
преступления?

Когда же мы говорим о социальной этической природе неосторожности, то мы имеем в виду не то, что это явление характеризуется каким-либо отсутствием моральных норм или нравственных принципов, а то, что оно является результатом неправильного восприятия и понимания действительности, а также неправильного поведения в ней. Это означает, что неосторожность - это не просто отсутствие моральных норм или нравственных принципов, а это также неправильное восприятие и понимание действительности, а также неправильное поведение в ней.

Анализируя социальную этическую природу неосторожности, мы можем сказать, что она является результатом неправильного восприятия и понимания действительности, а также неправильного поведения в ней. Это означает, что неосторожность - это не просто отсутствие моральных норм или нравственных принципов, а это также неправильное восприятие и понимание действительности, а также неправильное поведение в ней.

ბლო ცნებაში ნათქვაშია, რომ პირს გაცნობიერებული აქვს წინდახელულობის ნორმით აკრძალული ქმედება, მაგრამ პირს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა განზრახული არა აქვს. გარდა ამისა, ბრალის ფორმებში იგულისხმება ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, ან მისი შეგნების შესაძლებლობა (ნებელობითი ქვეის ინტელექტუალური ასპექტი) და მართლზომიერ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის არჩევანის შესაძლებლობა (ნებისყოფის თავისუფლება). მეორეს მხრივ, ჩვენ უკვე საუბარი გვექონდა იმაზე, რომ ევენტუალური განზრახვის წმინდა ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს, რადგან, საჭ. სსკ მუ-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სუბიექტი გულგრილად ეკიდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დალგომის შეხაძლებლობას. გასაგებია, რომ „გულგრილი“ არის შეფასებითი ცნება და ამიტომ ევენტუალური განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიურად აღარ არსებობს. ამასე მეტყველებს საჭ. სსკ 342-ე მუხლი (სამსახურებრივი გულგრილობა), რომელშიც დაუდფირობის შინარსია გადმოცემული (იხილეთ ბ. ნაჟყვაბია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 200). გასაგებია, რომ „დაუდევარი“ შეფასებაა იმ პირისა, რომელიც მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებდა იმას, რომ მის მიერ ჩადენილ ქმედებას მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოჰკვდდო. ისიც გასაგებია, რომ სუბიექტის უარყოფითი შეფასებაა გამოხატული თვითიმედოვნების ცნებაშიც. მაგალითად, ქარაფშუტაა პირი, რომელიც უსაყუიდვლოდ (უპასუხისმგებლოდ) იმედოვნებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებას. მაშასადამე, სუბიექტის უარყოფითი შეფასებაა გამოხატული როგორც ევენტუალური განზრახვის ფორმულაში („გულგრილი“), ისე თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ცნებებში. უყრო მეტოც, სუბიექტის უარყოფითი შეფასების უფრო მაღალი ხარისხია გამოხატული პირდაპირი

გაზრახვის საკანონმდებლო ფორმულაშიც: მაგალითად, „ანგარი“, „სასტიკი“, „თავხედი“, „ხულიგანი“ და სხვა. (იხილეთ ბ.ნაჟყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის აქსიოლოგიური ბუნება, „მართლმსაჯულება“, 2007, № 1). ბრალის ფორმებში გამოხატული ეს უარყოფითი შეფსებანი სუბიექტისა თვით ბრალის არსიდან მომდინარეობს. კერძოდ, წვენ უფიქრობთ, რომ ბრალი არის პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების გავშირის ფორმა, როგორც სციალური ფილოსოფიის კატეგორია. საქმე ისაა, რომ საონადო ასაკისა და ნორმალური უსიქიკის პიროვნება მოწოდებულია, თავის ნორმატიულ მოვალეობას (სისხლის სამართალში მართლზომიერი ქმედების მოვალეობას) მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ანუ, ამ მოვალეობის აღსრულების განწყობით. მაშასადამე, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზია. კერძოდ, თუ პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას ვამოხატავს, ბრალი, პირიქით, მოვალეობისადმი სუბიექტის უმასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენა (ბ.ნაჟყებია, ბრალის ცნების საკანონმდებლო განბაზღვრების საკითხისათვის, „სამართალი“ 2002, № 5-6).

ბრალის არსის შესახებ უფრო მოგვიანებით ვიმსჯელებ. ამჯერად კი ბრალის ეს ზოგადი ნიშანი იმისთვის დამჭირდა, რომ ბრალის ფორმების პრობლემა უფრო აღექვატურად წარმოგვედგინა. კერძოდ, თუ განზრახვა პოზიტიური პასუხისმგებლობის (მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულების) შეგნებული უარყოფაა, გაუფრთხილებლობა არის პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფა. შესაბამისად, თუ პირდაპირი განზრახვა არის სუბიექტის უაპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის უკიდურესად მაღალი ხარისხი, ევენტუალური განზრახვა უპასუხისმგებლობის უფრო დაბალი ხარისხია. თუ თვითიშ-

ედოვნებისას სუბიექტი უპასუხისმგებლოდ იმედოვნებს მართლიანიაამდეგო შედეგის თავიდან აცილებას და ამ უპასუხისმგელობის გამო არ ითვალისწინებს მართლიანიალმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას, დაუდევრობისას სუბიექტი წინდახელულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლოდამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს აღნიშნული შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

ერთი სიტყვით, განსრახვა და გაუყიროსილებლობა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიური დამოკიდებულების ფორმები, თუ ხახეები კი არაა, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თექირიაშია მიღებული, არამედ, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლოდ დამოკიდებულების გამოხატვის ფორმები. იგულისხმება, რომ მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულების კითარებაში იგი მართლზომიერ ქმედებას ჩაიდენდა. თუ მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება წახალისების, შექების ლირსია, ამ მოვალეობისამი უპასუხისმგებლოდ დამოკიდებულება, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლიანიალმდეგო ქმედების სუბიექტური მისეზი, პირიქით, დაგმობას, გაკიცხვას იმსახურებს.

დებულება, რომ ბრალი არ შეიძლება ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიური დამოკიდებულებით ამოიწუროს და რომ ბრალეული პირი უარყოფითად ეკიდება საზოგადოებრივ ღირებულებებს, არაერთხელ იყო აღნიშნული. მაგრამ პროფ. თ. მარათელი და პ. მაყაშვილი ჩართებულად აღნიშნავდნენ, რომ გაუფრთხილებლობისას საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არ არსებობს (Т. В. Цероствели, В. Г. Макашвили, Понятие вины в уголовном праве, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 2, გვ. 79). ასეთივე მოხაზუება გამოთქვა პ. რატობამ. მისი აზრით, გაუფრთხილებლობისას საზოგადოებრივი ღირებულებისა და ამ უპასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და ამ უპასუხისმგელობის გამო არ ითვალისწინებს მართლიალმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას, დაუდევრობისას სუბიექტი წინდახელულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლოდამოკიდებულების გამო არ ითვალისწინებს აღნიშნული შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

ბულებებისადმი დამოკიდებულება არის არა უარყოფითი, არამედ, არასაკმარისად უროხისი და უურადღებიანი. ავტორის მცირებით, გაუფრთხილებლობისას საზოგადოებრივი ლირებულებებისადმი სუბიექტის დამოკიდებულებას შეიძლება სხვადასხვა ელფერი პქონდეს: „უბულებელყოფითი, უდარღელი, უყურადღებო, არასაკმარისად უურადღებითი. მაგრამ ამასთან საზოგადოებივად საშიში შედეგი ბრალეულისთვის უოველთვის არასასურველი და მოულოდნელია“ (პ. ორობის დასახ. ჩაშრომი, გვ. 22). აქ ავტორს იმისი თქმა უნდა, რომ გაუფრთხილებობისას წინდახედულობის ნორმებისადმი სუბიექტის დამოკიდებულება უბრალოდ უარყოფითი კი არაა, არამედ, უპასუხისმგებლოა, რადგან, ეს დამოკიდებულება პასუხისმგებლური რომ ყოფილიყო, მაშინ, ის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას გაითვალისწინებდა და ამ უპასუხისმგებლო ქმედებას არ ჩაიდენდა.

როგორც უკვე ვთქვი, რომ განზრახვის შემთხვევაში სუბიექტი შეგნებულად უარყოფს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიურ პასუხისმგებლობას, ხოლო, გაუფრთხილებლობისას - უგულებელყოფს მას. ცხადია, აქ უპასუხისამგებლობის, ანუ, ბრალის ხარისხი სრულიად განსხვავებულია: პირდაპირი განზრახვა უპასუხისმგებლობის უკიდურესად მაღალი ხარისხია. მაშინ, როდესაც ევენტუალური განზრახვა უპასუხისმგებლობის, ანუ, ბრალის უფრო დაბალი ხარისხის გამოხატავს. შესაბამისად, გაუფრთხილებლობა სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფით კლინდება, ხოლო, ეს უგულებელყოფა თვითიმედოვნებისას უფრო მაღალია, კიდრე, დაუდევრობისას.

ამრიგად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებასე არ დაიყვანება. ამიტომაა, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედებისა და მისი შედეგები-

სადმი ფსიქიკური დამოკიდებულების სახეები თუ ფორმები კი არაა, არამედ, სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგელობის შეგნებული უარყოფისა და უგულებელყოფის გამოხატვის, ანუ, ბრალის ფორმები. აქედან გამომდინარე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ასპექტით ნათქვამიც საკმარისია, რათა ბრალის ფორმების მიხედვით მოკლედ მაინც განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი.

როგორც ცნობილია, განჩრახვა ირი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი, ანუ, ევენტუალური. პირდაპირი განჩრახვისას, საქ. სსკ მე-10 მუხლის თანახმად, სუბიექტი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ითვალისწინებს ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა, ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუეალობას.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ინტელექტუალურ ასაექტში პირდაპირი განჩრახვა გამოიხატება ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებასა და ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაოვალისწინებაში, ხოლო, ნებელობითი ასპექტით- მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილში, ან როცა ეს სურვილი არაა და აღნიშნული შედეგის გარდუეალობაში სუბიექტი დარწმუნებულია.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირდაპირი განზრახვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ჩაითვლება, თუ პირს შეგნებული პქონდა მისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ის ითვალისწინებდა ამ ქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ამ შედეგების დადგომა (სსრ კაუშირისა და მოკაუშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების შეგმუხდებლი; საქ. სსრ სისხლის სამართლის 1960 წლის კოდ-

ექსის მე-9 მუხლი). თუ კარგად ჩაეწერდებით, პირდაპირი განზრახვის ამ ცნებაში ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე ერთმანეთს ემთხვევა. გამოდის, რომ, თუ სუბიექტის შეგნებული აქვს მისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მაშინ, მას სურს კიდეც საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომა. უფრო მოკლედ რომ კოქვათ, პირდაპირი განზრახვის ამ ფორმულის მიხედვით, ის, რაც შეგნებულია, სასურველია კიდეც. გამოდიოდა, რომ ადამიანის ნებელობით მხარეზე მისი ინტელექტუალური მხარის მიხედვით უნდა კიმსჯელოთ. მაგალითად, თუ პირი ნათესური გრძნობის კარნაჲით დაფარავდა მისი ახლობლის მიერ ჩაღენილ დანაშაულს, უნდა გვემტკიცებინა, რომ პირი მოქმედებდა დანაშაულის დაფარვისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის სურვილით, მაშინ, როდესაც სუბიექტს ეს უკანასკნელი შეგნებული პქონდა, ხოლო, ნებელობის მხრივ მას ეს შედეგი კი არ სურდა, არამედ, ახლობლის დახსნა ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლისგან, ესე იგი, მოქმედებდა ნათესაური გრძნობის კარნაჲით. დანაშაულებრივი ქმედების სწორი ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე პროფ. ბ. ხარაზიშვილი (ხორნაბაჯელი) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირდაპირი განზრახვის დროს პირს შეიძლება სურდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა (მაგალითად, ეჭვიანობის მოტივით ჩადენილი მკელელობისას მსხვერპლის სიკვდილი), მაგრამ შეიძლება ეს შედეგი არ სურდეს და მას ითვალისწინებდეს, როგორც მოცემულ შემთხვევაში გარდუვალს. მისი მტკიცებით, ინტელექტუალური თვალსაზრისით პირდაპირი განზრახვა ხასიათდება საზოგადოებრივად საშიში შედეგების გარდუვალად დადგომის გათვალისწინებით, ხოლო, საკითხი იმის შესახებ, სურს თუ არა სუბიექტს ეს შედეგები, - სუბიექტის ქცევის მოტივების მიხედვით უნდა გადაწყდეს (Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тбилиси,

1981, стр. 34). მართლაც, თუ მკედლელი მოქმედებს ეჭვიანობის მოტივით, მაშინ, მას მსხვერპლის სიცოცხლის მოსამაბაუეჭველად სურს, ხოლო, თუ პირი მოქმედებს ანგარების მოტივით, მაშინ, მას სურს ქონებრივი გამორჩენის მიღება, ხოლო ან გზაზე მკედლელობას იგი განიხილავს, როგორც მისი მოქმედების გარდუვალ შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ბ. ხარაზიშვილის (ხორნაბუჯალის) ეს და სხვა ანალიტიკურ ირიგინალურ მოსაზრებას (ზოგჯერ სამწუხარო გაუგებრობის გამოც) ბევრი დაუპირისპირდა, მოგვიანებით მაინც გაცნობიერდა, რომ პირდაპირი განზრახვის ტრადიციული ფორმულა სწორი არ იყო (ჩემის მხრივ დავძენ, რომ ეს ფორმულა პეგელიანური ინტელექტუალიზმია) და ამიტომ საქართველოს ახალი (1999 წლის 22 ივლისის) სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე მუხლის შეორე ნაწილში პროფ. ბ. ხარაზიშვილის ხსენებული პოზიცია გამოიხატა იმ დაბულების დამატებით, რომ სუბიექტს შეიძლება სურდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, „ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.“ ამით არსებითად იქნა დაძლეული ადამიანის ინტელექტუალური ნების დაუგანის პეგელისეული ტენდენცია და პირდაპირი განხრახვის ფსიქოლოგიური მხარე მოტივის ცნებას და სახეებს ბუნებრივად დაუკავშირდა. დიახაც, სწორედ პირდაპირი განზრახვისთვის არის დამახასიათებელი ისეთი მოტივები, როგორიცაა: ანგარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა, განსაკუთრებული სისასტიკა, სისხლის აღება და სხვა.

### § 13. მმედების დანაშაულად კვალიფიკაცია პირდაპირი განზრახვის მიხედვით

ა) ქმედებაში შეურისიერების, ეჭვიანობის, სისხლის

აღუბის, ანგარების, ხულიგნური ქვენაგრძნობის და სხვა მსგავსი მოტივები მიუთითებენ, რომ ქმედება ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. იგულისხმება როგორც მკვლელობები, ისე, ჯანმრთელობის დაზიანებანი. ამასთან, რიგ შემთხვევაში (მაგალითად, ეჭვიანობისას) სუბიექტი მოქმედებს სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის დაზიანების სურვილით, ხოლო, სხვა შემთხვევაში (მაგალითად, ანგარების მოტივისას) იგი მოქმედებს ანგარების დაკმაყოფილების სურვილით, ხოლო, მკვლელობა ან ჯანმრთელობის დაზიანება ანგარების დაკმაყოფილების ხერხია. მაშასადამე, ამ ბოლო ასპექტით მართლსაწინააღმდეგო შედეგები სასურველი არაა, მაგრამ, სუბიექტი მათი გარდუ- გალად დადგომას ითვალისწინებს.

ბ) თუ სისხლის სამართლის კანონი მიუთითებს სუბი- ექტის მოქმედების მიზანზე, მაშინ, ქმედება, ან მართლზომ- იურია (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება- ნი) ან იგი მართლსაწინააღმდეგოა და მაშინ იგი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. ამ მიმართებით ისიც საყურადღე- ბოა, რომ მიზანი უმართლობის (ქმედების შემაღებულობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობის) სუბიექტური კლ- ემენტია. პროფ. ო. ბამყრელიძე სწორად მიუთითებს, რომ მიზანი არის „ის სუბიექტური ელემენტი, რომელიც უმართ- ლობას განსაზღვრავს ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დელიქტებში“ (ო.ბამყრელიძე, სისხლისსამართ- ლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, ობილისი, 1989, გვ.170). ჩვენ არ შეგედგებით ამ მხრივ კალენალ შემადგენლობათა ანალ- ისს, რადგან, მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელო- ბის თაობაზე ზემოთ მოკლედ გვქონდა საუბარი.

გ) პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს კანონმდებელი, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლ-

ში ლაპარაკობის „წინასწარ შეცნობაზე“ ქ. ი. როდესაც სუბიექტს წინასწარვე, ანუ, რაიმე ქმედების ჩადენამდე აქვს შეგნებული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ომელიდაც არსებითი ჩიშანი. მაგალითად, მკალელობა წინასწარ შეცნობით ორსული ქალისა (საქ. სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტი); წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ან არასრულწოვნის გაუპატიურება (საქ. სსკ 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ პუნქტი); ძალალობის გარეშე გარეუნილი ქმედება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (საქ. სსკ 141-ე მუხლი) და სხვა.

დ) ქმედების ჩადენაზე პირდაპირი განზრახვით მიუთითებს თუით ქმედების შემადგენლობის ტიპიც. მაგალითად, კანალობა, ბანდიტიზმი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვა ამგვარი ქმედება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება.

ე) პირდაპირი განზრახვა, როგორც წესი, დაზუსტებული და დაკონკრეტიულია იმ თვალსაზრისით, რომ სუბიექტმა იცის, თუ რა ქმედებას სჩადის და რა შედეგს გამოიწვევს. მაგრამ ზოგჯერ ასეთი კონკრეტიზაცია შეიძლება არ იყოს და მაშინ ქმედება დაკალიფიცირდება განზრახვის მიმართულების მიხედვით. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 8 ივნისის განჩინებაზე, რომლითაც საქმე დამატებითი გამოიყებისთვის დაუბრუნდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: როგორც წინასწარმა გამომიებამ, ისვ, პირველი ინსტნციის

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შეჯავრდებულმა ი. მ.-იამ თანამზრახველ პირებთან, გ. და ბ. ა-ძეებთან წინასწარი შეთანხმებით, ხულიგნური ქვენაგრძნობით, მომარჯვებული საგნების გამოყენებით, სხეულის დაზიანება მიაყენა ორ პირს, ბ. და რ. ს-ძეებს, რაც დაკვალიფიცირებულია საქ. სსკ 118-ე მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და 239-ე მუხლის მესამე ნაწილით.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „საბრალდებო დასკვნით არაა დასაბუთებული ზემოაღნიშნულ დანაშაულთა ერთობლიობის აუცილებელი საჭიროება. აღნიშნული ხარუეზი იმითაა გამოწვეული, რომ გამოძიების მიერ არაა დადგენილი ამ ეპიზოდში ი. მ.-იას განზრახვის მიმართულება (სუბიექტური მისამართი). კერძოდ, მას ამოძრავებდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის, თუ დაზარალებულისთვის სხეულის მიყენების განზრახვა. იმ შემთხვევაში, თუ მ.-იას განზრახვას შეადგენდა ხულიგნობის ჩადენა, დაზარალებულისთვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მოცული იყო ხულიგნობის დანაშაულის დისპოზიციით და საქართველოს სსკ 118-ე მუხლის მეორე ნაწილით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებდა, ხოლო, თუ მისი განზრახვა მიმართული იყო ხულიგნური ქვენაგრძნობით დაზარალებულისთვის სხეულის დაზიანების მისაყენებლად, ასეთ შემთხვევაში მას ხულიგნობის კვალიფიკაციით არ უნდა წაყენებოდა ბრალდება. პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო ი. მ.-იას ქმედებისათვის მიეკა სწორი იურიდიული კვალიფიკაცია“ (საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2001 წლის 12 დეკემბერი, გვ. 889).

როგორც ვხედავთ, საკასაციო პალატამ სწორად აღნიშნა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, საქმე

ეხება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას განზრახვის მიმართულების მიხედვით. კერძოდ, თუ პირს განზრახული პქონდა ხულიგნური მოქმედების ჩადენა, მაშინ, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მოცული იყო ამ მოქმედებით. თუ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩადენილი იყო ხულიგნური ქვენაგრძნობით, მაშინ, ხულიგნური მოქმედებით ქმედების კვალიფიკაცია დაუშვებელია, რადგან, ერთია ხულიგნური ქვენაგრძნობა, როგორც ქმედების მოტივი, და მეორეა ხულიგნური მოქმედება (საქ. სსკ 239-ე მუხლი).

რაკი სიტყვა ჩამოვარდა „განზრახვის მიმართულებაზე.“ აქევე ვიტავით იმაზეც, რომ ამ ნიშნით ქმედება შეიძლება შეფასდეს, ვითარც მკირემნიშვნელოვანი (საქ. სსკ მე7-ე მუხლის მეორე ნაწილი), თუ ხუბიერს პქონდა შესაძლებლობა, უფრო მნიშვნელოვანი ზიანი გამოეწვია, მაგრამ ამ გზით იგი შეგნებულიად არ წავიდა. შეიძლება მოხდეს პირიქით, როდესაც ობიექტურად მკირემნიშვნელოვანი ქმედება, სუბიექტის განზრახვის მიმართულების მიხედვით, შეიძლება შეფასდეს დანაშაულად. მაგალითად, ჯიბის ქურდმა მოქალაქეს აეტობუსში ხუთლარიანი ამოაცალა. ქმედება დამთავრებული დანაშაულია, რადგან ქურდის განზრახვა ნებისმიერ შედეგზე იყო მიმართული.

ვ) რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს ე. წ. ალტერნატიული შემადგენლობის განხორციელებას პირდაპირი განზრახვით. მაგალითად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (საქ. სსკ 194-ე მუხლი) შეიძლება განხორციელდეს ქონების სარგებლობით, შეძენით, ფლობით, გადაცემით და სხვა. განახვავებები აგრეთვე წინასწარ მოფიქრებულ და უეცრად აღმოცენებულ განზრახვის. წინასწარ მოფიქრებული განზრახვა აშკარაა, მაგალითად, გენოციდის შემადგენლობაში (ესე იგი, მოქმედება წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით - საქ. სსკ 407-ე მუხლი); უეცრად აღმოცელი განზრახვის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფიზიოლოგიური

აფექტის კითარება.

ზ) დანაშაულის მომზადება და მცდელობა, აგრეთვე დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც წესი, ხორციელდება პირდაპირი განსრახვით.

როგორც ჩანს, დანაშაულთა დიდი ნაწილი ხორციელდება პირდაპირი განსრახვით. მაგრამ ამ მხრივ უურადღებას იყერობს უვენტუალური ანუ არაპირდაპირი განსრახვაც. საქ. სსკ მე-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განსრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული პქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშეებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

თუ არაპირდაპირ განსრახვას შევადარებო პირდაპირ განსრახვას, დავინახავთ მათ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელ ნიშნებს. ჯერ ერთი, ორივე შემთხვევაში შეგნებულია ქმედების მართლწინააღმდეგობა და გათვალისწინებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. მეორეც, ორივე შემთხვევაში განსრახულია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, განსხვავებით თვითმედოვნებისგან, როდესაც პირი უპასუხისმგელოდაა დაიმედებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგება. მაგრამ განსრახვის ამ სახეებს შორის თვითსებრივი სხვაობაა. ჯერ ერთი, პირდაპირი განსრახვისას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა სუბიექტისათვის, როგორც წესი, სასურველია, მაშინ, როდესაც არაპირდაპირი განსრახვისას ის სასურველი არაა. მეორეც, პირდაპირი განსრახვისას მართლსაწინააღმდეგო შედეგი შეიძლება სასურველი არც იყოს, მაგრამ სუბიექტი ითვალისწინებდეს ამ შედეგის გარდუვალობას, ანუ, აღვილი აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების უკიდურესად მაღალ ხარისხს, მაშინ, როდესაც უვენტუალური განსრახვისას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა შეგნებულადა დაშვებული (ანუ შესაძლებლობა).

ბაში) ან პირი ამ შედეგის დადგომას გულგრილად ეკიდება. ამიტომ ჩვენ უკომენტაროდ ვერ დაგროვებთ საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის ერთ-ერთ განჩინებას (2001 წლის 11 სექტემბერი), რომელშიც, როგორც გვერდება, ერთმანეთშია არეული პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ელემენტები. განჩინების სამოტივაციო ნაწილში გ. ს.-იანის მიერ მკაფიოდ მისამართის სადენა დადასტურებულადაა მისნეული. კერძოდ, გ.-სიანი, რომელსაც ცული ურთიერთობა პქონდა გ. ხ.-იანთან, მასთან შეღაპარაკებისა და ნხუბის შემდეგ შევიდა სახლში, ხადაც აიღო პურის საჭრელი დანა და დაბრუნდა ისევ გ. ხ.-იანთან. განჩინებაში აღნიშნულია, რომ დანის აღებისა და გ. ხ.-იასთან დაბრუნების მომენტიდან მას შეგნებული პქონდა მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა. მსჯავრდებულმა მსხვერპლს დანა ჩაარტყა მუცლის არეში, ხადაც, განჩინების თანახმად, უმნიშვნელოვანები სახილურცხლო თრგანოებია. განჩინებაში გაკეთებულია დასკვნა, რომ მას შეგნებული პქონდა კოუელივე ეს „რითაც უშვებდა მისი სიკვდილის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი“ (833). კლიკრობთ, დასკვნა სუსტი არაა. კერძოდ, თუ მსჯავრდებულს სურდა დასარალებებულის სიკვდილი, მაშინ, იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით და მაშინ დებულება, რომ იგი „შეგნებულად უშვებდა“ ამ შედეგს სწორი არაა. პირიქითაც, თუ მსჯავრდებული შეგნებულად უშვებდა ამ შედეგს, მაშინ, ის მოქმედებდა არაპირდაპირი (ეპენტუალური) განზრახვით და დებულება, რომ მას „სურდა“ აღნიშნული შედეგი, სწორი არ არის.

**ეპენტუალური (არაპირდაპირი)** განზრახვით შეიძლება ჩადენილ იქნეს, მაგალითად, მარტივი მკვლელობა, ვთქვათ, ნხუბის ნიადაგზე (საქ. სსკ 105-ე მუხლი), ან, ჯანმრთელობის დაზიანებაზე, მკვლელობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაკიდებით (საქ. სსკ 113-ე მუხლი), ან ამ

ეითარებაში ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დაზიანება(საქ. სსკ 123-ე მუხლი), მკვდელობა დამნაშავის შეპყრობისთვის აუკილებელი ზომების გადაკილებით (საქ. საქ 114-ე მუხლი), საფრთხის შემქნელი დელიქტებიდან (იხილეთ მ. პბრშველიმ, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982 (საქ. სსკ 127-ე მუხლი-სიცოცხლისთვის საჭიშ მდგომარეობაში ჩაყენება, საქ.სსკ 128-ე მუხლი- განსაცდელ-ში მიტოვება, საქ. სსკ 129-ე მუხლი - დაუხმარებლობა; საქ. სსკ 131 - მუხლის პირველი და მეორე ნაწილი- შიდსის შეკრა, მაგალითად, სქესობრივი კავშირის გზით, როცა პირი შეგნებულად უშვებდა პარტნიორის შიდსის ვირუსით ინფიცირებას); ფალსიფიკაცია, თუ ამ ქმედებას შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისთვის (საქ. სსკ 197-ე მუხლის მესამე ნაწილი) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც დანაშაულის ჩადენის მცდელობა ეპენტუალური განზრახვით ფსიქოლოგიურად შეეძლებელია (როგორ უნდა სცადოს პირმა იმისი ჩადენა, რისი ჩადენაც მას ხსენებული განზრახვისას არ სურს?). თუ პირმა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა შეგნებულად დაუშვა, ხოლო, ეს შედეგი რეალურად არ დადგა, აქ თითქოს აღგიღი აქვს მცდელობას, ანალოგიურად მცდელობისა პირდაპირი განზრახვით. მაგრამ ეს ანალოგია დაუშვებელია, რადგან, პირდაპირი განზრახვისას სახეზეა არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის განზრახვა, არამედ, რეალური ქმედებაც, რომელიც, საქ. სსკ მე-18 მუხლის თანახმად, მიმართული იყო დანაშაულის ჩასაღენად, როგორც ამას სწორად მიუთითებს პროფ. ო. ბაზყრელიმ (იხილეთ ისი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, ობილისი, 1005, გვ. 158-161). მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შეგნებულად დაშების შემთხვევაში. როდესაც ეს შედეგი რეალურად არ დადგა, დანაშაულის ჩადენის მცდელობად ამ „დაშვების“ კვალიფიკიაცია, სხვა არაფურია, თუ არა აზრის მიწნება დანა-

შაულად, რაც ეწინააღმდეგება იმ ცნობიდ პრინციპს, რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ესე იგი, დანაშაულად კხადლება არა ასრი, შეხედულება, რწმენა და სხვა, არამედ, ქმედება, რომელიც ზიანს აუკრებს, ან ზიანის მიუენების საფრთხეს უქმნის კანონით დაკაულ ინტერესს.

#### § 14. ძმებების დანაშაულად პვალივიაცია ბრალის გაუცრისილებელი ვორმის მიხედვით

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გაუფყობილებლობის პრობლემას თრი მონიგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა (В. Г. Макашвили, Ответственность За неосторожность. М. 1957; М. Г. Угрехелижзе, Проблема неосорожной вины в уголовном праве, Тбилиси, 1975). მართალია, ბრალის გაუფყრობილებელი ყორმით წალენილი დანაშაულობა ხვედრითი წილი გაცილებით უფრო მცირება ამ მხრივ განსრახი დანაშაულის რაოდენობასთან მიმართებაში, მაგრამ ეს არამც და არამც არ ამცირებს გაუფყრობილებლობის, როგორც, ბრალის დამოუკიდებელი ფორმის, პრაქტიკულ, თუ თეორიულ მნიშვნელობას. უფრო მეტიც, გაუფყრობილებლობის პრობლებზე შეიძლება გამოვცადოთ ბრალის ესა თუ ის კონცეფცია. მაგალითად, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოუკიდებელება. კურაფრით კერ ეგუება თვითიმედოვნების იმ ფსიქოლოგიურ მხარეს, რომ სუბიექტი, წინდახელების ნორმის მოთხოვნებისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულების გამო, არ ითვალისწინებს მართლხაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვეალობას (ამ შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას ითვალისწინებს), რის გამოც ამ მიმართებით „ფსიქიკური დამოკიდებულება“ სრულიადაც არაა საკმარისი. მით უფრო შეუძლებელია აიხსნას დაუდევ-

რომა „ფსიქიური დაშოუილებულების“ პოზიციიდან, რადგან, ამ დროს პირი არც ქმედებას აკნიბიერებს და არც შედეგს ითვალისწინებს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ფინალურ თეორიაში“ განსრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს კი არ წარმოადგენს, არამედ, ქმედების ბუნებრივ, ანუ, ფსიქიურ ელემენტს, რომელიც ყიყელბერი გასაკიცხობის გარეშე დგას. თუ ამ ასპექტით განსრახვა ჩართლაც შეიძლება მოგვეჩვენოს ქმედების ბუნებრივ, ფსიქიურ, ელემენტად, „ბუნებრივი, ანუ, ფსიქიური გაუფრთხილებლობა“ შეუძლებელია. ამიტომაა, რომ ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის პრობლემა „ფინალიზმის“, „როგორც თეორიულ სისტემას, შიგნიდან აფეთქებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. ცხადია, ამ დებულებაში თავისებურადაა გამოხატული კანონიერების პრინციპი, რომლის თანახმად, დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. მაგრამ, მეორე მხრივ, კანონის ხსენებული დებულება გამოხატავს იმ ვითარებას, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში კონკრეტულად იყო მითითებული ამა თუ იმ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის შესახებ. მოგვიანებით კი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილიდან ეს მითითება ამოაგდეს და ამიტომ სადღეისოდ ბრალის გაუფრთხილებელი ფორმით ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა ირ სახელ იყოფა: თვითიმედოვნებად და დაუდევრობად. დანაშაული თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირი აკ-

ნობიერებდა წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დაღმოს შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ პქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დაღვომის შესაძლებლობას, თუმცა, ამის გათვალისწინება მას უკალებოდა და შეეძლო კიდევ.

შევაცდებით, მოკლედ განვიხილოთ ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის ძირითადი ნიშნები ისე, როგორც წვენ, ბრალის ახალი ცნების, როგორც უპასუხისმგებლობის, სინონიმის, პოზიციიდან წარმოგვიდგენია. უპირველეს კოვლისა, დავას არ იწვევს გაუფრთხილებლობის კაუშირი წინდახედულობის ნორმებთან, რადგან სწორედ წინდახედულობის ნორმისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულების გამოა, რომ სუბიექტი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დაღვომის გარღუპალობას (თვითშედოენება) ან შესაძლებლობას (დაუდევრობა). წინდახედულობის ნორმა, არც თუ იშვიათად არის დაუწერელი წესი ქცევისა, რადგან ის ადამიანთა საუკუნოების პრაქტიკული გამოცდილების ფონზე ყალიბდება, როგორც გარესინაშევიდის საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანის ფრთხილი, ყურადღებიანი, პასუხისმგებლური დამოკიდებულების მოთხოვნა. ცხადია, სისხლის სამართლის კანონი წინდახედულობის ნორმის ამ მოთხოვნებისგან მოწყვეტით კერ აიგება. იგულისხმება, ერთის მხრივ, სისხლის სამართლის კანონის ნორმები, რომლებიც წინდახედულობის ნორმებთან კაუშირში აკალდებულებებს სუბიექტებს, მოიქცნებ მართლსიმიერად, ესე იგი დაიცვას როგორც საკუთრივ სისხლის სამართლის, ისე, წინდახედულობის ნორმის მოთხოვნა. იგულისხმება დანაშაულთა თავიდან აკილების გამო ურთიერთობა, როცა სუბიექტი მოქმედებს მართლსიმიერად, ხოლო, თუ სუბი-

ექტი მოიქცა მართლსაწინააღმდეგოდ, მაშინ ისმის საკითხი იმის შესახებ, იუო თუ არა ეს ქმედება სუბიექტის შეგნებული უპასუხისმგებლობის, ანუ, განზრახვის გამოხატულება, თუ იგი პოზიტიური პასუხისმგებლობის უგულებელყოფის, ანუ, ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის შედეგია?

ამრიგად, გაუფრთხილებლობა წინდახედულობის ნიორიების მოთხოვნებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლობამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენს. ამ მხრივ უპასუხისმგებლობის უფრო მაღალი ხარისხი გამოხატულია თვითიმედოვნების ფორმით, რადგან, ამ შემთხვევაში სუბიექტს შეგნებული აქვს (და არა „განზრახული“) თავისი ქმედების მართლწინააღმეგობა, იგი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუფლოლოდ იქმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს. მეორენაირად რომ უთქვათ, თვითიმედოვნებისას სუბიექტი იმდენადაა დარწმუნებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის არდალგომაში, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში მის თავიდან აცილებაში, რომ იგი ამიტომ არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას. აქ სუბიექტის ბრალი ისაა, რომ იგი სრულიად ზერელედ, ქარაფშენტულად, ე. ი. უპასუხისმგებლოდ, იმედოვნებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებას, მაშინ, როდესაც წინდახედულობის ნიორმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ვითარებაში იგი ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას გაითვალისწინებდა და ამიტომ ამ ქმედუბას არ ჩაიდენდა. სწორედ იმ მომენტით, რომ სუბიექტი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას, აპირისპირებს თვითიმედოვნებას პირდაპირ განზრახვასთან, როდესაც პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა მარტო შესაძლებლობას, არამედ გარდუვალობასაც კი, და განასხვავებს ევენტუალური განზრახვისგან, როდესაც სუბიექტი შეგნებულად უშეებს ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას,

მაშინ, როდესაც თვითიმედოვნებისას, პირიქით, ამ ჟესაძლევ-  
ბლობას გამორიცხავს. მეორე მხრივ, სწორედ იმ მომენტით,  
რომ სუბიექტი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო  
შედეგის დადგომის გარდუქალობას, აახლოებს მას დაუდფ-  
ვრობასთან და ხდის გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ სახელ.  
ისიც ცხადია, რომ დაუდევრობა ბრალის ანუ უპასუხისმგე-  
ბლობის უკიდურესად დაბალი ხარისხია, რადგან ამ შემთხ-  
ვევაში სუბიექტი წინდახედულობის ნორმებისადმი უპასუხ-  
ისმგებლო დამოკიდებულების გამო არ აცნობიერებს იმას,  
რომ მისი ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა  
მოჰკვება. როგორც პროფ. ბ. ხორნაბუჯელი (ხარაზიშვი-  
ლი) აღნიშნავდა, „... დაუდევრობა ყოველთვის უნდა გუ-  
ლისხმობდეს სუბიექტის მიერ რომელილაც წესის, ნორმის  
საზოგადოებრივად შეუთავსებელ, შეურიგებელ დარღვევას,  
როდესაც იგი ამ დარღვევისადმი იმდენად დაუდევარია,  
რომ მას არ შეუძლია გაითვალისწინოს კანონით გათვალ-  
ისწინებული ანტისაზოგადოებრივი შედეგები...“ (იხ. ბ. В.  
Хорнабуджели, Психологическая сторона гаини, стр. 96). აკტო-  
რის დებულება „იმდენად დაუდევარია“ ჩვენ შეგვექლით შემ-  
დეგნაირად გამოგვეხატა: სუბიექტი, მოცემულ კითარებაში,  
იმდენად უპასუხისმგებლოა, რომ იგი არ ითვალისწინებს  
მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ჟესაძლებლობას.  
მაშასადამე, სუბიექტი პასუხისმგებლურად რომ მოჰკიდუ-  
ბოდა წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს, მაშინ, იგი  
მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ჟესაძლებლობას  
გაითვალისწინებდა და ამიწომ მართლსაწინააღმდეგო ქმედე-  
ბას არ ჩაიდენდა. მეორენაირად რომ ვოქათ, სუბიექტის  
ბრალია, რომ ის მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას  
არ აცნობიერებს და ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო  
შედეგის დადგომის ჟესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხ-  
ვადასხვა მუხლებში, ან მუხლის ნაწილებში, ან პირდაპი-

რაა მითითებული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის თაობაზე, ან ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთივე დასკვნა გაკეთდეს. ამის საიდუსტრაციოდ მოქლედ მიმოვინარებული წევალის შემადგენლობას. მაგალითად, საქ. სსკ 116-ე მუხლი ითვალისწინებს სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით. იგულისხმება, რომ „მკვლელობა“ არის მხოლოდ განზრახი ქმედება, ხოლო, გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მკვლელობა, როგორც ეს ადრინდელ (1960 წლის) კოდექსში იყო გადაწყვეტილი, არამედ, სიცოცხლის მოსპობა. უსაფუძვლოა, რომ „მკვლელის“ იარღიული ხელოვნურად მიუაკეროთ პირს, რომლისთვისაც სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არა მარტო არასასურველია და არც შეგნებულადაა დაშვებული, არამედ, აშკარად მოულოდნელიცაა. ცხადია, წმინდა ფორმალური-ლოგიკური მსჯელობით აქ ფონს ვერ გავაღწევთ, რადგან, მკვლელობაც, ობიექტური მხრივ, სხვისი სიცოცხლის მოსპობაა. ამიზომ, იგულისხმება ის განსხვავება, რაც ამ მხრივ შეაქვს შეფასებას „მკვლელობა“ („მკვლელი“).

სხვა ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებელი მოსპობა შესაძლებელია როგორც თვითმედოვნებით, ისე, დაუდუკრობით, ცხადია, შესაძლებელია ბრალის გარეშეც ანუ, „შემთხვევით.“ მაგრამ ქმედების ლანაშაულად კვალიფიკაცისას გადამწევებია ბრალის თუნდაც მინიმალური ხარისხი, რომელიც, როგორც წესი, დაუდევრობის ფორმით გამოიხატება(თვითმედოვნება ამ მხრივ ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხარავს). ასეთივე შედეგი, ესე იგი სიცოცხლის გაუფრთხილებელი მოსპობა, შეიძლება გამოწვეულ იქნეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შედეგად(საქ. სსკ 117-ე მუხლის მეორე ნაწილი), აგრეთვე ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების შედეგადაც(საქ. სსკ 118-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამ მიმართებით იგულისხმება დანაშაული ბრალის ორი ფორმით, როდესაც ჯანმრთელობის დაზიანება განზრახია, ხოლო ამ ქმედებას შეიძლება მოჰყეს

ლი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ (საქ. სსკ ХХХVI-ე თავი) და ზოგიერთი სხვა. ცხადია, გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილ იქნეს ისეთი დანაშაულიც, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალის განსრახი ფორმითაც. მაგალითად, ნივთის დაზიანება, ან განადგურება გაუფრთხილებლობით (საქ. სსკ 118-ე პუხლი), ბუნების ძეგლის დაზიანება, ან განადგურება გაუფრთხილებლობით (საქ. სსკ 257-ე პუხლის მესამე ნაწილი), სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება (საქ. სსკ 398-ე) და სხვა.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, როგორც ეს ნაგულისხმევია საქ. სსკ 11-ე მუხლიში. იგულისხმება პასუხისმგებლობა თანმდევი შეღებით კუალიფიცირებული განხრაზე დანაშაულისთვის(ამის შესახებ იხილეთ 8. უმრეხულიძე, შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე,” ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1). ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეკუს, მაგალითად, ფალიიფიკაციას (მუხლი 197-ე), რომელიც განზრახი ქმედებაა, ხოლო, მას შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ან სხვა მძიმე შედეგი(ხსენებული მუხლის მე4 ნაწილი); ადამიანის სიცოცხლისთვის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროცესების დამსადება, შემოტანა, ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე) განზრახია, რომელსაც გაუფრთხილებლობით შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი (ამავე მუხლის მესამე ნაწილი); აუეთქმება (მუხლი 229-ე), რომელიც ხორციელდება განზრახ, რომელსაც შეიძლება გაუფრთხილებლობით მოჰყვეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი (ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტი) და ა. შ. ცხადია, იგულისხმება ისეთი ქმედება, რომელიც შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობით იქნეს ჩადენილი. მაგალითად, სატრანსპორტო დანაშაული (საქ. სსკ XXXIV თავი), როგორც წესი, ხორციელდება გაუფრთხილებლობით(იხილეთ პ. ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პროცედურები და სასამართლო პრაქტიკა, ობიექტი, 2004). არაა გამორიცხული მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ექსპლორაციისთვის გაუჭარგისება (მუხლი 278-ე) საბოტაზის მიზნით, ესე იგი განხრას და მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა ხსენებული მუხლით, არამედ საქ. სსკ 318-ე მუხლის (საბოტაზი) მეორე ნაწილით. როგორც წესი, გაუფრთხილებლობით ხორციელდება სამუშაოს წარმოების წესის დარღვევა (საქ. სსკ თავი XXXI), რიგი დანაშაულის

## თავი მეცნიერებების

# ემელების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის მატოლოლოგია

## § 1. ემელების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ნორმათა კონკრეტულის პირობებში

აქ ერთი არსებითი შენიშვნა უნდა გაკეთდეს: კერძოდ, წმინდა ლოგიკური თვალსაზრის, ხისხელის სამართლის ჟარგანდი ნაწილის იმ ხაյითხებს, როგორცაა: ნორმათა კონკურენცია, ერთიანი დანაშაული და დანაშაულთა სიმრავლე. თანამონაწილეობა დანაშაულში და ო. შ. წინ უნდა უძლოდეს ბრალის პრობლემის განხილვა, მაგრამ სუენ გვაინტერესებს ბრალის განხილვა ხასამართლოში. ამიტომ, ბრალი, როგორც ქმედების დანაშაულად ხასამართლო კვალიფიკაციის სასრული ეტაპი, უფრო ბევრი საფეხურს გადავიტანე, რაღაც, ამ ლოგიკით ხისხელის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დაღვენა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ერთმანეთისგან უფრო ნათლად იმიჯნება.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრაქტიკული პროცესი ზოგჯერ აწყდება ვითარებას, როცა ესა თუ ის დანაშაულის ნიშნები გათვალისწინებულია ხისხელის სამართლის ორი, ან მეტი ხორმის, ხოლო, რეალურად კი მათ შორის შერჩეული უნდა იქნება მხოლოდ ის ნორმა, რომელიც ჩადებილ ქმედებას უფრო სრულად ითვალისწინებს. გარდა ამისა, ხორმათა კონკურენციისას იგულისხმება, რომ ჩაღვენილია ერთი დანაშაული, მაშინ, როდესაც არსებობს დანაშაულთა ერთობლიობა (იხ. ხაქ. სხვ მე-16 მუხლის პირველი ნაწილი), როცა ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ხისხელის სამართლის ორი, ან მეტი მუხლის, ან შესაძლებ-

ბელია არსებობდეს არაერთგზისი დანაშაულის ვითარება, როცა ქმედება კვალიფიცირდება ორი ან მეტი მუხლით (მაგალითად, ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის – საქ. სსკ 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტი).

ვიდრე ამ საკითხს უფრო ჩაუუღრმავდებოდეთ, საჭიროდ მიშაჩნია მოკლედ მაინც აღვნიშნო, რომ ნორმათა კონკურენცია არ უნდა აგვერიოს ნორმათა კოლიზიაში. ეს უკანასკნელი ნიშნავს ვითარებას, როცა ერთი და იგივე საკითხი გადაწყვეტილია ორი ან მეტი ნორმით ისე, რომ ამ გადაწყვეტების შორის არსებობს არსებითი წინააღმდეგობა. ნორმათა კოლიზიის წყარო, როგორც წესი, არის კონფლიქტები და მათი საკანონმდებლო გადაჭრის ცდები (ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. Ю. А. Тихомиров, Коллизионное право, М. 2000).

როგორც სწორადაა აღნიშნული, ნორმათა კონკურენციისას არაუითარი წინააღმდეგობა ამ ნორმების შორის არ არსებობს. სამსახურეობრივ უფლებამისილების ბოროტად გამოიწვის ამკრძალავ და დოკუმენტების გაკალბების ამკრძალავ ნორმას შორის წინააღმდეგობა კი არაა, არამედ, კინკურენცია, ესე იგი, დგას ის საკითხი, თუ რომელი ნორმით უნდა დაკალიფიცირდეს ჩადენილი ქმედება? გარდა ამისა, ნორმათა კოლიზია არსებობს იმის მიუხედავად, ჩადენილია თუ არა რომელიმე კონკრეტული ქმედება, მაშინ, როდესაც ნორმათა კონკურენციისას, პირიქით, საქმე ეხება უკავე ჩადენილ ქმედებას, როცა ამ ქმედების ნიშნები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ორი, ან მეტი ნორმით (В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М. 1999, стр. 214).

მართლაც, იშვიათი არაა შემთხვევა, როცა ჩადენილი ქმედება გათვალისწინებულია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით. მაგალითად, ქრთამის აღება (საქ. სსკ 338-ე მუხლი) სახელმწიფო მოხელის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი

უფლისამოსილების ბოროტად გამოყენების (საქ. სსკ 332-ე მუხლი) სახეა. ისის კითხვა: რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირება ეს ქმედება? ამ კითხვაზე არაორანტოკანი პასუხი გაცემულია საქართველოს სისხლის სამარართლის კოდექსის მე-16 მუხლში. კერძოდ, ნორმათა კონკურენციის პრობლემა გადაჯაჭვულია დანაშაულთა ერთობლიობასთან. მაგრამ თუ ჩადენილი ქმედება გაოვალისწონებულია ზოგადი და სპეციალური მუხლით, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით (საქ. სსკ მე-16 მუხლის მეორე ნაწილი). მეორენაირად რომ კოქვათ, მართალია, ქრთამის აღება სამსახურებრივი უფლებამისილების ბოროტად გამოყენებაც არის, მაგრამ ეს ქმედება უნდა დაკავალიფიცირდეს იმ სპეციალური ნორმით, რომელიც ქრთამის აღებას სპეციალურად და სრული მოცულობით ითვალისწინებს (ესე იგი საქ. სსკ 338-ე მუხლით).

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციის ამ სახეს უწოდებენ კონკურენციას ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის, როცა ჩადენილი ქმედება საბოლოოდ კვალიფიცირდება სპეციალური ნორმით. მაგრამ შესაძლებელია კონკურენცია სისხლის სამართლის რო ან მეტ სპეციალურ ნორმებს შორისაც. ეს საკითხი ლგება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამისიმებელი გარეშემოებანი, რომლებიც სისხლის სამართლის სპეციალური მუხლებითაა გათვალისწინებული. შესაძლოა წარმოიშვას კონკურენცია სისხლის სამართლის რო სპეციალურ ნორმას შორის, როცა ერთ ნორმაში გადმოცემულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარეშემოებანი, მაგრამ ჩადენილ ქმედებაში არსებობს პასუხისმგებლობის დამამისიმებელი გარეშემოება. მაგალითად, შესაძლებელია, რომ უკერად აღმრულ მლიური სელიერი აღელვების, ანუ ფიზიოლოგიური აღვენების ვითარებაში ხელყოფილ იქნება როი. ან მეტი აღამიანის სიკონ-

ლე (საქ. სსკ 111-ე მუხლის მეორე ნაწილი), ხოლო განზრახ მკედელობა ორი ან მეტი პირისა გათვალისწინებულია საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით. ისმის კითხვა: რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ჩადენილი ქმედება? მიღებულია აზრი, რომ ამ ორ ნორმას შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც პასუხისმგებლის შემამსუბუქებელ გარემოებას ითვალისწინებს (Б. А. Куриков, Научные основы квалификации преступлений, ИГУ, стр. 173), მეორენაირად რომ ვთქვათ, ფიზიოლოგიური აღექტის ვითრებაში შეიძლება ხელყოფილ იქნეს ორი, ან მეტი ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ამის გამო ეს ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით.

შესაძლებელია კონკურენცია სისხლის სამართლის ორ, ან მეტ საკეციალურ ნორმას შორის პასუხისმგებლის დამამდიმებელ გარემოებებშიც, იმ პირობით, თუ ბოლო მაკვალიფიცირებელი გარემოება უფრო მძიმეა, ვიდრე, წინარე ნორმით გათვალისწინებული. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რამაც გამოიწვია ადამიანის სოცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი, გათვალისწინებულია საქ. სსკ 143-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით რეიდან თორმეტ წლამდე.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ თუ სისხლის სამართლის ნორმის ორ, ან მეტ ნაწილს შორის გათვალისწინებულია ორი ან მეტი თითქმის თანაბარი სიმძიმის მაკვალიფიცირებელი გარემოება, მაშინ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირეს თითოეულ ამ გარემოებაზე მითითებით (Н. Г..Кандинов, Квалификация преступлений, (Теория и практика), М. 1999, стр. 46). ამ მოსაზრებას დასახელებული აკტორი გამოთქვამს რესერვის უედერაციის უზენაეს სასამართლოს პლენურის იმ მითითების საფუძველზე, რომ მკულელობის მაკვალიფიცირებელი გარემოებანი, რომელნიც გადმოცემუ-

ლია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 105 -ე მუხლის მეორე ნაწილის პუნქტებში, უნდა დაკვალიფიცირდეს ცალ-ცალკე ამ პუნქტებზე მითითებით (იხილეთ სსკ 109-ე მუხლი მკვლელობის ცალკეული მაკვალიფიცირებელი გარემოებებით).

ეს მოსაზრება შეიძლება მართებულად ჩაითვალის, რაღაც, როგორც უკეთ იყო ნათქვამი, დანაშაულის ჩადენა ხდება არა საერთოდ, თუ ზოგადად, არამედ, ამა თუ იმ კონკრეტული ქმედების კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზით, იმის მიუხედავად, რომ მკვლელობა კრთი დანაშაულია, ესე იგი, არსებობს მკვლელობის ერთი უმართლობა.

არსებობს სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციის მეორე სახეც, კერძოდ, მოელისა და ნაწილის მიხედვით. ამ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის ურთ ნორმაში გათვალისწინებულია მთლიანად, ხოლო, სხვა ნორმაში - მისი ცალკეული ნაწილი. სისხლის სამართლის ნორმათა ამ სახის კონკურენციის ზოგადი წესი ასეთია: ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის იმ ნორმით, რომელიც ჩადენილ ქმედების ნიშნებს უფრო სრულად ითვალისწინებს, ესე იგი, ამ ნორმას აქვს უპირატესობა იმ ნორმასთან, შედარებით, რომელიც ამ ქმედების ნიშნებს ითვალისწინებს ნაწილობრივ (იხილეთ ვ. ბეჭრია-ვცევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 226).

დასახელებული ავტორი სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციის ამ სახეს განიხილავს დანაშაულის შემადგენლობის რუსული გაგების მიხედვით (მისი ოთხი ელემენტის ლოგიკური თანმიმდევრობით (ხელყოფის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის ერთიანობით). ეს უკვე აღვნიშნუ, რომ ქმედების შემადგენლობის ამ გაგებას კერ დაკვირვებულები. მით უფრო, რომ ხელყოფის ობიექტისან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას კერ დავიწყებით, რაღაც, ხელყოფის ობიექტის დადგენია არსე-

ბითადაა დამოკიდებული სუბიექტის მოქმედების მიზანზე, ხოლო, მიზანი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ულემენტია. სხვათა შორის, ამ მხრივ პ. ბეჭრიავცევი წინააღმდეგობებში მოექცა. მართლაც, ის, ერთის მხრივ, ქმედების დანაშაულად კეალიფიკაციას იწყებს დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტიდან, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამტკიცებს. რომ თუ სუბიექტი ქონებას განსრახ აზიანებს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური საფუძვლებისთვის და ოკედსაცეისუნარიანობისთვის ძირის გამოთხრის მიზნით, მაშინ, ქმედება უნდა დაკვადლიფიცირდეს, როგორც დივერსია და არა როგორც ქონების განსრახ დაზიანება და განადგურება (პ. ბეჭრიავცევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 230).

გამოდის, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტის მიხედვით ქმედების დანაშაულად კალიფიკაცია არსებითადაა დამოკიდებული სუბიექტის მიზანზე, ხოლო, ქცევის მიზანი ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ულემენტია. მასაშადამე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ხელყოფის ობიექტის კვალიფიკაციით ვერ დავიწყებთ, მაგრამ ამჯერად იმულებული ვართ, სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციაზე პ. ბეჭრიავცევის მიერ მოგანილი ამ სქემის მიხედვით ვიმსჯელოთ. კერძოს, დასახელებული ავტორი სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციას მთელისა და ნაწილის მიხედვით გადმოგვცემს, უპირველეს ყოვლისა, ხელყოფის ობიექტის მიხედვით. ამ მხრივ იგი ასეთ მაგალითს იშველიებს: სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (საქ. სსკ 116-ე მუხლი) შეიძლება კონკურენციაში იყოს საქ. სსკ 170-ე მუხლის მეორე ნაწილთან (შრომის წესის დარღვევა, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწყია). აეტორის დასკანით, ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვადლიფიცირდეს 170-ე მუხლის მეორე ნაწილით, რადგან, აქ ადამიანის სიცოცხლე, როგორც დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი,

უფრო სრულად და კონკრეტულადაა გათვალისწინებული, ვიდრე, საქ. სსკ 116-ე მუხლში, რომელიც უფრო ზოგადია, ვიდრე, 170-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ამავე დროს სპეციალურსაც წარმოადგენს. ცხადია, ამ შერიც ნორმათა კონკურენცია მთელისა და ნაწილის მიხედვით ნაწილობრივ ემთხვევა კონკურენციას 'ზოგადი და სპეციალური ნორმების მიხედვით.

რაც შეეხება ნორმათა კონკურენციას ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის მიხედვით, ავტორი აქ არაერთ შემთხვევას განიხილავს, მაგრამ ჩვენ ერთი მაგალითით შემოვიფარგლებით. კერძოდ, თუ წამება (საქ. სსკ 144'-ე მუხლი) მკალელობის ხერხია, მაშინ, მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ქმედება უნდა დაკავალიფიცირდეს საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით (მკალელობა განსაკუთრებული სისახტით).

სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენცია ქმედების სუბიექტების მიხედვით, 3. ძროდიავცხვის აზრით, შესაძლებელია მხრილოდ ზოგადი და სპეციალური ნორმების მიხედვით. მაგალითად, განსაკლელში მიზოევებისა (საქ. სსკ 128-ე მუხლი) და ავადმყოფის განსაკლელში მიზოვებას (საქ. სსკ 130-ე მუხლი) შორის კონკურენციისას ქმედება უნდა დაკავალიფიცირდეს ამ უკანასკნელით, რაღაც, მასში პირდაპირაა მითითებული მულიკინის მუშაკზე, რომელიც კ. წ. სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენს.

ბოლოს, სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციას შეიძლება ადგილი პქონდეს დანაშაულის სუბიექტური მხარის მიხედვითაც, მაგრამ სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი, აგრეთვე, ბრალის ფორმები, უკვე მოკლედ მაინც განვიხილეთ და აქ არ გავიმეორებთ. ამ მიმართებით მოვიტანთ სამართლის დოქტორის გ. მამულაშვილის კრიტიკულ მოსაზრებას, რომ საქ. სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის ახალი, რედაქციის ნამოუკლიბების შემდეგ (სატრანსლიტო საშუალებათა გატაცება) შესაძლოა

ხელოვნურად წარმოიქმნას კონკურენცია ხსენებულ მუხლია და საკუთრების დაცვის სისხლისსამათლებრივ ნორმებს შორის (იხილეთ ბ. მამელაშვილი, ერთიანი დანაშაული და კანონთა კონკურენცია, „სამართალი,“ 1993, № 9-10).

## § 2. ძგეღების დანაშაულად კვალიფიკაცია ერთიანი დანაშაულისა და დანაშაულის სიმრავლის ძროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს როგორც ერთიანი დანაშაულის ცნებასა და ყორმებს, ისე, დანაშაულთა სიმრავლის ცნებასა და სახებს. მოკლედ განვიხილოთ დანაშაულებრივი ქმედების ამ ყორმების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ერთიანი დანაშაულის ორი ფორმაა გათვალისწინებული. პირველი - ეს არის დენადი დანაშაული (საქ. სსკ მე-13 მუხლი), როცა ეს დანაშაული გათვალისწინებულია კოდექსის ერთი მუხლით, ან მუხლის ნაწილით; მისი ჩადენა ხდება აქტიური მოქმედებით, ან უმოქმედობით და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. მაგალითად, კეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება (საქ. სსკ 236-ე მუხლი); თავისუფლების უკანონი აღკვეთა (საქ სსკ 143-ე მუხლი; დეზერტირობა (საქ. სსკ 389-ე მუხლი, როცა სამხედრო ან სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე თვითნებურად ტოვებს სამსახურს მისგან თავის არიდების მიზნით) და სხვა.

თუ კარგად ჩავუკუირდებით, აღვილად შევნიშნავთ, რომ დენადი დანაშაული, ჯერ ერთი, განზრახია (ხორციელდება პირდაპირი განზრახვით); მეორეც, ხორციელდება აქტიური მოქმედებით (მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა), თუმცა, იგი შესაძლებელია უმოქმედობითაც (მაგალითად, აღიმენტის გადახდისაგან ჯოუტად თავის არიდება

(საქ. სხვ 176-ე მუხლი); მესამე, მისი ჩადენის შემდეგ იგი უწყვეტად ხორციელდება იქამდე, კიდრე, ოფიციალური წესით არ იქნება აღკვეთილი, ან თვით ქმედების სუბიექტის მიერ არ იქნება შეწყვეტილი. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ჩარება შეიძლება შეწყდეს ამ იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების გზით (საქ. სხვ 236-ე მუხლის შენიშვნა).

დენალი დანაშაულის დროში ამ უწყვეტობის გამო კრიმინალისტები იქამდევ კი მივიდნენ, რომ დაიწყეს ლაპარაკი დანაშაულის ჩამდენი პირის „დანაშაულებრივი მდგომარეობის“ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ აღგენს. ის ფაქტი, რომ დენალი დანაშაული დროში უწყვეტად გრძელდება, იურიდიული აზროვნების წესის თავისებური გამოვლენაა. თუ სხვა ჩვეულებრივი დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის) შემადგენლობის გამხორციელება, ასე ვთქვათ, ერთჯერადი აქტია და სრულდება ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუყოლებით, დენალი დანაშაული „დანაშაულის“ მნიშვნელობას დროში უწყვეტად ინარჩუნებს.

არსებობს განგრძობადი დანაშაულიც, როცა სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ერთიანი მიზნისა და განსრახვის პირობებში თვით, ან მეტი მოქმედებით ხორციელდება (საქ. სხვ 14-ე მუხლი). მაგალითად, პირს გარკვეული კონსაირაციული მიზნით გადაწყვეტილი აქვს ნაწილ-ნაწილ მიითვისოს მისთვის საგებლობისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონება (ტელევიზორი, კიდევეკამერა, კომპიუტერი და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში დანაშაული სამთავრებულია უკანასკნელი ამგვარი აქტის ჩადენის მომენტიდან, თუმცა, გამორიცხული არაა შემთხვევა, როცა პირის მორიგი დანაშაულებრივი ქმედება ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღკვეთილ იქნა. ასეთ შემთხვევაში დანაშაული მაინც ჩადენილად ითვლება, თუ ამ პირობებში

სუბიექტმა ერთი მოქმედება (მაგალითად, კომპიუტერის მითვისება) მაინც განახორციელა. აქ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გაგრძობადი დანაშაულის დროს ცალკეულ ქმედებებს შორის დროის ძალიან დიდი ინტერესი არ უნდა იყოს (აიმის შესახებ იხილეთ ბ. შავშელაშვილი, გაგრძობადი დანაშაული, „სამართალი,“ 1996, №5-6, გვ. 49). მართლაც, გაგრძობადი დანაშაულის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ფსიქოლოგიურად იგი ერთი გადაწყვეტილების ობიექტური მხრივ ნაწილ-ნაწილ აღსრულებას წარმოადგენს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ გაგრძობადი დანაშაულის დროს ობიექტური მხრივ უოველი ცალკეული აქტი, რომელიც ერთიანი მისნის განსრახვის განხორციელების ერთ-ერთი შორიგი ხერხია, დამოუკიდელი ფსიქოლოგიური ქცევა კი არაა, არამედ, ერთ-ერთი ოპერაციული ხასიათის აქტია. ამიტომ, თუ ამ ცალკეულ აქტებს შორის დროის საკმაოდ დიდი ინტერესალი გამოიკვეთა, მაშინ, შეიძლება კიფიქროთ, რომ უკანასკნელი აქტი ახალი ფსიქოლოგიური გადაწყვეტილების აღსრულებაა და, მაშასადამე, სახესნეა არა გაგრძობადი დანაშაული, არამედ, დანაშაულთა ერთობლობა.

ამ მიმართებით დგას სხვა არაერთი საინტერესო საკითხი. ჯერ ერთი, არაა გამორიცხული, რომ სუბიექტმა მოიპარა, თავისთავად აღებული, მცირებიშვნელობის ჩილი (საგანი), მაგრამ ამით გამოუსწორებული ზიანი მიადგა სამოქალაქო, თუ სამხედო ტექნიკას. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისთვის გაუარგისება (საქ. სსკ 278-ე შუბლი). მეორეც, თავისებურია ამ ხრივ დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხიც. კერძოდ, არაა გამორიცხული, რომ პირი სხვა პირის გაგრძობად დანაშაულებრივ ქმედებას შემოუერთდეს მოგვიანებით, თუნდაც, უკანასკნელი ერთგვაროვანი აქტის განხორციელებისას. მაშინ ეს უკანაკნელი დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმით პასუხსაგებს მხოლოდ ამ უკანასკნელ აქტში მონაწილეობისთვის.

მესამე, არაა გამორიცხული, როცა გაგრძობად დაჩაშაულ-ში კალკეულ, ერთგვაროვან, აქტებს შერის შეიცვალოს სისხლის სამართლის კანონი. თუ ახალი კანონით პასუხისმგებლობა უკანასკნელი აქტის ჩადენადე დამტიშდა, პირის ქმედება კვალიფიცირდება ძელი კანონით. თუ უკანასკნელი ქმედება ახალი, უფრო მძიმე, კანონის მოქმედების პირობებში ხორციელდება, მაშინ, ახალი კანონი მხოლოდ ამ უკანასკნელი აქტის მიმართ ერცელდება, იმის მიუხედავად, რომ გაგრძობით დანაშაულის წესით დაჩაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილება სუბიექტმა უფრო მსუბუქი კანონის მოქმედების პირობებში მიიღო. საკითხის ამგვარად გადაწყვეტის ხასარგებლოდ მეტყველებს ის ხაურველთაოდ ცნობილი დებულება, რომ პირი სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებს არა კანსრახვისთვის, აზრთა წყობისთვის, არამედ, კონკრეტული ქმედებისთვის, რომელიც სუბიექტის განზრახვის თბილქმარ გამოხატულებას წარმოადგენს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთიანი დანაშაულის ფორმებში რატომდაც არ ითვალისწინებს ამ ტიპის დანაშაულის სხვა ყორმებს, როგორიცაა: შენადგენი დანაშაული. მაგალითად, ცნობილია, რომ ყაჩაღური ძალადობა (საქ. სსკ 179-ე მუხლი), ერთის მხრივ, საფურთხეს უქმნის ადამიანის ხიცოცხლება და ჯანმრთელობას, ხოლო, მეორე მხრივ,- საკუთრებას, მაგრამ ის მაინც ერთიანი, შენადგენი, დანაშაულია. ასეთივე ერთიანია, მაგალითად, ორაქტიანი დანაშაული, ტრეფიკინგი, ანუ, ადამიანებით ვაჭრობა (საქ. სსკ 143<sup>1</sup>-ე მუხლი); ან: კომერციული მოსიუიდვა (საქ. სსკ 221-ე მუხლი); აგრეთვე, ქრთამის მიკემა-აღება (საქ. სსკ 339-ე და 338-ე მუხლები), თუმცა, შესაძლებელია ქრთამის მიკემის, ან მისი აღუბის მცდელობა.

არსებობს არაერთგზის დანაშაული, როცა საქმე ეხება სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ რით ან მეტი ერთგვაროვანი ქმედების ჩადენის, ხოლო, ზოგიერთ სპეციალურ შემხედვა-

ში არაერთგზისი დანაშაული შეიძლება არაერთგვარვანისა დანაშაულებმაც „შეადგინონ. მაგალითად, მკვლელობა არაერთგზის (საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ პუნქტი), ერთგვაროვანი ქმედებაა, მაშინ, როცა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის არაერთგზისობა არაერთგვაროვან ქმედებებზეა ავებული. მაგალითად, საქ. სსკ 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე პუნქტში ლაპარაკია საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის არაერთგზისობაზე, როცა, ქურდობას წინ უსწრებდა, მაგალითად, ბანდიტისმი (საქ. სსკ 224-ე მუხლი). ისიც აღსანიშნავია, რომ არერთგზისობისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, არის თუ არა პირი მსჯავრდებული წინათ ჩადენილი ქმედებისთვის, თუ ნასამართლობა მოხსნილი, ან გაქარწლებული არ არის, აგრეთვე, პირი წინათ ჩადენილი ჩაკლებად მძიმე დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული არ ყოფილა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილუთ ბ. მამულაშვილი, „ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, თბილისი, 2007).

არსებობს დანაშაულთა ერთობლიობა, რაც ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი, ან მეტი ქმედების ჩადენას, როცა პირი არც ერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა (საქ. სსკ მე-16 მუხლი). შესაძლებელია შემთხვევაც, როცა ჩადენილი ქმედების სასამართლო განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ ამ პირს ადრე ჰქონია ჩადენილი რომელიმე დანაშაული, რომელიც სასამართლო შევასებას, ანუ, კვალიფიკაციას მოითხოვს.

ამდენად, თავის დროზე სწორად მიუთითებდა პროფ. ბ. ტყეშვილიაძე, რომ დანაშაულთა ერთოვლიობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. ორი, ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა; 2. ერთ-ერთის მიმართ განაჩენის გამოტანამდე (იხილეთ ბ. ტყეშვილიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბილისი, 1965, გვ. 75). გარდა ამისა,

დანაშაულთა ერთობლიობა გამორიცხულია, თუ ქმედება გათვალისწინებულია ერთი და იგივე მუხლის სხვადასხვა ნაწილში, ან სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლის ერთი და იგივე ნაწილში (იქვე, გვ. 79).

ამ დებულების სისწორეზე მეტყველებს დებულება, რომ, მაგალითად, პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალილიყოცირდეს და სასჯელი განიხილებოს 177-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით (იხილეთ საქართველოს უსენავს სასამართლოს სახელმძღვანელო წინადაღებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატიკურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წლის 25 ივნისი, გვ. 15). ეს დასკვნა ბუნებრივია, რადგან, ქურდობა ერთი დანაშაულია, ხოლო, თუ იგი სხვადასხვა შემადგენლობებით ხორციელდება, - ეს ქურდობას ორ, ან მეტ დანაშაულად ვერ გადაქცევს. აქ კიდევ უფრო აშკარაა დანაშაულისა და მისი შემადგენლობის განსხვავების საკითხი.

გარდა ამისა, ხსენებულ დოკუმენტში ფრიად საყურადღებოა დანაშაულის მცდელობის საკითხიც, მართალია, ქურდობის ასკექტში, მაგრამ მითითება მაინც საინტერესოა. აქ ნათქვამია: „თუ ბინაში, სადგომში ან საცავში შეღწევისას მოხდა ნივთის ფაქტობრივი დაუფლება, მაგრამ პირი არ გასცდენია ბინის, სადგომის ან საცავის ფარგლებს, არის ქურდობის მცდელობა, ხოლო თუ პირი გასცდა ბინის. სადგომის ან საცავის ფარგლებს- არის დამთავრებული დანაშაული“ (იქვე, გვ. 15).

როგორც ცნობილია, დანაშაულთა ერთობლიობა როი სახისაა: რეალური და იდეალური. რეალურია ერთობლიობა, როცა სებიექტის მიერ განხოცილებულია ორი, ან მეტი ქმედება. მაგალითად, ხელიგნური მოქმედების დროს ჩადენილი მკვლელობა უნდა დაკვალილიყოცირდეს 109-ე მუხლით (მკვლელობა დამამტიმებელ გარემოებებში) და 139-ე მუხლით(ხელიგნობა).

აქ ერთმანეთში არ აგვერიოს მკვლელობა ხულიგნური ქაუნაგრძნობით (საქ. სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი), როცა ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ ამ მუხლის ამ ნაწილის ამ პუნქტით, და ხულიგნური მოქმედების დროს ჩადენილი ქმედება, რომელიც ქმნის ამ სახის მკვლელობისა და ხულიგნიბის ერთობლიობას.

იდეალურია დანაშაულთა ერთობლიობა, როცა ერთი მოქმედებით ორი, ან მეტი დანაშაული ხორციელდება. მაგალითად, პირი ცრცხელს უკიდებს სახლს, რომელშიც მისთვის წინასწარი შეცნობით იმუოფება ღრმად მოხუცი, რომელიც გაჩენილი ხანძრიდან ცოცხალი ვერ გამოაღწევს. აქ ჩადენილია ორი დანაშაული ხელყოფის ორი ობიექტით- დანაშაულის საკუთრების წინააღმდეგ (ნივთის დაზიანება, ან განადგურება - საქ. სსკ 187-ე მუხლის მეორე ნაწილი) და დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (საქ. სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით - მკვლელობა განსაკუთრებული სისასტეით); ან: მაგალითად, შიდსით დაავადებული პირის მიერ (როცა მან ამ დაავადების შესახებ კარგად უწევის) გაუპატიურების გზით ამ დაავადების სხეისთვის შეკრა უნდა დაკვალიფიცირდეს ორი მუხლით - გაუპატიურება (საქ. სსკ 137-ე მუხლი და შიდსის შეკრა (საქ. სსკ 131-ე მუხლი).

### ჭ 3. სამართლებრივი უიმცია და მისი გათოვლობის მნიშვნელობა ძმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სამშემი

ტერმინი „უიქცია“ ხშირად გამოიყენება როგორც საზოგადოებრივ პრაქტიკაში, ისე, თეორიაში. მას არც თუ იშვიათად განმარტავენ, როგორც რეალურად არარსებულს, ყალბს, ხელოუნურ გამონაგონს, რომელსაც რეალ-

ური საფუძველი არა აქვს. მაგრამ თუ უცრო დრმად ჩავუკირდებით საქმის ვითარებას, მაშინ, აღმოვაჩენთ, რომ ფიქცია საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უკავშირდება.

ამ მხრივ გამონაკლისი არც სამართლის სფეროა, რადგან, სამართლი სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებში ყიქციასაც იყენებს. ფიქციის ფილოსოფიური საფუძვლის თაობაზე ჩვენ მოკლედ შაინც გვქონდა მსჯელობა ერთ-ერთ მონიგრაფიულ ჩაშრომში, რომელიც ხისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებს შიეძლება (იხილეთ ბ. ნაჟყაბია, ხისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 131-134). აღვნიშნეთ, რომ ფიქცია, როგორც სამართლებრივი მოწესრიგების ერთ-ერთი მეთოდი, გამოიყენება ხისხლის სამართალშიც.

ასე, მაგალითად, ფაქტობრივად პირველი ქურდობა (საქ. სხვ 177-ე მუხლი), იურიდიულად მეორეა, თუ იგი ჩადენილია, კოქვათ, ბანდიტიზმის (224-ე მუხლი) ჩადენის შემდეგაქ იკვეთება არაერთგზის დანაშაულის მეთოდოლოგიური საფუძველი, კერძოდ კი, ფიქცია (იხილეთ В.М. Коган, Социальный механизм уголовно-правового воздействия М. 1983, стр. 110). ამ მაგალითიდანც კი ჩანს, რომ ფიქცია სამართლებრივი მოწესრიგების ერთ-ერთი ხერხია. იგი წმინდა კნიხელოლოგიურად ჭეშმარიტი არ არის, რადგან, ამ პოზიციიდან ქურდობა სხვაა, ვიდრე ბანდიტიზმი და ამ ახრით ქურდობის არაერთგზისობა შეეძლებელია. მაგრამ, ფიქცია, ამავე დროს არც მცდარია, რადგან მას განსაზღვრული პრაქტიკები საზრისი აქვს. კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბანდიტიზმი, როგორც უფრო პიმე დანაშაული, ქურდობას კერ შთანთქავს და ამიტომ აქ ქმედება უნდა დაკვალიფიკირდეს, როგორც, ბანდიტიზმისა და ქურდობის რეალური ერთობლიობა (იხილეთ ხისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, 2006, გვ. 334). მეორეს მხრივ, იქმნება იმისი ფიქცია, რომ აქ ქურდობა თითქოს ჩადენილია არაერთგზის, მაშინ როდესაც ის ჩადენილია პირველად

(ბანდიტის შემდეგ), მაგრამ ამ ფიქციას ის საზრისი აქვს, რომ ამით უფრო ეფექტურად საბუთდება როგორც ქმედების, ისე მოძქმედის მომეტებული საზოგადოებრივი საშოშროება, რომელიც სასჯელის უფრო აღექვაბური ზომის უერჩევის, თავისებური წინაპირობაა. ამიტომაა, რომ ფიქცია გაგებითი შემეცნების საგანია.

საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს მიზეზობრიობის პრინციპი, რომლის თანახმად, მოვლენები ერთმანეთთან კავშირში არსებობენ და ამ კავშირში აიხსნებიან. მიზეზობრიობის პრინციპი მოქმედებს, სისხლის სამართალშიც, რადგან, ჯერ ერთი, დანაშაული უმიზები არ არის. მეორეც, დანაშაულებრივი ქმედება, როგორც წესი, მიზეზობრივად აპირობებს განსაზღვრულ დანაშაულებრივ შედეგს.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება არა მარტო ერთპიროვნული დანაშაულებრივი ქმედება, არამედ, დანაშაულში თანამონაწილეობაც. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულში ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ დანაშაულებრივ შედეგთან, მაგრამ არა უშუალოდ და პირდაპირ, არამედ, უშუალო ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით. უშუალო ამსრულებელი სწორედ ის პირია, ვინც თავისი გონებითა და ხელებით ასრულებს დანაშაულში თანამონაწილეობა საერთო ჩანაფიქრს. აქ კი დგება მეტად საინტერესო საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულში თანამონაწილეობა ქმედება, თუ ამ მიმართებით მიზეზობრიობის პრინციპით შემოვიტარგლუბით? მართლაც, თუ მხოლოდ მიზეზობრიობის პრინციპიდან ამოვალთ, მაშინ, ლოგიკურია დასკვნა, რომ დანაშაულში თითოეული თანამონაწილე (ორგანოზატორი, წამქეზებელი-თუ, დამხმარე) განზრახ ქმნის უშუალო ამსრულებლის გიერ დანაშაულის ჩადენის პირობებს. დანაშაულის ჩადენის პირობების განზრახ შექმნა კი დანაშაულისთვის მომზადებად ითვლება (საქ. სსკ მე-18 მუხლის პირველი ნაწილი). გამოდის, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა

თუ იმ მუხლის შემადგენლობას უშეალო ამსრულებელი ახორციელებს, ხოლო, თანამონაწილენი ამზადებენ ამ დანაშაულის ჩადენის პირობებს. ისე ჩანს, რომ თანამონაწილეთა ქმედება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკავალი-ფიცირდეს. მაგრამ, ჯერ ერთი, ისჯებოდა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება(ხაქ. სხვ მე-18 მუხლის შეორე ნაწილი). გამოდის, რომ თანამონაწილეობის ფორმით ჩადენის ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება დაუსჯელი რჩებოდა (ამჟამად ეს მუხლი შეცვლილია). მეორეც, რანაირად შეიძლება დანაშაულში თანამონაწილეობა, როდესაც უშეალო ამსრულებელი დამთავრებული დანაშაულის აუტორია, ხოლო თანამონაწილეთა ქმედება ამავე დანაშაულის მომზადებად დაკავალი-ფიცირდეს? ხაქმე ისაა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია (ამის შესახებ იხილეთ თ. ვორცელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965; თ. ბაშყოვალიძე, შეალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974; სისხლის სამართლი, სრული ნაწილის სახელმძღვანელო, ბ. ნაჟყებიასა და ირ. ღვალიძის რედაქციით, თბილისი, 2007). ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაცია უშეალო ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. თუ ამსრულებელმა დაამთავრა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ესე იგი, აღასრულა თანამონაწილეთა საერთო ჩანაუიქრი, მაშინ, ორგანიზატორი, წამქეზებელი, თუ დამხმარე პასუხს აგებენ, როგორც დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილენი. მაშასადამე, მიუჟესობრივის პოზიციიდან თანამონაწილეთა ფაქტობრივად მოსამზადებელი ქმედება, იურიდიულად უასედება, როგორც დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობა. გასაგებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული თეორია გარკვეული ფიქციის გარეშე ვერ აიგება. იქნება, ამ ფიქციონობის გამო იქნ, რომ ურთყოლ საბჭოთა

კავშირში, როგორც წესი, კატეგორიულად უარყოფიდნენ თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას და აღიარებდნებ თეზისს, რომ უკელა თანამონაწილე პასუხს თითქოს ერთ-მანეთისგან დამოუკიდებლად აგებს (თანამონაწილეთა ე. წ. დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია). სინამდვილეში კი აქცესორულია, ესე იგი თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაცია უშუალო ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ეს, ცხადია, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს როგორც უშუალო ამსრულებლის, ისე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას.

ამრიგად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია ფიქციის მეთოდის გარეშე სწორად ვერ აიგება.

ამაზე მეტყველებს შეაღობითი ამსრულებლობის ცნებაც. მაგალითად, ბებიამ თავისი შვიდი წლის შეილიშვილი ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში გამოიუენა (მზესუმზორას გასაღების ნილბით) ნარკოტიკულ საშუალებას ასაღებდა). ამ მაგალითიდან აშეარაა, რომ ბებია ფაქტობრივად არის თავისი შეილიშვილის ამ მოქმედების წამქეზებელი.

მაგრამ, რამდენადაც შვიდი წლის ბავშვს ეს ქმედება უასაკობის გამო ბრალად არ შეერაცხება (საქ. სსკ 33-ე მუხლი), ამდენად, იგი იურიდიულად ამ ქმედების ამსრულებელი ვერ იქნება. მართალია, იგი ამ ქმედების ფაქტობრივი ამსულებელია თავის ბებიასთან ერთად, რის გამოც ისინი ქმედების ფაქტობრივი თანამონაწილენი არიან. წმინდა იურიდიულად კი, ბებია არის ამ დანაშაულის შეაღობითი (სხვისი ხელით) ამსულებელი და პასუხისმგებელი ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის (საქ. სსკ 260-ე მუხლი), მაშინ როდესაც ბავშვი ბებიის მხრივ დანაშაულის იარაღია.

ამრიგად, აშეარაა, რომ ამ მაგალითშე ფიქცია უფრო აღეძეაზერად აგვარებს პრობლემას. კერძოდ, ფაქტობრივად წაქმეზებელი (ბებია) იურიდიულად ამსულებელია, ხოლო, ფაქტობრივად ამსულებელი იურიდიულად დანა-

**შაულის იარაღია.** მაგრამ შეაღობითი ამსრულებლობა არაა გამორიცხული ის შემოხვევაშიც, როდესაც ფაქტობრივად წამქენებელი მოქმედებს განსრახ, ხოლო, ფაქტობრივად ამსრულებელი – გაუფრთხილებლობით, როდესაც ეს უკანასკნელი ფაქტობრივად წამქენებლის მხრივ შეცდომაშიც შექმანილი. გასაგებია, რომ აქ დანაშაულში თანამონაწილეობა გამორიცხულია, რადგან, როგორც ცნობილია, დანაშაულში თანამონაწილეობა ჩიშნავს ორი, ან მეტი პირის განსრახ ერთობლივ მონაწილეობას განსრახი დანაშაულის ჩადენაში (ხაյ. სსკ 23-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ფიქცია აქაც მუშაობს, რადგან, ფაქტობრივად წამქეზებელი იურიდიულად ამსრულებელია, იმის მიუხედავად, რომ ფაქტობრივი ამსრულებელი პასუხის აგებს ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის ფარგლებში.

სამართლებრივი ფიქციით აიხსნება აგრეთვე დანაშაულის პროცესუაცია (ხაյ. სსკ 145-ე მუხლი), როდესაც პროცესუარირი კვდილობს დაიჭრილოს პირი რომელიმე დანაშაულის ჩადენისთვის, რათა შემდგომ იგი ამხილოს პასუხისგებაში მისი მიღების მიზნით. კხადია, აქ მხედველობაში არაა თქმურატიულ-სამძებრო მოქმედება, როდესაც ხდება, მაგალითად, მზადებაში მეორე დანაშაულის პროცესუარება მისი აღკვეთის მიზნით.

გასაგებია, რომ დანაშაულის პროცესუაციისას პროცესუარირი ფაქტობრივი რიგად წამქეზებელია, მაგრამ იურიდიულად არის ამსრულებელი დანაშაულის პროცესუაციისა. იხიც კხადია, რომ პროცესუარირი იურიდიულად წამქეზებელი ვერ იქნება. კერძოდ, თუ იურიდიულად წამქენებელი დანაშაულში თანამონაწილეა, პროცესუარირი მის მიერ პროცესუარებული დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება (იხილეთ 3. ბამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გვ. 196). პირიქით, წამქენებელი, როგორც დანაშაულის თანამონაწილე, წაქეზებულის, ანუ, უშეალო ამსრულებლის მხილების მიზნით სრულიადაც არ

**მოქმედებს.** და. ბოლოს, დანაშაულის პროცესია დამ-  
თავრებული დანაშაულია იმის მიუხედავად, ფაქტობრივად  
დაასრულა თუ არა პროცესის მსხვერპლმა პროცესირე-  
ბული დანაშაული, თუ მან სკადა ხსენებული დანაშაულის  
ჩადენა (იქვე, გვ. 196).

ამრიგად, მიზენობრიობის პრინციპი ხისხლის სამარ-  
თალში აუკილებელია, რაღან, ქმედების შემადგენლობის  
ობიექტური მხარე ამ პრინციპის გარეშე ვერ აიგება, მაგრამ  
ეს პრინციპი საკმარისი არ არის და ამიწომაა, რომ თეორი-  
ული, თუ პრაქტიკული შემეცნება საზრისის მოხელობის  
(გაგების) ამოცანასაც ისახავს. გაგებითი შემეცნების საგა-  
ნია საზრისი. ფიქცია გნოსეოლიგიურად ჭეშმარიტი არაა,  
მაგრამ იგი არც მცდარია, რაღან მას განსაზღვრული  
კრაქტიკული საზრისი აქვს. (ჰადია, გაგებითი შემეცნება  
ფიქციის პრაქტიკული დანიშნულების დასაბუთებით არ  
ამოიწერება, რაღან, ამ მიმართებით დგას მოელი რიგი  
მეორედოლოგიური საკითხი, რომელიც ქმედების დანაშაუ-  
ლად კალიფიკირისაც მოიცავს.

#### გ 4. სასამართლოში ძმედების მართლინააღმდებობის დაზღვის საპითხისათვის

წვერ უკავე მოკლედ მაინც განვიხილეთ წინასწარი  
გამოძიების სტადიაზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკა-  
ციის შეთოდოლოგიური საკითხები. აღვნიშნეთ, რომ წი-  
ნასწარი გამოძიების ეტაპზე უტესარად უნდა დადგინდეს  
ქმედების შემადგენლობა, როგორც ფაქტის ანუ აღწერილო-  
ბითი მსჯელობა, ამ ქმედების მოტივი და მისანი, ქმედების  
სუბიექტის ნიშნები (შერაცხაობა, მისი სახე, ასაკი, სქესი,  
სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვა). ქმედების მართლ-  
წინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის მტკიცებაზე კი

წინასწარი გამოძიება პირდაპირი ლოგიკური გზით ვერ გადადის. ჯერ ერთი, უკვე აღვნიშნე, რომ ქმედების შემადგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, მაშინ, როდესაც ქმედების მართლწინააღმეგობა არის ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა. აქსიოლოგიაში (ღირებულების ფილოსოფიაში) დადგენილია, რომ ფაქტიდან ნორმაზე, ანუ, შეფასებაზე (ესე იგი, ქმედების მართლწინააღმდეგობის მტკიცებაზე) პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია და ამიტომ, ეს გადასვლა არის ინდუქციური, ესე იგი, სავარაუდო. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან ამ ქმედების მართლწინააღმდეგობაზე წინასწარი გამოძიების დასკვნა ინდუქციურია, სავარაუდოა. ეს დებულება მტკიცდება იქიდანაც, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება კოველ კონკრეტულ შემთხვევაში მკაფიოდ ინდიუქცილურობითია. ამ ინდიუქცილურობიდან, ანუ, კერძოდან ზოგადზე, ესე იგი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე გადასვლა პირდაპირი ლოგიკური გზით არ ხდება და ამიტომ ინდუქციურია, სხვანაირად რომ ვთქვათ, ალბათურია. მეორეც, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხდება ბრალის ფორმების დადგენა, რათა სწორად გადაწყდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში პირის მიცემისა და საბრალდებო დასკვნაში ბრალდების ფორმულირების საკითხი, მაგრამ, ბრალის ფორმა ჯერ კიდევ ბრალი არ არის, ისევე, როგორც ფორმა საზოგადოდ ჯერ კიდევ არაა შინაარსი. ბრალის ფორმებიდან ბრალზე გადასვლა პირდაპირი ლოგიკური გზით შეუძლებელია, ისევე, როგორც ფორმიდან შინაარსზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა არ ხდება. მაშასადამე, ბრალის ფორმებიდან ბრალის მტკიცებაზე წინასწარი გამოძიება პირდაპირი ლოგიკური გზით ვერ გადადის. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ წინასწარი გამოძიება ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის მტკიცებაზე ვერ გადადის. ამიტო

მაა, რომ ამ ეტაპზე ოვგორც ქმედების მართლწინააღმდეგობა, ისე, სუბიექტის ბრალი სავარაუდოა, აღმართურია, ამ უკანასკნელის თუნდაც მაღალი ხარისხით. ჩაშასაღამე, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ქმედების დანაშაულად საბოლოო კუალიფიკაცია კი არ ხდება, არამედ, ეს კუალიფიკაცია მაღალი ხარისხის აღმართობას გამოხატავს. მით უშეტეს, რომ წინასწარი გამოძიება უჩიუარად აღგენს მოცემულ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობის ფაქტებს. ასე, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის თაობაზე სავარაუდო დასკვნა წინასწარ გამოძიებას ხელს არ უშლის ჩატაროს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი საგამოსიებო მოქმედება. ეს ბუნებრივია, რადგან, წინასწარ გამოძიებას არ შეუძლია და არც მოეთხოვება, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის თაობაზე კატეგორიული, ანუ, დედუქტიური დასკვნა გააკეთოს.

არიგად, ქმედების დანაშაულად საბოლოო კუალიფიკაციას მხრილოდ სასამართლო ახორციელებს. ამ დებულების დასაბუთება კი რიგი მეთოდოლოგიური საკითხის განხილვას მოითხოვს. ამ მხრივ პირველ რიგში შევეხებით ქმედების მართლწინააღმდეგობის დაღგენის მეთოდოლოგიას. ისმის კითხვა: საქმარისია თუ არა ქმედების მართლწინააღმდეგობის თაობაზე ეს სავარაუდო დასკვნა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე? პასუხი უარყოფითია, რადგან სასამართლო განაჩენი უტყუარ მტკიცებულებებს უნდა უმყარებოდეს და და არა უარაუდებს. ჩაშასაღამე, სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედების ყველა ელემენტი კატეგორიულად, ანუ, დედუქტიური დასკვნის წესით უნდა დაადგინოს (ამის შესახებ უყრი დაწერილებით იხილეთ ი. ბაბისონია, სისხლის სამართლის საქმითა განხილვა სასამართლოში, თბილისი, 2002, გვ. 245). მაგრამ მაშინ რა გზას უნდა დაადგეს სასამართლო, რომ ქმედების

მართლწინააღმდეგობის თაობაზე დედუქტიური დასკვნა მიიღოს? სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე ბუნდოვანია. ამ ბუნდოვანების განაპირობებს ქმედების მართლწინააღმდეგობის არაერთგვაროვანი გაგებაც. სამართლის სფეროში წმინდა ხორმიაზიებისგული პოზიციის იურისტები ამჩეიცებენ, რომ მართლწინააღმდეგობა უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, უილრე, იურიდიულად მასში იგულისხმება. მართლწინააღმდეგობა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ქმედების წინააღმდეგობას ხორმასთან, რომლითაც ეს ქმედებაა აკრძალული. მაგრამ გერმანელი კოდეგები, როგორიც წესი, იზიარებენ ძარღ ბინდინგის იმ მოსაზრებას, რომ ხისხლის სამართლის კანონი აღწერს ქმედების შემაღგენლობას, ხოლო, დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა მოცემულია ხისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთ (მაგალითად, ბიბლიურ აკრძალვებში). ამიტომაა, რომ ამ მხრივ ხშირად უყრით შორს მიღიან და მართლწინააღმდეგობის ცნება გააქვთ არა მარტო ხისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ, არამედ, საზოგადოდ იურისპრუდენციის ფარგლებს გარეთაც, როდესაც ამჩეიცებენ, რომ დანაშაულებრივი ქმედება ეწინააღმდეგობა საზოგადოდ კულტურის ხორმებს.

გასაგებია, რომ ასე ფართოდ გაგებული მართლწინააღმდეგობის ცნება სცილდება იურიდიული აზროვნების წესსა და ფირრების, ხოლო ამ პოზიციიდან იგი სამართლებრივ ურთიერთობას ვერც დაუკავშიდება. სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე კი თვით ტერმინი „მართლწინააღმდეგობა“ ვერ სიმუშალიბდება. კერძოდ, თავდაპირველად უნდა დავადგინოთ ქმედების მართლზომიერება, რათა შემდგომ მისი საპირისპირი („მართლწინააღმდეგობა“) უყრით გარკვეუთ დავადგინოთ. კერძოდ, ტერმინი „მართლზომიერი“ მიეწერება ქმედებას, რომელიც ახორციელებს სამართლის ხორმის მრთხოვნას და ქმნის მართლწესრიგს. მოცემულ შემთხვევაში სამართლის სუბიექტი ახორციელებს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და ამდენად, სამართ-

ლებრივ ურთიერთობაშია յონტრაგენტან, სისხლის სამართლის სფეროში კი – სახელმწიფოსთან. სისხლის სამართლის სუბიექტისა და სახელმწიფოს ეს სამართლებრივი ურთიერთობა მართლზომიერი ქმედების, ანუ, დანაშაულთა თავიდან აკილების გამო ყალიბდება და ამიტომაა, რომ ეს ურთიერთობა სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმას წარმოადგენს. სამართლის ნორმა მართლწესრიგში სამართლებრივი ურთიერთობის ფორმით გადადის. მაგრამ რა ხდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების შემთხვევაში? ამ კითხვაზე პასუხი აღვილი არაა. კერძოდ, მოგვეჩენება, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას სუბიექტი ქმედების მართლწინააღმდეგობის სფეროში გადაჟუვს. მაგრამ მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება ავტომატურად ხდება მართლსაწინააღმდეგო. ეს დასკვნა კი მეოთხოლოგიურად სრულიად მიუღებელია. რადგან, მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობაზე არ დაიუვანება.

ამრიგად, ქმედების შემადგენლობის განხორციელება უკვე სცილდება დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, ესე იგი, უკვე არაა მართლზომიერი აქტი, მაგრამ ეს ქმედება ჯერ კიდევ არაა მართლსაწინააღმდეგო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას სუბიექტი გადაჟუვს სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში, სადაც ეს ქმედება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში კი სუბიექტის სამართლებრივი სტატუსი არ არსებობს. კერძოდ, იგი ჯერ კიდევ „დამნაშავე“ არაა, რადგან, ამ ეტაპზე ქმედების მართლწინააღმდეგობაც კი არაა დაღვენილი, რომ არაფერი კოქვათ ამ ეტაპზე ბრალის დაღვენის შეუძლებლობაზე, მაგრამ არც „უდანაშაულოა“, რადგან, გამორიცხული არაა, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით და-

ნაშაული იყოს ჩადენილი. მაშასადამე, დანაშაულის ჩამ-  
დენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამარ-  
თალი არ აღვენს. ამდენად, ქმედების შემადგენლობის გან-  
მახორცილებელი პირის სამართლებრივ (პროცესუალურ) მდგომარეობას, სისხლის სამართლის საქმის განხილვის  
სტადიების მიხედვით, აღვენს სისხლის სამართლის საპრო-  
ცესო კანონი.

პირის სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი სისხ-  
ლის სამართალში კი გადაწყვეტილია საქართველოს კონ-  
სტიტუციის შესაბამისად (საქართველოს მოქალაქეობის და საქა-  
რთველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე  
პირი - საქ. სსკ მე-5 მუხლი). რა თქმა უნდა, საქართველოს  
ინტერესების წინააღმდეგ დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს  
უცხოელმაც, მაგრამ ამჯერად შეიძლოდ იმისი თქმა გვინდა,  
რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მო-  
მენტიდან, როგორც ეს უკავ აღნიშნული გვქონდა, იქმნება  
სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და  
პიროვნებას (აგრეთვე განსაზღვრულ ფარგლებში - იურიდ-  
იულ პირს) შორის დანაშაულთა თავიდან აცილების გამო.

ეს ურთიერთობა წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას და,  
აქედან გამომდინარე, ავალდებულებს სისხლის სამართლის  
სუბიექტს, ჩაიდინოს მართლზომიერი ქმედება. ქმედების  
შემადგენლობის განხორციელების ფაქტი კი დღის წე-  
რიგში აყენებს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის დად-  
გენას. კერძოდ, სასამართლო, რომელმაც ერთხელ კიდევ  
გადამოწმა წინასწარი გამომიების მიურ დაღგენილი ფაქტები,  
რომლებიც ქმედების შემადგენლობას განეკუთვნებიან,  
უნდა დაღგეს სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის  
პოზიციაზე იმის დასადგენად, რომ განსახველს (საქართ-  
ველის სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით  
კი - ბრალდებულს) სისხლის სამართლის, ან წინდახედუ-  
ლობის ხორმის მიხედვით უნდა ემოქმედო. მან კი დაარღვია  
მართლზომიერი ვალდებულება და, მაშასადამე, ქმედების

შემადგენლობა მოცემული შემთხვევაში განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ. მაშასალამე, ქმედების შემადგენლობის დადგენის შემდეგ, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად, სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას იმ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წინ უსწრებდა ამ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ამ უკუდასკვნის საფუძველზე სასამართლო აკეთებს დყდუქციურ დასკვნას, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ბ. ნაპშებია, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, “ მართლმსაჯულება და კანონი,” 2006, № 1).

ამრიგად, წინასწარი გამოიიება ქმედების მართლწინააღმდეგობის მტკიცებაზე პირდაპირი ლოკიკური გზით ვერ გადალის და ამ მიმართებით იგი აღმაოობის (უარაველის) ფარგლებს ვერ გასცდება. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წინასწარი გამოიიება სისხლის სამართლის ნორმის შეფარდებას არ ახორციელებს და ამიტომ, უფლებამოსილი არაა, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პოზიციაზე დადგეს და ქმედების მართლწინააღმდეგობა ამ გზით დაადგინოს. რაკი სისხლის სამართლის ნორმის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, სწორედ სასამართლოს აქეს იმისი უფლებამოსილება, რომ ჩადენილ ქმედებას შისკენი ის სამართლებრივი შეფასება, რაც ქმედებას უკვე მისცა კანონმდებარების სისხლის სამართლის კანონში. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდება ნიშნავს იმ დასკვნასაც, რომ ქმედება ჩადენილია ბრალეულად. ეს დასკვნა კი მით უფრო სასამართლოს პრეროგატივა. მაგრამ საკითხავია: რა გზითა და ხერხით აღგენს სასამართლო, რომ ჩადენილი ქმედება ბრალეულია?

ბრალის დაღვენის მეოთხოლოების, მისი განსაკუთრებული სირთულის გამო, ცალკე პარაგრაფში განკითლავთ.

## § 5. სასამართლოში სებიერტის ბრალის დაღგნის მათოდოლობია

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წინასწარი გამოძიება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის დადგენით ვერ შემოიფარგლება. იგი ალგენის ბრალის ფორმებიაც, რადგან, ბრალდების ფორმულირება ბრალის ფორმების დადგენის გარეშე შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ საბრალდებო დასკვნის შედგენა ბრალის ფორმების დადგენის მოითხოვს (იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექში საბრალდებო დასკვნა უკვე არ იხსენიება). იგულისხმება, როგორც განსრახვის, ისე, გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური მხარე, რადგან, ბრალის ფორმებში გამოხატულია სუბიექტის ისეთი უარყოფითი „შეფასება“ (მაგალითად, „განსაკუთრებული სისასტიკ“ პირდაპირი განზრახვის სფეროში, „გულგრილი“ – ეგინტუალური განსრახვის ფორმაში, „ქარაფშეტა“ – თეითიმედოვნებისას, „დაუდავრი“ დაუდევრობის ფორმით და სხვა), რომელიც ბრალის, როგორც „უპასუხისმგებლობის, თავისებურ გამოხატულებას წარმადგენის და ამიტომ სუბიექტის სასამართლო შეფასების საგანში შემოდის. მაგრამ ამ მიმართებით მთავარი მაინც ისაა, რომ ბრალის ფორმების დადგენა ბრალის დადგენის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არაა. ეს ბუნებრივია, რადგან, ფორმიდან შინაარსზე, ანუ, ბრალის ფორმებიდან ბრალზე პირდაპირი ლოგიკური გადასკლია შეუძლებელია და ამდენად სავარაუდოა.

ვიდრე ამ საკითხებზე უშეაღოდე გადავიდოდეთ, გვინდა უკრალდება მიუაქციოთ იმ გარემოებას, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში იშვიათად არ ცდილობდნენ, ერთმანეთისგან განესხვავებინათ „ბრალის“ და „ბრალეულობის“ ცნებები. მაგალითად, ვ. სავინოვი, ა. გოლოდცოვი და ე. ბლაბოვი ცდილობენ დასმული საკითხის გადაჭრას. ისინი აანალიზებენ ამ მაგალითად, ბ. პეტელინის მოსაზრებას, რომ ბრალი

არის დანაშაულის სუბიექტური მხარე, ხოლო, ბრალება-ლობა არის სისხლის სამართლის პროცესუალური ცნება, რომლის ელემენტს ბრალდებულისა და სამართალში მიკვა-მულის ბრალის დამტკიცებულობა წარმოადგენს. იზიარებენ რა ისინი ბ. პეტელინის ამ მოსაზრებას, ასკუნიან, რომ ბრა-ლის ცნების საერთო ძირის არსებობა არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ ერთნაირი შინაარსი, რომელიც ცნების გამოყენების სფეროზეა დამოკიდებული (В. Н. Савинов, А. .С. Молодцов, Е. В. Благов, О категориях вины и виновности в уголовном праве и процессе, „Вопросы взаимосвязи уголовного права и процесса“, Калинин, 1986, стр. 51).

ჯერ ერთი, არსებითად არაა სწორი დებულება, რომ მოვ-ლენის შინაარსი მისი გამოყენების სფეროზეა დამოკიდე-ბული. ბრალის კატერორია ერთია, ხოლო, საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში მისი გამოვლენის სპეციფიკა გან-სხვავებულია, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ბრალი სისხლის სამართლის პროცესის კატეგორი-ასაც წარმოადგენს. ვყიქრობთ, ამ უმართებულო დავაში უგულებელყოფილია მთავარი, კერძოდ, ის, რომ სისხლის სამართლის პროცესში გადამწყვეტია პირის პროცესუალ-ური მდგომარეობა. კერძოდ, წინასწარი გამოძიების სტა-დიაზე ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობით, არაბრავულია იმის მიუხედავად, სარწმუ-ნოა თუ არა მისი ბრალებულობის დამადასტურებელი მტ-კიცებულებანი. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და ჩაღუნილი ქმედების სწორი კვალიტიკაციის ერთიანობის საფუძველზე ხდება განსასჯე-ლის არაბრალეულობის პრეზუმუციის გაბათილება და, მა-შასადამე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ეტაპზე ამ პირის პროცესუალური მდგომარეობა გამოიხატება მისი ბრალებულობით. ბრალებულობა, ცხადია. ბრალის პროცესუ-ალური ცნება კი არაა, არამედ, პირის პროცესუალური მდ-გომარეობის გმოხატულებას წარმოადგენს. 8. სტროგოვიჩი

ურთიერთობის ელემენტია, ამ ვალდებულებისადმი სუბი-ექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტის მიზეზია. მართლაც, თუ სუბი-ექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობით მოეკიდება, მაშინ, ის მართლზომიერ ქმედებას უეჭველად ჩაიდენს.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტურ მიზეზად მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური გამოკიდებულება უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო (ბრალეული) დამოკიდებულება, პირიქით, მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია.

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის არსის ფილოსოფიურ კონცეფციაში არსებითია თავისუფლება, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანი და მისი პასუხისმგებლური გადაწყვეტილება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება არაა თვითნებობა, არამედ, სლევარლებულია პასუხისმგებლობით. იგულისხმება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, რომელსაც თავისუფლება აუკიდებლობაში (ზნეობრივად გამართულ, თუ სამართლებრივად მართლზომიერ ქმედებაში) გადააქვს. ეს იმით ხერხდება, რომ სუბიექტი თავის ზნეობრივი, თუ სამართლებრივი ვალდებულების შესრულებას ეკიდება პასუხისმგებლურად, ესე იგი ამ მოვალეობათა აღსრულების განწყობით. თუ სუბიექტს ამ მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება აქვს, მაშინ, იგი ამ მოვალეობებს უეჭველად შეასრულებს. მაშასადამე, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება აქვს, მაშინ, იგი ამ მოვალეობებს უეჭველად შეასრულებს. საჭარბეულობის მიზანი მართლზომიერი ქმედების მოვალეობა მიუთითობს სამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც სამართლის ნორმისა და მართლწესროგის კაუშირის ფორმაზე. ამ ფორმის შინაარსი

თავის დროზე სწორად აღნიშნავდა, რომ არაბრალეულობის პრესუმუცია პროცესის რომელიმე მონაწილის სუბიექტური აზრი კი არაა, არამედ, „კანონში ობიექტური სამართლებრივი მდგომარეობის გამოხატულება“ (М. С. Строгович, Права обвинения и защиты и презумпция невиновности, 1981, стр. 66-67). მეორეც, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სასრულ ეტაპზე სასამართლომ განსასჯელის არაბრალეულობის პრესუმცია უნდა გააძათილოს და ამით ეს პირი ბრალეულობის პროცესუალურ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს, რათა გამამტკუნებელი განაჩენი მართლმართულების ჭეშმარიტ აქტს წარმოადგენდეს.

ისმის კითხვა: რა ხერხით უნდა დაადგინოს სასამართლომ სუბიექტის ბრალი? ამ კითხვაზე პასუხი მე უკვე მაქვს გაცემული, როდესაც მივეყით დასკვნამდე, რომ ბრალი არის პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა. (იხილეთ ბ. ნაჟუაბია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001). კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობა არის სამართლის ნორმის, როგორც ჯერარსის და მართლწესრიგის, როგორც არსის, ანუ, განხორციელებული სამართლის, კავშირის ფორმა. გასაგებია, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა (ესე იგი, როგორც ფურიმა), მართლწომიერი ქმედების ჩასადენად საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ფორმის შინაარსის პოვნა და დაზენა. კერძოდ, სისხლის სამართალში ინსტანცია, ვის წინაშეც სუბიექტია პასუხისმგებელი როგორც პოზიტიურად, ისე, ნეგატიურად, არის სახელმწიფო. სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობა მართლწომიერი ქმედებისთვის არის შინაარსი იმ სამართლებრივი ურთიერთობისა, რომელიც სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის სუბიექტს შორის დანაშაულთა თავიდან აცილების გამო კალიბრება. თუ მართლწომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივი

კი არის პოზიტიური პასიხისმგებლობა, რომელიც ქმნის აშ ურთიერთობას, როგორც თავის ფორმას. ჩათქვამი კრიტიკდება სისხლის სამართლის სფეროზეც, რაღაც, სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია მოქმედებდეს მართლ-ზომიერად და მოწოდებულია ამ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობით მოეკიდოს. მა-შასადამე, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სისხლის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის გაფ-შირის ფორმა, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, როგორც ამ ფორმის შინაარსი, ერთიანია და იგი სრულიადაც საქმა-რისა მართლზომიერი ქმედების ჩასადენად. მეორეჩაირად რომ კოქვათ, მართლზომიერი ქმედების მოვალეობა არის სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი, ანუ, სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის სუბიექტის ობიექტური კაფ-შირის ჩიშანი, ხოლო, ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან პო-როვნების სუბიექტურ კავშირს გამოხატავს.

ისმის კითხვა: რა ხდება ქმედების შემადგენლობის ფორ-მით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში? ისე ჩანს, რომ პირველ რიგში ირლევე მართლზომიერი ქმედების მოვა-ლეობა, ანუ, სახელმწიფოსთან პიროვნების ობიექტური კა-ვშირი, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგე-ნის ნორმატიული წანანაძლვარია. მაგრამ ეს მოსუენებითო-ბა ქრება, როდესაც გავაცნობიერებთ იმას, თუ რა ეძართება ამ შემთხვევაში სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტურ კავშირს, ანუ, მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას: ეს პასუხი-ისმგებლური დამოკიდებულება მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდე-ბულებად იცილება. ეს უპასუხისმგებლობა კი სხვა არაფუ-რია, თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, ანუ, ბრალის სინონიმი. მაშასადამე, ბრალი არის

მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას. ეს უპასუხისმგებლობა გამოიხატება, უპირველეს კოვლისა, განსრახვაში, რომელიც პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგრძებულ უარყოფას წარმოადგენს, ხოლო, შემდეგ - გაუფრთხილებობის უკორმით, რომელიც პოზიტიური პასუხისმგებლობის უგადებელყოფაა. ამიტომაა, რომ განსრახვა ბრალის, ანუ, უპასუხისმგებლობის უფრო მაღალი ხარისხია, ვიდრე, გაუფრთხილებლობა.

ამრიგად, დანაშაულთა თავიდან აკილების გამო სისხლისამართლებრივი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ფორმაში გამოხატული პოზიტიური პასუხისმგებლობა ერთიანია, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. სამართლებრივი ურთიერთობა პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის ფორმაა, რის გამოც მას, როგორც ფორმას, მართლზომიერი ქმედების გამოწვევა არ შეუძლია. მართლზომიერი ქმედების ჩადენის სუბიექტურ მიზუნს მართლზომიერი ქმედების გალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება წარმადგენს. ბრალეული ქმედების შემოხვევაში კი პოზიტიური პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობად შემობრუნდება, ხოლო, ეს უპასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზუნია. მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებას წინ უსწრებს ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ხოლო, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისას ბრალი ბოლო ეტაპზე ინაცვლებს. კერძოდ, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის ლოგიკურ წანამდევრს სისხლისამართლებრივი ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის ფორმაში გამოხატული პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა წარმოადგენს. თუ ქმედების

მართლწინააღმდეგობის დასაღვეხად სასამართლო აღგეხს, რომ სუბიექტისა და არღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, ბრალის დასაღვენად სასამართლო აღგეხს: სისხლის სამართლის სუბიექტს პქონდა უნარი და ობიექტური შესაძლებლობა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდებოდა, მაგრამ მან, პირიქით, სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმფებლობა გამოიჩინა, რის გამოც ხეგატური წესითაა პასუხისმგებელი იმ უპასუხისმგებლობისთვის, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება სუბიექტურად გამოიწყოა (იხილეთ ბ. ნაჟყმბია, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის პრობლემა, „მართლმსაჯულება და კანონი,“ 2006, № 3).

ამრიგად, როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობის, ისე სუბიექტის ბრალის დასაღვენად სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას, უპირველეს ურევლისა, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთბაზე, როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობის ლოგიკურ წანამძღვრებელი, ხოლო შეძლება - ამ ურთიერთობის ფორმაში სუბიექტის პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე, როგორც ბრალის ლოგიკურ წანამძღვარებელი. მაშასადამ, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის ერთიანობის ლოგიკური წანამძღვარია. ამდენად, ამ ერთიანობას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის უაღრესად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ცხადია, ბრალის დაღვენა ბრალის ფორმების დაღვენასაც მოითხოვს, მაგრამ ბრალის ფორმებზე უკვე გვქონდა მსჯელობა და აქ არ გავიმეორებთ.

## § 6. სისხლის სამართლის სამუზე პრემიალიტების დადგენისა და ძმების დანაშაულად პვალიფიკაციის თანავარდობის პროგლობა

ცნობილი ფაქტია, რომ სასამართლო სახელმწიფო  
ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლე-  
ბამოსილია განახორციელოს მათლმსაჯულება, განიხილოს  
ხისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დას-  
აბუთებული და სამართლიანი განაჩენი (საქ. 2009 წლის 9  
ოქტომბრის ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუ-  
19 მუხლი). ამავე კოდექსის 82-ე მუხლიში კი ლაპარაკია მტ-  
კიცებულებათა შეფასებაზე მათთვის რელევანტურობის, დასაშ-  
ვეობისა და უტესარობის თვალსაზრისით. გამამტკუნებელი  
განაჩენით პირის ბრალეულად ცნობისათვის კი საჭიროა  
„გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებ-  
ულებათა ერთობლიობა“ (ამავე მუხლის მესამე ნაწილი).

რაშდენადაც ჩვენ ქმედების დანაშაულად კვალიფიკა-  
ციის პრობლემა გუაქვს მხედველობაში, ბუნებრივია, თუ  
გამამტკუნებელი განაჩენის ბუნება დაგვაინტერესებს. კერ-  
ძოდ, გამოხატავს თუ არა გამამტკუნებელი განაჩენი ხისხ-  
ლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტებას? საქართველოს  
ახალი (2009 წლის 9 ოქტომბრის) ხისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის  
თანახმად, გამამტკუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართ-  
ლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნო-  
ბის შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ  
„არ შეიძლება გამამტკუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუ-  
დოს ვარაუდი.“

ჯერ ერთი, დებულება, რომ გამამტკუნებელი განაჩე-  
ნი შეიცავს სასამართლო გადაწყვეტილებას ბრალდებუ-  
ლის დამნაშავედ ცნობის შესახებ, წმინდა იურიდიულად  
გამართლებული ვერ არის, რადგან, „დამნაშავე“ იურიდი-  
ული ტერმინი არ არის და ის პირის სამართლებრივ მდ-

გომარეობას არ გამოხატავს. მით „უფრო, რომ „დამნაშავის სამართლებრივი მდგომარეობა“ არ არსებობს. ამიტომ გაუგებარია, როგორ უნდა სცნოს სასამართლომ პირი „დამნაშავედ“,“ რომლის შესატყევისი სამართლებრივი მდგომარეობა არ არსებობს? მით „უფრო, რომ გამამტკუნებელი განაჩენით პირს „მსჯავრდებული“ ეწოდება და არა „დამნაშავე“,“ ხოლო, „მსჯავრდებული“ „დამნაშავეს“ არ უდრის. მაგალითად, მოსამართლეთა შეკლობის წეალობით პირი, რომელიც ფაქტობრივად უდანაშაულია, შეიძლება იურიდიულად „მსჯავრდებული“ აღმოჩნდეს. ამდენად, ჩვენ მიგვაჩია, რომ გამამტკუნებელი განაჩენი პირს სცნობს არა „დამნაშავედ“,“ არამედ ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. ის დებულება, რომ გამამტკუნებელი განაჩენი სასამართლო პირს სცნობს ბრალეულად (და არა „დამნაშავედ“), დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის ამ ახალი კოდექსის 270-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, „გამამართლებული განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.“

ამრიგად, გამამართლებული განაჩენი იმის გამო დგება, რომ ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალი სასამართლოში არ დასტურდება. აქედან გამომდინარე, გამამტკუნებული განაჩენით სასამართლო ბრალდებულს სცნობს ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინაღმდეგო ქმედების ჩადენაში.

გარდა ამისა, დებულება, რომ გამამტკუნებელ განაჩენის არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი, ხწორია და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნაზე შეტყობინებულება. მაგრამ ეს დებულება ეწინააღმდეგება საპროცესო შეთანხმებისას (საქმის არსებითი განხილვის გარეშე) გამამტკუნებელი განაჩენის გამოტანის პროცესუალურ ფორმას. კადის, იგულისმება სისხლის

სამართლის საქმის წარმოება მიხი არსებითი განხილვის გარეშე. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის პოზიციიდან 211-ე მუხლის „ბ“ პუნქტში პირდაპირაა მითითებული მოთხოვენა (ბრალდების ფორმულირება), რომ აღწერილ იქნეს ბრალდებულისთვის ინკრიმინირებული ქმედება მიხი ჩადენის ადგილის, ფრთის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგზე მითითებით. ამ მუხლის „ბ“ პუნქტში კი ჩათქამია, რომ საპროცესო შეთანხმებას შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს „მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.“

ამრიგად, რაკი საპროცესო შეთანხმებისას სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა არ ხდება, ბუნებრივია ვივარაულოთ, რომ დანაშაული უკვე ჩადენილია სწორედ ამ ბრალდებულის მიერ, თლიონდ ეს ვარაუდი უნდა იქოს დასაბუთებული საქმეში არსებული მტკიცებულებების შეშერებით. მაშასადამე, საპროცესო შეთანხმების პირობებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას შეიძლება საფუძვლად დაესოს დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული და რომ ეს დანაშაული სწორედ ამ ბრალდებულმა ჩაიდინა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ კანონმდებელი 269-ე მუხლის მეორე ნაწილში მიუთითებდა იმ გამონაკლისზე, რომა გამამტყუნებელ განახენს (ესე იგი საპროცესო შეთანხმებისას) საფუძვლად უდევს სწორედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდი.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ გამამტყუნებელ განახენს ზოგჯერ (გამონაკლისის ჩახით) შეიძლება საფუძვლად დაედოს დასაბუთებული ვარაუდი, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების უარყოფა ან უგულებელყოფა სწორი არ უნდა იქოს. მით უმეტეს, რომ დანაშაულის ელემენტ-

ებში ქმედების შემადგენლობა, როგორც უკვე ითქვა, არის აღწერილობითი, ფაქტის, მსჯელობა და ამიტომ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საფუძველია. სამწუხაროდ, საბჭოურ და პოსტსაბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ფენომენისადმი აქსიოლოგიური მიდგომის დაფიციტი იმდენად საგრძნობია, რომ არსებითად ბატონობს სამართლისადმი გნოსეოლოგიური მიდგომა. საქმე იქამდევ კი მივიდა, რომ თვით სამართლის ნიურმაც კი გამოაცხადეს გნოსეოლოგიური ტიპის მსჯელობად, რომელიც თითქოს არის ჭეშმარიტი, ან მცდარი (მაგალითად, იხ. Р. О. Халфина, Критерии истинности в правовой науке, „Советское государство и право,” 1974, № 9, СТР. 21-23). ამ მხრივ უფრო შორსაც მიღიოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ „განსხვავება სამართალსა და სამართლებრივ თვორის შორის დევს არა თვით ცოდნის შინაარსში, არამედ არსებული ცოდნის ფიქსაციის მიზნებსა და ხერხებში“ (იხ. А. М. Василев, Правовые категории, М. 1977, стр.51). გამოდის, რომ სამართალი და სამართლის მეცნიერება შინაარსობრივად ერთი და იგიურა, ხოლო, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ სამართალში ცოდნა კანონის ფორმითაა დადგენილი. ამ პოზიციიდან ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტებაზე და არა შეფასებაზე, რომელიც აქსიოლოგიური მიდგომის გარეშე დასაბუთებული ვერ იქნება. მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საბჭოური იურიდიული მეცნიერება ნორმატიული მსჯელობის სპეციფიკას თითქოს საერთოდ არ იცნობდა. მაგალითად, ა. ჩერდანცი პირდაპირ წერდა, რომ „ნორმებს ჭეშმარიტობისა და მცდარობის დახასიათება არ ეხებათ“ (А. Ф. Черданцев, Толкование советского права, М. 1979, стр. 125).

მიუხედავად ამისა, ქმედების დანაშაულად კადასტრიკაციის ბენება მაინც სადაცოა. ამაზე მეტყველებს თვით ამოსავალი დებულებების არაერთგვაროვანი მნიშვნელობაც. მაგალითად, ე. ჩერდანცი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ

ტერმინი „ჰეშმარიტი“ მხოლოდ ერთი, გნოსეულობიური, მნიშვნელობით არ გამოიყენება. ავტორი აანალიზებდა იმ შემთხვევას, როცა ტერმინი „ჰეშმარიტი“ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება და ამდენად შეფასებას გამოხატავს. აუტორის აზრით, ჩვენ ულაპარაკობთ, მაგალითად, ჰეშმარიტ მეგობარზე, და მაშინ მხედველობაში გვაქვს წერნდამი მისი ერთგულება; მუსიკოსი მის მიერ შესრულებულ მისიალურ ნაწარმოებს ხელოვნების ჰეშმარიტ ქმნილებას უწოდებს; გამომძიებელი, რომელმაც შესძლო სისხლის სამართლის საქმის ოსტატური გამოიძიება, იტუკის, რომ მან ჰეშმარიტი დამნაშავე გამოავლინა; მეცნიერს, რომელმაც მისი თეორიის სისწორე ექსპერიმენტულად შეამოწმა, შეუძლია თქვას, რომ მისი თეორია ჰეშმარიტია (Э. М. Чудинов, Пириода научной истории, М. 1977, стр. 10).

გასაგებია, რომ პირველ ორ მაგალითზე ტერმინი „ჰეშმარიტი“ შეფასებას გამოხატავს და ოგი „ნამდვილის“ სინომინია. რაც შეეხება გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საქმის ოსტატურ გამოიძიებას, რომლის შედეგად დაღვენილია როგორც ქმედება, იხე, მისი ნამდენი პირიც, სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენაზე მეტაველებს, იმის მიუხედავად, რომ ქმედებას დანაშელად სრული მოცულობით აკვალიფიკირებს არა გამომძიებელი, არამედ, მოსამართლე (სასამართლო). ბოლოს, ტერმინი „ჰეშმარიტი“ პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება მეცნიერული თეორიის მიმართ, რადგან, თეორიული შემეცნება გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ დამოკიდებულებას გამოხატავს. იმ შემთხვევაში, როცა ტერმინი „ჰეშმარიტი“ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება და შეფასების სინომინია, გნოსეულობიურ შინაარსთან მისი აღრევა მაინც დაუშვებელია და გაუგებრობას გამოიწვევს. მართლაც, კნობილი ფაქტია, რომ შეფასების საფუძველია არა ჰეშმარიტება, არამედ, ლირებულება. ამაზე მეტაველებს ის გარემოებაც, რომ სამართალი და სამართლებრივი ურთ-

იეროლანი გარესინამდვილისადმი ადამიანის შეფასებით, ღირებულებით დამოკიდებულებას გამოხატავს. შემთხევითი არ არის ის გარემოება, რომ სამართლებრივ ურთიერთობებს იდეოლოგიური სახის ურთიერთობას უწოდებენ. ტერმინი „იდეოლოგიური“ როგორც ჩანს, ნაწარმოებია იდეის ცნებიდან. როგორც თავის დროზე მართებულად აღნიშნავდა დ. მერქაბე, იდეაში საგანი უძრავოდ კი არ არსებობს, არამედ, ჩანვენებია როგორც ჯერარსი და შესაძლებლობა. აუტორის დასკვნით, „იდეოლოგია არის აზრების ისეთი სისტემა, რომელსაც აქვს პირდაპირი მიმართება ადამიანის ნებასთან: იგი ადამიანის ნებას რაღაცას კარნახობს, აძლევს რეკომენდაციას, ურჩევს, უბრძანებს ამ მოუწოდებს. ყოფილების ფუნდამეტურ საკითხებს იგი აქცევს პრინციპებად, რომელსაც აქვს დანიშნულება, იყოს ადამიანის მოღვაწეობისა და ცხოვრების რეგულატორი“ (დ. მერქაბე, კულტურა და იდეოლოგია, „კულტურა და სოციალიზმი“, თბილისი, 1975, გვ. 77).

აშეარაა, რომ ამ მიმართულებით იგულისხმება საზოგადოების ნორმატიული სისტემა და მისი შესატევისი ურთიერთობანი. გამონაკლისი ამ მხრივ არც სამართალია. სამართლის ნორმა, როგორც ქცევის განსაზღვრული წესი, უაქტობრივ სინამდებილეს მოწევეტილი არაა, მაგრამ ის არსებითად არის ადამიანის საქციელის სამართლებრივი შეფასების საფუძველი. ამაზე ჩვენ აქამდევ ვმსჯელობდით, მაგრამ ეს საკითხი ამჯერად სხვა კუთხითაც დაგუჭირდა. როგორც სწორად მიუთითებს გ. ხუბუა, „ლოგიკური თვალსაზრისით ნორმა შედგება ორი ჩაწილისაგან: 1) დესკრიფიული ნაწილი ანუ, ის ფაქტობრივი ურთიერთობა, რომელიც ჩებადართულია. აკრიტიკულია ან მოთხოვნილია; და 2) ნორმატიული ჩაწილი, რომელიც ამბობს, რომ ეს ფაქტობრივი ურთიერთობა აკრიტიკულია, ჩებადართულია თუ მოთხოვნილია“ (გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 52).

საგნის შესახებ ასრია, ესე იგი, ცნობიერების შინაარსია, მაგრამ ისეთი, რომელიც აღამიანის ჩებაზე არაა დამოკიდებული. კხადია, განსაზღვრული ობიექტებისა შეფასებასაც ახასიათებს. შეფასება სუბიექტური აქტია, მაგრამ თავისი არსითა და საფუძვლით ის ინტერსუბიექტურია. შეფასება დირექტულების საფუძველზე ხორციელდება, ხოლო, ლირებულება ობიექტურია, რაც ლირებულებათა იერარქიის, ანუ, წესრიგის ფაქტითაც დასტურდება. თუ ზნეობა სიკეთის, როგორც უმაღლესი ლირებულების, დამკუთხრების მოთხოვნას გამოხატავს, ხისხლის სამართალში მოთხოვნის ის მინიმუმია გამოხატული, რომ ხისხლის სამართლის სუბიექტს დანაშაულის ჩადენისაგან თავშეეკვება მოეთხოვება.

ამრიგად, როგორც ჰეშმარიტებას, ისე ლირებულებას ობიექტური ხასიათი აქვთ და სუბიექტის თეოთნებობას გამორიცხავს. მაგრამ ერთია ჰეშმარიტების ობიექტურობა და მეორე – ლირებულების ობიექტურობა. პროფ. ნ. ჟავახაშვილი სავსებით მართებულად წერდა: „არ შეიძლება ლირებულების ობიექტურობა გავაიგივოთ ჰეშმარიტების ობიექტურობასთან. ნეოკანტიანებულების მსგავსად ერთმანეთში ავრიოთ აქსიოლოგია და გნოსეოლოგია, ვინაიდან, ამგვარი აღრევისას კვლავ უგულებელყოფილი ხდება ლირებულებათა სპეციფიკა, რომელთა შინასრსი (განსხვავებით ჰეშმარიტების შინაარსისგან) არაფრით არ შეიძლება რეალური სინამდვილის ზუსტ ასახვად ჩაითვალოს. სწორედ პირიქით, ლირებულებამ სინამდვილე კი არ უნდა ასახოს, არამედ, გარდაქმნას იგი თავის ხატად და სახედ. ესე იგი, მას თვითონ სჭირდება რეალობაში გადმოსვლა“ (Н. ჟ. ჭავჭავაძე, კულტуრა и ценності, Тбілісі, 1984, стр. 42).

კხადია, ლირებულება ციდან კი არ ვარდება, არამედ, სინამდვილის ახარეკლია, მაგრამ ის, როგორც ჯერარსი, პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს. სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამართლის ნიმისია და მართლწესრიგის კავშირის ფორმა, მართლზომიერი ქმედების ჩა-

**თანამონაწილების დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 132).**

ამრიგად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებია სისტელის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით (ანუ, ქმედების შემადგენლობის დადასტურებით) არ ამოიწურება. პირიქით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებია არსებოთად იწყება მას შემდეგ, რაც დადგენილია ქმედების რომელიმე შემადგენლობა. სამწუხაროდ, დღემდე ვრცელდება აზრი, რომ ჭეშმარიტება ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების მიმართაც ვრცელდება. ისე ჩანს, რომ ამ კვალიფიკირების თითქოს ეს ერთი ჭეშმარიტება ამოწურავდეს. მაგალითად, ა. ნაუმოვი და ა. ნოვიცენკოს აზრით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების შინაარსიდან ჭეშმარიტების ამორიცხვა დაუშეებელია, რაღაც, ამით ჩეცნ წინასწარი შეკნობით ვურიგდებით სისხლის სამართლის საქმის არასწორი გადაწყვეტის შესაძლებლობას. უკანონო განაჩენის გამოტანას (A. V. Наумов, A.C. Новиченко, Законы логики при квалификации преступлений, М. 1978, с. 48).

ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებიდან ჭეშმარიტების ამორიცხვა მართლაც დაუშეებელია, მაგრამ „ჭეშმარიტუბამდე“ „კვალიფიკირების“ დაუვაჩა მეორე უკიდურესობაა, როდესაც კვალიფიკირებია, როგორც შეფასება, არსებითად ქრება და რჩება მხოლოდ ჭეშმარიტება. ამ ლოგიკით კი ჩეცნ ქმედების დანაშაულად კვალიფიკირებია უნდა ამოვწუროთ ქმედების შემადგენლობის დადგენით. ამ პოზიციიდან კი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენა არ შედის. რეალურად კი ხდება პირიქით, ქმედების დანაშაულად ხამლებით კვალიფიკირებია ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენით ხდება. ცხადია, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტებას და ქმედების დანაშაულად კვალიფიკირების თავისი კრიტერიუმი აქვს. კერძოდ, ჭეშმარიტება თბილებურია. მართალია, ჭეშმარიტება

ამრიგად, აშეარაა, რომ ნორმა, როგორც ქცევის წესი, არც მცდარია და არც შეშმარიტი. ის ლირებულებითი შინაარსის მქონეა და ამიტომ აღამიანთა ქმედების შეფასების საფუძველია. ცხადია, თუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია, ისე, როგორც ის აღწერილია კიდეც ამ კუდექსში, მაშინ აშეარაა, რომ საქმე, უპირველეს კოვლისა, ამ შემადგენლობის დადგენას ეხება. ამ მიმართებით სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საფუძველი (ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი ბუნება) დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ საქმე ისა, რომ სისხლის სამართლის ნორმა ქმედების შემადგენლობის შემადგენლობის აღწერილობასე არ დაიყვანება. სისხლის სამართლის ნორმა კრძალავს ქმედების შემადგენლობის განხორცილებას, როცა დანაშაულის ჩადენია ხდება აქტიური მოქმედებით ან, პირიქით, მოითხოვს პართლზომიერ ქმედებას, როცა დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობით. თუ განხორციელებულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების რომელიმე შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება, მაშინ წინასწარი გამოიიება აკეთებს სავარაუდო დასკვნას, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგო. სასამართლო, ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად, აკეთებს უკუდასკვნას იმ სისხლის სამართლებრივ ურთიერთობასე, რომელიც წინ უსწრებდა დანაშაულის ჩადენას, ესე იგი, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებული გახლდათ ემოქმედა მართლზომიერად, ხოლო, მან ქმედების შემადგენლობის განხორცილების გზით დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, მაშასადამე, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ო. ბაზარელიძე, მართლწინააღმდეგობისა ქმედების უარყოფითი შეფასებაა. (ო. ბაზარელიძე, სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და

დენის ერთ-ერთი პირობაა, როცა მართლზომიერი ქმედება მართლწესრიგში სისხლის სამართლის ნორმის გადასვლის საეციფიკური ხერხია. მართლსაწინააღმდეგი ქმედება, ამ ერთ-ერთ შემთხვევაში, აჩერებს მოქმედებას იმ ნორმისა, რომელიც ამ ქმედების ჩადენის ვალდებულებას ითვაღისტინებს. ამის გამო სამართლის ნორმა მართლწესრიგში არ გადადის და მართლწესრიგი უკრ იქმნება. ამის გამო ჩადენილ ქმედებას უნდა შეეფარდოს სწორად ის ნორმა, რომელიც მართლზომიერ ქმედებას მოითხოვდა. რაკი სუბიექტი ნებაყოფლობით არ ასრულებს სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნას, ამდენად მას აიძულებენ, რომ ამ მოთხოვნას გამამტკუნებელი განაჩენის ფორმით დაემორჩილოს. აქედან გამომდინარე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ობიექტურობა მხრილოდ იმით კი არ განისაზღვრება, რომ შეფუსებაზე, ანუ, „კვალიფიკაციაზე“ საერთოდ ვთქვათ უარი და სისხლის სამართლის საქმე მხრილოდ ჭმარიტების დადგენით შემოვფარგლოთ, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ. სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დაღგუნის შემდეგ არსებითად იწყება ქმედების დანაშაულად საგამომიებულისამართლო კვალიფიკაცია, რომლის ობიექტურობას ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია განხილულია. ამდენად, საკისებით მართებული გახლდათ პროფ. მ. სტროგოვიჩის მტკიცება, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის საქმეზე დასადგუნი ჰეშმარიტების შინაარსში არ შედის (M. C. Строговиц. Курс советского уголовного процесса, т. I. M. 1968, стр. 325). თუ იმასაც გავითვალისწინებო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დაღგუნა ძირითად ქმედების შემადგენლობის დადგუნას შეეხება, ამდენად იგულისხმება, რომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში არც ქმედების მართლწინააღმდეგობა შედის დარც სუბიექტის ბრალი. თუ მართლწინაამდევგობა არის ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, ბრალი არის ქმედების სუბიექტის გა-

# მინარესი

ავტორისგან-

3

## თავი პრელი

„დანამაულის კვალიფიკაციის“ მრავალი ცნობა და ქვეყნის  
დანამაულად კვალიფიკაციის გნოვნოლობა

§ 1. ტერმინი „დანამაულის კვალიფიკაცია“ და მისი საფუძველი —	7
§ 2. „დანამაულის კვალიფიკაციის“ ცნობა —	11
§ 3. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის სახეები —	14
§ 4. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის მნიშვნელობა —	17
§ 5. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის ადგილი ცოდნის სისტემაში —	21
§ 6. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის სისტემა —	26

## თავი გვრჩე

ქვეღიანი დანამაულად კვალიფიკაციის ერთაგანი

§ 1. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის ეტაპები რესურსი დრაფტის მიხედვით —	29
§ 2. ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის ეტაპები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით —	36

## თავი გვსახე

ქვეღიანი დანამაულად კვალიფიკაციის  
საშეკველი და საბიუროები

§ 1. ტერმინი „კვალიფიკაცია“ და მისი აქსიოლოგიური საფუძველი —	55
§ 2. არაბრალეულობის პრეტემფენის პრინციპი და ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის პრობლემა —	65
§ 3. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა და ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია —	71
§ 4. ნაკიც მსაჯულთა სასამართლო და ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის პრობლემა —	84

საფუძველია. კხადია, მართლზომიერი ქმედების სამართლებრივი მოთხოვნა იმსუნად დაბალი რანგისაა, რომ მისი ჩადენა ოუნდაც პოზიტიური პასუხისმგებლობის გამო ჯილდოს ვერ დაიმსახურებს. თუმცა, წახალისების ღირსი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამ კითარების ფონზე საკისებით გნოსეოლოგისტურია პ. ნაშმოვისა და პ. ნოვიჩენკოს დებულება, რომლის თანახმად, „სამართლის ნორმა არის კიდევ სამართლებრივი შეფასების ჰეშმარიტური ეტალონი“ (პ. ნაშმოვისა და პ. ნოვიჩენკოს დასახელებული ნაშრომი, გვ. 48). ამ დებულების მიხედვით, სამართლებრივი შეფასება ხორციელდება არა ღირებულების, არამედ, ჰეშმარიტების საფუძველზე. გამოდის, რომ ჰეშმარიტება შეფასების საფუძველია და, მაშასადამე, ღირებულებაა. ამგვარი მოსაზრების მეთოდოლოგიური საფუძველი ისაა, რომ აქ „ღირებულება“ როგორც აქსიოლოგიის ძირითადი ცნება, უგულებელყოფილია და ამიტომ, გნოსეოლოგიური მიღგომა გამართლებულად ენცენტათ იქაც კი, სადაც მისი აღვილი არ არის. ეს კი არის გნოსეოლოგიზმი, რომლის საფუძველზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის აგება შეუძლებელია.

ამრიგად, სისხლის სამართლის საქმეზე ჰეშმარიტების დადგენისა და ქსელების დანაშაულად კვალიფიკაციის სინთეზური ერთიანობა გამამტკუნებელი განაწენის საფუძველია, ხოლო ამის შემდეგ დგება სასჯელის დანიშვნის პრობლემა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება.

კიცხვის საფუძველი იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რაც სუბიექტმა ჩაიდინა.

პროფ. ბ.ხარაზიშვილი სწორად მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში ქმედების კვალიფიკაცია არ შედის. მისი აზრით, „ბრალი არ არსებობს იურიდიული და პოლიტიკური შეფასების გარეშე. ბრალეულობის დადგენა ფაქტობრივი გარემობების დადგენით არ ამოიწურება. შეიძლება დაადგინო ფაქტები, მაგრამ მერე როგორ შეაფასებო მათ, რა დასკვნებს გამოიტანო ამ დადგენილი ფაქტებიდან, - ეს შეშმარიტების დედაზრს სრულიად სცილდება“ (ბ.ხარაზიშვილი, ჭეშმარიტების ცნებისათვის სამართალში, „Правовые исследования“, Тбилиси, 1977, стр. 216). მით უფრო, რომ ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიური დამოკიდებულება კი არაა, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული, არამედ, სუბიექტის უარყოფითი შეფასებაა, მისი გაკიცხვაა (ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კიდევესის განმარტება, თბილისი, 2005. გვ. 85). ეს ბუნებრივია, რაღაც, ბრალეული პირი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ და მან ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩაცვლად იმისა, რომ ის ამ ვალდებულებას მოკიდებოდა პასუხისმგებლურად და მას ემოქმედა მართლზომიერად (იხილეთ ბ. ნაჟავბია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001).

გასაგებია, რომ სუბიექტის შეფასება, კითარც „უპასუხისმგებო“ არსებითად მისი გაკიცხვაა. მართლაც, არსებობს სუბიექტის დადებითი შეფასება ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი მისი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ხარისხების შესაბამისად. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის განსაკუთრებით მაღალი ხარისხის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სუბიექტის შექების, მისი წახალისებისა და დაჯილდოების

**§ 5. ქმედების დანამარტინული კუალიფიკაცია და სისხლის  
სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა** —————— 94

**თავი მართვა**

**დანამარტინის საღიზო გაერთიანების და ქმედების  
დანამარტინული კუალიფიკაციის პროცესი**

<b>§ 1. სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის იდეა და ქმედების დანამარტინული კუალიფიკაცია</b>	104
<b>§ 2. დანამარტინის ჩადენის მექანიზმის მსოფლმხედველობრივი დასაბუთების თვის</b>	110
<b>§ 3. დანამარტინის ცნება და ქმედების შემადგენლობა</b>	115
<b>§ 4. ქმედების შემადგენლობა, როგორც კატეგორია</b>	121
<b>§ 5. დანამარტინის ცნება და ქმედების შემადგენლობა აქსიოლოგიური თვალსაზრისით</b>	125
<b>§ 6. ჩადენილი ქმედების ნიმუშისა და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიმუშის იგივეობის საკითხისათვის</b>	131
<b>§ 7. დანამარტინულებრივი ქმედების გენებისი და მისი მნიშვნელობა ქმედების დანამარტინული კუალიფიკაციის სუეროში</b>	135
<b>§ 8. დანამარტინულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური ბუნება და ქმედების დანამარტინული კუალიფიკაციის პრობლემა</b>	144

**თავი განვითარება**

**ეთიკობრივი საბანი, მოსი სტრუქტურა და ქმედების  
დანამარტინული კუალიფიკაციის პროცესი**

<b>§ 1. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ცნება და ნიმუში</b>	152
<b>§ 2. დანამარტინულებრივი მოქმედება</b>	159
<b>§ 3. დანამარტინულებრივი უმოქმედობა</b>	163
<b>§ 4. დანამარტინულებრივი მედეგი</b>	165
<b>§ 5. მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს მორის</b>	168
<b>§ 6. ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის სხვა ნიმუში</b> — 173	
<b>§ 7. ქმედების მართლწინააღმდეგობის დაღენის მეთოდოლოგია</b>	176

§ 8. ქმედების სუბიექტის პროცესუალური მდგომარეობის საკითხისათვის—	182
§ 9. ქმედების შემაღვენლობის სუბიექტური მსარის ნიშნების (მოგივისა და მიზნის) დადგენა და საკვალიფიკაციო მნიშვნელობა—	187
§ 10. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია დანამაულებრივი ქმედების (საქართველოს) მოგივების მიხედვით—	197
§ 11. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია სუბიექტის საქართველოს მიზნის მიხედვით—	209
§ 12. ბრალის ფორმების დადგენა და ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია (ბრალის შინაარსისა და ფორმების ერთიანობის საკითხისათვის)—	214
§ 13. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია პირდაპირი განტრანსფორმირების მიხედვით—	226
§ 14. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია ბრალის გაუკრთხილებელი ფორმის მიხედვით—	234

### თავმ გენერაცია

#### ემართებას ღანარელად სასამართლო კვალიფიკაციის გეოგრაფიული

§ 1. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია სისხლის სამართლის ნორმათა კონკურენციის პირობებში—	242
§ 2. ქმედების დანამაულად კვალიფიკაცია ერთიანი დანამაულისა და დანამაულის სიმრავლის დროს—	249
§ 3. სამართლებრივი ფიქტი და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის საქმეში—	255
§ 4. სასამართლოში ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის—	261
§ 5. სასამართლოში სუბიექტის ბრალის დადგენის მეთოდოლოგია—	268
§ 6. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და ქმედების დანამაულად კვალიფიკაციის თანაფარდობის პრობლემა—	275

**საბაზოგვეო უზრუნველყოფა:  
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“**

**დირექტორი:**

**ტექნიკური რედაქტორი:**

**ოპერატორები:**

**კორექტორები:**

**ზურ ნაჟახია**

**ლევან ბოჭორიშვილი**

**მზია ბათარავა**

**ნონა ჯავახევა**

**გვანცე შანავა**

**ლელა ძვირათია**

**მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22  
ტელ: 10-26-28.**

**Email: [inovacia@caucasus.net](mailto:inovacia@caucasus.net)**